საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მადონა ხუსკივაძე

მცირე ბიზნესის განვითარება დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობაში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: მიკროეკონომიკა და მარკეტინგი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი პროფესორი
რამაზ ნამიჭეიშვილი

ქუთაისი
2010

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი..... 4

თავი 1. მცირე ბიზნესი: განვითარების თავისებურებები
და ტენდენციები..... 10

1.1. მცირე ბიზნესი, არსი, სტრუქტურა და კლასიფიკაცია 10

1.2. მცირე ბიზნესის ისტორიული ექსკურსი, თავისებურებანი და
უპირატესობანი..... 23

1.3 მცირე ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში 41

1.4 მცირე მეწარმეობა საბაზრო რეფორმების სისტემაში 67

თავი 2. ხე-ტყის დამმუშავებელი მცირე საწარმოების განვითარების
ტრადიციები მე-19ს. და მე-20 ს. დასაწყისის დასავლეთ
საქართველოში..... 76

2.1 ხის დამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში 76

2.2 ხე-ტყის დამმუშავებელი საწარმოები. ხის კასრებისა
და ტკეჩების წარმოება მე-19 ს. დასავლეთ საქართველოში 81

2.3 ქართული ხითხუროთმოძღვრების წინარე ისტორია 124

2.4. ხე-ტყის მრეწველობის პერსპექტივები და განვითარების
სტრატეგია საბაზრო ურთიერთობების პირობებში..... 141

თავი 3. ხისდამმუშავებელ მრეწველობაში მცირე ბიზნესის
განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და
პერსპექტივები..... 156

3.1. დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის
მცირე საწარმოთა ეკონომიკური ფუნქციონირების ანალიზი
და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები 156

3.2. საქართველოში ხისდამმუშავებელი მრეწველობის ადგილი და

როლი 163

3.3. დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა ბიზნეს გარემოს გამოკვლევა და მართვის სრულყოფის ღონისძიებები 173

3.4. საქართველოს ტყის რესურსები და მისი ადგილი ეროვნულ ეკონომიკაში 202

3.5. ავეჯის წარმოების ეკონომიკური პერსპექტივები დასავლეთ საქართველოში 224

3.6. საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოებში მარკეტინგული გამოკვლევების დაუფლება-გამოყენების მიმართულებები 240

3.7. ინვესტიციური და ფინანსური საქმიანობის მსოფლიო თანამედროვე მეთოდების დაუფლების და გამოყენების მიმართულებები 247

დასკვნები და წინადადებები 257

გამოყენებული ლიტერატურა 263

დანართები 270

შ ე ს ა ვ ა ლ ი

P პრობლემის აქტუალობა. მცირე ბიზნესი, ბიზნესის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან შედარებით, თავისი აშკარა უპირატესობების გამო, მრავალი სახელმწიფოს ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს, არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ მრავალმხრივ. პირველ რიგში იმიტომ, რომ მცირე ბიზნესი ძალზე მგრძნობიარეა და შეუძლია ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფად მოახდინოს ადაპტირება. მეორე - მსხვილ საწარმოებთან შედარებით იგი გაცილებით მობილურია და შეუძლია სწრაფად გადაიარაღდეს ახალი, თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით. Mმესამე - მცირე ბიზნესი საქმის დასაწყებად და წარმოების განსავითარებლად ნაკლებ კაპიტალს მოითხოვს. მეოთხე და ყველაზე მნიშვნელოვანი - მცირე ბიზნესი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ასაქმებს და ქმნის ე.წ. ,,მესამე ფენას'' (საშუალო ფენას), რომელიც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით აუცილებელი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

ჩვენს ქვეყანაში ვერ შეიქმნა ის აუცილებელი პირობები, რაც მცირე ბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობს. Aამიტომ არის, რომ საქართველოში მცირე საწარმოები, მაგალითად 2008წ. აწარმოებდნენ პროდუქციის საერთო გამოშვების მხოლოდ 7,9% და მათზე საქონელბრუნვის 8% მოდიოდა.

2001 წლის ბოლოს შეიქმნა მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფცია და 2002-2004 წლებში

შემუშავებული იქნა საქართველოს მცირე საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა.

სოციალისტური ცხოვრების წესზე უარის თქმამ და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის გზაზე ორიენტაციამ თავის სასიკეთო შედეგები უნდა მოგვცეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარკვეულწილად გზამკვლევის როლში უნდა გამოვიყენოთ მაღალგანვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება და ძალისხმევა არ დავაკლოთ მცირე ბიზნესის განვითარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგები სხვადასხვა თავისებურებებით ხასიათდებიან და ეს გარკვეულწილად აისახება მცირე ბიზნესის განვითარებაზე. Aამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ხისდამმუშავებელი მრეწველობა. საქართველოსათვის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსათვის, ხისდამუშავება ტრადიციულ დარგს მიეკუთვნება და ეროვნული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ დარგმა დასავლეთ საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობა ყველაზე უკეთ შეიძლება უზრუნველყოს. იგი შექმნის მნიშვნელოვან სამუშაო ადგილებს სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობისათვის მათთვის ხელსაყრელ, საცხოვრებელ სახლებთან ახლოს, ოჯახთან დაშორების გარე-შე. აგრეთვე ხისდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ავეჯის, სამშენებლო-სამონტაჟო და კეთილმოწყობის, ტურიზმის კეთილმოწყობის და სხვ. თვითღირებულებაზე. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებათა თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი მთავარი გზა არის ხისდამმუშავებელი მრეწველობის განვითარება, რაც თანამედროვე პირობებში შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ, ამ დარგში მცირე ბიზნესის განვითარებით. აღნიშნული პრობლემის აქტუალობამ, ამასთან ქართულ სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ პრობლემის არასრულყო-

ფილმა შესწავლამ განაპირობა სადისერტაციო თემის არჩევა და განსაზღვრა კვლევის მიმართულება.

P პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. საქართველოში ხისდამმუშავებელ მრეწველობის მცირე საწარმოებში ბიზნესის განვითარების საკითხის პრაქტიკული გამოკვლევა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, პირველად ჩვენს მიერ ხორციელდება. ძოგადად, მცირე ბიზნესის საკითხებზე ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ქართველ და უცხოელ მეცნიერებს. მათ შორის ყველაზე გამორჩეულია ლუის ალენის, ნიკოლას სიროპოლისის, უილსონ ჯონსის, პეტერ დრუკერის, დ. ძნელაძის, ნ. ბიჭიაშვილის, ნ. ჭითანავას, ო. საღარეიშვილის, მ. მაქსოევის, რ. გველესიანის, ო. ქეშელაშვილის, ო. შურღაიას, ა. მურავიოვის, ბ. რაიზბერგის, ი. რაზუმნოვას, ა. სამოუკინის, ა. დაშკოვის, ი.გრუშნოვას და სხვათა ნაშრომები.

Gკვლევის მიზანი და ამოცანები. წინამდებარე გამოკვლევის მთავარი მიზანია საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა ფუნქციონირების შესწავლა და მათი ფორმირებისა და განვითარების პროგრესულ მიმართულებების შემუშავება.

Aამ მთავარი მიზნის მისაღწევად, სადისერტაციო გამოკვლევა იდგა შემდეგი ამოცანების წინაშე:

- წარმოეჩინა მცირე ბიზნესის ადგილი ქვეყნის სამეურნეო კომპლექსში;
- გამოეკვლია დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა კონცენტრაციის დონე და სტრუქტურა;
- შეესწავლა ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა ბიზნეს-გარემო;
- Mმოეხდინა მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა ეკონომიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი და დაედგინა მცირე საწარმოთა

უპირატესობები;

- შეეფასებინა მცირე საწარმოებში მოქმედი მართვის სისტემა;
- შეესწავლა დასავლეთ საქართველოში მცირე საწარმოთა განვითარების სანედლეულო ბაზა;
- წარმოეჩინა საბაზრო-სამეურნეო მექანიზმში ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა ფუნქციონირების პრობლემები და წარმოეჩინა მათი გადაჭრის გზები;

სადისერტაციო ნაშრომში ეს ამოცანები გადაჭრილია.

კვლევის საგანი და ობიექტი. – გამოკვლევის საგანია საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობაში მცირე ბიზნესის განვითარების თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები. კვლევის ობიექტია საქართველოს დამმუშავებელი მრეწველობა ზოგადად, კერძოდ, კი დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თეორია, საბაზრო ეკონომიკის, ბიზნესისა და მცირე ბიზნესის შესახებ სხვადასხვა ავტორთა სამეცნიერო გამოკვლევები და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომები. სადი-სერტაციო ნაშრომში გამოვიყენეთ საქართველოს სტატისტიკის დეპარ-ტამენტის მონაცემები, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა მცირე ბიზნესის, ხისდამმუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე სახელმწიფო არქივების, ინტერნეტის მასალები და ენციკლოპედიები. თემის ცალკეული საკითხების დამუშავების პროცესში ვიყენებდით გამოცდილი ექსპერ-ტების, მეწარმეთა და მომხმარებელთა გამოკითხვის მასალებს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. Dდისერტაცია წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობაში მცირე ბიზნესის განვითარების ტენდენციების შესწავლაში პირველ კომპლექსურ

გამოკვლევას საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სადისერტაციო ნაშრომის სიახლეთა შორის აღსანიშნავია შემდეგი;

- შესწავლილია დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზა და დადგენილია ათვისების შესაძლებლობები, აგრეთვე მაღალმთიანი ზონის და ძნელად მისადგომი ადგილებიდან ხე-ტყის გამოტანა ახალი მეთოდებითა და ტექნოლოგიებით. Aამ სანედლეულო ბაზის რენტაბელობის მისაღწევად შეთავაზებულია მათი დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები, რომლებიც რანჟირებულია მოპოვების (იოლი, რთული) და გადამუშავების სტადიების მიხედვით.

- გამოკვლეულია ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა მართვის მოქმედი სისტემა და შეთავაზებულია ახალი ვარიანტი, კერძოდ, დადგენილია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში (რა პერიოდშიც ახლა საქართველო იმყოფება) დაუშვებელია საწარმოთა მართვაში ადმინისტრაციული მეთოდები მთლიანად შეიცვალოს ეკონომიკური მეთოდებით. აქედან გამომდინარე, მართვაში დისციპლინა, პასუხისმგებლობა და კონტროლი კვლავაც ერთ-ერთ დომინანტად უნდა წარმოვაჩინოთ და უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ საზოგადოება არ გაითავისებს, რომ ადმინისტრაციული კონტროლი წარმოებაზე უარყოფითად მოქმედებს.

- ჩატარებულია გარკვეული სამუშაოები მცირე საწარმოთა მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისათვის. Aამ მიზნით მცირე საწარმოები დაყოფილია სამ ჯგუფად (უწვრილესი საწარმოები 5-10 დასაქმებულით, წვრილი საწარმოები 11-25 დასაქმებულით, და მცირე საწარმოები 25-40 დასაქმებულით) და თითოეული მათგანისათვის შედგენილია მართვის სტრუქტურის ალტერნატიული სქემები. Yნაშრომში წარმოდგენილია აგრეთვე მარკეტინგის სამსახურში მართვის

ორგანიზაციის გაშლილი სქემები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლევა ჩატარებულია დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოების ფორმირებისა და განვითარების ოპტიმალურ მიმართულებათა შესარჩევად. Aამდენად ნაშრომში წარმოდგენილი წინადადებები და კონცეფციები პრაქტიკულ გამოყენებას პოვებს ამ საწარმოებში.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომი განხილული და მოწონებული იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის სხდომაზე (2010 წლის 13 ივლისი, ოქმი [1]).

დისერტაციის შედეგები გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო შრომაში, ამათგან 5 საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში. გვაქვს გამოხ-მაურებები საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და შპს ,,საქტყემრეწვისაგან‘‘.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერ-ტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 271 გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, 13 პარაგრაფის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ტექსტში ჩართულია 28 ცხრილი, 29 სქემა და 1 რუკა. ნაშრომს თან ერთვის 2 დანართი და 120 დასახელების ლიტერატურის სია.

P

თავი 1. მცირე ბიზნესი: განვითარების თავისებურებები და ტენდენციები

1.1. მცირე ბიზნესი: არსი, სტრუქტურა და კლასიფიკაცია

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ღრმა თვისებრივი და სტრუქტურული ცვლილებების პროცესშია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი დამოუკიდებელი ეროვნული სამეურნეო სისტემა, არსებითად შეიცვალოს მეურნეობრიობის პრინციპი.

თანამედროვე ეკონომიკის პრობლემის შემადგენელი ნაწილია ბიზნესის, საერთოდ, და, კერძოდ, მცირე ბიზნესისა და წვრილი მეწარმეობის, აგრეთვე

შეზღუდული მასშტაბის მეურნეობრიობის სხვა სახეობათა პრიორიტეტული განვითარება, მათი ინსტიტუციონალური ფორმებისა და ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი ეკონომიკური პირობებისა და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს დამკვიდრება.

პრობლემის აქტუალურობას ემატება ისიც, რომ საქართველოში მცირე ბიზნესისა და წვრილი მეწარმეობის ფორმირება-განვითარებასთან უშუალოდაა დაკავშირებული ისეთი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა: მძიმე ეკონომიკური კრიზისის პირობებში ფართო მოხმარების საქონლისა და მრავალფეროვანი ფასიანი მომსახურებით სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება. მოსახლეობის მცირე ნაწილის ხელში თავმოყრილი ფულადი რესურსების მობილიზაცია და სამეურნეო ცხოვრების აქტივიზაცია, მოსახლეობის დასაქმება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ქალაქებში, რეგიონებში, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება და ეროვნული ეკონომიკის ტრადიციული დარგების აღორძინება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მცირე ბიზნესისა და წვრილი მეწარმეობის განვითარება და ეკონომიკური საქმიანობის სხვა სახეობათა აქტივიზაცია დიდად შეუწყობს ხელს ქვეყანაში რეალური, დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებისათვის მყარი ეკონომიკური გარანტიების შექმნას. ჩამოყალიბდება ჩვენი საზოგადოების საშუალო ფენა ეკონომიკურად უზრუნველყოფილ სახელმწიფო დიქტატისა და მეურნეობისაგან თავისუფალ მწარმოებელთა და მესაკუთრეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, არა მარტო მეცნიერული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც მცირე ბიზნესის, ისე ზოგადად, საბაზრო ურთიერთობების, მათი არსისა და ბუნების, ეკონომიკური სტრუქტურების წარმოქმნა-განვითარებისა და

ფუნქციონირების ობიექტური კანონზომიერებათა კვლევასთან ერთად მიმდინარე პროცესების საფუძვლიან შესწავლას.

ბიზნესი, როგორც სამეწარმეო-კომერციული საქმიანობა, მეურნეობრიობის ძირითადი ტრადიციული სახეობაა, რომელიც ადამიანის თვითრეალიზაციის, თვითდამკვიდრების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა და მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენა-გამოცდის, საკუთარი მაღალშემოსავლიანი საქმის წამოწყება - გაშლის სარბიელსა და მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ახლა ბევრი სწავლული ეკონომიკური საქმიანობის ამ სახეობას განმარტავს როგორც მოგების მიღების წყაროს. ასეთი თვალსაზრისი არ არის სრულყოფილი, რადგან, ჩვენი აზრით, უკიდურესად შეზღუდულია ამ ფართო და მრავალმხრივი ეკონომიკური ფენომენის რაობის გაგება და იგი მხოლოდ მოგების მიღებაზეა დაყვანილი. არაფერია ნათქვამი მისი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეების შესახებ. მაგალითად, ბიზნესის საზოგადოებრივ სარგებლობაზე. არსებითია ისიც, რომ ასეთი დეფინიციისას გაურკვეველი რჩება აგრეთვე ბიზნესის მიმართება საკუთრების ფორმებისადმი. შემოუსაზღვრავია მისი ფუნქციონირების სფეროებიც.

ბიზნესი ცალკეული ინდივიდთა ჯგუფისა და სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სამეწარმეო, სავაჭრო, სამომსახურეო, საფინანსო-საკრედიტო, საშუამავლო თუ სხვა სახეობის კომერციული საქმიანობაა, რომელიც ეფუძნება რა საკუთრებისა და ორგანიზაციული ფორმების მრავალგვარობას, ხორციელდება წარმოებითი და არაწარმოებითი სფეროების სხვადასხვა დარგში, ემყარება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, უზრუნველყოფს მრავალფეროვან პროდუქციასა და მომსახურებაზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას

და ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფისათვის მოგების და სახელმწიფოს ბიუჯეტისათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

განასხვავებენ მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესს. Dდაყოფა პირობითია და ეფუძნება იმ ეკონომიკური სტრუქტურების (საწარმო-ფირმა, კომპანია, ასოციაცია, კორპორაცია, კონცერნი და ა.შ.) ზომას (სიდიდეს), რომლის მოცულობის მიხედვითაც განისაზღვრება ამ საქმიანობის მასშტაბები.

მცირე ბიზნესი მოიცავს როგორც სამეწარმეო კომერციულ საქმიანობას, ისე პროდუქციის წარმოება-რეალიზაციას, სამუშაოთა შესრულებას და ფასიან მომსახურებასთან დაკავშირებულ მეურნეობის სხვა სახეობებსაც. Hჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორის, დოქტორ უილფორდ ლ. უაიტის აზრით, მცირე ბიზნესის არსი უწინარესად საზოგადოებრივი სარგებლობით განისაზღვრება. სარგებლობა კი უნდა გამოიხატებოდეს: ჯერ ერთი, მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის შექმნა-მიწოდებასა და მომსახურების გაწევაში, მეორე, ხელსაყრელ სამუშაოებზე ადამიანთა დასაქმებაში და, მესამე, ამის სანაცვლოდ მოგების მიღებაში. აანალიზებს რა მცირე ბიზნესისა და წვრილი მეწარმეობის პრობლემებს, იგი შენიშნავს: იოლი არ არის მცირე მეწარმის ხვედრი, მას მრავალი საზრუნავი აქვს, ბევრი პრობლემის გადაწყვეტა უწევს. სანამ ადამიანი საკუთარ საქმეს შეუდგებოდეს, მან ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონოს. თუ დარწმუნდა რომ შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებს და მზად არის იმუშაოს ისე, როგორც არასდროს, მისმა მოწადინებამ შეიძლება წარმატება მოიტანოს და მაშინ ბიზნესმენი დაჯილდოვდება იმის შეგნებით, რომ სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, ჰქმნის რა მომხმარებლისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურეობას, ხელსაყრელი სამუშაოთი უზრუნველყოფს ადმიანებს, სანაცვლოდ წმინდა მოგებას ღებულობს.

როგორც პ. სამუელსონი აღნიშნავს, დასავლეთის თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ორგანიზაციული თვალსაზრისით ბიზნესი სამი ძირითადი სამართლებრივი ფორმითაა წარმოდგენილი. Eესენია: ერთპიროვნული საკუთრება, ამხანაგობა და კორპორაცია. [95.გვ.20-21]

ასეთი კლასიფიკაციის სისწორეს თვალნათლივ ადასტურებს კემპბელ რ. მაკონელისა და სტენლი ბრიუს ნაშრომში მოყვანილი ცხრილი, სადაც ამერიკული ფირმები დაჯგუფებულია მათი სამართლებრივი ფორმების მიხედვით.[22.გვ.109]

ცხრილი 1.1

ფირმა	ფირმების რიცხვი	% ჯამთან
ერთპიროვნული საკუთრება[1]	12820000	73
პარტნიორობა[2]	1644000	9
კორპორაციები	3171000	18
სულ	17635000	100

შენიშვნა:

1. ფერმერებისა და დამოუკიდებლად მომუშავეთა ჩათვლით
2. კემპბელ მაკონელი და სტენლი ბრიუ ამხანაგობის ნაცვლად პარტნიორობას, ხოლო კორპორაციის ნაცვლად კორპორაციების ცნებებს იყენებენ

მცირე ბიზნესის ფუნქციონირების სფერო არ შემოისაზღვრება არც ეკონომიკის რომელიმე სექტორით და არც საკუთრების ამა თუ იმ ფორმირებისადმი მისი კუთვნილებით. Mმცირე საწარმოები შეიძლება შეიქმნას როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ან კოოპერაციულ სექტორებში, ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო-კოოპერაციულ ან შერეულ საკუთრებას და სხვადსხვა ფორმით ფუნქციონირებდნენ ეკონომიკის სხვადასხვა დარგში და სფეროში. თუ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება გამოვყოთ მცირე ბიზნესის შემდეგი სახეობები;

ზომის მიხედვით – წვრილი და უფრო წვრილი სამეურნეო ერთეულები, მცირე და საშუალო სამეურნეო სტრუქტურები;

საქმიანობის ხასიათის მიხედვით – კომერციული სამეწარმეო, მომსახურებითი, საფინანსო - საკრედიტო, საშუამავლო, მრავალ პროფილიანი და სხვა;

ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით – ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, წვრილი ოჯახური მეურნეობა, ფერმერული მეურნეობა, მცირე ინდივიდუალური მეწარმეობა.

Oორგანიზაციულ-საკუთრებითი საფუძვლების მიხედვით – ინდივიდუალური საწარმო, ინდივიდთა ჯგუფის საწარმო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის (ორგანიზაციების) საწარმო, მუნიციპალური საწარმო, სახელმწიფო საწარმო, საკუთრების შერეული ტიპის საწარმო.

ურთიერთობის ხასიათის მიხედვით – სრული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, კომანდიტური ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება.

Mმრავალ ქვეყანაში სპეციალური კანონმდებლობითაა განსაზღვრული ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ხდება ამა თუ იმ საწარმოს მცირე ბიზნესის სფეროსადმი მიკუთვნება. Mმაგალითად ამ საკითხს აშშ-ში არეგულირებს 1953 წ. მიღებული კანონი მცირე ბიზნესის შესახებ, აგრეთვე შესწორებები, რომლებიც 1958 წელს იქნა შეტანილი ამ კანონში. Aამ საკანონმდებლო აქტებით მცირე ფირმად ისეთი საწარმო ითვლება, რომელიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებს, არ დომინირებს თავისი ბიზნესის სფეროში და მისი მეპატრონე არ არის სხვაზე დამოკიდებული.

ამავე კანონებითაა დადგენილი აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში მცირე ბიზნესისადმი წაყენებული კრიტერიუმებიც. მაგალითად მომუშავეთა რიცხოვნობიდან გამომდინარე, აშშ-ში მცირე,

საშუალო და მსხვილი საწარმოები 5 ჯგუფად იყოფა: უმცირესი საწარმოები (2-24 მომუშავე), მცირე (25-99), გარდამავალი (100-499) და უმსხვილესი საწარმოები (1000 და მეტი მუშაკი). საბითუმო სავაჭრო საწარმოს მცირე ბიზნესის სფეროს აკუთვნებენ, თუ მისი წლიური ბრუნვა 3-18 მლნ. დოლარს შეადგენს. საცალო სავაჭრო საწარმოებისთვის ეს მაჩვენებელი 1-5 მლნ. დოლარით განისაზღვრება. [28.გვ.18-19].

ასეთივე მაჩვენებლები გამოიყენება იაპონიაშიც, სადაც მცირე სა საშუალო საწარმოთა ზომები განსხვავდება ეკონომიკის დარგების მიხედვით, კერძოდ მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში მცირე და საშუალო საწარმოდ ითვლება ისეთი საწარმო, რომლის კაპიტალი დაახლოებით 600 ათასი დოლარის (100 მლნ. იენის) ფარგლებში მერყეობს, ხოლო მომუშავეთა რაოდენობა 300 კაცამდეა. საბითუმო ვაჭრობაში ასეთ საწარმოთა კატეგორიაში შეაქვთ ისეთი საწარმო, რომლის კაპიტალი 200 ათას დოლარამდეა, ხოლო დასაქმებულთა რიცხვი - 100 კაცამდე. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და საცალო ვაჭრობაში კი შესაბამისად_დაახლოებით 60 ათას დოლარამდე და 50 კაცამდე. რაც შეეხება საკუთრივ მცირე საწარმოებს, აქ დასაქმებულთა რიცხვი 50 კაცს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და ვაჭრობაში 5 კაცს. [64.გვ.105].

საწარმოთა კატეგორიის განსაზღვრისათვის არც თუ იშვიათად იყენებენ აგრეთვე ისეთ ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებსაც, როგორიცაა ძირითადი ფონდების ღირებულება, ენერგეტიკული დანადგარების სიმძლავრე, ენერგიის მოხმარების მოცულობა და ა.შ.

კონკრეტული ტექნიკურ-ეკონომიკური და რეგიონული თავისებურებები-დან გამომდინარე, ზოგჯერ შეიძლება სრულიად სხვა პარამეტრით განისაზღვროს ამა თუ იმ საწარმოს მცირე ბიზნესის სფეროსადმი კუთვნილების საკითხი. რაც შეეხება მრავალპროფილიან საწარმოებს, ამ

შემთხვევაში საწარმოთა დიფერენციაციის საკითხს იმის მიხედვით წყვეტენ, კომერციული საქმიანობის თუ რომელ სახეობას უჭირავს წამყვანი ადგილი მის ფუნქციონირებაში.

საწარმოთა მართებულ კლასიფიკაციას არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, საქმე ისაა, რომ მრავალ ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა ეკონომიკის სფეროში მნიშვნელოვანწილად დიფერენცირებულია იმის მიხედვით, თუ როგორია კომერციული საქმიანობის მასშტაბები იმ თვალსაზრისით, რომ მხარდაჭერა და მფარველობა პირველ რიგში სწორედ მცირე ბიზნესის საწარმოებს გაეწიოს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არ გვხვდება მცირე ბიზნესის ზუსტი განმარტება. ჩვეულებრივ ამ ტერმინს ხმარობენ მაგალითად, ,,საოჯახო მაღაზიების'' და რესტორნების დახასიათებისას, ხოლო დიდი ბიზნესით მოვიხსენიება ისეთ გიგანტები, როგორიცაა: ,,IBM'' და ,,ჯენერალ მოტორსი''. Mმაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის ყველა საწარმო ხვდება ამ ორი უკიდურესობის ინტერვალში. მცირე ან დიდი ბიზნესისადმი კუთვნილება დამოკიდებულია კრიტერიუმის შერჩევაზე. შედარებით გავრცელებული კრიტერიუმებია: ერთობლივი აქტივები, საკუთარი კაპიტალი, მუშათაA რაოდენობა, წარმოების მოცულობა და ა.შ.

ერთობლივი აქტივები _ არის საწარმოს მფლობელობაში არსებული კერძო სახსრები, სასაქონლო მატერიალური მარაგები, მიწები, მანქანები, აღჭურვილობა და სხვა რესურსები.

საკუთარი კაპიტალი _ ინვესტორების ერთობლივი კაპიტალის დაბანდებაა. ჩვეულებრივ, კორპორაციაში აქციონერები არიან ინვესტორებად. Kკრედიტორები კი ის ხალხია, რომლებიც ფულად სახსრებს იძლევიან სესხად ან კრედიტებს სთავაზობენ.

ყველა კრიტერიუმს გააჩნია თავისი ღირსება, მაგრამ კრიტერიუმს ,,მუშათა რაოდენობა‘‘ ღირსებები გაცილებით უფრო მეტი აქვს, ვიდრე სხვებს. აღნიშნული კრიტერიუმები წარმოადგენს:

1. ინფლაციურად მყარს _ მასზე არ მოქმედებს დოლარის მსყიდველობითი უნარის რყევა.
2. გამჭვირვალეს _ მისი განსაზღვრა და გაგება ადვილად შეიძლება.
3. შეჯერებულს _ ის შესაძლებელს ხდის ერთი დარგის საწამოების ზომების შეჯერებას.
4. ხელმისაწვდომს _ საწარმოდან მასზე მონაცემების მიღება ადვილია.

თუ მუშათა რაოდენობას საწარმოს ზომის კრიტერიუმად მივიღებთ, მაშინ როგორი უნდა იყოს ეს ზომა? Aამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრო რეკომენდაციას იძლევა მუშათა რაოდენობა განისაზღვროს 500 კაცით. სწორედ ამ კრიტერიუმს აქვს ფართო გამოყენება სავაჭრო პალატებში.

თითქმის ყველა კრიტერიუმი უნდა პასუხობდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს და არც ჩვენს მიერ ზემოთხსენებული კრიტერიუმია გამონაკლისი. იმისათვის, რომ საწარმო მცირე ბიზნესის კატეგორიაში მოხვდეს, არ უნდა ჰყავდეს 500-ზე მეტი დასაქმებული. ის უნდა ეკუთვნოდეს დამოუკიდებელ მეწარმეს (არ უნდა წარმოადგენდეს სხვა საწარმოს შემადგენელ ნაწილს) და თვითმართვადი უნდა იყოს. Aამ მოთხოვნას ბევრი ფრანჩაიზული საწარმო გამონაკლისამდე მიჰყავს. ინვესტორი, რომელიც ყიდულობს ფრანჩაიზს, ხშირად ვალდებულია იარსებოს მრავალრიცხოვანი სახელშეკრულებო მოვალეობის შესაბამისად. მაგალითად, დაიცვას განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, ყოველთვიურად იხადოს ფრანჩაიზი და შეადგინოს თვიური ანგარიში ფინანსური გეგმის შესრულების შესახებ. ამგვარ შემთხვევაში ძირითად

მფლობელად გვევლინება ფრანჩაიზერი – ფრანჩიზის გამყიდველი და არა მისი მყიდველი.

ახლა განვიხილოთ მცირე ბიზნესის სხვა განსაზღვრება, რომელიც ფორმულირებულია ამერიკის შეერთებული შტატების მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის მიერ. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მოცემული ფედერალური სააგენტო 1953 წელს დააარსა მცირე ბიზნესისადმი თანადგომის აღმოჩენისათვის. ამისათვის მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია სთავაზობს დახმარებას მცირე საწარმოთა ხელმძღვანელებს, რათა მათ აიმაღლონ თავიანთი მმართველობითი კვალიფიკაცია და შესძლონ სესხების მიღება.

მცირე საწარმოებს, რომლებიც ცდილობენ იშოვონ შეღავათიანი კრედიტები, მცირე ბიზნესის ადმინისტრაციამ ჩამოუყალიბა საწარმოს ზომების განმსაზღვრელი კრიტერიუმები თითქმის ყველა დარგში საშუალოდარგობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით. მაგალითად, მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის განსაზღვრით მცირე საწარმოებს, რომლებიც მუშაობენ ეგმ-ის დამზადებაზე, უნდა ჰყავდეთ 1000 თანამშრომელზე ნაკლები. საწარმო 600 ან 800 საშტატო ერთეულით სხვა დარგში შეიძლება არ ჩაითვალოს მცირე საწარმოდ, მაგრამ რამდენადაც მოცემულ დარგში საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღლია ასეთი გიგანტების გამო, 1000 კაცი ზღვრული სიდიდეა.

ცხრილი 1.2-ში ჩამოთვლილია კრიტერიუმები, რომლითაც მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია აკუთვნებს საწარმოებს მცირე კატეგორიას გარკვეულ დარგებში, ხოლო ისინი კლასიფიცირებულია უფრო ფართო დარგობრივ ჯგუფებად ცხრილი 1.3-ში. [109.გვ.672].

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის განსაზღვრა სრულებითაც არ არის მკაცრი და უცვლელი, ზოგიერთ შემთხვევებში ისინი შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, 1966 წელს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციამ

,,ამერიქენ მოტორსი'' მიაკუთვნა მცირე საწარმოთა კატეგორიას, რათა კომპანიისათვის შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო ზოგიერთ სამთავრობო ვაჭრობაში. ამ დროისათვის ,,ამერიქენ მოტორსი'' ითვლებოდა 63-ე მსხვილ საწარმოდ, ჰყავდა 32000 მუშა და გაყიდვიდან ამონაგები 991 მილიონი დოლარი იყო. მცირე ბიზნესის

ცხრილი 1.2

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის კრიტერიუმები ზოგიერთი დარგის საწარმოების მცირე ბიზნესის კატეგორიისადმი მიკუთვნებისათვის

მეწარმეები	**მუშათა რაოდენობა (კაცი)**
ნავთობგადამუშავება	1500
ეგმ	1000
მაკარონი და ვერმიშელი	500
ბითუმად მოვაჭრენი	**მუშათა რაოდენობა**
სპორტსაქონელი	500
ავეჯი	500
ლაქსაღებავიანი ნაწარმი	500
საცალოდ მოვაჭრენი	**ამონაგები გაყიდვიდან მლნ. დოლ.**
საბაკალეიო მაღაზიები	13,5
საავტომობილო სააგენტო	11,5
რესტორნები	10
მომსახურება	**ამონაგები გაყიდვიდან მლნ.დოლ. წელიწადში**
ეგმ-ის მომსახურება	12,5
საბუღალტრო აღრიცხვა	4,0
ტელევიზორების რემონტი	3,5

ცხრილი 1.3

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის კრიტერიუმები ძირითადი ჯგუფის დარგების საწარმოების მცირე კატეგორიისადმი მიკუთვნებისათვის

ძირითადი ჯგუფის დარგები	მუშათა რაოდენობა	მაქსიმალური მუშათა წლიური ამონაგები გაყიდვიდან მლნ.დოლ.
წარმოება	250-1500	-
საბითუმო ვაჭრობა	500	-
საცალო ვაჭრობა	-	3,5-13,5 დარგისაგან დამოკიდებულებით
მომსახურება	-	3,5-14,5

ადმინისტრაცია ამართლებდა თავის გადაწყვეტილებას ზღვრული სიდიდის იშვიათად გამოყენებული კრიტერიუმით, ზუსტად იმით, რომ

საწარმო მიეკუთვნება მცირე კატეგორიას, თუკი ის არ დომინირებს თავის დარგში. ,,ამერიქენ მოტორსი'' იოლად მოხვდა ამ კრიტერიუმის ქვეშ. ხშირად მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის განსაზღვრებით საწარმოები მიეკუთვნებიან საშუალო კატეგორიას. მაგალითად, მწარმოებელი ფირმა, რომელშიც ირიცხება 1000 კაცი, ხოლო წლიური ამონაგები შეადგენს 50 მლნ. დოლარს. Aამიტომაც, არასპეციალისტები არ მიაკუთვნებენ ასეთ საწარმოს მცირე კატეგორიას.

საქართველოში მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს დადგენილებით ,,საქ.რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარება და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ ''მცირე საწარმოებს მიეკუთვნებოდა ,,სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ'' საქ. რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა არ ეჭირა დარგში, ხოლო მომუშავეთა საშუალო-სიობრივი რიცხოვნობა ცალკეული დარგების მიხედვით არ აღემატებოდა: მრეწველობასა და მშენებლობაში - 50 კაცს, ტრანსპორტზე - 40 კაცს, მეცნიერებაში, სამეცნიერო და სამედიცინო მომსახურებაში - 30 კაცს, სხვა დარგებში - 20 კაცს. რაც შეეხება მრავალდარგოვან საწარმოებს, მათ ამა თუ იმ დარგისადმი მიკუთვნების საკითხი იმ სახეობის საქმიანობის მიხედვით წყდებოდა, რომელსაც მათ ჯამურ შემოსავალში უმეტესი წილი ეკავა. [29]. მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტის მიერ 1994წ. 28 ოქტომბერს მიღებული საქართველოს კანონით ,,მეწარმეთა შესახებ ''მცირე ბიზნესს მიეკუთვნებოდა დამოუკიდებლად მომუშავე ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელსაც სრულ შტატში არა უმეტეს 20 თანამშრომელი ყავდა. საკვლევ საწარმოთა მასშტაბების განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი 1999 წლის 23 ივლისის საქართველოს კანონით ,,მცირე საწარმოთა

მხარდაჭერის შესახებ‘‘, რომლის თანახმად, ამჟამად საქართველოში, ასეთ საწარმოებს განეკუთვნება ,,მეწარმეთა შესახებ‘‘ 1994 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა და საწარმოს წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობას: მრეწველობაში - 40 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 20 დასაქმებულსა და 200 ათას ლარს. მშენებლობაში - 20 დასაქმებულსა და 300 ათას ლარს. საბითუმო და საცალო ვაჭრობაში 10 დასაქმებულსა და 50 ათას ლარს. განათლებაში 25 დასაქმებულსა და 60 ათას ლარს. სხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას 15 დასაქმებულსა და 100 ათას ლარს. [30.გვ.25].

2006 წელს ცვლილებები შევიდა კანონში ,,ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ‘‘ და აღნიშნული კანონით (მუხლი [1]3 – ტერმინთა განმარტებები) დადგინდა განმარტებები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. კერძოდ:

მ) მცირე საწარმო- ,,მეწარმეთა შესახებ‘‘ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულსა და წლიური ბრუნვა – 500 ათას ლარს.

ნ) საშუალო საწარმო- ,,მეწარმეთა შესახებ‘‘ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 100 დასაქმებულსა და წლიური ბრუნვა – 1,5 მლნ. ლარს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ განმარტებებს არ მოყოლია რაიმე მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, აღნიშნულ კანონშიც

მხოლოდ ტერმინთა განმარტებაშია ნასესხები ასეთი ცნებები, რომლებიც მხოლოდ ფორმალური ხასიათის ჩანაწერის შთაბეჭდილებას ქმნის.

სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად ხდება ბიზნესის ზომების რანჟირება, თუმცა, ძირითადად მაინც, ყურადღება ექცევა საწარმოს ბრუნვასა და დასაქმებულთა რაოდენობას, რომელიც ხშირად განსხვავებულია ეკონომიკური საქმიანობის სექტორების მიხედვით.

მაგალითად, მეზობელ აზერბაიჯანში მცირე საწარმოებში მომუშავე ადამიანების რაოდენობა სფეროების მიხედვით არის უფრო ნაკლები, ვიდრე :

50 ადამიანი – ინდუსტრია და სხვა პროდუქციული სექტორები;

25 ადამიანი – მშენებლობა და ინჟინერიის სფერო;

25 ადამიანი – მეცნიერებისა და განათლების სფერო;

15 ადამიანი – ტრანსპორტი, ვაჭრობა და მომსახურება;

საშუალო სიდიდის კომპანიებისათვის არ არის დეფინიცია.

ბელორუსიაში მცირე საწარმოებს განეკუთვნება კომპანიები დასაქმებულთა საშუალო სიობრივი რიცხოვნობით: მრეწველობასა და ტრანსპორტში - 100 კაცამდე, სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში - 60 კაცამდე. მშენებლობასა და საბითუმო ვაჭრობაში - 50 კაცამდე. საცალო ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში - 30 კაცამდე. არასაწარმოო სფეროს სხვა დარგებში 25 კაცამდე.

რუსეთის ფედერაციაში: მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებ-ლობაში - 100 კაცი. სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო ტექნიკურ სფეროში - 60. საბითუმო ვაჭრობაში - 50, საცალო ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში - 30 კაცამდე.

რაც შეეხება ევროკავშირს, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (ანუ SME) კატეგორია შედგება საწარმოებისაგან, სადაც მუშაობს 250 ადამიანი, და რომლის წლიური ბრუნვა შეადგენს 50 მილიონ

ევროს და მათი ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი არ აღემატება 43 მლნ. ევროს. [36.გვ.11]

ცხრილი 1.4

მცირე ბიზნესის როლი ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში [96]

ქვეყნები	მცირე და საშუალო საწარმოთა რიცხოვნობა მლნ.კაცი		დასაქმებულთა რიცხოვნობა მლნ.კაცი	მცირე და საშუალო საწარმოების წილი %	
	1000 ერთ.	ყოველ 1000 მცხოვრებზე		დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში	მშპ-ში
დიდი ბრიტანეთი	2930	46	13.6	49	50-53
გერმანია	2290	37	8.5	46	50-54
იტალია	3920	68	16.8	73	57-60
საფრანგეთი	1980	35	15.2	54	55-62
ევროკავშირის ქვეყნები	5777	45	68.0	72	63-67
აშშ	19300	74	70.2	54	51-52
იაპონია	6450	50	39.5	78	52-55
რუსეთის ფედერაცია	837	6	8.1	10	10-11
ბელორუსია	27	3	0.3	8	7-8

1.2. მცირე ბიზნესის ისტორიული ექსკურსი თავისებურებანი და უპირატესობანი

პირველი წერილობითი ცნობები მცირე ბიზნესზე 4000 წლის წინანდელია. ეს იყო აღწერა ბანკირების მიერ ფულის პროცენტით გაცემისა. აქედან იღებს სათავეს მეწარმეობა, რომელიც დღეს მრავალფეროვან პროდუქციასა და მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს.

მცირე ბიზნესი გვხვდება თითქმის ყველა უძველეს კულტურაში. ამ საქმეში გამოირჩეოდნენ არაბები, ბაბილონელები, ეგვიპტელები, იუდეველები, ბერძნები, ფინიკიელები და რომაელები. მაშინდელი პროდუქცია და მომსახურება უმეტესად უმრავლეს შემთხვევაში

ხარისხიანი და უზადოდ შესრულებული არ იყო. ამიტომ მომხმარებელი არც თუ იშვიათად მოტყუებული რჩებოდა. Aამას ხელს უწყობდა ისიც, რომ არ არსებობდა კანონები მომხმარებელთა უფლებების დასაცავად. ჩვენამდე მოღწეული მასალებით პირველი კანონების ძეგლები ბაბილონის მეფე ჰამურაბს უკავშირდება. Aმის საფუძველზე ჩამოყალიბდა ერთგვარი უნდობლიბა მცირე მეწარმეობისადმი.

ჩვენს წ.აღ.-მდე 2100 წელს ჰამურაბმა 300 კანონი შეადგინა, რომლებიც მიმართული იყო მეწარმეებისა და მომხმარებელთა დაცვისაკენ, აგრეთვე თაღლითების წინააღმდეგაც. რვა ფუტის (2,43 მ) სიმაღლის მარმარილოს სვეტზე ამოკვეთილი ორიგინალური კოდექსის ტექსტი, (რომლის უმეტესი ნაწილი დროთა განმავლობაში გადაშლილია), ინახება პარიზის ლუვრში.

საინტერესოა ზოგიერთი კანონი დასახელებული ძეგლიდან: ,,თუკი დამნაშავეები ამზადებენ შეთქმულებას ღვინით მოვაჭრის სახლში და ის არ დაიჭერს მათ და არ მოიყვანს სასახლეში, ეს ღვინის გამყიდველი უნდა დაისაჯოს სიკვდილით‘‘.

,,თუკი მშენებელი ააშენებს სახლს ვინმესათვის და არ შეასრულებს ამ სამუშაოს უზადოდ და მის მიერ აშენებული სახლი დაინგრევა და ამას მოჰყვება სახლის მფლობელის ოჯახის წევრების სიკვდილი, ეს მშენებელი უნდა დაისაჯოს სიკვდილით‘‘.

ეს ორი კანონი ხაზს უსვამს გამონათქვამის ჭეშმარიტებას, რომ ,,რაც უფრო მეტად იცვლებიან ნივთები, მით უფრო მეტად უცვლელნი რჩებიან ისინი‘‘. რა თქმა უნდა, დღეს მომხმარებელთა დაცვას ენიჭება მეტი მნიშვნელობა, როგორც ჰამურაბის დროს. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ეს კანონები ასევე ეხება მეწარმეთა სოციალურ პასუხისმგებლობას. სწორედ მცირე ბიზნესის საშუალებით ხდებოდა ცივილიზაციის გავრცელება იმდროინდელ ცნობილ ქვეყნებში. Mმცირე ბიზნესმა ხელი შეუწყო გაეცნო

მთელ მსოფლიოს ბაბილონის ასტრონომია, ბერძნული ფილოსოფია, ებრაული კალენდარი და რომაული სამართალი.

შუა საუკუნეებში რომაულ-კათოლიკური ეკლესია უპატივცემულოდ ეკიდებოდა მეწარმეებს. Eეკლესია იხსენიებდა ვაჭრებს, როგორც ცოდვილებს. რამდენადაც ისინი არაფერს აკეთებდნენ საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მაინც უწევდნენ ფასებს მაღლა, ვიდრე მისი დამამზადებლები. მე-19 საუკუნემდე ეკლესია ხშირად გამოდიოდა სესხიდან პროცენტების ამაღლების წინააღმდეგ.

მართალია, დღეისათვის მცირე ბიზნესის შეფასება საკმაოდ მაღალია, ვიდრე ოდესმე, მას ისევ უსწრებს ისეთი პროფესიები, როგორიცაა: მედიცინა და სამართალი.

ბიზნესის ისტორიის შესახებ თავის კლასიკურ ნაშრომში მირიამ ბიერუ მიგვითითებს: ,,ექიმები ახლა ისეთი დიდებით არიან გარშემორტყმულნი, რომ საზოგადოებას ავიწყდება, რომ ცოტა ხნის წინ ისინი იმყოფებოდნენ დალაქის დონეზე. ადვოკატები, ოჯახის ნდობით აღჭურვილი პირის დონიდან ავიდნენ შთამბეჭდავ სიმაღლეზე... მეწარმეებთან საქმე ასე არ დგას. ისინი, რომელთაც საზოგადოებაში არავითარი დაფასება არ აქვთ საქმის დაწყებისას, აგრძელებენ ბრძოლას. ისინი თვითონ წარმოადგენენ თავიანთ საკუთარ წინამორბედს და ჩვეულებრივად მათ ხსოვნას არ შემორჩენია მოვლენები უკანასკნელი კრიზისიდანაც კი.‘‘ 1980-იანი წლებიდან მცირე ბიზნესის პრესტიჟი თანდათან გაიზარდა. ეს მოხდა მისი უნარის გამო, Dშექმნას ახალი საქონელი და ახალი სამუშაო ადგილები. სწორედ ამის გამოა, რომ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიექცა მის შესაძლებლობებს, პერსპექტივებს და პრობლემებს.

მცირე ბიზნესის სტატუსის ამაღლების ყველაზე საუკეთესო დადასტურება გახდა თეთრი სახლის კონფერენცია მცირე ბიზნესის

საკითხების შესახებ, რომელიც ჩატარდა 1980 წელს. კონფერენცია შეიძლება არასდროს შემდგარიყო, რომ არ მომხდარიყო ამერიკაში ინდივიდუალური მეწარმის სულის ახალი აღმასვლა.‘‘[109.გვ.670].

პრეზიდენტ ჯიმი კარტერის დაჟინებით მოწვეულმა კონფერენციამ 1683 დელეგატი შეკრიბა 50 შტატიდან, რომელთა შორის უმრავლესობა წარმოადგენდა მეწარმეებს მცირე ბიზნესის სფეროში. კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს 60 რეკომენდაცია საგადასახადო, განათლების, ინოვაციურ მოღვაწეობაზე და ფედერალურ გარიგებებში.

კონფერენცია იმდენად შედეგიანი აღმოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა შეიტანა საკანონმდებლო აქტებში 40-დან 60-მდე რეკომენდაცია. ინოვაციების შესახებ კანონმა ხელი შეუწყო მცირე ბიზნესის წილის მკვეთრ ზრდას ფედერალურ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში.

თეთრი სახლის მეორე კონფერენცია მცირე ბიზნესის შესახებ 1986 წელს მეწარმეთა მოთხოვნით ჩატარდა.

მცირე ბიზნესის პრესტიჟის ამაღლების კიდევ ერთ დადასტურებას წარმოადგენს ბოლო დროს მცირე ბიზნესისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების შესამჩნევი ზრდა. 1970 წლების ბოლომდე პუბლიკაციების რაოდენობა მცირე იყო. ისინი არ სარგებლობდნენ პოპულარობით. დღეისათვის ყველაზე ცნობილია ჟურნალი ,,ინკ‘‘, მისმა ტირაჟმა 1989 წელს შეადგინა 639 000 ეგზემპლარი. [109.გვ.672].

მცირე ბიზნესი და წვრილი მეწარმეობა გამოირჩევა მრავალი არსებითი თავისებურებით, რაც უპირატესობას ანიჭებს მას მსხვილ საწარმოებთან შედარებით. ჯერ ერთი, უაღრესად მაღალია მცირე საწარმოს დინამიკურობისა და ელასტიკურობის ხარისხი. მას შესაძლებლობა აქვს სწრაფი რეგირება მოახდინოს ბაზრის კონიუნქტურაზე, შექმნილი ვითარების შესაბამისად უმოკლეს ვადაში გადაიყვანოს წარმოება ახალი

დაკვეთების მიხედვით სხვა პროდუქციის წარმოებაზე ან განსხვავებული სახეობის მომსახურების გაწევაზე.

მეორე, მმართველობის სტრუქტურის სიმარტივე მცირე ბიზნესს ყველა პირობას უქმნის თავისუფალი და ინიციატივიანი მოქმედებისათვის, მოქნილი და ოპერატიული გადაწყვეტილების მისაღწევად.

მესამე, მცირე ბიზნესისა და წვრილი მეწარმეობის უპირატესობა ისიცაა, რომ მას ასევე სწრაფად შეუძლია განაახლოს თავისი ძირითადი კაპიტალი, დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, დააჩქაროს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა.

მეოთხე, სამომხმარებლო ბაზარზე მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში მომხდარ სიახლეებზე სწრაფი რეაგირების უნარი საშუალებას აძლევს მცირე ბიზნესს მყარად დაიკავოს ადგილი ეკონომიკაში. პრაქტიკულად ჩანს, რომ ახალი იდეები, გამოგონებები, ტექნოლოგიური სიახლეები ყველაზე სწრაფად მცირე ბიზნესის სფეროში ისხამს ხორცს და მცირე საწარმოების საშუალებით ინერგება. სწორედ ეს ახლადშექმნილი საწარმოები ცვლიან იმათ, რომლებიც ეკონომიკის სარბიელს ტოვებს, ხშირად ამ მიზნით იძენენ მათ ძველი კომპანიები. [95.გვ.9]

მეხუთე, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ხელმძღვანელობით მომუშავე, ასევე მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტებისაგან შემდგარ მცირერიცხოვან კოლექტივს უფრო მეტად ძალუძს დააჩქაროს ინოვაციური პროცესი, მიაღწიოს სამეცნიერო-კვლევით და საგამომგონებლო სამუშაოთა ვადებისა და მათზე გაწეული ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას.

საგულისხმოა, რომ სპეციალურ გამოკვლევათა თანახმად, მცირე საწარმოების მიერ ინოვაციაზე დანახარჯები ერთ მეცნიერსა და ინჟინერზე გაანგარიშებით, საშუალო სიდიდის კორპორაციის მიერ გაწეულ ანალოგიურ დანახარჯებთან შედარებით 24-ჯერ ნაკლებია. ეს

უპირატესობა არ არის, მაგრამ მცირე ინოვაციურ ფირმებში ახალი ნაკეთობათა ხვედრი წილი პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობაში 1/3-ით მეტია საშუალო და მსხვილი სიდიდის ფირმასთან შედარებით. ასეთ ფირმებში კვლევითი სამსახურის ერთ მომუშავეზე 4-ჯერ მეტი გამოგონება და ინოვაცია მოდის, ვიდრე მსხვილ და საშუალო ფირმებში. [1.გვ.72]

მეექვსე, მცირე საწარმოებს გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვთ იმისათვის, რომ თვისებრივად სრულყონ მოქმედი და შეიმუშაონ საწარმოთა ორგანიზაციისა და გაძღოლის სრულიად ახალი ფორმები და მეთოდები, შექმნან შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შედარებით უკეთესი ტექნიკურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პირობები. [31.გვ.91]

მეშვიდე, ფუნქციონირების ადგილის შერჩევის სიმარტივე, შედარებითი თავისუფლება და წარმოების შედარებით შეზღუდული მასშტაბები, მცირე საწარმოებს უკეთეს პირობებს უქმნის პროდუქციის საწარმოებლად, ამასთანავე ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის დასაკმაყოფილებლად გამოიყენონ, გადამუშავებისა და მზა პროდუქციის მოხმარების ზონიდან დიდი დაშორების გამო, ე.წ. არაეკონომიური ნედლეული. [1.გვ.72]

მერვე, შედარებით ნაკლებია მცირე ბიზნესის გაძღოლაზე ოპერაციული დანახარჯები – ხელფასის ფონდი, საინვესტიციო და სამმართველო ხარჯები, ამასთან დიდია სწრაფი მატერიალური წარმატებების მიღწევის შანსი. [31.გვ.92]

მეცხრე, წარმოების მესაკუთრეობა ხელს უწყობს ნამდვილი შრომითი კოლექტივიზმის გრძნობის განვითარებას, რაც ერთიან ორგანიზმად ჰკრავს კოლექტივის წევრებს და უზრუნველყოფს შრომის უმაღლესი შედეგების მიღწევას. Aამისი მკაფიო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების მცირე საწარმოები, რომელთა თანამესაკუთრენი შრომითი

კოლექტივის წევრები არიან. A ეს საწარმოები შრომითი ნაყოფიერების, პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების ზრდის ტემპებით საგრძნობლად უსწრებენ კერძო საკუთრების პრინციპებზე დაფუძნებულ კერძო კორპორაციებს. A

და ბოლოს, მეათე, მცირე ბიზნესის ერთ-ერთი უპირატესობა ისიცაა, რომ იგი დიდი გამძლეობითა და სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა. წარმატებით უძლებს უმწვავეს კონკურენციას მსხვილი და უმსხვილესი საწარმოების მხრიდან. თუმცა აშშ-ში ყოველწლიურად სხვადასხვა მიზეზების გამო ასეულ-ათასობით მცირე ფირმა წყვეტს არსებობას, მათ ადგილზე ასევე ასეულ-ათასობით ახალი საწარმო იწყებს აღმოცენებას, რომელთა 96% ისეთი საწარმოებია, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 20 კაცზე ნაკლებია. ამის შედეგად საბოლოო ჯამში, ქვეყანაში მცირე ფირმების რიცხვი წლის მანძილზე საშუალოდ 50 ათასი ერთეულით იზრდება. საგულისხმოა, რომ ასეთ ტენდენციას საკმაოდ ხანგრძლივი და სტაბილური ხასიათი აქვს. გამოკვლევებით დასტურდება, რომ ეკონომიკური სიტუაციის ცვლილების მიუხედავად ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკაში უკანასკნელი საუკუნის მანძილზე მცირე ბიზნესის პოზიციები მყარი იყო და ახლაც ასეთივე რჩება, როგორც ქვეყანაში მოქმედი ფირმების რაოდენობისა და კაპიტალური დაბანდებების, ისე მოგების საერთო მოცულობაში მათი ხვედრითი წილის მიხედვით. [95.გვ.9] ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით მკაფიოდ შეინიშნებოდა მცირე ბიზნესის ზრდა 80-იან წლებში. 1983 წელს ასეთი ფირმების შემოსავალი ქვეყანაში 18%-ით გაიზარდა, ამასთან 10%-ით და მეტად შემცირდა ბანკროტობის შემთხვევები. [28.გვ.18].

მცირე ბიზნესის განმსაზღვრელი კრიტერიუმებიდან გამომდინარე, იბადება კითხვა: რა ადგილი უკავიათ ეკონომიკაში მცირე საწარმოებს? რამდენი ადამიანი მუშაობს მცირე საწარმოებში?

როგორც ცხრილი 1.5-დან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების 19 მლნ. საწარმოდან 99%-ზე მეტი მიეკუთვნება მცირეს, ამ საწარმოებში მუშათა რაოდენობა არ აღემატება არა 500, არამედ 100 მუშასაც კი. საწარმოთა საერთო რაოდენობა 19 მლნ.-ში შედის აგრეთვე ფირმები, ფრანჩიზული საწარმოები და სპეციალური (საბუღალტრო, იურიდიული და სხვ.) ფირმები.

ცხრილი 1.5 [109.გვ.672]

მცირე ბიზნესის საწარმოების წილი აშშ-ის საწარმოების საერთო რაოდენობაში.

მუშათა რაოდენობა (კაცი)	საწარმოების წილი (%)
10	88,9
20	91,3
100	99,1
500	99,8



ლობაში)

ნახაზი 1.1 მცირე ბიზნესში მომუშავეთა შემადგენლობა [109.გვ.671]

ნახაზი 1.1-ზე ნაჩვენებია, რომ არსებობს ერთნაირი სიდიდის არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც მუშაობენ მთლიანი და არამთლიანი სამუშაო განაკვეთით.

უეჭველია, რომ მცირე ბიზნესი წარმოადგენს ეკონომიკის სასიცოცხლო ფაქტორს. Aამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მცირე ბიზნესში დაკავებულია ქვეყნის შრომითი რესურსების დაახლოებით ნახევარი.

რაც შეეხება მოგებას, საინტერესოა რამდენად წარმატებით ფუნქციონირებენ მცირე ბიზნესის საწარმოები მოგების მხრივ, ჩამორჩებიან დიდ ბიზნესს, მასთან თანასწორად მიდიან თუ უსწრებენ მას? ფაქტები იმას მოწმობენ, რომ მცირე ბიზნესს უფრო მეტი შემოსავლების მიღება შეუძლია, ვიდრე დიდ ბიზნესს. ამის დამადასტურებლად მოტანილი გვაქვს ცხრ. 1.5, საიდანაც ირკვევა, რომ საშუალოდ, მცირე მეწარმეები უფრო დიდ მოგებას იღებენ საკუთარ კაპიტალზე, ვიდრე მსხვილი მეწარმეები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეულ დაბანდებულ დოლარზე მცირე ბიზნესის ინვესტორები უფრო მეტ შემოსავალს იღებენ, ვიდრე დიდი ბიზნესის ინვესტორები.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არ გვხვდება ზუსტი ახსნა იმისა, თუ რა განაპირობებს მცირე საწარმოთა უპირატესობას მსხვილ საწარმოებთან შედარებით. შესაძლებელია ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა:

1. ბევრ დარგში მცირე საწარმოებს, მსხვილ საწარმოებთან შედარებით, შეუძლიათ სწრაფად და მცირე დანაკარგებით, რეაგირება მოახდინონ საქონლისა და მომსახურების, ტექნოლოგიური პროცესების და ბაზარზე სწრაფად მზარდ ტემპების ცვლილებაზე.

2. მცირე ბიზნესი უფრო მიმზიდველი გახდა ნიჭიერთათვის, ინდივიდუალისტურად განწყობილი ქალებისა და მამაკაცებისათვის.

მეწარმე ყოველთვის ისწრაფვის იყოს ინდივიდუალისტი და ხშირად სწორედ ეს აძლევს საშუალებას მათ ცოდნის საზღვრების გაფართოებისას. მათი იდეები წარმოადგენს ,,სასაქონლო მარაგს''. მართლაც, არაერთგზის გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ გამოგონებათა სიხშირე თითქმის თანაბარია მცირე და მსხვილ საწარმოებში. ეკონომისტ Lლეონარდ ვაისის სიტყვებით ,,საწარმოს ზომები ნაკლებად ახდენს გავლენას გამოკვლევათა ინტენსიურობაზე, მაგრამ შეუძლიათ შემცირდნენ გარკვეულ დარგებში''. მაგალითად, კომპანია "ჯენერალ ელექტრიკ" ელექტრომოწყობილობათა უმსხვილესი მსოფლიო მწარმოებელი, მცირე საწარმოებს უმადლის ბევრ ახალ იდეებს, მათ შორის გამოგონებებს ელექტროტოსტერებისა, სამზარეულო ქურების, მაცივრების, ჭურჭლის სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების და ორმაგი გაყინვის კამერებისა. Mმცირე საწარმოებმა ან ცალკეულმა პირებმა გამოიგონეს პერსონალური კომპიუტერი, ტრანზისტორული მიმღები, ასლების გადამღები მანქანა, რეაქტიული ძრავი და მომენტალური ფოტოგრაფია. მათმა გამოგონებებმა მოგვცეს ჩვენ ვერტალიოტი, ავტომატური გადაცემის კოლოფი, კონდიციონერი, ცელოფანი და იაფი, ბურთულიანი საწერკალამიც კი.

ამერიკელები ცუდად არ ცხოვრობენ ეკონომიკაში მცირე ბიზნესის წილ მილიონების ხარჯზე. მათი გამომგონებლობა ამდიდრებს მთელი საზოგადოების ცხოვრებას. რა თქმა უნდა, მსხვილი ბიზნესიც არის გამდიდრების მნიშვნელოვანი წყარო. ამის დამადასტურებლად საკმარისია კომპანიის ,,დიუპონი''-ს მაგალითი, რომელმაც გამოუშვა უზარმაზარი რაოდენობის ორიგინალური ახალი ნაკეთობა.

მსხვილი საწარმოები იშვიათად მალავენ გამოგონებებსა და სიახლეებს, მაგრამ მათ არ აქვთ საშუალება დანერგონ ყველა ახალი გამოგონება საწარმოში, არა იმიტომ, რომ ის უფრო კარგია არსებულ ნაკეთობაზე. მათ უნდა იცადონ მანამ, სანამ ახალი საშუალებები და ახალი პროდუქცია არ

გახდება ისეთი მაღალი ხარისხის, რომ მათ გამოშვებაზე გადასვლა შესაძლებელი იყოს ფასების მკვეთრი ამაღლების გარეშე. თუ შესაძლებლობა იქნება ყველაფერი ეს ცარიელი ადგილიდან დაიწყოს, უეჭველია, უკეთესი პროდუქციის გაკეთება უმჯობესია, ვიდრე ტრადიციულისა, მაგრამ ყველა ქარხნის რეკონსტრუქცია ან გადაკეთება სრელიად წარმოუდგენელია.

აშშ-ში მცირე ბიზნესის ადმინისტრაციამ დაადგინა, რომ 1980-1986 წლების პერიოდში მცირე საწარმოებმა ყველაზე მეტი ახალი სამუშაო ადგილები შექმნა, რაც ნაჩვენებია ნახაზზე 1.2-ზე. სხვა გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ახალი მაღალტექნოლოგიური საწარმოები უფრო მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან, ვიდრე მსხვილი საწარმოები. მათი უნარი, სწრაფად შექმნან სამუშაო ადგილები, გამოხატულია სქემაზე 1.3.

მცირე ბიზნესის საწარმოების სიცოცხლისუნარიანობის კიდევ ერთი მაჩვენებელია მათი რიცხვის მუდმივი ზრდა 1980 წლიდან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი სააქციო საწარმოების რიცხვმა გადააჭარბა 600 ათასიან ზღვარს. 1983 წელს ეს მაჩვენებელი მიახლოებით 3-ჯერ მეტია, ვიდრე 1960-იანი წლების დასაწყისში. ერთმხრივ ჯამური რიცხვი შეიცავსAაგრეთვე მომწიფებულ საწარმოებს, რომლებიც Dშექმნილია ან როგორც ერთი პირის საწარმო, ან როგორც ამხანაგობები, რომლებიც მოგვიანებით გადაკეთდნენ კორპორაციებად.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის გამოკვლევები ხაზს უსვამს მცირე ბიზნესის შესამჩნევ ზრდას. როგორც ნაჩვენებია სქემა 1.4-ზე. მცირე საწარმოების რაოდენობა 1980 წლიდან 1989 წლამდე 13 მლნ-დან 19-მლნ-მდე გაიზარდა.

ისტორიულად ქალები ბიზნესში მცირე, არაპროპორციულ როლს თამაშობდნენ, მაგრამ უკანასკნელ წლებში მათი პოზიცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფაქტიურად 1980-დან 1985-წლამდე ქალ მეწარმეთა

რაოდენობამ მიაღწია 2.8 მლნ, რაც ამ სფეროს ბიზნესის ყველა მეწარმის 36%-ია, მამაკაც-მეწარმეთა რიცხვი ამ პერიოდისთვის გაიზარდა 13%-ით.

როგორც 1.5 სქემიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებელ მუშაკთა შორის 34% ქალებია. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის მონაცემების თანახმად ქალების გამოჩენა საკუთარ საწარმოთა მფლობელთა შორის გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზით:

,,ქალების დიდი ნაკადი მოვიდა შრომით რესურსებში, რომლებმაც მოგვიანებით შექმნეს თავიანთი საკუთარი საწარმო. მაგალითად 1980-1987 წლებში ქალები შეადგენდნენ ახალ მუშათა მაქსიმალურ ნაწილს. მათ ეკავათ ყველა ახალი სამუშაო ადგილის დაახლოებით 2/3 ნაწილი.

მართალია, ქალებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს თავიანთი საკუთრების წილი მცირე ბიზნესში, მათი საწარმოები ჩვეულებრივ ისწრაფვიან იმოღვაწეონ მომსახურების სფეროში. ერთმხრივ არსებობს ნიშნები, რომ ისინი უფრო და უფრო იჭრებიან მამაკაცთა მიერ ,,დაპყრობილ" საცალო ვაჭრობის მფლობელობაში, აგრეთვე მრეწველობაში. მაგალითად, 1980 წლიდან 1985 წლამდე პერიოდში ქალების მფლობელობაში მყოფი სამრეწველო საწარმოების რიცხვი გაიზარდა 1.6-%-ით.

ამერიკული ეკონომიკა დამოკიდებულია მცირე ბიზნესზე გაცილებით მეტად, ვიდრე გამოგონებებზე და ახალ წესებზე. მცირე საწარმოები ქირაობენ მილიონობით მუშახელს, დიდი რაოდენობით ყიდიან მომხმარებელზე იმ პროდუქციას, რომელიც დიდი ბიზნესის საწარმოების მიერაა გამოშვებული. გარდა ამისა ისინი უზრუნველყოფენ დიდ საწარმოებს მათთვის საჭირო უამრავი მომსახურებით, საქონლით და ნედლეულით. მაგალითად, ,,ჯენერალ მოტორსის" შესყიდვები 30 ათასზე მეტ მიმწოდებელზე ვრცელდება, რომელთაგან უმეტესობა მიეკუთვნება მცირე ბიზნესს, რატომ? იმიტომ, რომ დიდი საწარმოები ვერ

განახორციელებენ მიწოდებას ისე იაფად, როგორც მცირე საწარმოები. Mმცირე საწარმოების მიერ დაბალ ფასებში მიწოდებულ მომსახურებასა და საქონელს შორის არის მცირე სავაჭრო მოცულობის პარტიებიც, რაც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს ყველა კლიენტის უნიკალური მოთხოვნები.

ფინანსური წარმატებები, ახალი წესების ფორმირება, სწრაფი რეაგირება, სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა მრავალი ზემოთჩამოთვლილი წარმოადგენს მცირე ბიზნესის ძლიერ მხარეებს. მაგრამ ამავე დროს მას აქვს სუსტი მხარეებიც.

წვრილი მეწარმეობის სფეროში საქმიანობა დიდ რისკთან, გარკვეულ სირთულესა და წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მცირე ბიზნესის საწარმოები მსხვილ საწარმოებთან შედარებით ნაკლები სტაბილურობით გამოირჩებიან. ისინი მეტად სუსტ თავდაცვით უნარს ავლენენ საკონკურენციო ბრძოლაში. დიდია პროდუქციის წარმოებაზე, ბაზრის შესწავლაზე, რეკლამასა და სხვა საწარმოო საქმიანობაზე მათ მიერ გაწეული დანახარჯები. ამასთან, რაც უფრო მცირეა კომპანია, მით უფრო საგრძნობია სააქციო კაპიტალთან პროცენტულ ფარდობაში მის მიერ გაღებული დანაკარგები. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ საწარმოთა დიდი ნაწილი კრახით ამთავრებს თავის საქმიანობას. ბევრი მცირე საწარმო ქრება თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე. კერძოდ, იაპონიაში პირველი 5 წლის მანძილზე 10 მცირე საწარმოდან 6-7 საწარმო წყვეტს არსებობას, დიდ ბრიტანეთში კი ყოველი მეხუთე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად წარმოქმნილი 600 ათასი საწარმოდან მხოლოდ ნახევარი აღწევს 18 თვემდე და მხოლოდ ხუთიდან ერთი 10 წლამდე. აქ მცირე საწარმოებზე მოდის ბანკროტთა 85%.

რატომაა ასეთი დაბალი საწარმოთა სიცოცხლის ,,ხანგრძლივობის“ მაჩვენებელი? შეიძლება მთავარი მიზეზი იყოს საწარმოს შექმნის იოლი ხელმისაწვდომობა. ფაქტიურად უფრო ადვილია საქმის დამოუკიდებლად დაწყება, ვიდრე სამუშაოს მომწოდებლის შოვნა. არც ერთი კანონი არ უკრძალავს ადამიანს ჰქონდეს საკუთარი საქმე, ყველას შეუძლია ამოირჩიოს მეწარმეობის ნებისმიერი მიმართულება, რომელიც მას მოსწონს. მიუხედავად ამისა აქვს ამ დარგში მუშაობის სტაჟი, არის მილიონერი თუ ღარიბი. კვალიფიკაციის მიუხედავად არჩევანის თავისუფლება აძლევს მას საწარმოს შექმნის უფლების გარანტიას.

როგორც ხშირად აღნიშნავენ ეკონომისტები, არჩევის თავისუფლება ნიშნავს არა მარტო წარმატების თავისუფლებას, არამედ წარუმატებლობის თავისუფლებასაც. ამ რეალობის დანახვის უუნარობას ხშირად შეუძლია ადამიანთა სტრესამდე, ტრაგედიამდე და დრამატულობამდე მიყვანა.

ყველგან მიღებული წარუმატებლობის სტატისტიკა შეიძლება ღია იყოს განხილვისათვის. ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის პროფესორი ალბერტ შაპირო წერს: ,,არავინ იცის წარმოქმნილი საწარმოების რიცხვი ან წარუმატებლობის რიცხვი. ფაქტიურად ჩვენ არ ვიცით,



ნახაზი 1.2 დამოუკიდებლად დასაქმებულ მუშათა შემადგენლობა აშშ- ში.

რას აღნიშნავს წარუმატებლობა. გვაქვს კი ჩვენ მხედველობაში გაკოტრება? მაგრამ ბევრი ადამიანი გამოდის საქმიდან გაკოტრებამდე ისე, რომ მუშაობენ დაუზოგავად, რათა დაფარონ ნებისმიერი დავალიანება‘‘.

სხვა საწარმოები კი იხურება იმიტომ, რომ მათი მფლობელები საპენსიო ასაკის არიან და არ ყავთ ვინმე, ვისაც გადასცემდნენ თავიანთ კომპანიას. ზოგიერთი წყვეტს თავის მოღვაწეობას იმიტომ, რომ მათ ეს მოსწყინდათ. განიცადეს ამ საწარმოებმა წარუმატებლობა?

წარმოადგენს კი ნამდვილად წარუმატებლობა მარცხს? ბიზნესის მრავალი გმირი ერთხელ მაინც გამხდარა წარუმატებლობის მსახვერპლი. ჰენრი ფორდმა ორჯერ განიცადა მარცხი თავის საქმეში: რამდენჯერმე საქმის მოსინჯვამ და დამარცხების მოთმინებით გადატანამ შეიძლება საუკეთესო სამეწარმეო განათლება შესძინოს მეწარმეს, ვიდრე ბიზნესის სკოლაში სწავლამ, სადაც თითქმის არაფერს ამბობენ მცირე ბიზნესზე და მეწარმეობაზე.” [109.გვ.24.]

შეიძლება თუ არა მეწარმეების ტესტირება, ვიდრე ბაზარი განახორციელებდეს თავის არჩევანს? არა. არჩევანის უფლება დევს ამერიკის ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტში. ამ უფლების გარეშე ინიციატივა და გამომაფხიზლებელი მიზეზები მალე გამოილეოდა და ამერიკული თავისუფალი მეწარმეობის სისტემა დაკარგავდა თავისუფლებას.

რაში მდგომარეობს მრავალი ახლად შექმნილი საწარმოს ,,სიკვდილის‘‘ საიდუმლო?

მსხვილი ექსპერტები, როგორიცაა ,,დან ენდ ბრედსტრიტი‘‘ საწარ-მოთა წარუმატებლობის მიზეზად ასახელებს ცუდ მმართველობას. ფირმა ,,დან ენდ ბრედსტრიტი‘‘ ფლობს საწარმოთა ფინანსურ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის მიწოდების საუკუნეზე მეტი ხნის გამოცდილებას. ამ ფირმამ

Dშეადგინა მონაცემების კარტოთეკა ამერიკის შეერთებული შტატების 9 მლნ. საწარმოზე, წარუმატებლობისა და ახალ საწარმოთა შექმნის ტენდენციების უზრუნველყოფის მიზნით. ფირმამ გამოავლინა, რომ საწარმოები განიცდიან მარცხს წლიდან წლამდე ერთი და იგივე მიზეზების გამო.



ნახაზი 1.3 საქმიანი მარცხის მიზეზები [109.გვ.672.24]

პირველი ჯგუფის 4 მიზეზს მივყავართ ცუდ მმართველობამდე – ზუსტად მასზეა დამოკიდებული მარცხის 92% საქმიანობაში. ფირმა ,,დან ენდ ბრედსტრიტის‘‘ მონაცემებით, ცუდი მმართველობა ხშირად გამოვლინდება ისეთ პრობლემებში, როგორიცაა: დიდი საექსპლუატაციო ხარჯები და კლიენტების მიერ გადასახადის დაკავება, არახელსაყრელი ადგილმდებარეობა ან დაბალი კონკურენტუნარიანობა, სასაქონლო მატერიალური მარაგის გამო სიძნელეები ან ზედმეტი მუდმივი აქტივები.

ხშირად მცირე საწარმოები განიცდიან მარცხს იმიტომ, რომ არ შეუძლიათ გაუმკლავდნენ გაზრდილ მმართველობით მოთხოვნებს. ერთი საქმეა 10

კაციანი მაღაზიის მართვა და სრულიად სხვა- მართო მაღაზია ასობით მუშით. 10 კაციანი მაღაზიის შემთხვევაში მეწარმე ახერხებს ვიზუალურ კონტროლს ყველაზე, მაგრამ როგორც კი მათი წარმოება 100 დასაქმებულს გადააჭარბებს, მეწარმე უნდა გადავიდეს თავისი საქმის დაგეგმვისა და კონტროლის უფრო რთულ საშუალებებზე.

მსხვილი კორპორაციების პრეზიდენტები პროფესიონალი ხელმძღვა-ნელები არიან. ფლობენ რა ოსტატურად საუკეთესო და ყველაზე თანამედროვე მმართველობით საშუალებებს, დირიჟორობენ ათობით თანამშრომელთა ნიჭს კომპანიის შესაძლებლობის რეალიზაციისა და პრობლემების გადაწყვეტისათვის.

მცირე ბიზნესის კიდევ ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს ნაციონალური უმცირესობის არასაკმარისი წარმომადგენლობა. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის მიერ 1988 წელს ჩატარებული გამოკვლევების, საიმედო მონაცემები, გვიჩვენებს არც თუ მაღალ ალბათობას იმისა, რომ ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენლები გახდებიან საწარმოების მფლობელები. როგორც ნახაზი 1.4-დან ჩანს, აზიური წარმოშობის ამერიკელები ხშირად ხდებიან საკუთარი საწარმოს მფლობელები, ვიდრე სხვა ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენლები, განსაკუთრებით აფრო ამერიკელები (მონაცემები ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების შესახებ არ არის).

ნახაზი 1.4 გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენლის მფლობელობაში მყოფი ერთ საწარმოზე გაანგარიშებული გაყიდვის მოცულობა შედარებით დაბალია, ვიდრე სხვა საწარმოების შემთხვევაში. გაყიდვიდან მოგება, ერთ საწარმოზე გაანგარიშებით, უფრო დაბალი აქვთ შავკანიან მფლობელებს, ვიდრე ლათინოამერიკული ან აზიური წარმოშობის ამერიკელებს. მიზეზები,

რომლის გამოც აფროამერიკელები და ლათინოამერიკელები გაურბიან საწარმოთა მფლობელის მდგომარეობას, საკმაოდ რთულია.

ახლადწარმოქმნილ საწარმოთა ,,დაღუპვის'' ზემოთჩამოთვლილ მიზეზებს გარდა, არსებობს კიდევ მრავალი მიზეზი, რომლებიც გარკვეულწილად მოქმედებენ საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობაზე. მაგალითად, შეიძლება დასახელებული იქნას: გასაყიდი საქონლის მცირე მოცულობა, მუშახელის მოზიდვის პრობლემა მუშაობის სტაჟის განუსაზღვრელობის გამო, სოციალური უზრუნველყოფის მცირე გარანტია, ფინანსური სიძნელეები, დაბალი მგრძნობიარობა ეკონომიკური ცვლილებებისადმი, პერსონალური პასუხისმგებლობა, აუცილებელი მუდმივი კონტროლი ვალდებულებების შესრულებაზე, ექსპერტული პოტენციალის დაბალი დონე, ნაკლები ოპერატიული უნარიანობა და ა.შ.



ნახაზი 1.4 ნაციონალურ უმცირესობის წარმომადგენელთა მფლობელობაში მყოფი საწარმოთა რიცხვის შემადგენლობა მათ საერთო რიცხვიდან [109.გვ.672.24].

ერთი შეხედვით ასეთ სტატისტიკას ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია, სინამდვილეში კი არ ჩანს რეალური მიზეზი იმისა,





ნახაზი 1.5 საწარმოთა კუთვნილება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის [109.გვ.24]

რატომ იღუპება ასე დიდი რაოდენობის ახლადწარმოქმნილი საწარმოები?

ცხრილი 1.7

ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენელთა კუთვნილ საწარმოთა რიცხვის შემადგენლობა მათ საერთო რიცხვიდან[109.გვ.29]

	საკუთრების წილი საერთო რიცხვიდან (%ში)	გამომუშავება გაყიდვიდან საწარმოზე (დოლარში)	მუშათა საშუალო რიცხვი ერთ საწარმოზე (კაცი)	
ყველა საწარმო	6.4	473500	მონაცემები არ არის	
საწარმოები, რომ ლებიც ეკუთვნის აზიური წარმოშ ობის ამერიკელებს	5.5	70100	4.7	
ლათინოამერიკული წარმოშობის ამერიკელებს	1.7	60400	4.8	
შავკანიან ამერიკელებს	1.3	36700	4.3	

საწარმოთა შექმნის იოლობა – აი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საწარმოს გაკოტრებისა, ცუდი მართვა კი წარმოადგენს უბრალოდ შედეგს.

მცირე საწარმოთა ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის აუცილებელია სახელმწიფოს თანადგომა.

≠1.3 Mმცირე ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცირე და საშუალო საწარმოთა სუბსიდიებზე სახელმწიფო ხარჯები დაახლოებით 4 მლრდ. დოლარს შეადგენს წელიწადში. მცირე ბიზნესის პრობლემებზე იქ დაკავებულია ორი ფედერალური კომიტეტი, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, მასში მონაწილეობს 4.5 ათასი ადამიანი.

სტრუქტურის სათავეში დგას მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, რომლის აპარატშიც 1100 თანამშრომელია. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის მთავარი ფუნქციაა – მცირე ბიზნესისადმი თანადგომა, რომელიც განსაკუთრებით მგრძნობიარეა საბაზრო ცვლილებების მიმართ. ყველა შტატში არსებობს ადგილობრივი განყოფილება (30-40 ადამიანით). არც ფედერალური და არც მუნიციპალური ჩინოვნიკები არ მბრძანებლობენ მცირე ბიზნესზე, მხოლოდ წარმოადგენენ ინფორმაციას ბაზრის მდგომარეობის შესახებ და საექსპერტო დასკვნებს მათთვის, რომლებიც საქმის დაწყებას აპირებენ.

70-იანი წლების ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ინიციატივით შემუშავებული იქნა კვლევითი პროგრამა მცირე ბიზნესში ინოვაციის შესახებ. პროგრამის აქტიური განხორციელება დაიწყო 1983 წელს, როცა ასიგნირებული იყო 45 სახელმწიფო უწყება, პროგრამის თანახმად იმ უწყებას, რომლის სამეცნიერო-კვლევითი ბიუჯეტი 100 მლნ. დოლარზე მეტი იყო. პროგრამისათვის უნდა გამოყოფილიყო საკუთრივ

მცირე ბიზნესის ინოვაციაზე ასიგნებათა 1.25%. ამჟამად ასეთი პროგრამები აქვთ 11 სახელმწიფო უწყებას, მათ შორისაა ნაციონალური კვლევითი ფონდი, ენერგეტიკის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება, თავდაცვა. კვლევითი პროგრამა მცირე ბიზნესის ინოვაციის შესახებ უზრუნველყოფს ინდივიდუალურ გამომგონებლებს სარისკო კაპიტალით და მცირე ფორმებს (500 კაცამდე). მათ აძლევენ კრედიტებს კვლევითი პროექტებისათვის, რომლებიც პასუხობენ ფედერალური მთავრობის მოთხოვნებს და აქვთ კომერციული პოტენციალი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი საგადასახადო წესები ქმნიან ხელსაყრელ გარემოს სამეცნიერო-კვლევითი პარტნიორობის წარმოქმნისა და ფუნქციონირებისათვის. სახსრების თითქმის ნახევარი (45%-მდე), რომლებიც ჩადებულია სამეცნიერო-კვლევითი პარტნიორობის ტიპის ინვესტორების მიერ, აღმოჩნდა გადასახადებზე ეკონომია – ისინი აკლდება საგადასახადო შემოსავალს და პირველ რიგში შეიძლება კლასიფიცირებული იქნას როგორც საგადასახადო კრედიტი. პარტნიორობის წევრები უფლებამოსილი არიან გამოიყენონ ყველა შეღავათი სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო აღჭურვილობის დაჩქარებული ამორტიზაციისათვის, აგრეთვე შესაბამისი საგადასახადო ფასდაკლება. დაბოლოს, თუკი სამეცნიერო-კვლევითი პარტნიორობის საქმიანობა წარმატებული აღმოჩნდება და მისი ცალკეული წევრები მოგებას ჯილდოების სახით მიიღებენ (ჰონორარი) ან მოგებას რეალიზებული ახალი პროდუქციისაგან, მაშინ ეს შემოსავალი დაიბეგრება გადასახადით შეღავათიანი განაკვეთის მიხედვით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული საგადასახადო სტიმულები მცირე საწარმოებისათვის საკმაოდ არსებითია. შემოსავლები 16 ათას დოლარამდე იბეგრება - მინიმალური 10%-იანი გადასახადით. 16-დან 50

ათას დოლარამდე 15%, 51-დან 75 ათას დოლარამდე 25%-ით, ხოლო მასზე მეტ თანხაზე დგება მაქსიმალური 34%. [106.გვ.32]. სპეციალური დოტაციებით მიმზიდველი ხდება მცირე საინოვაციო ფირმების ხელსაყრელი თანამშრომლობა დიდი ბიზნესისათვის.

ასეთი მხარდაჭერის შედეგად მცირე ბიზნესი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში მცირე წილის მიუხედავად (6% აშშ-ში) ბევრი საჭირო ინოვაციის შემმუშავებელი ხდება. მაგალითად, 70-იან წლებში მცირე ფირმებზე მოდიოდა ყველა გამოგონების 43%. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში დაბანდებულ ერთ დოლარზე ამერიკის მცირე ფირმების 2,5-ჯერ მეტი გამოგონება მოდიოდა მსხვილ კორპორაციებთან შედარებით. ამას გარდა, უფრო სწრაფია გამოგონების დანერგვა მცირე ბიზნესში და თვით დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯები.

ბანკების მცირე საწარმოების დაკრედიტებაში დაინტერესების მიზნით გარანტის როლში სახელმწიფო გამოდის. ამერიკის შეერტებული შტატების მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი სესხების 90%-იან გარანტიას იძლევა.

სოციალური საბაზრო მეურნეობის ძირითად ელემენტებს გერმანიაში წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებსაც მოპოვებული აქვთ საერთო სახელი „საშუალო დონის ეკონომიკა‘‘. მრეწველობის სფეროში ასეთი საწარმოები არსებობენ მანქანათმშენებლობაში, ლითონდამმუშავებელ, აგრეთვე კვების, მსუბუქი მრეწველობისა და პოლიგრაფიის დარგებში. ხელოსნური სავაჭრო და მომსახურების სფეროს მცირე და საშუალო ბიზნესის შემადგენელ ნაწილს შეადგენენ თავისუფალი პროფესიის პირები –ექიმები, აფთიაქარები, ადვოკატები, არქიტექტორები.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეკონომიკის სამინისტროს კლასიფიკაციის მიხედვით მცირე ფირმად ითვლება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 49 კაცს, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვა – 1 მლნ. მარკას. საშუალო სიდიდის საწარმო აერთიანებს 50-დან 499 კაცს, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვა იცვლება 1 მლნ.-დან -100 მლნ.მარკამდე. ფედერალური სტატისტიკური უწყების მონაცემებით, 1990 წლის ბოლოს გერმანიაში აღირიცხებოდა 2.1 მლნ. მცირე და საშუალო საწარმო, რაც ქვეყნის საწარმოთა საერთო რიცხვის 99%-ს შეადგენდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 2/3 და საწარმოო სწავლების მოსწავლეთა 4/5. მცირე და საშუალო ფირმები ქმნიან ქვეყანაში წარმოებული მთლიანი ეროვნული პროდუქტის ნახევარს, მათ წილად მოდის კაპიტალდაბანდებათა 40%.

გერმანიაში 100 კაცამდე დასაქმებულ სამრეწველო საწარმოთა რიცხვი მთელი მათი რაოდენობის 72%-ს აღწევს, ხოლო 500 კაცამდე დასაქმებულთა საწარმოთა ჯგუფის წილად მოდის საერთო დასაქმების 87%.

ახალი მცირე და საშუალო საწარმოების წარმოქმნა და დახურვა თითქმის პარალელურად ხდება. თუ 60-70-იან წლებში შეინიშნებოდა უკუ ტენდენცია, მცირე და საშუალო საწარმოების უმნიშვნელო მატება, რაც მომდევნო წლებში ძირფესვიანად შეიცვალა. მაგალითად, 1989 წელს თავიანთი არსებობა შეწყვიტა 268000-მა ფირმამ, ხოლო მათ ნაცვლად შეიქმნა 337000. ეს იმასაც მოწმობს, რომ გაიზარდა დამფუძნებელთა რისკი და გამძლეობა, გამბედაობა. ამას გაკოტრების შედარებით დაბალი რისკი განაპირობებს.

საშუალო და მცირე საწარმოები (ფირმები) გერმანიაში მნიშვნელობან როლს ასრულებენ შრომის ბაზარზე.

იმ დროს, როცა მცხვილი საწარმოები იძულებული ხდებიან გაატარონ რაციონალიზაცია, ხოლო ზოგიერთ დარგში, მაგალითად, ქვანახშირისა და ფოლადსასხმელ დარგებში შეამცირონ წარმოება, კრიზისულ წლებში ათავისუფლებდნენ ათასობით მუშას და მოსამსახურეს. მცირე და საშუალო საწარმოები აკავებდნენ განთავისუფლებული მუშათა ძალების მნიშვნელოვან ნაწილს. თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე ათასობით გადმოსახლებულებს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, მაშინ მცირე და საშუალო ფირმების მონაწილეობის გარეშე, პრობლემები ბაზარზე, სადაც ამჟამად ირიცხება დაახლოებით 1.8 მლნ უმუშევარი, საკმაოდ რთულად გადასაჭრელი იქნებოდა.

კრიზისულ პერიოდებშიც კი, 70-80-იან წლებში, მცირე და საშუალო ფირმები ქმნიდნენ ახალ სამუშაო ადგილებს. მაგალითად, 1977 წ. მსხვილმა საწარმოებმა გამოათავისუფლა 312 ათასი მუშაკი მაშინ, როცა 19-კაცამდე დასაქმებულთა მცირე ფირმებმა შექმნეს დამატებით 723 ათასი სამუშაო ადგილი. საერთოდ მცირე და საშუალო ფირმები გამოდიოდნენ მსხვილი საწარმოდან გამოთავისუფლებული მუშაკების დასაქმებით, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის ინიციატორებად. 1979 წლიდან 1988 წლამდე პერიოდში წარმოებაში მთელი რიგი ახალი სამუშაო ადგილების 80% მოდიოდა იმ საწარმოების წილად, რომლებშიც დასაქმებულთა რიცხვი 20-მდე კაცს შეადგენდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მცირე და საშუალო ფირმები წარმოადგენენ მაღალკვალიფიცირებული კადრების შესანიშნავ სკოლებს. გერმანიის ეკონომიკის სამეწარმეო სტრუქტურისათვის დამახასიათებელია ხელოსნების ძლიერი ფენა – მაღალკვალი-ფიცირებული მუშები და მცირე სახელოსნოების მესაკუთრეები. ,,ხელოსნურ'' კატეგორიას სტატისტიკა აკუთვნებს საწარმოს, რომელშიც დასაქმებულია 10-მდე კაცი. 1992 წლის დასაწყისისათვის გერმანიის

დასავლეთ ნაწილში და აღმოსავლეთის მიწებზე 725 ათასი სახელოსნო საწარმო ითვლებოდა 4.6 მლნ. დასაქმებულთა რიცხვით. ისინი აწარმოებდნენ 570 მლრდ. მარკის პროდუქციას. გერმანიაში მომქმედი (ეგრეთწოდებული ორმაგი) მუშათა პროფესიონალური მომზადების ეფექტური სისტემა, განსაკუთრებით ტექნიკური პროფილისა, ეკონომიკური ზრდის საფუძვლად ითვლება.

მცირე და საშუალო ფირმებზე მოდის ღია ინოვაციების მნიშვნელოვანი წილი, რომლებიც უზრუნველყოფენ გერმანული საქონლის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.

ასეთი ფირმების უპირატესობას დიდ კონცერნებთან შედარებით ბევრი გერმანელი ეკონომისტი იმაში ხედავს, რომ ისინი, როგორც წესი, უფრო გაბედულად მიდიან სხვადასხვა სიახლეებზე, ოპერატიულად უკეთებენ რეალიზაციას ინოვაციებს, მათ შორის ტექნოლოგიურს, რომლითაც ხელს უწყობენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

გამოკვლევებისა და ტექნოლოგიების სამინისტროს მონაცემებით [106.გვ.41] ხარჯები სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებაზე 1987 წლის ბრუნვაში შეადგენდა: 100 კაცამდე დასაქმებულთა საწარმოებზე - 6.1%, 100-დან 500-მდე - 3.2%, 500-დან 1000-მდე - 2.4%, 1000-დან 10000-მდე - 2.6% და 10000-ზე მეტი - 4.8%. როგორც ჩანს, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებაზე უფრო მაღალი ხარჯები მცირე საწარმოებს აქვთ, საშუალო საწარმოები შესამჩნევად ჩამორჩებიან მცირე საწარმოებს.

1987 წლის მონაცემებით, 500 კაცამდე დასაქმებულთა საწარმოებზე სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე მთელი ფედერაციული გერმანიის ხარჯების 13.8% მოდიოდა.

ანალოგიურ სურათს იძლევა საშუალოდ ერთ დასაქმებულზე სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების

ჩატარებაზე ასიგნებათა განაწილება. 100 კაცამდე დასაქმებულთა საწარმოში ისინი აჭარბებენ 10 ათას მარკას, ხოლო 500-დან 1000-მდე საწარმოებში - 2-ჯერ ნაკლებს.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესებში მცირე და საშუალო ფირმები, ხშირ შემთხვევებში ურთიერთთანამშრომლობდნენ დიდ ფირმებთან და დიდ ყურადღებას უთმობენ ტექნიკურ სამუშაოებს. მაგალითად, კონცერნ ,,სიმენს აგ''-ის 50 ათასი სამამულო მომწოდებლებიდან 2/3 მცირე და საშუალო ფირმებია, რომლებთანაც ცონცერნს აქვს მჭიდრო და გრძელვადიანი კავშირები.

გერმანელ ხელოსანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარის, კიუბლერის სიტყვებით ,,გერმანული ხელოსნობის ხარისხის მაღალი სტსნდარტის გარეშე გერმანია ვერ შეძლებდა დაეკავებინა მყარი პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში''.

ხელოსნური საწარმოების როლზე ცალკეული რეგიონების ეკონომიკაში მეტყველებს. მაგალითად, ჩრდილო რეინ-ვესტფალიის მიწების მაჩვენებელი, სადაც 120 ათას ხელოსნურ საწარმოში მუშაობს 900 ათას კაცზე მეტი, უფრო მეტი, ვიდრე ერთად აღებული სამთომომპოვებელ, მატალურგიულ, ქიმიურ და კვების მრეწველობაში.

ცხრილი 1.8

სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებაზე გაწეული ხარჯები მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებზე ფრგ-ში 1987 წელს. [106.გვ.43-45]

საწარმოთა ჯგუფი დასაქ-მებულთა რიცხვის მიხედვით	სამეცნიერო- კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ხარჯების წილი საწარმო ბრუნვაში (%)	საერთო ხარჯები (მლრდ. Mმარკა)	ხარჯები ერთ დასაქმებულზე (ათ. Mმარკა)
100-მდე	6.1	2.5	10.1
100 - 499	3.2	3.6	5.6
500 – 999	2.4	1.8	5.5
1000 – 9999	2.6	10.6	7.0
10000-ზე მეტი	4.8	25.7	8.9

მცირე ფირმების ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ახლო დგანან ბოლო მომხმარებელთან, ახასიათებთ მაღალი ელასტიურობა და ბაზრის მოთხოვნაზე მობილურობა. სწრაფად ახდენენ საწარმო პროგრამის შეცვლას სპეციალიზებულ და ინდივიდუალურ მომსახურებაში მზარდი მოთხობნების მაქსიმალურად გათვალისწინებით.

მცირე და საშუალო საწარმოები აქტიურად მონაწილეობენ შიდა ეკონომიკურ კავშირებში. გერმანიასა და რუსეთს შორის ეკონომიკური გაცვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ზუსტად ამ ფირმებზე მოდის.

ამჟამად მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ განსაკუთრებული ყურადღების ობიექტებს მთავრობის და საქმიანი წრეებისათვის. ეს დამოკიდებულია უპირველესად ორი გერმანიის გაერთიანებასთან, ყოფილ გდრ-ის სოციალურ - ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაციასთან, აგრეთვე საერთო ბაზრის შექმნასთან.

1990 წლიდან 1993 წლამდე პერიოდში ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა პროგრამა, რომლის ამოცანას შეადგენდა დახმარებოდა მცირე

და საშუალო ბიზნესის მეწარმეს მომზადებულიყო ერთიანი შიდა ბაზრის პირობებში ფუნქციონირებისათვის.

სახელმწიფო ასიგნება ამ პროგრამაზე 25-27 მლნ. მარკას შეადგენდა წელიწადში.

ცხრილი 1.9.

[106.გვ.45] სახელმწიფო ხარჯები მცირე და საშუალო მაწარმეობის მხარდაჭერისათვის (ფედერალური ბიუჯეტის ფინანსური გეგმით 1991-1995 წლებში)(ფულის ერთეული - მარკა)

1991წ	1992წ	1993წ	1994წ	1995წ
1289.9	1772.1	2054.9	2004.7	1919.8

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სახსრების ასიგნება დარგობრივ და სტრუქტურული გამოკვლევების ჩატარებაზე, საშუალო მეწარმეობის საკონსულტაციო და საინფორმაციო დახმარების გაფართოებაზე, მცირე კომპანიების გამოფენებზე და ბაზრობებზე მონაწილეობის გამრავალფეროვნებისათვის და სხვ. კერძოდ, 12 მილიონი მარკა ნავარაუდევი იყო გამოეყენებინა ერთიანი ბაზრის შექმნასთან დაკავშირებით სამეწარმეო მოღვაწეობის პირობების შეცვლაზე კონსულტაციებისათვის.

შემდეგი 4 მილიონი მარკა გათვალისწინებული იყო მცირე და საშუალო კომპანიების სხვადასხვა ევროპულ გამოფენებსა და ბაზრობებზე მონაწილეობის გააქტიურებისათვის. შიდა სავაჭრო პალატის ექსპერტები კონსულტაციებს უწევენ მცირე და საშუალო საწარმოების ხელმძღვანელებს სხვა დასავლეთევროპის ფირმებთან თანამშრომლობის დაწყებისას.

გერმანიის ეკონომიკის სამინისტრო ვარაუდობს ჩაატაროს სპეციალური სასწავლო სემინარი მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის,

დაეხმაროს მათ რიგი პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა: ხარისხის ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულების, ტრანსპორტის და საწარმოების მოცდენის შემცირება, ნაციონალურ და საზღვარგარეთის ფირმებთან კოოპერაციული კავშირების დამყარება და ა.შ.

გათვალისწინებულია აგრეთვე 4 მილიონი მარკის გამოყოფა დარგობრივი გამოკვლევების ჩატარებისათვის, სასაქონლო ბაზრის მიმოხილვის შედგენისათვის, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნების მომხმარებელთა მოთხოვნის თავისებურებების ანალიზისათვის, რაც უნდა დაეხმაროს მცირე და საშუალო მეწარმეებს ამ ქვეყნების ბაზარზე მოღვაწეობაში, შეიმუშაონ პერსპექტიული საწარმოო და საყოფაცხოვრებო პოლიტიკა.

ასეთი გამოკვლევების ინიციატორად შეიძლება გამოვიდნენ გაერთიანებები და კავშირები კომპანიებისა, ხოლო მათი შედეგები ხელმისაწვდომი გახდება ყველასათვის. გამოკვლევების ჩატარებისას, რომლის ღირებულება შეადგენს 80000 მარკას, ეკონომიკის სამინისტრო აფინანსებს გამართლებული ხარჯების 65% , ხოლო 80 000 მარკაზე მეტი ხარჯებისას – 50%.-ს. დოტაციების მაქსიმალური ზომა არის 100 000 მარკა. [106.გვ.46]

შიდა ეკონომიკური ინფორმაციის ფედერალური ბიურო თავის ტრადიციულ პუბლიკაციებზე აპირებს დამატებით მოამზადოს უახლოეს 3 წელიწადში სასაქონლო ბაზრობების მიმოხილვის 30 სერია შესახებ, სადაც მცირე და საშუალო კომპანიებს შეეძლებათ იმედი იქონიონ თავიანთი საწარმოების პროდუქციას ფასი დაუკლონ.

აღნიშნული პროგრამა განხორციელდება გერმანიის ახალ მიწაზე (ყოფილ გდრ-ში). ამ მიზნისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ ასიგნებული იყო 22 მლნ. მარკა.

იაპონიის მსხვილი, მსოფლიოში ცნობილი კონცერნები წარმოადგენენ ეკონომიკური აისბერგის მხოლოდ მწვერვალს. მისი წყალქვეშა ნაწილი – მცირე და საშუალო საწარმოებია, [106] რომელთა წილად მოდის რეალიზებული პროდუქციის 58% და წარმოებაში დაკავებულ საერთო პერსონალის 80%.

მცირე საწარმოთა შორის კონკურენცია საკმაოდ მკაცრ ხასიათს ატარებს, რაც იწვევს ბევრი მათგანის ,,სასიცოცხლო ციკლის'' შემცირებას. მაგალითად, ყოველი 10 საწარმოდან არსებობას პირველი 5 წლის განმავლობაში წყვეტს 7 საწარმო, მაგრამ ყოველთვის როდი ქრებიან ისინი უკვალოდ – ხშირად კაპიტალი გადაიტანება როგორც წესი, სხვა, ახალი სახეობის საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე. ხდება ბაზრის უწყვეტი გაფართოება, იცვლება გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტრუქტურა. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მთელი ეკონომიკის დინამიზმს.

მცირე საწარმო, რომელმაც აღმოაჩინა ახალი სახის საქონელი ან მომსახურება, იწყებს გაჩენილი ,,სამომხმარებლო სიღატაკის'' შევსებას, და აფართოებს თავის წარმოებას. დროთა განმავლობში ის შეიძლება გახდეს საშუალო, ხოლო ხელსაყრელ პირობებში კი მსხვილი საწარმო. თანამედროვე იაპონიის ინდუსტრიის გიგანტები მცირე საწარმოებიდან გაიზარდნენ.

მცირე საწარმოთა უფლებრივი მდგომარეობა რეგულირდება მისი სტატუსისა და შეღავათების შესახებ სპეციალური კანონის საშუალებით. ეს სპეციალური კანონი, რომელიც შედის ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაში ასევე მოცემული ფირმების უფლებები რეგულირდება კომერციული კოდექსით (კანონი საწარმოების შესახებ).

სამთავრობო აპარატში მცირე ბიზნესის საქმეებით დაკავებულია მცირე საწარმოთა სამმართველო, რომელიც შედის საშინაო ვაჭრობისა და

მრეწველობის სამინისტროში, აგრეთვე კომისია სამართლიანი გარიგებების შესახებ –ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც აკონტროლებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვას. მცირე ბიზნესის სექტორის სახელმწიფო მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის საქმეებში ხშირად აისახება იაპონიის ნაციონალურ-ისტორიული და კულტურული თავისებურებები. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მცირე საწარმო ფორმალურად კარგავს დამოუკიდებლობას, გადაიქცევა ფართო ფილიალად, ანტიმონოპოლური კანონი იცავს ფილიალების უფლებას ჰქონდეთ საფინანსების შიდა და წარმოების პროგრამის ფორმირების წყაროები. მთავარ კომპანიას არ შეუძლია დააძალოს ფილიალს საქმე ჰქონდეს მხოლოდ მასთან ან გააკეთოს ისეთი საქმე, რომელიც არ არის ფილიალის წესდებით გათვალისწინებული. მთავარ კომპანიას, თუ ის არ არის აქციების 100%-იანი მფლობელი, და ფილიალის თანამფლობელია, შეუძლია მოითხოვოს რევიზია ფილიალის მოღვაწეობის შესახებ მხოლოდ სასამართლოს საშუალებით.

იაპონიის კანონმდებლობა არა მარტო ზღუდავს დიდი საწარმოების უფლებამოსილებას მცირე საწარმოებისადმი, არამედ ამკვიდრებს მკაცრ პასუხისმგებლობას სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. ანგარიშსწორება მათ შორის ხდება მხოლოდ საბაზრო ფასებით. დამკვეთის მიერ ზეწოლა შემსრულებელზე (მოთხოვნა არასაფუძვლიანი ფასდაკლებისა სახელშეკრულებო ფასზე, შემხვედრი პირობების თავზე მოხვევა და ა.შ) დაცულია სახელმწიფოს მიერ და სამართლიანი ხელშეკრულებათა დაცვის კომისიის მიერ. ეს ორგანოები უფლებამოსილია ჩაატარონ გამოკვლევები და აღძრან საქმე სასამართლოში.

მცირე და საშუალო საწარმოების სტიმულირება ხდება მათი განვითარების ყველა ეტაპზე (რეგისტრაცია, დადგენა, ზრდა). ამისათვის გამოიყენება ეკონომიკური ბერკეტების სხვადასხვა სისტემა, შეღავათიანი

სესხები და კრედიტები, სხვადასხვა საგადასახადო შეღავათები, ტექნიკური და კონსულტაციური დახმარება, საინფორმაციო-კომპიუტერული მომსახურება, კადრების მომზადება და სხვ. ყველა ეს დახმარება ეყრდნობა საერთო ნაციონალურ კანონმდებლობას და რეალიზდება სახელმწიფოს მეშვეობით, შერეული და კერძო კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებით, მათ შორის მცირე ბიზნესის ახალი კომპანიების ,,გამომყვანი'' სპეციალური ცენტრით.

ბოლო ორი ათეული წლის ეკონომიკურმა კრიზისმა, კერძოდ, 70-80-იანი წლების ნავთობის კრიზისმა გამოიწვია არაერთი იაპონური საწარმოს გადაკეთება. აი, ტიპიური მაგალითი. მას შემდეგ, რაც მცირე კერამიკულმა საწარმოებმა საგას რაიონში, ტაილანდისა და სამხრეთკორეული მიმწოდებლების შემოტევის გამო დაკარგა კონკურენტუნარიანობა სუფრის ჭურჭლის დამზადებაში, ისინი გადავიდნენ ახალი კერამიკის დამზადებაზე მიკროტექნიკისათვის, მიკროელექტრონიკისათვის.

როგორც უკვე ვთქვით, ადგილობრივი და ცენტრალური სამთავ-რობო ორგანოები მცირე ბიზნესის კომპანიების განვითარებას სტიმულს აძლევენ სუბსიდიებით, სესხებით, საგადასახადო შეღვათების საკრედიტო გარანტიებით, კადრების მომზადებაში დახმარებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობით.

დაუბრუნებელი საფინანსო დახმარება გაიცემა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით პროგრამებზე.

საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ჩარჩოებში მცირე საწარმოების ფინანსური დახმარებით დაკავებულია სამი სპეციალური დაწესებულება: მცირე ბიზნესის საფინანსო კორპორაცია, ნაციონალური საფინანსო კორპორაცია, ნაციონალური ბანკი და ბანკი ,,სოკო-ჩუკინი''.

მცირე ბიზნესის საფინანსო კორპორაცია შეღავათიან პირობებში აძლევს გრძელვადიან სესხს (1 წელზე მეტი ვადით) ძირითადი და

საბრუნავი კაპიტალის გაფართოებისთვის. ნაციონალური საფინანსო კორპორაცია სპეციალიზდება მოკლევადიანი კრედიტების გაცემაზე (სავაჭრო-სამრეწველო პალატის ქსელით ის 500 მლრდ. იენს იძლევა წელიწადში). ბოლოს ბანკი ,,სოკო-ჩუკინი'' აფინანსებს კოოპერატივების მოღვაწეობას, აგრეთვე ამ კოოპერატივების მიერ შექმნილ ორგანიზაციებს. სპეციალური პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსებისთვის სტრუქტურული ,,პერესტროიკის'' სფეროში გარემოს დაცვის, ენერგოდამზოგი წარმოების განვითარებისათვის მცირე ბიზნესის საფინანსო კორპორაცია და ნაციონალური საფინანსო კორპორაცია იძლევა სესხებს განსაკუთრებით შეღავათიან პირობებში.

საკრედიტო გარანტიები ეძლევათ მცირე კომპანიებს, რომლებიც სიძნელეებს განიცდიან კომერციული კერძო ბანკიდან კრედიტების მიღებაში. სახელმწიფო გარანტიას აძლევს კერძო ბანკებს თავის დროზე კრედიტების დაფარვაზე და მათზე პროცენტების გადახდაზე. ასეთი გარანტიები ეძლევათ ორგანიზაციებს წარმოების განვითარებისათვის, რომელიც დაფუძნებულია ახალ ტექნოლოგიაზე ან უკვე ათვისებულ ტექნოლოგიათა ახალი კომბინაციებისათვის.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც აჩვენეს მსოფლიოს ,,ეკონომიკური საოცრებები'' დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ ყველაფერი დამოკიდებულია სახელმწიფო ხელმძღვანელობის ეფექტიანობაზე. ამისი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია სამხრეთ კორეის გამოცდილება. მისი ეკონომიკის აღმავლობის ტემპები გადაუჭარბებლად შეიძლება მივაკუთვნოთ ფენომენალურს. 1950-1990 წწ. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 120-ჯერ და მეტად გაიზარდა. ამასთან ლაპარაკია არა განსაკუთრებულად მდიდარი ბუნებრივი რესურსების რომელიმე ეკონომიკურ მიმართულების აღმავლობაზე, არამედ ფართო

დივერსიფიცირებული სახალხო მეურნეობის კომპლექსის შექმნის გზებზე, რასაც 50 მილიონიანი ქვეყანა ახორციელებს.

ქვეყანამ პირველხარისხოვანი ყურადღება მიაქცია საფინანსო-ფულადი წონასწორობის შექმნას. ამიტომ, განსაკუთრებით მძიმე წლებშიც კი, არც ფულადი მიმოქცევა, არც ინფლაცია, არც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ გამოსულა კონტროლიდან და ამით აიცილეს ეკონომიკური კრიზისის მასშტაბები.

ცენტრალური როლი შეასრულა სახელმწიფო მონოპოლიამ საკრედიტო-საფინანსო სფეროში. კერძო საბანკო-საკრედიტო ინსტიტუტები ქვეყანაში 20-იანი წლების დასაწყისში გაჩნდნენ და დღესაც საწყის სტადიაში არიან.

მეორე მიმართულება სავალუტო სფეროს შეეხო. სახელმწიფო რეგულირების ღია ტიპის ეკონომიკაში შეგნებულად არჩეული სტრატეგიის პირობებში მსოფლიო მეწარმეობაში მაქსიმალური ინტეგრაციისას ნაციონალური ეკონომიკა განსაკუთრებით საიმედო დაცვას საჭიროებდა უცხო ვალუტის შემოტევისაგან და ერთდროულად – მსოფლიო ბაზარზე გარღვევის ადგილზე სავალუტო რესურსების დაგროვებისაგან.

ფინანსური რესურსების სახელმწიფოს ხელში კონცენტრაცია გახდა ეფექტური ბერკეტი, რამაც ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივი შეგნების ფორმირებაზე. ამასთან ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ექსპორტის საერთაშორისო გაფართოებაზე და ნაციონალური ექსპორტირების სუბსიდირებაზე. სუბსიდირებული საექსპორტო დარგების წარმოების ციკლი ორიენტირებული იყო საერთაშორისო კონკურენტუნარიან ბაზარზე.

სახელმწიფო რეგულირების მაღალი აქტიურობა აღინიშნებოდა დარგობრივი პროპორციების ფორმირებისას სამხრეთ კორეის სახალხო მეურნეობაში. ეს მაშინ, როცა ლაპარაკია ისეთ მსხვილ დარგზე,

როგორიცაა სოფლის მეურნეობა. აგრესიული რეფორმის გატარებისას მისი შემადგენელი ნაწილი გახდა მსხვილი სასოფლო, სამეურნეო ერთეულების წვრილ ნაწილებად დაყოფა. ყველაფერი ხდებოდა არა სტიქიური ბაზრის ძალების კარნახით. გადამწყვეტი როლი ითამაშა სახელმწიფო რეგულირებამ. 70-წლიდან საწყებული 80-იანი წლების შუახანებამდე სპეციალური კანონით გამოიყო შვიდი – პირველ რიგში ყურადსაღები დარგი – მანქანათმშენებლობა, ელექტრონოკა, საფეიქრო წარმოება, შავი მეტალურგია, ფერადი მეტალურგია, ნავთობქიმია და გემთმშენებლობა. ამ დარგებს და მათ მომარაგებას რესურსებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ისინი სარგებლობდნენ ყოველგვარი საგადასახადო და სხვა შეღავათებით. ამასთან ერთად, სახეკმწიფო ძალიან მკვეთრად არეგულირებდა პრიორიტეტულ დარგებში კონკურენციას.

შემდეგი საფეხური მეურნეობის რეგულირებისა გახდა ფირმა. საკტედიტო ბიუჯეტების საშუალებით მთავრობა აქტიურ გავლენას ახდენდა კერძო ფირმების სამეურნეო სტრატეგიაზე. მთავრობა აკონტროლებდა აგრეთვე ისეთი საქონლის ფასებს, რომელთა იმპორტი აკრძალული ან ძალზე შეზღუდული იყო. მათი ფასი არ უნდა ყოფილიყო საშუალო საერთაშორისო ფასებზე მაღალი. თუ კი ფირმა არ შეასრულებდასახელმწიფოს მოთხოვნებს, მას უფლება არ ჰქონდა ესარგებლა კრედიტებით, მით უფრო შეღავათიანი კრედიტებით და სახელმწიფო ადვილად პოულობდა უფრო დამყოლ პარტნიორს კერძო სექტორში.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე ის როლი, რომელიც შეასრულა პრეზიდენტის მეთაურობით ყოველთვიურმა თათბირებმა ექსპორტის პრობლემებზე. საქმე იმაშია, რომ ცალკეულ დარგებსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქონელს, ფირმებს დაუდგინეს ორიენტირებული საექსპორტო დავალებები. თათბირზე კი, რომელსაც აუცილებლად

ესწრებოდნენ მსხვილი პარტნიორები, მთავრობის წარმომადგენლები, საექსპორტო ასოციაციები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, მიმდინარეობდა დადგენილი დავალებების შესრულების განხილვა.

გარდა ამისა მთავრობამ, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა მუშათა მოძრაობას, ფაქტიურად გამოათავისუფლა მეწარმეები იმ სერიოზული პრობლემებისაგან, რომელსაც ქვია „კაპიტალი-შრომა‘‘. არანაკლებ აკონტროლებს სამხრეთ კორეის მთავრობა საბაზრო ურთიერთობის მეორე აგენტს – უცხოურ ვალუტას.

სამხრეთ კორეას სურს მიიზიდოს არა ყველა საზღვარგარეთული ინვესტიცია, არამედ მხოლოდ ისეთები, რომლებიც მისი განვითარების საერთო სტრატეგიას შეესაბამება. ამიტომ უცხოეთის კაპიტალდაბანდების თითქმის 2/3 კონცენტრირებულია ისეთ დარგებში, როგორიცაა: ქიმია, მანქანათმშენებლობა და ელექტრონიკა.

ყველა ზემოთხსენებული საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ არ ღირს თანამედროვე ეკონომიკაში შემოვფარგლოთ ბაზრის საზღვრები, ვინაიდან აღარ რჩება წარმატების შანსი. უეჭველია, რომ სამხრეთ კორეის ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზრის საფუძველს წარმოადგენს არა შიდა ბაზარი, არამედ საერთაშორისო ბაზარი. შემთხვევითი არ იყო, რომ სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის მიზანი გახდა არაპროპორციული ფასების მიახლოება საშუალო საერთაშორისო ფასებთან. ამ მიზანს კი ქვეყანამ მიაღწია, არა საბაზრო ძალების სტიქიური თამაშით, არამედ აქტიური სახელმწიფო ინვესტიციებით. სწორედ ამით მოახერხა სამხრეთ კორეამ დროის მცირე მონაკვეთში გადაელახა სუსტადგანვითარებადი ქვეყნის ბარიერი და მსოფლიო ეკონომიკაში დაეკავებინა ღირსეული ადგილი.

სამხრეთ კორეის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია იყო იმ იდეებისა და რეკომენდაციების ერთობლივი შედეგი, რომლებიც

ჩამოყალიბებული იყო გასული საუკუნის შუა ხანებში, გერმანელი ეკონომისტის ფ. ლისტის მიერ, ხოლო ჩვენი საუკუნის დასაწყისში ისტორიის დარგში ცნობილი სპეციალისტის ა. გერშენკრონის მიერ. სამხრეთ კორეამ მოახერხა გამოეყნებინა განვითარების უდიდესი პოტენციალი, რასაც მსოფლიო ბაზარი ფლობს.

სამხრეთ კორეა მიზნად ისახავს აიყვანოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 2020 წლისათვის ისეთ დონეზე, რომელიც საშუალებას მისცემს გადაიქცეს მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ ლიდერად. [105.გვ.15]

დიდ ბრიტანეთში მცირე ბიზნესისადმი ინტერესი გაძლიერდა 70-იანი წლების დასაწყისში, როცა ე. ხიტოს კონსერვატორულმა მთავრობამ ჩამოაყალიბა ბოლტონის კომისია (1971 წ) მცირე მეწარმეობის სექტორში სიტუაციის გამოსაკვლევად და შესაბამისი რეკომენდაციების გამოსამუშავებლად. კონსარვატორების ბოლო მმართველობის პერიოდში შექმნილი იქნა მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები კერძო მეწარმეობის გამოცოცხლებისათვის. მცირე და საშუალო საწარმოების სექტორი (რომლის 96% შეადგენს ფირმები 20 კაცზე ნაკლები დასაქმებულთა რიცხვით). (.გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს ფირმები უფრო ეფექტიანები არიან. Aახლად შექმნილი საწარმოები ასეთი დასაქმებულთა რიცხვით უზრუნველყოფს ყოველწლიურად ახალი სამუშაო ადგილების 57%-ს) ორგანულად შეერწყა საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურებს, გახდა რა აუცილებელი მისი არსებობის პირობა. მცირე ბიზნესის განვითარებაში უკანასკნელი როლი არ ეკუთვნის კონსერვატორების მისწრაფებას წარმოედგინათ დიდი ბრიტანეთი მესაკუთრეთა ნაციად. ამით უზრუნველყვეს ამომრჩევლების მასიური თანადგომა.

ლეიბორისტულმა მთავრობამ, რომელმაც შეცვალა კონსერვატორები 1997 წ. მაისში, გააგრძელა ადრე მიღებული კანონებისა და პროგრამების მხარდაჭერა მცირე ბიზნესის შექმნისა და შენარჩუნებისათვის. [110.გვ.26]

დღეს მცირე ბიზნესის წილად მოდის შიდა საქონელბრუნვის 21%, მასში კონცენტრირებულია ქვეყნის მუშა ძალის 36%. Yყოველი მერვე მოზრდილი ადამიანი დასაქმებულია ინდივიდუალური ბიზნესით.

მცირე ბიზნესის სტიმულირებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საბიუჯეტო (საგადასახადო და კრედიტულ) პოლიტიკას. საერთო ხასიათის ზომებს მიეკუთვნება მცირე ფირმებისთვის შემცირებული საგადასახადო თანხა კორპორაციებიდან, ანგარიშების გადავადებული გადახადა, ბალანსის შედგენა, დამატებითი ღირებულების გადასახადის გაანგარიშებისათვის მხოლოდ ანგარიშების გადახდის შემდეგ, შეღვათების ეფექტიანი სისტემა გადახდისას.

საბიუჯეტო ზომების გარდა, მცირე ფირმებს ეძლევათ შეღავათები ქონებაზე ადგილობრივი გადასახადის ამოღებისას, რაც ეხმარება ნაწილობრივ გადაწყვიტოს ლიკვიდურობის პრობლემა. ცალკეულმა სამინისტროებმა (სავაჭრო და მრეწველობის, დასაქმების, ეკოლოგიის, ენერგეტიკის) შეიმუშავეს მცირე ბიზნესის დახმარების პროგრამები.

1) ახალი და მოქმედი ფირმების კონსულტაციის მიზნით პროგრამების შესადგენად შექმნილია ისეთი სპეციალური ორგანიზაციები, როგორიცაა: მცირე ფირმების სამსახური, დასაქმების განვითარების რეგიონალური პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის (მაგალითად, პროგრამა ,,აღმოსავლეთ დევონშირული მცირე მრეწველობა‘‘), აგრეთვე უელსის განვითარების სააგენტო.

ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციასთან ერთად მათ წარმოადგინეს სამეფო დახმარების პროგრამა მცირე ფირმებზე კონსულტაციების სახით მარკეტინგის ფინანსირების მართვის

საკითხებზე. ყველა ამ პროგრამის მოწონების შემდეგ მათ რეალიზაციას შეუდგა მცირე ფირმების სამსახური.

2) ფინანსური დახმარების აღმოჩენის პროგრამები. მათ რიცხვს მიეკუთვნება ,,გრანტების სქემა'' ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოების დახმარების სააგენტო, დაახლოებით 200 დამოუკიდებელი ბიურო, ასოციაცია. Eეს ბიუროები ახდენენ უმუშევრების ფინანსურ დახმარებას, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ დაიწყონ თავიანთი საქმე. პროგრამა ,,კრედიტების გარანტირება'' გათვლილია 3 წელზე და ითვალისწინებს სადაზღვევო პრემიების გადახდას მოწინავე ბიზნესმენების სახელით. სპეციალური პროგრამები უზრუნველყოფს ახალგაზრდების ფინანსურ დახმარებას მათი ბიზნესის შექმნის ან გაფართოებისათვის, მეწარმეების მომზადებას მცირე ბიზნესის სფეროში, მუნიციპალური მთავრობისადმი დახმარებას, ქალაქებში მცირე მეწარმეობის შექმნისა და განვითარების საქმეში.

3) შოტლანდიაში, უელსში, ჩრდ. ირლანდიაში შექმნილია მცირე ფირმების დახმარების რეგიონალური პროგრამები. ,,ბიზნესის სრულყოფის'' სამსახურის პროგრამით (40 მლნ. გირვანქა სტერლინგი ღირებულებისა) ამ რეგიონებში გამომუშავდება საბაზრო სტრატეგია ასეთი ფირმებისათვის (ასიგნების 50%-ზე მეტი მოდის მარკეტინგულ კვლევაზე, დანარჩენი – პროფესიონალურ მომზადებაზე მცირე ბიზნესში დასაქმებულთათვის). რეგიონალურ პროგრამებში მონაწილეობას ღებულობს განვითარებული ევროპული რეგიონალური ფონდი, რომელიც დახმარებას უწევს მცირე ბიზნესს დანარჩენ დარგებში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისათვის.

4) მცირე ფირმების საექსპორტო მოღვაწეობის გამაფართოებელი პროგრამები. ისინი ხორციელდება ძირითადად სპეციალური ორგანოს – ბრიტანეთის საზღვაო-სავაჭრო ბიუროს მიერ.

მთავრობამ, თავის მხრივ, შეიმუშავა რიგი პროგრამებისა საერთო სახელწოდებით ,,სამეწარმეო ინიციატივა'' მცირე ბიზნესის მოღვაწეობისათვის და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. ერთ-ერთი პროგრამა ითვალისწინებს ყოველწლიური კონკურსის ჩატარებას მცირე ფირმებს შორის (50-მდე დასაქმებულთა რიცხვით) უკეთესი მაღალტექნოლოგიური პროდუქციის სფეროში კომერციული სტრატეგიის შესამუშავებლად. ამ პროგრამის რეალიზაციისათვის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ გამოყო 70 მლნ. გირვანქა სტერლინგი ასიგნება. კონკურსანტებს ეძლევათ სუბსიდიები მათი დანახარჯების75%-ის ფარგლებში (უკანასკნელმა არ უნდა გადააჭარბოს 50 ათას გირვანქა სტერლინგს). სხვა პროგრამით, საშუალო ფირმებს 500კაცამდე დასაქმებულთა რიცხვით, ეძლევათ პრემია ახალი პროდუქციის შექმნისათვის ან განვითარებისათვის, რომელსაც ჭირდება ტექნოლოგიური სიახლეების შემოღება.

მცირე ბიზნესის კადრების პროფესიულ მომზადებას ახორციელებს მომზადების სპეციალური საბჭოები.

მთავრობა ითვალისწინებს მათ შექმნას ქვეყნის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით ინგლისში და უელსში. გარდა ამისა შემუშავებულია ,,სამეწარმეო ინიციატივის მქონე თანამშრომლობის სქემები''. ამ მიზნით შექმნილია სპეციალური ორგანოები საბაჟო კომიტეტში, საგადასახადო უწყებებში, სააქციზო სამმართველობაში, ფინანსთა სამინისტროში.

მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებზე მუშაობს დეპარტამენტი მინისტრის რანგის ჩინოვნიკის ხელმძღვანელობით. მას ეხმარება ვაჭრობისა და მრეწველობის, ეკოლოგიის, ჯანდაცვის, დასაქმების, სოციალური დაცვის სამინისტროები. ისინი იკვლევენ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკას, მოსახლეობის შემოსავლებს და გასავლებს, საერთო ეკონომიკურ სიტუაციებს ქვეყანაში და მიღებული

მონაცემების საფუძველზე იღებენ კანონებს მცირე და საშუალო მეწარმეობის საკითხებზე.

მთავრობა ხელს უწყობს აგრეთვე ახალი კანონების მიღებას, რომლებიც დამატებით უფლებებს ანიჭებს ადგილობრივ თვითმმართველობას მცირე ფირმებთან დამოკიდებულებაში.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელსაც ყოველთვის აწყდებიან მცირე ფირმები, არის გადაუხდელობა. ფირმათშორისი ანგარიშები დიდ ბრიტანეთში – Yყველაზე არასრულფასოვანია დასავლეთ ევროპაში. ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციის მონაცემებით, ყოველი მეხუთე ფირმა წყვეტს არსებობას თავისი საქონლისა და მომსახურების გადახდაში შეფერხების გამო. 1992 წ მცირე საწარმოების გადაუხდელობის წინააღმდეგ შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც საკანონმდებლო წესრიგით იღებს პროცენტებს ფირმებიდან, რომლებმაც დროზე ვერ დაფარეს თავიანთი ვალები.

შეღავათიანი გადასახადების და კრედიტების დახმარებით მთავრობამ შესძლო ბიზნესის ზრდის და შემცირების ტენდენციებში გარდატეხა შეეტანა.

,,სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების დაფინანსების'' კორპორაციამ, რომელსაც აკონტროლებს ინგლისის ბანკი და კლირინგული ბანკები, 90-იან წლებში წარმოადგინა კრედიტი მცირე კომპანიების 20%-სათვის (500 მლნ.გირვანქა.სტერლინგზე მეტი ინვესტირება 3900 ფირმაში).

ყოველ ბანკს აქვს საკუთარი დაკრედიტების სისტემა. მაგ. ერთ-ერთმა ბანკმა შეიმუშავა ორი პროგრამა ბიზნესის დაწყებისა და გაფართოებისათვის. პირველი პროგრამის თანახმად კრედიტი შეადგენს 5-დან 100 ათ. გ.სტ. და ეძლევათ 5 წლის ვადით. პროცენტი (15-17%) ამოიღება ფირმის წლიური ბრუნვიდან და არა კრედიტის თანხიდან.

მეორე პროგრამით კრედიტის სიდიდე შეადგენს 5-დან 500 ათას გ. სტ. მისი გაცემა ხდება 2-დან 20წლამდე ვადით ქარხნის ან მოწყობილობების შესყიდვაზე და ა.შ. ასეთ კრედიტზე პროცენტი განისაზღვრება ინგლისის ბანკში მოქმედი განაკვეთის შესაბამისად ანდა თვითონ ბანკის მიერ.

კრედიტების გარანტირების სახელმწიფო პროგრამა ვრცელდება კრედიტების დიდ ნაწილზე (70-80%), რომლებიც მიეცემა მცირე ბიზნესს ბანკებისაგან. ყოველწლიურად ბიუჯეტში გამოიყოფა დაახლოებით 50 მლნ. გირვანქა სტერლინგი ბანკების გარანტიების დასფარავად. მიუხედავად ბანკებისადმი მთავრობის მხრიდან ასეთი ძლიერი დახმარებისა, მცირე ფირმები ხშირად კოტრდებიან.

მცირე ბიზნესის ფედერაციული მმართველობა და ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაცია თვლიან, რომ ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებები. 80-იანი წლების ბოლოს მცირე მეწარმეობის პოზიციების გამყარებისათვის მიღებული იქნა რიგი ღონისძიებებისა: მცირე ფირმების გათავისუფლება გადასახადისაგან პირველი 50 ათასი გირვანქა სტერლინგის ინვესტიციისას შენობაში და მოწყობილობებში. მათი შემოსავლების ნორმატივების გაზრდა, რომლებიც იბეგრება კორპორაციული გადასახადით (მისი განაკვეთია 35%), 200-დან 250 ათას გირვანქა სტერლინგამდე, ხოლო დანარჩენი ფირმები 1-დან 15 მლნ. Gირვანქა სტერლინგამდე. მცირე ფირმების საქმიანი საკუთრების მემკვიდრეობაზე გადასახადების მოხსნა. გარდა ამისა 90-იანი წლების დასაწყისში ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციამ ,,ბიზნესის გაფართოების პროგრამაში‘‘ გაითვალისწინა მცირე მეწარმეობის დამატებითი დაფინანსების წყარო იურიდიული და ფიზიკური პირებიდან სპეციალური საწევროს ამოღების გზით, რომლებიც დაკავშირებულნი

არიან მოცემულ ბიზნესთან და დაინტერესებულნი არიან მისი განვითარებით.

მცირე ფირმების შექმნაში აქტიურად მონაწილეობენ მსხვილი კომპანიები. მაგალითად, Royal Datch shell, ICI, Control Data გადიან პრაქტიკას, კვალიფიციური მმართველობის მივლინებით თავიანთი საწარმოდან მცირე ფირმებში ორ წლამდე ვადით. Kკომპანია British Gas-ის ინვესტიციებმა მცირე ბიზნესის განვითარებაში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასთან, შეადგინა 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ნავთობის მრეწველობისათვის ახალი ტექნოლოგიების შექმნით ან საქონლისა და მომსახურების წარმოებით დაკავებული ფირმების მოძებნისა და შერჩევისათვის შექმნილია სპეციალიზირებული შვილობილი საწარმო British Gas Ventures.

განსაკუთრებით შესამჩნევია დიდი ბიზნესის დახმარება მცირე საწარმოებისადმი მათი ჩასახვის პერიოდში. ისეთმა გიგანტებმა, როგორიცაა: Royal Bank of Scotland, Bank Xerox, British Telecom, შეიმუშავეს პროგრამების სერია, რომლებიც ითვალისწინებენ მცირე საწარმოს ხარჯების (ტრანსპორტისა და სასტუმროსათვის) ანაზღაურებას, კომპიუტერებით, ასლების გადამღები და სატელეკომუნიკაციო დანადგარებით უზრუნველყოფას. ყველა ეს დახმარება არსებითად უმსუბუქებს მოღვაწეობას დამწყებ მეწარმეს.

რასაკვირველია, მსხვილი კომპანიების დახმარება მცირე მეწარმეების მიმართ უანგარო არ არის. თანამშრომლობის სანაცვლოდ შოტლანდიაში ბანკმა Bank of Scotland დაიკავა მცირე ბიზნესის ბაზრის 45%, ხოლო კომპანიამ British Gas უზრუნველყო ახალი ტექნოლოგიების განვითარება თავისი წარმოებისათვის მცირე ფირმების დახმარებით. კონსერვატორულმა მთავრობამ საფუძველი ჩაუყარა ახალ

დამოკიდებულებას მსხვილ და მცირე ბიზნესს შორის, კერძოდ, განვითარდა მცირე საწარმოთა ინტეგრაცია მსხვილი კომპანიების სტრუქტურაში. ასეთ შემთხვევებში მსხვილი ბიზნესი თავის დანაყოფებზე დაყრდნობით ორგანიზაციას უკეთებს მცირე და უმცირესი ავტონომიური სამეურნეო ერთეულების ქსელს, რომელთაც ხელმძღვანელობენ არენდატორები ან მფლობელები. უფრო და უფრო დიდი როლი ენიჭება სხვადასხვა მსხვილ და მცირე ბიზნესს შორის სახის კონტაქტურ შეთანხმებებს. მაგალითისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ ფრანჩაიზინგის ბუმი. ასეთი კონტრაქტის თნახმად მსხვილი კომპანია საშუალებას აძლევს მცირე მეწარმეს ისარგებლოს მისი სახელით და სავაჭრო ნიშნით, ამარაგებს საჭირო მოწყობილობებით, სატრანსპორტო საშუალებებით. ფრანჩაიზინგის პრინციპით მოქმედებისას და გამომუშავების ნაწილის ანაზღაურებით, რომელიც ჩვეულებრივ შეადგენს ბრუნვის 2-10%-ს, მცირე მეწარმე იღებს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას მსხვილი კომპანიიდან.

ასეთი კავშირების განვითარებას ხელს უწყობს წამყვანი ინგლისური ბანკები Barklays Bank და National Westminster, რომლებმაც შექმნეს სპეციალური ფრანჩაიზინგული შეთანხმების ტიპის განყოფილებები მცირე მეწარმეთა ფინანსური დახმარებისათვის.

საავტომობილო, ელექტროტექნიკური, კვების და საფეიქრო მრეწველობაში ჩატარებული გამოკვლევები მოწმობენ, რომ მცირე და მსხვილ ფირმებს შორის ურთიერთდამოკიდებულებამ განიცადა ცვლილება. 80-იანი წლების დასაწყისში მსხვილი კომპანიები გარშემო იკრებდნენ მცირე პარტნიორებს, რომლებიც საქონელს აწოდებდნენ ყველაზე დაბალ ფასებში. ათეული წლის გასვლის შემდეგ კი მათ შეიცვალეს მიდგომა მომწოდებლების ამორჩევის მიმართ. პირველ პლანზე წამოწიეს ხარისხზე მოთხოვნა და მომსახურების დონე. საქონელი უნდა აწარმოონ შესაბამისი სპეციფიკაციების და სტანდარტების თანახმად.

მინიმუმამდე უნდა შემცირდეს წუნდებული საქონელი და უნდა ქონდეთ ხარისხობრივი მაჩვენებლების სრული აღწერა. საჭიროების შემთხვევაში მომწოდებელმა ადგილზე უნდა გადაწყვიტოს ნებისმიერი პრობლემა, აგრეთვე საჭიროა შემუშავებული იქნას პროგრამები ჭარბ საქონელზე კონკრეტული გრაფიკებით და მიწოდების მისამართებით.

მცირე ფორმები, რომლებიც იღებენ პარტნიორის სტატუსს, როგორც წესი, მსხვილ საწარმოებთან ერთად შეიმუშავებენ დიზაინს და ახალ ტექნოლოგიებს, აკონტროლებენ პროდუქციის ხარისხს. ამგვარად, მსხვილი და მცირე ბიზნესის თანაარსებობა იღებს რაციონალურ ფორმას, რომელსაც ერწყმის მცირე საწარმოების დაინტერესება დიდი კორპორაციების სასარგებლოდ.

სახელმწიფო ხელს უწყობს მცირე და მსხვილი სამეურნეო ერთეულების თანამშრომლობას. ეკონომიკური განვითარების ნაციონალურმა საბჭომ მოამზადა მცირე ფირმების სპეციალიზირებული კატალოგი, რომლის დახმარებით მსხვილი კომპანიები შეძლებენ პოტენციური პარტნიორების ამორჩევას. გარდა ამისა, შექმნილია სპეციალური ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს მცირე და მსხვილ ფირმებს შორის კონტაქტს. მცირე ბიზნესს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ინფორმაციული ცენტრები, ფირმა GGeneral Electric, National Computer. აგრეთვე ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო.

სეროიზული ყურადღება ექცევა მცირე და მსხვილი ბიზნესის სპეციალისტების მომზადებას. სწავლების საერთო პროგრამა მოიცავს რამდენიმე სახის სკოლებს. სწავლების ყველაზე პრესტიჟული კურსი არსებობს უნივერსიტეტის ბიზნესის 5 სკოლაში – ქალაქებში: დუ ამეში, გლაზგოში, ლონდონში, მანჩესტერში, ვორვიკში. სწავლების ხანგრძლივობა 16 კვირაა, რომელთაგან 4-6 კვირა ეძღვნება ბიზნესის ეკონომიკის საერთო პრობლემების ინტენსიურ შესწავლას. 10-12 საკუთარი

საქმის შექმნას. სწავლის კურსი, რომელიც შეადგენს 4 ათას გირვანქა სტერლინგს, ვერ ფარავს ყველა დანახარჯს, მაგრამ დანარჩენ თანხას აფინანსებენ სპონსორები. ასეთ სკოლებს ყოველწლიურად ამთავრებს 200 ადამიანი.[110.გვ.29]

უნივერსიტეტებში, ტექნიკურ ინსტიტუტებში, კოლეჯებში, მმართველობის რეგიონალურ ცენტრებში და კერძო საკონსულტაციო ფირმებში მოქმედებს მცირე ბიზნესის კურსები, სადაც სწავლების ხანგრძლივობა 6-10 კვირაა. კურსები არსებობენ მცირე მეწარმეობისათვის სპეციალისტების მომზადების სახელმწიფო სააგენტოს ხარჯებით.

1992 წ. დაიწყო მუშაობა ე.წ. ღია საუნივერსიტეტო ბიზნესის სკოლამ. ეს საღამოს კურსებია, რომლებზეც მსმენელებს შეუძლიათ მათთვის ხელსაყრელ დროს დაესწრონ, იგი ფინანსირდება Barklays Bank და ICI-ის მიერ. კურსების ღირებულება 350 გირვანქა სტერლინგია. სწავლების პროგრამა შეიცავს მართვის საორგანიზაციო საკითხებს, მარკეტინგს, საფინანსო სტრატეგიას. მთავრობა ხელს უწყობს ბიზნესში დასაქმებულ სტუდენტებს. ეხმარება მათ მუნიციპალიტეტიდან ლიცენზიების აღებაში, საკუთარი საქმისათვის შეღავათიანი კრედიტების აღებაში, ისეთ სტუდენტებს, რომლებიც მეწარმეობას საზღვარგარეთ სწავლობენ, უზრუნველყოფენ სტიპენდიით. [110.გვ.31]

რუსეთის კერძო ბიზნესი წარმოდგენილია უპირველესად სავაჭრო, სამშენებლო, ხისდამმუშავებელი, სამედიცინო და ზოგიერთი სხვა ფირმებით. დასაქმებულია დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი, 1992 წ. ამ სექტორის საწარმოების მიერ გამოშვებული იქნა საერთო შიდა პროდუქტის დაახლოებით 8%, ხოლო 1993 წ. წარმოებული იქნა ნაკლები პროდუქცია.

რუსეთში მეწარმეობის განვითარებისათვის შედარებით ხელსაყრელი აღმოჩნდა 1987-1991 წლები. იგი დაკავშირებულია

კოოპერაციული მოძრაობის დასაწყისთან. ამ დროისათვის რეგისტრირებული იყო დაახლოებით ასი ათასი მცირე საწარმო. 1989-90 წლებში ისინი ძირითადად იქმნებოდნენ სახელმწიფო საწარმოებთან და იყენებდნენ სახელმწიფო საკუთრებას. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ინიციატივიანმა ხალხმა უპირატესობა მიანიჭა კერძო საკუთრებას. მეტი რიცხვი მცირე საწარმოებისა მოდიოდა წარმოების სფეროზე – მშენებლობაზე და მრეწველობაზე. რაც შეეხება შუამავალ საწარმოებს, ისინი იყვნენ 10-ჯერ ნაკლები, ვიდრე სამშენებლო და 3-ჯერ ნაკლები, ვიდრე სამრეწველო.

მოგვიანებით მცირე ბიზნესის განვითარებისადმი ყურადღება შესუსტდა, ხოლო დროდადრო მიღებული იმპულსური ღონისძიებები მიზანს არ აღწევდნენ. მცირე საწარმოებთან დამოკიდებულებაში სტაბილური და შეწონასწორებული პოლიტიკის უქონლობამ უარყოფითად იმოქმედა იმ მაჩვენებლის განვითარების დინამიკაზე, რომლებიც ახასიათებს მცირე ბიზნესს. პირველ ყოვლისა შემცირდა მცირე საწარმოთა ზრდის ტემპები, შეიქმნა მცირე საწარმოების საქმიანობაში სირთულეები. ბევრი მათგანი წარმოების სფეროდან გადავიდა სავაჭრო შემსყიდველ სფეროზე, სადაც ინფლაციისა და უფლებათა არასტაბილურ პირობებში "ფული კეთდება" მცირე მონდომებით. ამის გამო მკვეთრად შემცირდა მცირე საწარმოების სტრუქტურა.

მაგალითად, მოსკოვში, სადაც ადრე სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერატივები არ იყო, ამჟამად ოფიციალური მონაცემებით, ისინი რამდენიმე ათეულს ითვლის. მაღალი გადასახადები, სულ უფრო და უფრო მაღალი საარენდო გადასახადი შენობის და მოწყობილობებისათვის, საფონდო სარისკო კაპიტალის უქონლობა – ყველაფერი ეს აფერხებს ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობებს და იძულებულს ხდის მთელი

ძალები მიმართული იყოს არა წარმოების გაფართოებაზე, არამედ გადარჩენისათვის ბრძოლაზე.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გატარებას მნიშვნელოვნად ართულებს მცირე ბიზნესის განვითარების სფეროში ეფექტური პროგრამების არქონობა. ურიგო არ იქნებოდა კრიტიკულად გაგვეანალიზებინა საზღვარგარეთის გამოცდილება, სადაც არსებობს საკუთრების რამდენიმე ფორმა და სახელმწიფო სერიოზულ ყურადღებას უთმობს მცირე ბიზნესის განვითარებას.

1.4 მცირე მეწარმეობა საბაზრო რეფორმების სისტემაში.

მცირე ბიზნესის განვითარება ითვლება საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად. ეკონომიკის ეს სექტორი უფრო დინამიურად რეაგირებს კონიუნქტურის შეცვლაზე, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს საშუალო კლასის ფორმირებას, ე.ი. აფართოებს გასატარებელი რეფორმების სოციალურ ბაზას. ასეთი სოციალური ბაზის საყრდენის გარეშე საბაზრო რეფორმები განწირულია, ხოლო საკითხი მათი შეუქცევადობის შესახებ მუდამ ეჭვის ქვეშ იქნება.

მოცემული მდგომარეობის ჭეშმარიტებას ამაგრებს საზღვარგარეთის საბაზრო ქვეყნების გამოცდილება, სადაც მცირე ბიზნესი ფაქტიურად ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა. მაგ. აშშ-ში მის წილზე მოდის საერთო პროდუქტის 40% და შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების ნახევარი. მცირე საწარმოები ითვისებენ ორჯერ მეტ სიახლეებს, ვიდრე დიდი კორპორაციები. განსაკუთრებით ეფექტიანია მცირე საწარმოები, რომლებიც მისდევენ ინტელექტუალური პროდუქტის წარმოებას, რაც გამოიყენება მეცნიერებატევად სფეროებში. უნგრეთში, მაგალითად, ისეთ

გიგანტებს, როგორიცაა ,,ვიდეოტონი‘‘ და ,,ორიონი‘‘ არ შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ მცირე საწარმოებს. კოოპერატივი ,,კომპორგანი‘‘ ექსპორტში უშვებს რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების პროგრამებს წელიწადში და უფრო მეტად დასავლეთის ქვეყნებში.

მცირე და საშუალო მრეწველობის პროდუქციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბევრი ქვეყნის ექსპორტში. მათ წილად მოდის სასაქონლო ექსპორტის 40% ისეთი ქვეყნებისა, როგორიცაა გერმანია, იტალია, იაპონია, მათ ოდნავ ჩამორჩება საფრანგეთი და ჰოლანდია. იზრდება მცირე ბიზნესის წილი აშშ-ს ექსპორტშიც.

საქართველოში ინფლაციის სიმწვავემ საგადასახადო არასტაბილურობამ, მასალისა და ნედლეულის ბაზრის უქონლობამ, დამწყებ საწარმოებს უბიძგა ქუჩურ-საკარვო ვაჭრობისაკენ. ვაჭრობის ძირითად წყაროდ იქცა იმპორტული შესყიდვები, აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობის საქონელი კვების პროდუქტების ჩათვლით.

ადმინისტრაციული მმართველობის მოშლამ, ეკონომიკურმა ქაოსმა და საკანონმდებლო გაურკვევლობამ გამოიწვია ის, რომ კანონის მიმყოლი მეწარმეები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ძლიერი საგადასახადო წნეხის ქვეშ და განიცდიან სახელმწიფო და არასახელმწიფო რეკეტის საფრთხეს.

როგორც საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, მცირე ბიზნესის განვითარებაში წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყოველმხრივი და სტაბილური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ფორმით. პირველ რიგში საგადასახადო შეღავათები, დოტაციები, შეღავათიანი საბანკო კრედიტები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონმდებლობის მიღება და მისი დაცვა. მცირე მეწარმეობის განვითარების კორექტული კომპლექსური პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

თუკი მთავრობა ნამდვილად გადაწყვეტს დაიწყოს მცირე მეწარმეობის სერიოზული სისტემატიური მხარდაჭერა, აქტუალური და თანადროული იქნება მცირე მეწარმეობის ყველაზე უფრო შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარება. როგორადაც არ უნდა ვამტკიცოთ მაღალი საგადასახადო ნორმატივების მიზანშეწონილობა, ისინი მწარმოებლებს უქრობენ სტიმულებს. ახლა პროგრესირებადი გადასახადები უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ წარმატებაზე. იწვევს გამომუშავების შემცირებას განსაკუთრებით ისეთ საწარმოებში, სადაც მაღალი ანაზღაურებაა. მაღალი გადასახადები ფასების დეფორმაციას იწვევს და მათი უსაფუძვლო გადიდების იმპულსებს ქმნის.

დავიწყოთ დამატებული ღირებულების გადასახადიდან (დღგ). ეს მრავალმიზნიანი გადასახადია, რომელიც მოწოდებულია წარმოების საშუამავლო ოპერაციებისათვის, ხელფასების და მოგებების კონტროლისა და რეგულირებისათვის. ამჟამად დამატებული ღირებულების გადასახადიდან დანარიცხი დიფერენცირებულია 20%-დან ქვემოთ. რიგ სოციალურ მნიშვნელობის საქონელზე ის ტოლია არა 20, არამედ 10%-ის. ზოგიერთი საქონელი საერთოდ მისგან გათავისუფლებულია. ასეთ გადასახადს შეიძლება კიდევ მხარი დავუჭიროთ, თუკი გამოვრიცხავთ მის ანგარიშში მეორად აღრიცხვას, როცა გადასახადი გამოითვლება ღირებულების დამატების გარეშე, რომელიც მასზე შრომითი დანახარჯების ან დახარჯული ნედლეულის ტოლია. ასეთი განმეორებითი აღრიცხვა მძიმე ტვირთად აწვება მომხმარებელს.

დამატებული ღირებულების გადასახადის გარდა, მოქმედებს სხვა სახის მაღალი გადასახადები. წარმოების საგადასახადო დანარიცხი 70-85% აღწევს, ზოგჯერ მეტსაც. დამატებითი ღირებულების გადასახადი ხშირად რეალიზებული პროდუქციის 20% აღწევს, იშვიათად 10%-ს. მოგებაზე გადასახადი-32%. სოციალურ დაზღვევაზე დანარიცხი საპენსიო ფონდში

და სამედიცინო დაზღვევაზე – 38% და ა.შ. მცირე ბიზნესშიც ისეთივე საგადასახადო ბერკეტები გამოიყენება, როგორც დიდ საწარმოებში. სულ არსებობს 42 სახის გადასახადი, რაც აქციზებთან ერთად საკმაოდ დიდი სიდიდეა.

ქვეყანაში გატარებული საგადასახადო პოლიტიკა არა მარტო არაეფექტიან, არამედ ეკონომიურად და პოლიტიკურად არასასურველიც. ის კვეთს მსოფლიო პრაქტიკით და თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებით დამკვიდრებულ ეკონომიკის განვითარებას. გაუმართლებლად მაღალი დაბეგვრა ,,კლავს'' ქვეყანაში მცირე მეწარმეობას. აუცილებელია სასწრაფო ზომები იმისათვის, რომ შეიცვალოს ისეთი სტრუქტურა, სიტუაცია, სახელმწიფო ძლიერია და მდიდარია არა მაღალი და მრავალფეროვანი გადასახადებით, არამედ სტაბილურად და ეფექტიანად მომუშავე რენტაბელური საწარმოებით.

საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის საერთო მიმართულებაა გადასახადების მასტიმულირებელი როლის გაძლიერება წარმოების განვითარებაში. მცირე საწარმო უნდა გათავისუფლდეს დაბეგვრისაგან ინვესტიციებით შემოტანილ ტექნოლოგიებზე და შეღავათები გადასახადებზე წარმოებას ფეხზე დააყენებს. სრულიად აშკარაა საჭიროება დიფერენცირებული საგადასახადო მიდგომისა სხვადასხვა პროფილით მომუშავე საწარმოებისათვის. უფრო მცირე გადასახადები უნდა გამოიყენებოდეს საჭირო პრიორიტეტულ წარმოებისათვის.

ფირმების დაბეგვრის დიფერენცირებული სისტემა დამახასიათე-ბელია დასავლეთის ქვეყნებისათვის და საერთოდ ცივილიზებული სახელმწიფოებისათვის, რომელთაც უკავიათ მოწინავე პოზიციები თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში. სახელმწიფო ცდილობს შექმნას უფრო მეტი ოპტიმალური პირობები მცირე სამეცნიერო-ტექნიკური საწარმოების ფუნქციონირებისათვის.

გამოიმუშაოს კონკრეტული მექანიზმი მათი შენარჩუნებისათვის. აშშ-ში, მაგალითად, მცირე ინოვაციური ფორმები იყენებენ საგადასახადო დოტაციებს, შეღავათიან კრედიტებს სარისკო კაპიტალის ინვესტიცი-ისათვის, რომლებიც წარმოდგენილია სპეციალური ფონდებით აქციების ნაწილზე გაცვლით. ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს ბევრ ახალგაზრდა ფირმას გახდეს ლიდერი ახალ წარმოებაში, მაგალითად, კომპიუტერულ ბიზნესში.

საქართველოში არსებული, გარდაქმნის სტადიაში მყოფი, საგადასახადო სისტემა დახვეწას საჭიროებს. ეკონომიკა და ფინანსური მდგომარეობა დღეს განსაკუთრებული საზრუნავია, რადგან სწორედ ეს არის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მთავარი გარანტი. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში საქართველოში გაკეთდა მეტი, ვიდრე წარმოიდგენდნენ საზღვარგარეთელი ექსპერტებიც კი. ქვეყანა თავს აღწევს კრიზისს და იმის ფონზე, რაც იყო უახლოეს წარსულში. მისი მაგალითი ნამდვილად შთამბეჭდავია. ქვეყნის ავტორიტეტი განპირობებული იქნება იმით, თუ როგორი ტემპით განვითარდება ეკონომიკა, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია სტაბილურობაზე. და მაინც, წარმატება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა თითოეულ მოქალაქეს აქვს გაცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი წვლილი სახელმწიფოს მშენებლობაში. იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა მეწარმეებს სავსებით კონკრეტულ ხარკს ადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკოლოგიური და სანიტარული სამსახურის მერიის, რაიონული ადმინისტრაციებისა და ყოველგვარი შემმოწმებელი სტრუქტურების თანამშრომლები.

ეს ყველაფერი იმის დამადასტურებელია, რომ შავი ბიზნესი, ჩრდილოვანი ეკონომიკა ქვეყანაში, ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, ძლიერია და ბიუჯეტის შესრულებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ჩაწერილია იმპერატიული თეზა: გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე, რომლის გადაუხდელობა არავის ეპატიება.

საქართველოში არ არის შექმნილი ისეთი გარემო, როცა ბიუჯეტთან ანგარიშსწორება სამეწარმეო საქმიანობის თანმდევი და განუყოფელი პროცესი იქნება. პირიქით, გადამხდელთა ერთი ნაწილი, მხედველობაში მაქვს ,,ურჩი გადამხდელები'' ყველა შესაძლო ხერხს და მეთოდს იყენებენ იმისათვის, რომ თავი აარიდონ საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულებას. დღეს საქართველოში, რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, გადასახადების დამალვისათვის სასჯელს არავინ იხდის. ეს მაშინ, როცა ჩვენზე გაცილებით განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა აქვთ შეფარდებული.

ქვეყანამ თავისი ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის მხარი უნდა დაუჭიროს მეწარმეობას, მაგრამ ამასთან საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა, საბიუჯეტო ვალდებულებების შეუსრულებლობა მკაცრი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით უნდა ისჯებოდეს. ეს ფინანსური წესრიგის განმტკიცების ბიუჯეტის აღსრულების, გადამხდელსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის რეგულირების ყველაზე მძლავრ ბერკეტად არის მიჩნეული.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის დოქტორი, ჰუვერის ინსტიტუტის სამეცნიერო საზოგადოების წევრი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტი, ნობელის პრემიის მფლობელი Hარი ს. ბეკერი, საქართველოს ეკონომიკის გაცნობის შემდეგ ფიქრობს, რომ გადასახადები საქართველოში ძალზე მაღალია გაღარიბებული ხალხისთვის, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ინვესტიციებით ხელის გამართვა და მუყაითი შრომა. დამატებული ღირებულების გადასახადი და საშემოსავლო

გადასახადი 20%-ია. თავიდან რომ აიცილონ ასეთი სიმძიმე თითქმის ნახევარი ეკონომიკა არალეგალური გახდა. გადასახადებიდან სახელმწიფო შემოსავალი ბიუჯეტის 100%-ზე ნაკლებს შეადგენს. მისი აზრით, საქართველოში ან მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი ან დამატებული ღირებულების გადასახადი სრულიად საკმარისი იქნებოდა და ყველა დანარჩენი გადასახადი უნდა გაუქმდეს. ამას მოჰყვებოდა გაზრდილი ინვესტიციები, უფრო სწრაფი წინსვლა, ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილობრივი აღმოფხვრა და შესაძლებელია, უფრო დაბალი გადასახადებიდან გაზრდილი სახელმწიფო შემოსავლებიც კი .[2.გვ.3]

სახელმწიფოს მიერ მცირე მეწარმეობის თანადგომის ღონისძიებების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცირე საწარმოების დაკრედიტების სისტემის სრულყოფას. ქვეყნებში, სადაც მცირე მეწარმეობა უკვე განვითარებულია, მათი განვითარებისათვის დამატებითი კაპიტალის წყაროდ შეიძლება იყოს ან საკუთარი დანაზოგები ანდა თვით მცირე მეწარმეებისა დროებით თავისუფალი სახსრები. ჩვენთან მეწარმეობა არ არის განვითარებული და მცირე საწარმოებს საკუთარი კაპიტალი თითქმის არ გააჩნიათ, რიგ შემთხვევებში დამატებითი სახსრების მიღების ერთადერთი გზა არის საბანკო კრედიტი.

Pპრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბანკების როლი, პირველ რიგში კომერციული ბანკებისა, უნდა გაძლიერდეს. იმის გათვალისწინებით, რომ მცირე ბიზნესის დაკრედიტება ობიექტურად დაკავშირებულია ბანკებისათვის დიდ რისკთან და იწვევს დამატებით ხარჯებს მრავალ პატარა კლიენტის მომსახურებაზე, აუცილებელია შემუშავებული იქნეს სახელმწიფოს მხრივ ბანკების მასტიმულირებელი ღონისძიებათა სისტემა. მიზანშეწონილია შეიქმნას სპეციალიზებული ფონდი მცირე ბიზნესის კრედიტირებისათვის, რომელიც კრედიტების გარანტიას მოგვცემდა და აიღებდა თავის თავზე მაღალ რისკს.

აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს რიგი სერიოზული შეღავათები კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც აქტიურად ჩაებმებიან მცირე წარმოების დაკრედიტებაში. ასეთი შეღავათები უნდა გავრცელდეს უპირველესად არა მარტო იმ ბანკებზე, რომლებიც აძლევენნ კრედიტს მცირე საწარმოებს წარმოების მიზნებისათვის, არამედ იმ ბანკებზეც, რომლებიც გასცემენ კრედიტს პროექტებისათვის, უზრუნველყოფენ მცირე მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტს.

ქვეყანაში მცირე მეწარმეობაზე აქტიური სახელმწიფო ზემოქმედების ბერკეტები შეიძლება გახდეს სახელმწიფო თანადგომის პროგრამა და მცირე მეწარმეობის განვითარება. მათში უნდა გამოიხატებოდეს ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და ფასების პოლიტიკის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მექანიზმები, ოფიციალური გარანტიების სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას, სამეწარმეო მოღვაწეობის განვითარებაში.

პროგრამაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს საბაზრო ინფრასტრუქტურების ეფექტიან ინსტიტუტების - ბაზრის და ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო და სარისკო მეწარმეობისა, საკონსულტაციო და აუდიტორული მოღვაწეობის ფორმირება, აგრეთვე მეწარმეობის თანადგომის კომპლექსური სახელმწიფო-საზოგადოებრივი სისტემების შექმნა, სამეწარმეო კადრების მომზადების და გადამზადების ჩართვით. ამ სფეროში მოსახლეობის სოციალურად აქტიური ფენების მოზიდვა. უნდა განისაზღვროს აგრეთვე შიგაეკონომიკური მოღვაწეობის და მეწარმეობის განვითარებისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები.

პროგრამაში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ რეგულირებას, ღონისძიებათა რიცხვში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს: სამეწარმეო სექტორის მიერ

საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა: ახალი საკრედიტო დაწესებულებების (საკრედიტო-შემნახველ ამხანაგობების ტიპის) ორგანიზაციისათვის პირობების შექმნა. სავალუტო ამონაგების სავალდებულო გაყიდვის მინიმალური ნორმატივების დადგენა მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებისათვის, რომლებიც ახდენენ საკუთარი პროდუქციის ექსპორტს. მოგებაზე მიზანშეწონილია დაწესდეს შეღავათები კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც აძლევენ კრედიტს მცირე საწარმოებს საწარმოო მიზნებისათვის, უპირველესად პროექტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე მეწარმეობის პრიორიტეტულ განვითარებას.

როგორც აღინიშნა, განსაკუთრებული როლი მცირე მეწარმეობის თანადგომაში ეკუთვნის საგადასახადო სისტემას. ამასთან დაკავშირებით პროგრამაში უნდა მოიძებნოს გადასახადების თანდათანობითი შემცირების პოლიტიკის ღონისძიებები, უპირველესად პრიორიტეტულ მიმართულებით მომუშავეთათვის. ასეთი სისტემა უნდა შეიცავდეს: საკუთარი წარმოების და სოციალური ბაზის განვითარებისათვის დროის გარკვეულ პერიოდში დაგროვილი და გამოყენებული საშემოსავლო თანხიდან გადასახადზე განთავისუფლებას, მცირე საწარმოების მოგებაზე შეღავათიანი გადასახადების დადგენას მათი რეგისტრაციიდან მუშაობის მესამე და მეოთხე წელს. დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირებას, მცირე წარმოებებზე საგადასახადო შეღავათების შენარჩუნებას და სხვა.

თავი მეორე

ხე-ტყის დამმუშავებელი მცირე საწარმოების განვითარების ტრადიციები მე-19 ს. დაMმე-20 ს. დასაწყისის დასავლეთ საქართველოში

2.1. ხის დამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო თავისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებით ახალ, კაპიტალისტურ გზას დაადგა. დაწინაურდა მრეწველობა და ვაჭრობა. უპირველეს ყოვლისა კი ის დარგები განვითარდა, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულს იყენებდნენ.

საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობისათვის დამახასიათებელი იყო საკუთრების სხვადასხვა ფორმების თანაარსებობა - დაწყებული ოჯახური მრეწველობიდან, დამთავრებული საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობით. ეს უკანასკნელი თავისი პროდუქციით ქვეყნის მზარდ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, რადგან მანქანური წარმოება მხოლოდ სახერხ საწრმოებს შეეხო. მათში მოსახლეობის ნაწილი იყო დასაქმებული.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი წლებიდანვე დასავლეთ საქართველოს ტყეებს ახალი ადმინისტრაციის ყურადღება დაეთმო. ჯერ კიდევ 1805 წელს აქაური ტყეების გაძლიერებულ ექსპლოატაციაში მთავარსარდალი ციციანოვი გემთსაშენი მასალის დამზადებას მოიაზრებდა. 1805-1810 წწ. მეფე სოლომონი და სამეგრელოს მთავარი დადიანი რუსეთის ხელისუფლებას გემთსაშენი ხე-ტყის დამზადებაში დახმარებას აღუთქვამდნენ. Mმე-19 ს. 20-იანი წლებიდან რუსეთის ხელისუფლება მორების დასაცურებლად გამოსადეგი მდინარეების,

პირველ რიგში, მდინარე რიონის ვარგისიანობას იკვლევდა. მაშინდელ პირობებში ხე-ტყის გადაზიდვისა და ზღვით გატანის სირთულეების მიუხედავად საქართველოს ტყეების მოჭრა-დამუშავებასა და გატანას ათასი ჯურის ვაჭარ-შემსყიდველი და მრეწველი ეტანებოდა. [9.გვ.150] 1840-იან წლებში სამეგრელოდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაჰქონდათ საკასრე ტკეჩები.

კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენელნი მთელი მე-19 ს. მანძილზე ადგენდნენ და განიხილავდნენ სხვადასხვა პროექტებს. ისინი მიზნად ისახავდნენ ხე-ტყის მრეწველობის განვითარებას, საამისოდ საჭირო გზების გამართვას, მორების დასაცურებელი მდინარეების კალაპოტის გაწმენდას, რუსეთში და საზღვარგარეთ საექსპორტო მასალის გადასატვირთად საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურების მოწყობას. მე-19 ს. 80-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის მრეწველობას ენერგიულად დაეწაფნენ როგორც ცალკეული პირები, ასევე გაერთიანებული ძალებით მოქმედი კაპიტალისტები და სააქციო საზოგადოებები. ამიერკავკასიის ტყის ფართობს განსხვავებულად ანგარიშობდნენ მაშინდელი ოფიციალური დაწესებულებების წარმომადგენლები და დაინტერესებული კერძო პირები. მათი მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. სახაზინო ტყის ფართობი კი შედარებით სწორად აღირიცხებოდა, ხოლო კერძო პირთა კუთვნილი ტყეების ფართობი და მისი მდგომარეობა მეტწილად შეუსწავლელი რჩებოდა. [9.გვ.151]

ი.მედვედევის მონაცემებით, ყველაზე უკეთ ქუთაისის გუბერნიის ტყეების მდგომარეობა იყო. ხუთი გუბერნიიდან (თბილისის, ქუთაისის, ბაქოს, ერევნის, ელიზავეტპოლის) სახაზინო ტყეების გაუჩეხავი, მთლიანი მასივების ყველაზე მეტი – 68% ქუთაისის გუბერნიაზე მოდიოდა.

საშუალოდ გაჩეხილი ტყეებისა კი 31% შეადგენდა. მთლიანად მეტწილად გაჩეხილი ტყეები ქუთაისის გუბერნიაში არ აღირიცხებოდა. [33.გვ.272]

დასავლეთ საქართველოს ტყეების ადვილად ხელმისაწვდომობა მისი ექსპლოატაციის ფართის ეფექტური ზრდის სისწრაფეზე მოქმედებდა.

ქვეყნის წინსვლა-განვითარებასთან ერთად ხის მასალაზე მოთხოვნილების სწრაფმა ზრდამ ტყით სარგებლობის საკითხი დღის წესრიგში დააყენა. ცხადია, ვახტანგის სამართალი (რომლის 169-ე მუხლით წყალი, ტყე და ბალახი არავის ეკრძალება და ხელმწიფეს ეკუთვნის) უკვე მოძველებული იყო და იგი რუსეთის იმპერიის საერთო კანონით შეიცვალა, რომლის მიხედვითაც ტყე მემამულეთა ხელუხლებელ საკუთრებად გამოცხადდა. კანონში საქართველოს ადგილობრივი თავისებურებებით გამოწვეული რამდენიმე დამატება იყო. სწორედ ეს დამატებები ხდებოდა ხშირად გაუგებრობის მიზეზი და ამის გამო ტყეების ხელყოფა იმატებდა.

მე-19 ს. 70-იანი წლებიდან რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით ხე-ტყის მასალაზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა. ამის შესაბამისად გაძლიერდა ტყეების ექსპლუატაცია. იგი უპირატესად დაბლობ, ხელმისაწვდომ ადგილზე მდებარე ტყეებს შეეხო. საგლეხო რეფორმის გატარებამ, რკინიგზის გაყვანამ სასაქონლო წარმოების შემდგომი გაფართოება გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა ქალაქებისა და ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა-განვითარება. [67.გვ.152-154].

Mმანქანური წარმოება მხოლოდ სახერხ ქარხნებს შეეხო. წვრილი კაპიტალისტური წარმოების მსხვილ წარმოებაში გადაზრდა
საწარმოთა შემდგომი გაფართოების გზით, შრომის დანაწილების გაფართოება და მანქანური ტექნიკის დანერგვა საქართველოსათვის არ იყო დამახასიათებელი.

დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის მრეწველობაში მანქანური ტიპის საწარმოთა გვერდით არსებობას განაგრძობდა მრეწველობის მარტივი ფორმები – ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა, რომლებშიც გლეხური მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო დასაქმებული.

სოფლად გავრცელებული ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა, რომელსაც გლეხობა სამიწათმოქმედო სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს მისდევდა, ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმის გავრცელების კვალდაკვალ თავის ადრინდელ მნიშვნელობას კარგავდა და მათი მოქმედების ფარგლები თანდათან ვიწროვდებოდა. ეს სარეწები უმთავრესად ისეთ ნაკეთობებს ამზადებდა, რის წარმოება ქარხნული წესით შეუძლებელი იყო. ამავე დროს ამ ნაკეთობების დამზადება მხოლოდ რომელიმე რეგიონის კუთხის უპირატესობას წარმოადგენდა. დასახლებული ადგილის მივარდნილობის გამო ქალაქიდან შემოტანილი მზა პროდუქცია იქ ძნელად აღწევდა. მაგალითად, ხის დამუშავების დარგში შემცირდა ძველებური მოჩუქურთმებული ავეჯის, ზოგიერთი სამეურნეო იარაღის, ხის ჭურჭლისა და სხვათა დამზადება. დარჩა და შედარებით გაფართოვდა საზიდრების, ურმის ბორბლების დამზადება, საწნახელების გამოჭრა, კალათების დაწნა, შეიქმნა და გადიდდა ეტლების, კასრების წარმოება და სხვ.

Mმე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფაბრიკულმა მზა პროდუქციამ ჯერ შეავიწროვა და შემდეგ კი საქართველოს მრავალი კუთხიდან სრულიად განდევნა ადგილობრივი ხის ჭურჭლის წარმოება. მას კონკურენციას უწევდა ფაბრიკული ჭურჭელი, რომელიც უფრო მეტად რუსეთის შიდა გუბერნიებიდან შემოდიოდა. ფაბრიკულმა ნაწარმმა ასევე განდევნა ხის სავარცხლების დამზადება, რომელსაც განსაკუთრებით გურიაში მისდევდნენ. Mმე-19 ს. შუა ხანებში აქ დაახლოებით 10000 –მდე სავარცხელი მზადდებოდა.

საქართველოში დიდხანს შემორჩა გლეხური შინასარეწები. ისინი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიდაც განაგრძობდნენ არსებობას, სასოფლო-სამეურნეო იარაღი: გუთანი, აჩაჩა, ფაცხი, ჩეჩეთი, ფიწალი, კევრი, ფორცხი, ნამგლის, წალდის, დანის და სხვათა ტარი, საოჯახო ავეჯი – სავარძლები, ტახტი, სკამი, კიდობანი, სკივრი, ვარცლი, ჯამი, და ბევრი სხვა შინამრეწველობის წყალობით მზადდებოდა.

მე-19 ს. Mმეორე ნახევრიდან ხელოსნური წარმოების წვრილ საქონ-ლურ წარმოებად გადაქცევის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა. ხელოსანი შეკვეთით მუშაობიდან ბაზრისათვის საქონლის თავისუფალ წარმოებაზე გადავიდა. შექმნილი მდგომარეობა დაქირავებული მუშების მეტი რაოდენობით გამოყენებას მოითხოვდა, რაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდის მომასწავებელი იყო.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან ხელოსნური წარმოება ყველაზე მეტად ქალაქ ქუთაისში იყო განვითარებული. 1886 წელს აქ 900-ზე მეტი ხელოსანი ითვლებოდა და ქალაქის 25 მცხოვრებზე ერთი ხელოსანი მოდიოდა. ქუთაისში 2-4 მუშიანი სახელოსნოები სახელოსნოთა მთლიანი რაოდენობის 58% შეადგენდა. ქუთაისში, ბათუმში და ფოთში უფრო მეტად 3-5 მუშიანი სახელოსნოები სჭარბობდა. Uუფრო მსხვილი სახელოსნოები კი მანუფაქტურულ საწარმოებში გადაიზარდა. Mმაგალითად, ბათუმის საკასრე სახელოსნოში, სადაც დასაქმებული იყო 10 მუშა.[86.გვ.115]

1900 წლის საწარმოთა აღრიცხვაში მოხვედრილია მსხილი სახელოსნოები. ქუთაისში მოქმედებდა 1 ავეჯის სახელოსნო, 10 მუშით, რომელიც 5000 მანეთის პროდუქციას აწარმოებდა წელიწადში. 1900 წელს ქუთაისში აღრიცხული იყო ეტლების დამამზადებელი 5 საწარმო, რომელიც 80 მუშას აერთიანებდა და წლიურად 40 000 მანეთის პროდუქციას ქმნიდა.

ხელოსნურ წარმოებას ფაბრიკული ნაწარმი სულ უფრო ავიწროვებდა. მაგალითად 1903 წელს ბათუმში მოქმედებდა 6 სავაჭრო დაწესებულება, რომელიც შემოტანილი ავეჯით ვაჭრობდა და თითოეულის წლიური ბრუნვა 4-დან 15 ათასამდე მანეთის ფარგლებში მერყეობდა, მაშინ როცა ადგილობრივად დამზადებული ავეჯით მხოლოდ ორი სავაჭრო მოქმედებდა 3-დან 5-მდე ათასი მანეთის წლიური ბრუნვით. [86.გვ.116]

2.2 ხე-ტყის დამმუშავებელი საწარმოები. ხის კასრებისა და ხის ტკეჩების წარმოება მე-19 საუკუნის დასავლეთ საქართველოში

მე-19 ს. საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის შიდა კოლონიაში, თუმცა მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ხე-ტყის სახერხი წარმოების განვითარება. 80-იანი წლებიდან ორთქლის მანქანას უკვე ფართო გამოყენება ჰქონდა სახერხ ქარხნებში, რამაც ძირეულად შეცვალა მანამდე არსებული მდგომარეობა – ხელით შრომა და წყლის ძალის გამოყენება. მაგრამ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წარმოებაში მანქანების გამოყენებამ გააქარწყლა ხელით მუშაობის ოსტატობა, რაც ხელოსანს საუკუნეთა განმავლობაში ჰქონდა შეძენილი.

საქართველოში ორთქლის ძრავით მომუშავე სახერხი ქარხნების დაარსება კაპიტალიზმის პირობებში სამშენებლო მასალაზე გაზრდილი მოთხოვნილების გარდა, უშუალოდ განაპირობა ქ. ფოთის ნავსადგურის

მშენებლობამ და ქ. ბათუმის ნავთობის საექსპორტო ქარხნების მიერ ხე-ტყის დახერხილ მასალაზე მოთხოვნილების საგრძნობმა ზრდამ.

1866 წ. ფოთში უკვე მოქმედებდა ორთქლის ძრავით მომუშავე სახერხი ქარხნები, რომლებიც ნავსადგურის მშენებლობას ხის მასალით ამარაგებდნენ. ერთი მცირე სიდიდის სახერხი, რომელიც მდ. უკაპარჭეს ნაპირზე მდებარეობდა და გრაფ როზმორდიუკს ეკუთვნოდა, წლიურად 6000 მან. ღირებულების მასალას ამზადებდა, რომლის ნაწილი ბაზარზე იყიდებოდა, ნაწილი რკინიგზისა და ნავსადგურის მშენებლობისათვის იყო განკუთვნილი.[43.გვ.34] მეორე საწარმოს შესახებ, საარქივო წყაროებით, ფოთში ყურადღებას იპყრობდა ინჟინერ პოდპოლკოვნიკ შავროვის მიერ ახალ პორტთან აგებული სახერხი ქარხანა, რომელზეც თანამედროვე აღნიშნავდა: – «пилний завод порта в особенности замечателен поставкой цилиндра и махового колеса на грамадном бетоновом монолите» [43.გვ.45].

აქ ორი ლოკომობილი მუშაობდა, რომელთაგან ერთი სახერხ სამუშაოებს ასრულებდა, მეორე კი ქარხნის სახელოსნოსთვის ყოფილა განკუთვნილი. საწარმოს მუშაობასა და წლიური პროდუქციის რაოდენობის შესახებ არავითარი მონაცემები არ გვაქვს. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი ,,კავკაზი‘‘ მას დიდ ქარხნად იხსენიებს და მის შესახებ წერს, რომ ,,დიდი მექანიკური სახერხი ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობს, რამაც პორტის მშენებლობა ძალზე დააჩქარა.‘‘ [77.გვ.3]

მე-19-ე ს. 70-იანი წლებიდან ფოთში თანდათან გამრავლდა მცირე სიდიდის მექანიკური ქარხნები, რომლებშიც მეტწილად 10-12 მუშა იყო დასაქმებული და დაახლოებით 8000 მანეთამდე ღირებულების პროდუქციას ამზადებდა წლიურად. 1881 წ. ქ. ფოთში ამგვარი 6 ქარხანა მუშაობდა 62 მუშით. 45000 მან. წლიურ პროდუქციას უშვებდა. [87.გვ.218] მათგან ყველაზე ადრე ,,პრაპორშჩიკ‘‘ გუგუშვილის საწარმო დაარსდა,

რომელიც 1871 წ. 14 მუშას აერთიანებდა და 18888 მან. პროდუქციას უშვებდა. [44.გვ.104] უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის ფოთში მოქმედი სახერხი ქარხნების რიცხობრივი ზრდის ტენდენცია არ შეიმჩნეოდა, რომლის ძირითადი მიზეზი ახლოს მდებარე ტყეების გაკაფვისა და შემცირების შედეგად ხის მასალის გაძვირება იყო. შორი მანძილიდან სახერხ ქარხანაში მიტანილ მასალას ხე-ტყის დამზადების, მდინარემდე მიტანის, დაცურების და ქარხნამდე მისატანი გზის ხარჯები აძვირებდა, რაც საბოლოოდ პროდუქციის თვითღირებულებაზე დიდად მოქმედებდა. 1886 წლისათვის ფოთში 8 სახერხია აღრიცხული.

თუ აქამდე ორთქლის ძრავით მომუშავე სახერხი ქარხნები ფოთში იყო თავმოყრილი, შემდეგ ისინი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ტყეების მასივების ახლოს და მზა ნაწარმის სარეალიზაციოდ მოსახერხებელ ადგილებში დაარსდა.

მე-19 ს. 80-იან წლებში ქარხნების უმრავლესობა სოხუმის ოკრუგში გაიხსნა. უცხოური ფირმების კაპიტალდაბანდების საფუძველზე მოქმედი შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების გვერდით მოქმედებდა ისეთი წვრილი სახერხებიც, რომლებიც ორთქლის ძრავის გამოყენების მიუხედავად, წლიურად გამოშვებული პროდუქციის და მუშახელის რაოდენობით თითქმის უმნიშვნელო იყო. მაგალითად, გენერალ ერისთავის კუთვნილი სახერხი, რომელიც 1881 წლიდან გულრიფშში მოქმედებდა 6 მუშით, წლიურად, დაახლოებით, 81000 ფიცარს და სამშენებლო კოჭებს ამზადებდა. იგი მუშაობდა სექტემბრიდან ივლისამდე. 1884 წელს ასეთივე სიდიდის საწარმო სენაკის მაზრაშიც იყო, სოფ. ჭალადიდში დ. გამსახურდიას სახერხი, 6 მუშით და 3300 მან. წლიური პროდუქციით, რომელიც ადგილზე საღდებოდა. [71.გვ.215]

ამავე დროს სოხუმიდან ოჩამჩირემდე, შავი ზღვის სანაპიროზე, ევროპის ქვეყნების, საფრანგეთისა და ბელგიის, სააქციო საზოგადოებებმა

რამდენიმე კაპიტალისტური საწარმო მოაწყვეს. მათ ყველა სახერხ ქარხნამდე რკინიგზა გაიყვანეს. აქ ძირითადად რკინიგზის ვაგონებისათვის საჭირო მუხის მასალა მზადდებოდა, რომელიც უცხოეთში გაჰქონდათ. მუშების რაოდენობა 1000-მდე აღწევდა. ისინი სამურზაყანოდან და სამეგრელოდან მოდიოდნენ. ნავების დატვირთვაზე ლაზები მუშაობდნენ. ქონდათ მუშებისათვის საერთო საცხოვრებელი სახლები და საწარმოსათვის საჭირო სხვა ნაგებობები. ტყეში მომუშავეებისათვის სამი დიდი სახლი იყო აშენებული, (ქარხნის დირექტორი, ინჟინერი, მექანიკოსი, მეტყევე და სხვა, სულ 7 კაცი წელიწადში ხელფასს 3000-დან 12000 მანეთამდე იღებდა). [59.გვ.7]

1885 წ. ბარონ დე-კოსტექსის ქარხანაში, სოფელ კალდახვარაში, 18 კაცი მუშაობდა. ხე-ტყის მოჭრაზე ყოველდღიურად 100 კაცი იყო დასაქმებული. წლიური პროდუქცია 40000 მანეთს შეადგენდა. აქ ამუშავებდნენ ფოთლოვანი ხის ჯიშებს. ასევე ფოთლოვანი ხის ჯიშებზე მუშაობდა საფრანგეთის სინდიკატის ბერნარი, გოტიე და პერიკეს‘‘ მექანიკური სახერხი ქარხანა, რომელიც ძირითადად მუხის პარკეტს ამზადებდა მარსელში გასაგზავნად. იგი მდებარეობდა მდ. კოდორის უბანში. მასში 2 ლოკომობილი და 11 დაზგა იდგა.

1887 წ. სოხუმის მიდამოებისა და ქ. ფოთის სახერხების გარდა, დასავლეთ საქართველოში იყო კიდევ ოთხი მცირე სიდიდის საწარმო, რომელთაგან სამი შორაპნისა და ერთი სენაკის მაზრაში მოქმედებდა.[32.გვ.104]

,,სავაჭრო- სამრეწველო სტატისტიკის მასალების‘‘ მიხედვით, 1888 წ. ქუთაისის გუბერნიაში მუშაობდა 12 სახერხი. ქარხნებში მთლიანად 140 ცხენისძალიანი 13 ორთქლის მანქანა მოქმედებდა. ისინი წლიურად 300 მუშით 38880 მან. პროდუქციას აწარმოებდნენ. აღსანიშნავია ის, რომ 1888 წ. კავკასიაში აღრიცხული 23 სახერხი ქარხნიდან 12 ქუთაისის

გუბერნიაში, 10 თბილისის გუბერნიაში და 1 ყუბანის ოლქში მოქმედებდა. ეს მოწმობს, თუ რა ფართო ასპარეზი გაშალა ხე-ტყის დამმუშავებელმა მრეწველობამ საქართველოში.

70-იანი წლებიდან, კერძოდ 1878 წლიდან, ბათუმის შემოერთებიდან, დაიწყო ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო აღმავლობა. 1883 წელს ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის ტარის დამამზადებელი პირველი ქარხანა ინჟინერმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააგეს. ქარხანა ეკუთვნოდა ,,კასპია-შავი ზღვის ნავთის დამმუშავებელ და სავაჭრო საზოგადოებას‘‘, რომელიც 1886 წლიდან როტშილდის ხელში გადავიდა. [72.გვ.43]

90-იანი წლებიდან ქ. ბათუმის სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა შემდგომი ზრდა და ამასთან ქალაქის მშენებლობა-გაფართოება დიდი რაოდენობის ხის მასალას მოითხოვდა. რადგან ტყეები მახლობლად უკვე გაკაფული იყო, სამშენებლო მასალა სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრებიდან შემოჰქონდათ. ამიტომ ბათუმელ მრეწველებს თავიანთი სახერხები ჰქონდათ სხვადასხვა კუთხეში. [86.გვ.114] ამას გარდა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ხე-ტყის დამმუშავებელი საწარმოების გამრავლება-გაფართოებას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა.

ბათუმის ნავთობის სამრეწველო წარმოება დიდი რაოდენობით დახერხილ მასალას საჭიროებდა. საზღვარგარეთის მასალა თავისი სიიაფითა და მაღალი ხარისხით ძლიერ კონკურენციას უწევდა რუსეთისა და საქართველოს ხე-ტყის მასალას. ძირითადი მიმწოდებლები იყვნენ ავსტრია-უნგრეთი, შვეცია, ფინეთი, კანადა და სხვ. რუსეთის იმპერიის ხე-ტყის მასალა ამის გამო მწვავე კონკურენციას განიცდიდა ბათუმის ბაზარზე, ამიტომ რუსეთმა დაიწყო პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელება. 1891 წ. მიღებული იქნა კანონი, რომლითაც რუსეთის იმპერიაში შემოტანილი ხე-ტყის მასალის ყოველი ფუთი 6 კაპიკით

(ოქროთი) იბეგრებოდა. რუსეთიდან ბათუმში შემოზიდული ხე-ტყის მასალა თანდათან ავიწროებდა და დევნიდა უცხოეთიდან იმპორტირებულ მასალას. რუსი ხე-ტყის მრეწველები ბათუმის ბაზარს იპყრობდნენ.

ბათუმის სამრეწველო საწარმოთა უშუალო მოთხოვნილების შედეგად წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოში მოქმედი ორი მსხვილი კაპიტალისტური სამრეწველო საწარმო – მაქსიმოვისა და ი. ოქრომჭედლიშვილის სახერხი ქარხნები. გარდა ამ ორი ქარხნისა, ბათუმი მასალას იღებდა დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის ბორჯომის მამულის სახერხი ქარხნიდან და რკინიგზის სადგურებთან ახლოს მდებარე სხვა საშუალო და მცირე წარმადობის სახერხებიდან.

ამ მიზნით სენაკში 1890 წ. გახსნილი ი. ოქრომჭედლიშვილის სახერხი ქარხანა წელიწადში ერთ მილიონამდე კუბურ ფუთის (1 ფუთი ტოლია 16,38 კგ) მერქანს ამუშავებდა. ქარხანა სოფ. საჭილაოში მდებარეობდა. 3 სახერხი დაზგა და 30 ცხენისძალიანი ორთქლის ქვაბი ჰქონდა. 1897 წლისათვის საწარმოში 60 კაცი მუშაობდა. პროდუქციის რაოდენობა 100 000 მან-მდე და მუშის დღიური ხელფასი 50 კაპ-დან 80 კაპ-მდე მერყეობდა, ხოლო ერთი უღელი ხარ-კამეჩით მომუშავე დღეში 1 მან. 60 კაპ. იღებდა. მეორე დიდი საწარმო 1896წ. შეიქმნა ე. ჟოლკვერის ინიციატივით მდ. კოდორის სახაზინო ტყის ექსპლუატაციის საფუძველზე, რომელიც შემდგომ მეორე გილდიის როსტოველი ვაჭრის მაქსიმოვის ხელში გადავიდა. ქარხანა სოფ. აძიუბჟაში მდებარეობდა. [76.გვ.2] 1898 წ. სახერხ ქარხანაში 200-ზე მეტი კაცი ითვლებოდა. აქ მოქმედებდა 90 ცხენის ძალის სიმძლავრის სამი ორთქლის ქვაბი. ხე-ტყის დამზადებაზე და ქარხნის გარეთა სამუშაოებზე რამდენიმე ათასი მუშა იყო დასაქმებული. მათ შორის რუსეთიდან ჩამოსული მუშებიც იყვნენ. მუშებისათვის ქარხანასთან და სატყეო უბნებში საცხოვრებელი სახლები და სასურსათო

ფარდულები იყო აგებული. სოფ. ჩხალთაში მუშაობის სამეთვალყურეოდ კანტორა დაარსდა, რომელიც 50-მდე მოსამსახურეს ითვლიდა. ქარხანას ქონდა მზა მასალის რამდენიმე საწყობი ბათუმში, სოხუმში. ქარხნის მეპატრონემ სოფ. ჩხალთაში გახსნა პატარა საავადმყოფო და აფთიაქი, რომელსაც ფერშალი იაშვილი განაგებდა. [4.გვ.205] მაქსიმოვი მუშებისათვის აბანოს გახსნასაც აპირებდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო აბანო ვერ გახსნა. 1898 წ. სახერხი ქარხნების წლიური წარმოების საერთო თანხიდან (459 000 მან.) მნიშვნელოვანი წილი მაქსიმოვის ქარხანას ეკუთვნოდა.

1897 წ. ოჩამჩირეში ამუშავდა მაჭუტაძისა და ჩაჩავას სახერხი ქარხანები, რომლებიც წაბლის ხეებს ამუშავებდა, 16 მუშით 19 000 მან. პროდუქციას ამზადებდა. ასეთი სიდიდის ქარხნები გაიხსნა სოხუმთან ახლოს – თელიას ქარხანა, სადაც 12 კაცი მუშაობდა და 21 000 მან. პროდუქციას ამზადებდა, მ. ანთაძის ქარხანა ანაკლიაში – 17 მუშით 17 000 მან. პროდუქციით. შ. ვოლფენზონის სახერხი ფოთში – 22 მუშით. ღოღობერიძის ქარხანა – 12 მუშით 11 000 მან. პროდუქციით. ძმები საბახტარიშვილების ქარხანა – 11 მუშით და 98 000 მან. პროდუქციით. 1894 წ. ბათუმში ამუშავდა ფირფიცრის ქარხანა 60 000 მან.წლიური პროდუქციით.

1900წ. კავკასიის სახერხების საერთო რიცხვის 80% საქართველოში მოქმედებდა. მის წილად მოდიოდა მუშების რაოდენობის 90% და წარმოებული პროდუქციის საერთო ღირებულების 92%.

საქართველოს სახერხი ქარხნების საერთო რიცხვის 65%, მუშების რაოდენობის 77% და წარმოებული პროდუქციის ღირებულების 72% ქუთაისის გუბერნიის სახერხების წილად მოდიოდა. [34.გვ.272]

ამგვარად, ქუთაისის გუბერნია სახერხი ქარხნების სიმრავლით, მუშების რაოდენობით და წარმოებული პროდუქციის ოდენობით მთელ კავკასიაში გამოირჩეოდა და თბილისის გუბერნიასაც წინ უსწრებდა.

რამდენიმე ცდის მიუხედავად, ავეჯის ფაბრიკის გახსნა ვერ მოხერხდა. 1894წ. Dუბლინის გუბერნიის გრეხილი ავეჯის ერთ-ერთი ფაბრიკის წარმომადგენელი ბათუმის ოლქში თხოულობდა ავეჯის ფაბრიკის გახსნის ნებართვას, მაგრამ უშედეგოდ. ხოლო 1916 წელს, სააქციო საზოგადოება ,,საქფაბრიკამ'' ქუთაისში აამუშავა გრეხილი ავეჯის ფაბრიკა.

Mმე-20 ს. დასაწყისში საქართველოს სახერხ ქარხნებში ყველაზე მსხვილ კაპიტალისტურ ქარხნებს მიეკუთვნებოდა გრაფ სბროიაკის ქარხნები საჭილაოში და ფოთში, გაგრის სახერხი და ალექსანდროვსკის საწარმო, აღმოსავლეთ საქართველოში ზეზემანის ორი ქარხანა გორში და ორი სახერხი ქარხანა ბორჯომში. დანარჩენი ქარხნები საშუალო და მეტწილად მცირე წარმადობით ხასიათდებიდა. ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ხე-ტყის დამმუშავებელმა მრეწველობამ იმჟამინდელი პოლიტიკის გავლენით ცალმხრივი განვითარება მიიღო. საქართველოში მხოლოდ სამასალე მერქანი მზადდებოდა, რომლის შემდგომი დამუშავება რუსეთში ხდებოდა. ასეთმა ინდუსტრიამ ხელი შეუწყო ტყეების მასობრივი მოხმარების დაჩქარებას. ამას თან ისიც ერთვოდა, რომ ტყეების ჭრა ხდებოდა ყოველგვარი კანონზომიერებისა და შერჩევის გარეშე. დროებით დავიწყებას მიეცა ხის ნაკეთობათა წარმოების ტრადიციები. მსგავსი მოვლენები ხდება ახლაც. ადგილი აქვს ხე-ტყის მასობრივ ათვისებას და ნედლეულის საზღვარგარეთ გაყიდვას, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ჩვენს მრეწველობას, ამით მოსახლეობა კარგავს დასაქმების საშუალებას, ქრება ან კლებულობს ტრადიციული დარგების აღმავლობის შესაძლებლობები.

ხის კასრების წარმოება ერთ-ერთი უძველესია იმ დარგთაგან, რომელსაც საქართველოში მისდევდნენ . ძველად საკასრე წარმოების ოსტატობის საიდუმლოებები გადაეცემოდა მამიდან შვილს. შვილი აგრძელებდა ტრადიციულად მამის ხელობას. ეს საქმე ადრე დაფასებულიც იყო და საპატიოც. მეკასრეების ერთ ოჯახს შეეძლო თავისი პროდუქციით მოემარაგებინა არა მარტო თავისი ქალაქის ან სოფლის მცხოვრებლები, არამედ მეზობელი ქალაქები და სოფლებიც.

Mმუხის კასრში შენახულ ღვინოს განსაკუთრებული გემო და ხარისხობრივი თვისებები აქვს. Mმუხის კასრი მხოლოდ ჭურჭელი არ არის, იგი ღვინის დავარგისებაშიც მონაწილეობს, Aაუმჯობესებს გემოს და აძლევს მეტ სიმტკიცეს. Aამიტომ მუხის კასრს მართებულად უწოდებენ ტექნოლოგიურ ჭურჭელს. Aამიტომაცაა რომ ხის კასრების გამოყენების პრაქტიკა თანამედროვე მეღვინეობაში სულ უფრო ფართოვდება. კარგი ხარისხის ღვინოს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც ყოველთვის მოეძებნებოდა დამფასებელი.

საკასრე წარმოებისათვის ნახევარფაბრიკატს წარმოადგენს ტკეჩი, რომელიც მზადდება სხვადასხვა ჯიშის ხის მერქნისაგან. ყველაზე ძვირფასია მუხის მერქანი. ის გამოირჩევა დიდი სიმტკიცით, კარგად იპობა, მეტად დრეკადია, გაორთქლილ მდგომარეობაში ადვილად იღუნება. მუხის კასრები, მიუხედავად ნესტის მოქმედებისა (სარდაფში შენახვისას, მიწაში და ა.შ.), ინარჩუნებს თავის სიმტკიცეს მრავალი წლის განმავლობაში. თუმცა ბოლო დროს მუხის მერქნის დეფიციტის გამო ის იშვიათად გამოიყენება. ტკეჩის დამზადებისათვის გამოიყენება აგრეთვე სხვა ჯიშის მერქანიც: წიფელი, წაბლი, არყი, ჭადარი, ვერხვი, თხმელა, ფიჭვი, ჩინარი, ცაცხვი, ნაძვი, სოჭი, ლარიქსი, კედარი.

ვ ე რ ხ ვ ი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად რბილფოთლოვან ჯიშს, რომლისგანაც ამზადებენ დიდი რაოდენობის საკასრე ტკეჩებს როგორც

თხევადი, ასევე მშრალი პროდუქტებისათვის. მისი მერქანი სრულად პასუხობს ყველა ტექნიკურ მოთხოვნას, რომლებიც წაეყენება საკასრე ნედლეულს: ის საკმაოდ რბილი და მსუბუქია, კარგად მუშავდება, შესანიშნავად იპობა, დრეკადია, გაორთქლილ მდგომარეობაში კარგად იღუნება. ასეთი ემალირებული კასრები გამოიყენება მცენარეული და მინერალური ცხიმების გადასაზიდად და შესანახად. მშრალი პროდუქტებისათვის განკუთვნილი ვერხვის კასრები კარგად იტანს მრავალჯერად ჩატვირთვას და სარკინიგზო და საზღვაო გადაზიდვებს.

ც ა ც ხ ვ ი ს მერქანი მსუბუქი და რბილია, კარგად მუშავდება, ნორმალური შრობისას ნაკლებად იბზარება, თუმცა საკმაოდ გამოშრება. არც თუ ცუდად გადააქვს სინესტე, არ უჩნდება ჭიანაჭამობა და არ იბრიცება. საკასრე წარმოებაში ცაცხვი უმეტესად გამოიყენება დახერხილი ტკეჩების მისაღებად, რომლისგანაც მზადდება კასრები თევზისა და ხილბოსტნეულის, აგრეთვე რძისა და ცხიმოვანი პროდუქტებისათვის.

თ ხ მ ე ლ ი ს მერქანს მცირე გამოყენება აქვს საკასრე წარმოებაში, საკმაოდ გამძლეა ის მხოლოდ წყალში, ჰაერზე კი ადვილად ლპება და უჩნდება ჭიანაჭამობა.

ა რ ყ ი ს მერქანიც უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყენება საკასრე წარმოებაში. ის არ არის მტკიცე, მზის სხივების ზემოქმედებისას იბრიცება, ნელა შრება და სწრაფად იშლება სინესტისაგან. წარმოების პროცესში არყი ცუდად მუშავდება დაპობილ (რადიალურ) ტკეჩად.

ზემოთჩამოთვლილი ხის ჯიშების გარდა კასრების წარმოებაში გამოიყენებული სხვა ფოთლოვანი ჯიშები, (წაბლი, წიფელი, იფანი), ძალიან უმნიშვნელო რაოდენობისაა.

საკასრე წარმოებაში ზოგჯერ იყენებენ წიწვოვან ჯიშებს. მათ უარყოფით თვისებას წარმოადგენს მერქანში არსებული ფისოვანი ნივთიერებები, რომლებიც ბევრ საკვებ პროდუქტს თავისებურ გემოს და

ფისოვან სურნელს აძლევს. იმისათვის, რომ ასეთი კასრებით მოხდეს პროდუქტების გადატანა, კასრები წინასწარ სპეციალურად მუშავდება.

ამის გარდა, წიწვოვანი ჯიშების მერქანში ხშირად გვხვდება ამოსავარდნი როკები, რომლებიც საკასრე წარმოებაში ძლიერ ამცირებს ამ მერქნის ხარისხს, როგორც ნედლეულს. ფოთლოვან ჯიშებთან შედარებით წიწვოვანი ჯიშის მერქანი უფრო ძლიერ იბზარება.

ფ ი ჭ ვ ი კარგად იპობა როგორც რადიუსის გასწვრივ, აგრეთვე წლიური რგოლების გასწვრივაც, ადვილად იხერხება, ირანდება და ნაკლებად ხმება, მაგრამ ძლიერად არის გაჯერებული ფისოვანი ნივთიერებებით და ხშირად ტყდება ღუნვისას. საკასრე წარმოებაში წიწვოვანი ჯიშის მერქანი გამოიყენება საოჯახო ჭურჭლის დასამზადებლად. ხმარების წინ ფიჭვის ჭურჭელი კარგად უნდა გაიორთქლოს და დიდი ხნით წყლით სავსე უნდა იდგას. წყალი ხშირად უნდა გამოეცვალოს, რათა არ მოხდეს დალპობა. ასეთი ხერხით ხდება მასში ფისოვანი სუნისა და გემოს მოცილება.

ნ ა ძ ვ ი ს მერქანი კარგად იპობა, როგორც რადიუსის, ასევე წლიური შრეების გასწვრივ, მაგრამ ირანდება მხოლოდ ბოჭკოების გასწვრივ და ღუნვისას ადვილად ტყდება. ის ნაკლებად შეიცავს ფისებს, ვიდრე ფიჭვის მერქანი, ამასთან მხოლოდ ცილის ნაწილზე (მერქნის გარეთა ფენა, რომელიც უშუალოდ მოთავსებულია ქერქის ქვეშ), რომელიც ტკეჩის დამზადებისას არ გამოიყენება. ნაძვის ტკეჩებისაგან ამზადებენ კასრებს თევზის შესაფუთად (განსაკუთრებით ჩრდილოეთის რაიონებში), კომბოსტოს მწნილისათვის, ზოგიერთი სხვა პროდუქტებისათვის, აგრეთვე სხვადასხვა ჭურჭელს საოჯახო მეურნეობისათვის. ნაძვის კასრებს იყენებენ აგრეთვე ისეთი მშრალი სახის საქონელის ტრანსპორტირებისათვის, როგორიცაა: ცემენტი, მშრალი საღებავები, ქიმიკატები და სხვა.

ს ო ჭ ი ს, კ ე დ ა რ ი ს (ციმბირული) და ლარიქსის მერქანი მათი გავრცელების ზონაში გამოიყენება სამეურნეო ჭურჭლის დასამზადებლად, აგრეთვე თევზის შესაფუთად.

ყველაზე მეტად გავრცელებული ჭურჭელი, ამობურცულ მუცლიანი კასრები შედგება ცალკეული ფიცრებისაგან –ტკეჩებისაგან, რომლებიც შეერთებულია სამი განცალკავებული ნაკრებით. ორი მათ შორის ძირია, ბრტყელი ფორმის (უმრავლესობა მრგვალი), ხოლო მესამე – ჩონჩხი – შედგება სიგრძეზე მოხრილი ფიცრებისაგან, ჩონჩხის ფიცრების გვერდითი წიბოები გასალაშინებულია ისეთნაირად, რომ მჭიდროდ მიეკრან ერთმანეთს. ფიცრები ერთად დაკავებულია მომჭიმი რგოლის საშუალებით. კასრის ძირი ჩადგმულია ჩონჩხის ღერძის პერპენდიკულარულად. ძირის წიბო ჩამჯდარია ჩონჩხის შიდა მხრიდან, წიბოს მახლობლად ამოღებულ ღარში. ამობურცულ მუცლიანი კასრის კონსტრუქციის განსაკუთრებულობა ის არის, რომ მისი ტკეჩები წარმოქმნიან თაღს, რომლის საშუალებითაც იზრდება ნაკეთობის სიმტკიცე. [100.]

დამზადების მიხედვით, ტკეჩები იყოფა ნაპობ და დახერხილად. ნაპობი ტკეჩი წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის ფიცრებს, რომლებიც დაპობილი და გამოთლილია ნაჯახით. მათი დამზადება შემდეგნაირად ხდება: ტყეში არჩევენ ტკეჩის დამზადებისათვის საჭირო ხეს, რომლის ტანის დიამეტრი 1.2 – 1.5 მ. სიმაღლეზე 30 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ტანის ქვედა ნაწილზე – სწორი, თანაბარი, სწორფენოვანი, ვარჯის მაღალი მდებარეობით და დაუზიანებელი ქერქით, ლპობის ნიშნები ვიზუალურად შეუმჩნეველი უნდა ქონდეს და არ უნდა აღენიშნებოდეს ჭიანაჭამობა, არ უნდა ჰქონდეს ხმელი როკები (ტოტები).

ხეს გაქერქავენ, შემდეგ ხერხავენ მცირე ზომის კოტრებად, რომელთა სიგრძე ნამატის გათვალისწინებით (2-3სმ) უნდა შეესაბამებოდეს ტკეჩის სიგრძეს, საკასრე სახელოსნოში ტკეჩის შემდგომი ჩამოტორსვისათვის.

ტანის ქვედა ნაწილს, როგორც ყოველთვის უფრო მსხვილ ადგილს, უმრავლეს შემთხვევაში ხერხავენ მოკლე მორებად, რომლებიდანაც შემდეგში ამზადებენ მოკლე, მაგრამ ფართე ტკეჩებს კასრის ძირებისათვის, მორები ძირისათვის, შესაბამისად აგრეთვე თვით ძირის ტკეჩები უნდა იყოს არა უმეტეს 25-30% მთელი დამზადებული პარტიისა.

ხის ტანის გაქერქვისას საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ ყელის გადაჭრა მოხდეს ზუსტად ტანის ღერძის პერპენდიკულარულად, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაზუსტად გადაჭრილი კოტრიდან დამზადებული ტკეჩები იქნება სხვადასხვა სიგრძის და არასწორი ფორმის.

შემდეგ ოპერაციას წარმოადგენს დაპობა სექტორებად. კოტრს დებენ ბოლოთი ზემოთ და ამ ბოლოზე აღნიშნავენ გაპობის ხაზს. ნაჯახის ბასრ პირს დებენ ამ ხაზზე, ხოლო ნაჯახის მეორე მხარეს ურტყამენ ხის ჩაქუჩით. ამასთან ყოველი დარტყმის შემდეგ ნაჯახს გადააადგილებენ რადიუსის გასწვრივ ჯერ ერთი მხრიდან ცენტრისაკენ, შემდეგ საწინააღმდეგო მხარედან ცენტრისაკენ, ისე, რომ ნაჯახი მოძრაობდეს ცენტრზე გამავალ ერთ სწორ ხაზზე. Aასე ხდება მორის შუაზე გაპობა. შემდეგ თითოეულ ნახევარს აპობენ კიდევ 2 ნაწილად. მიღებულ მეოთხედებს კიდევ აპობენ შუაზე და ა.შ. მანამ, სანამ მიღებული სექტორიდან არ გამოვა მხოლოდ ერთი ტკეჩი. თუ 25 სმ სისქის ტკეჩის მიღება უნდათ, ასეთი სექტორის სისქე (რკალის სიგრძე) არ უნდა იყოს 40 სმ-ზე ნაკლები.

ზოგ შემთხვევაში ტკეჩის დიდი გამოსავლიანობის გამო მორის პირველი გაპობით მიღებულ ნახევარს აპობენ არა 2, არამედ 3 ნაწილად,

მაგრამ, როგორც წესი, თითოეული მორიდან უნდა იქნეს მიღებული სექტორების ლუწი რაოდენობა.

მსხვილი კოტრების დაპობისას, ტკეჩების დიდი გამოსავლიანობისათვის იყენებენ სექტორების რიგზე დაპობის მეთოდს. ორივე მეთოდი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ნახაზზე.



ერთრიგობრივი დაპობა ორრიგობრივი დაპობა

ნახაზი 2.1. ტკეჩების მიღების ორი მეთოდი

დაპობა მიმდინარეობს რადიალურად. ე.ი. რადიუსის მიმართულებით ტანის გამჭოლი ჭრით. სექტორების დაპობის შემდეგ ახარისხებენ და აწყობენ ზვინებად.

დაპობილი ტკეჩების წარმოებაში ბოლო ოპერაციას წარმოადგენს სექტორებისათვის მართკუთხედის ფორმის მიცემა, რაც მიიღწევა სპეციალური, ერთ მხარეს ალესილი ნაჯახით გათლისას.

იმისათვის, რომ სექტორი ნაჯახით გათლისას იყოს უძრავ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს ტკეჩის სწორად გათლას, მას ამაგრებენ სპეციალურ ტკეჩის გასათლელ მოწყობილობაში. ამ მიზნისათვის შეიძლება აგრეთვე ჯირკის გამოყენება. ამოჩეხავენ ჩაღრმავებას, სადაც დებენ სექტორს გათლისათვის.

თავიდან სექტორს თლიან ერთი მხრიდან, შემდეგ მონიშნავენ ამ გათლილი გვერდის პარალელურ ხაზს. გათლილი გვერდისა და

მონიშნულ ხაზს შორის მანძილი უნდა შეესაბამებოდეს ტკეჩის სისქეს ნამეტების გათვალისწინებით შრობაზე და დამუშავებაზე 10%-მდე.

როცა სექტორს დაამუშავებენ და გათლიან ერთი მხრიდან ნახევრამდე, მას გადმოაბრუნებენ მეორე ბოლოთი ზემოთ და იგივე ოპერაციას ასრულებენ მეორე ნახევრისათვის. ორივე მხრიდან გათლილ ტკეჩს შემდეგ თლიან წიბოებზე. გათლილ ტკეჩს ალაგებენ შტაბელების სახით.

ასეთი მეთოდით მიღებულ ტკეჩს ეწოდება ,,რადიალური პობით'' ანუ რადუსის გასწვრივ პირობით მიღებული ტკეჩი.

რადიალური პობით მიღებული ტკეჩი წარმოადგენს ძვირფას მასალას საკასრე წარმოებისათვის, რადგანაც მას გააჩნია მთელი რიგი დადებითი თვისებები, რომელიც არ აქვს ტანგენციალური, ანუ კოტრის დიამეტრის პარალელურად პობით მიღებულ ტკეჩს.

რადიალური ტკეჩის შრობა მიმდინარეობს თანაბრად. ამასთან ის ნაკლებად დეფორმირდება.

რადიალური ტკეჩის შრობისას წარმოქმნილი ბზარები ჩნდება ტკეჩის სიგანის სიბრტყის პარალელურად, ამიტომ არც თუ ისე ამცირებს მის ხარისხს, რადგანაც არ ქმნის ღრმულებს, საიდანაც შეიძლება სითხემ გამოჟონოს. ტანგენციალური ტკეჩის შრობისას კი გამჭოლი ბზარები წარმოიქმნება. სინესტის ზემოქმედებისას ტანგენციალურ ტკეჩში მცირე ზომის ბზარები ჯირჯვდება და სითხის გამოჟონვა აღარ ხდება. ეს კი იძლევა საშუალებას გამოვიყენოთ ასეთი ტკეჩები ზოგიერთი სითხეებისათვის კასრების დასამზადებლად.

კასრები ზეთისათვის, ცხიმებისათვის და სხვა თხევადი პროდუქტებისათვის უნდა იყოს განსაკუთრებულად მჭიდრო. ასეთი კასრები მზადდება აუცილებლად რადიალური ტკეჩისაგან, ამასთან

კასრის შიგა ზედაპირს ფარავენ სპეციალური შემადგენლობით (ემალირება) რათა კედლებს მიეცეთ სითხეგაუმტარობის თვისება.

ტანგენციალური ტკეჩისაგან აკრებილი კასრის ემალირებას აზრი არ აქვს, რადგან დეფორმირებისას და ბზარების გაჩენისას ასეთი ტკეჩი ემალს ცუდად იკავებს.

ძვირფასმერქნიანი ნედლეულის უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის მუხის მერქანი, პირველ რიგში მისი დანაწევრებისას, იხერხება ბუკებად, განსაკუთრებით ხარისხიანი ტკეჩის მისაღებად. შემდეგ უფრო დაბალი ხარისხის მერქნისგან და ბოლოს ნარჩენებისაგან ხერხავენ მოკლე ბუკებს ჩხირებისათვის და საპარკეტე ფიცრებისათვის. ძვირფასი მერქნიდან ტკეჩების დამზადების პროცესი ისეთივეა, როგორც ზემოთ არის აღწერილი, მაგრამ ასეთი ტკეჩი გარედან მუშავდება საგულდაგულოდ.

დახერხილი ტკეჩი იყოფა ორ სახედ: სწორი და ცილინდრული. სწორი ტკეჩი წარმოადგენს ბრტყელ მართკუთხა ფიცარს, რომლის სიგრძე მეტია ამ კასრის სიმაღლეზე, რომელიც მისგან უნდა დამზადდეს. ტკეჩის სიგანე 7-8-სმ-ია, ხოლო სისქე 9-დან 35 მმ. ასეთი ტკეჩი იხერხება ჩვეულებრივი მრგვალხერხა ჩარხზე ან პატარა ჩარჩო ხერხით დაძლევის მეთოდით. თუკი ტკეჩის გვერდითი წიბოები ჩამოხერხილია, მაშინ ასეთ ტკეჩს ჰქვია ჩამოგანილი, თუკი ჩამოუხერხავია – ჩამოუგანავი.

თუკი კოტრი იხერხება მრგვალხერხა ჩარხზე ან ჩარჩოხერხზე, მაშინ უბრალოდ პირდაპირ ხერხვისას (ნახ. 2.2) რადიალური ტკეჩის დიდი გამოსავლიანობით მიღება შეუძლებელია. ასეთი ტკეჩი მიიღება მხოლოდ კოტრის შუა ნაწილიდან. დანარჩენი მასიდან კი მიიღება ნახევრადრადიალური და ტანგენციალური ტკეჩი.

N



ნახაზი 2.2

Kკოტრის პირდაპირი ხერხვა

N

მრგვალხერხა ჩარხზე კოტრის დანაწევრებისას შესაძლოა შერჩეული იქნეს ხერხვის ისეთი მეთოდი, რომლის დროსაც რადიალური ტკეჩის გამოსავალი იზრდება. ასეთი დანაწევრების პრინციპი მოცემულია ნახ. 2.3-ზე.



Nნახაზი 2.3 ბუკის დახერხვის პრინციპი რადიალური და ნახევრადრადიალური ტკეჩის დიდი გამოსავლიანობისათვის



ნახაზი 2.4 ბუკის დანაწევრება

გახერხვის რაოდენობა დაძელვისას არის – 4, დანაწევრებისას – 25, წიბოების ჩამოხერხვისას – 24, განახერხის სიგანე n დაძელვისას – 8 მმ-ია, გამოხერხვისას – 5 მმ, ჩამოგანისას – 5 მმ, ტკეჩის ზომები (მმ) – სისქე – 29, სიგანე – 61-108, ფიცრები (მმ): სიგანე – 37-72, სისქე – 10, დახერხილი მასალის თეორიული გამოსავალი %-ში გამოსახული არის- 67,4; ტკეჩის – 60,0; მათ შორის რადიალური – 40, ფიცრების – 7,4.

სანამ შემდეგი დამუშავება მოხდება, ტკეჩებს უნდა ჩაუტარდეთ შრობის პროცესი. ეს პროცესი მნიშვნელოვნად ადიდებს ტკეჩისა და მზა პროდუქციის ხარისხს. მას მინიმუმამდე დაჰყავს მზა კასრის ფორმის შემდგომი შეცვლა (დეფორმაცია), აცილებს მზა პროდუქციას დაბზარვას, ჩაჯდომას, ეწინააღმდეგება ლპობას, აადვილებს დამუშავებას, მოპირკეთებას, რაც საბოლოოდ ზრდის კასრის სამსახურის ვადას.

არსებობს შრობის 2 მეთოდი – ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივი შრობისას (4-6 თვის განმავლობაში) ტკეჩებს აწყობენ შტაბელებად მშრალ, კარგად განიავებულ ადგილზე. შტაბელების ქვემოთ აწყობენ მორებს (30-35 სმ მიწიდან), ზემოდან კი აწყობენ ტკეჩებს შტაბელებად. ყველაზე რაციონალური წყობა ხდება რიგების

გადაჯვარედინებით. იმისათვის, რომ ორ მეზობელ ტკეჩს შორის იყოს თავისუფალი არე არა ნაკლებ ტკეჩის სიგანის ნახევრისა, შტაბელებს დგამენ ერთმანეთისაგან 40-50 სმ-ის დაშორებით. თუკი შრობა ფარდულში არ ხდება, მაშინ განაპირა რიგში ტკეჩებს ისე ალაგებენ, რომ ზედა ტკეჩის ტორსი გადმოშვერილი იყოს ქვედა რიგის ტკეჩებზე და ფარავდეს მათ. ასეთი დაწყობისას მცირდება ტორსებზე ბზარების გაჩენის საშიშროება. ბუნებრივი შრობისას ტკეჩის ტენიანობა დაიყვანება მხოლოდ 15-18 %-მდე და იგი შემდგომ შრობას გადის სახელოსნოში.

უფრო სრულყოფილი შრობა მიმდინარეობს სპეციალურად აღჭურვილ შენობაში – საშრობ კამერაში, სადაც 10-12% ტენიანობის ტკეჩის მისაღებად 20 -30 მმ სისქის რბილფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშის მერქანი შრება დაახლოებით 2-3 დღე, ხოლო მაგარფოთლოვანი ჯიშის მერქანი კი - 8-12 დღე. ხელოვნური შრობისას ტკეჩის ხარისხი მაღალია და წუნი მინიმუმზე დაიყვანება.

უფრო რაციონალურია ორთქლის საშრობი. მასში ჰაერი თბება ორთქლის კალორიფერებიდან (მილებიდან), რომელთა შიგნითაც გადის ცხელი ორთქლი (ორთქლის ქვაბიდან).

ტკეჩიდან ტენის მოცილება უნდა მოხდეს თანდათანობით. მეტად ინტენსიური შრობისას შეიძლება მოხდეს ,,გაკაჟება‘‘, ე.ი. მერქნის ისეთი მდგომარეობა, როცა მისი გარეთა შრეები ტენისაგან გათავისუფლების შემდეგ მცირდება, იმავდროულად, როცა შიდა შრეები ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულან ტენისაგან, ამიტომ შიდა შრეები ზომებში არ შემცირებულა. გარეთა და შიდა ნაწილების ზომების ასეთი არასწორი შეცვლის შედეგად მათში აღიძვრება ძაბვები, რომლებიც იწვევს დაბრეცას, ბზარებს.

მერქანში შრობისას გაჩენილი ტორსის მცირე ბზარები უმეტესად შეინიშნება მუხის მერქნის შრობისას, გარკვეულწილად აღნიშნული წუნი

შეიძლება აღვკვეთოთ ტორსებზე ცარცის ხსნარის წასმის შედეგად, და სხვ. ასეთი საფარი ხელს უშლის ტენის ინტენსიურად აორთქლებას ტორსების ზედაპირიდან, ამის გამო აგრეთვე მცირდება მერქნის შიდა ძაბვები, რომლებიც იწვევენ ტორსებზე ბზარების გაჩენას.

გამომშრალი ტკეჩი წარმოებაში გადაცემამდე თანდათან უნდა გაგრილდეს (დავაყოვნოთ) რამდენიმე დღის განმავლობაში დახურულ შენობაში ოთახის ტემპერატურაზე. ასეთი დაყოვნების შედეგად თავიდან იქნება აცილებული მერქნის მცირე ზედაპირული გამოწრთობა, რომელიც ყოველთვის წარმოიქმნება ხელოვნური შრობისას.

როგორც ბუნებრივი შრობისას, ისე საშრობ კამერებში, ტკეჩი უნდა იქნეს დაწყობილი შტაბელების სახით ჯვარედინი რიგებით. დაწყობა ხდება ვაგონეტზე, რომლის საშუალებითაც ხდება მათი კამერაში ჩატვირთვა.

კასრის ჩონჩხის დამზადებას წინ უსწრებს საჭირო რაოდენობის ტკეჩის ამორჩევა. მათი სიგრძე და სიგანე უნდა შეესაბამებოდეს დასამზადებელი კასრის ჩონჩხის ზომებს, ანუ კასრის კედლების სიმაღლეს და სისქეს.

ტკეჩის ამორჩევის შემდეგ ხდება მათი დამუშავება. პირველ რიგში გადაჭრიან სიგრძეში საჭირო ზომაზე, აგრეთვე აცლიან ტორსულ ბზარებს, თუკი ასეთი წარმოიქმნება შრობის დროს. თუკი ბზარები არ აქვს, მაშინ ტკეჩს ტორსავენ ერთი მხრიდან. გადაჭრა მიმდინარეობს ჩვეულებრივი სისო-ხერხით. ტკეჩს აწყობენ ტორსზე ვერტიკალურად დადგმულ მცხვილ მოკლე კოტრზე (ჯირკზე) და შაბლონის ზომაზე ახერხავენ მას პერპენდიკულარულად სიგრძეში ერთ ან ორივე ტორსს.

იმისათვის, რომ კასრის ჩონჩხი იყოს მრგვალი, მის შემადგენელ ტკეჩებს განივ ჭრილში უნდა ქონდეთ გამობერილ-მოხრილი ფორმა. შავი სახით ასეთ ფორმას ტკეჩს ანიჭებენ ნაჯახით – მისი შრეების ამოჩეხვით.

ამისათვის შრიდან, რომელიც კასრის ჩონჩხის გარე მხარეს არის მიმართული, ათლიან მთელ სიგრძეზე მერქანს ტკეჩის ნაპირებზე, შუაგულს კი ტოვებენ ხელუხლებლად. მოპირდაპირე ფენას, რომელიც მიმართული იქნება ჩონჩხის შიგა მხარეს, ამოუღებენ (აგრეთვე მთელ სიგრძეზე) შუა ნაწილს ღარის სახით. ამობურცული ჩონჩხის დამზადებისას ტკეჩის შიგა მხარის მთელი შუა ნაწილი კეთდება უფრო თხელი, ვიდრე ტორსებთან.

ტკეჩის გათხელება შუა ნაწილში (ამობურცულ ადგილზე) საჭიროა იმისათვის, რომ შემცირდეს წინააღმდეგობა ტკეჩის ღუნვისას.

ჩონჩხის ფორმის მიხედვით, ტკეჩის წიბოები ჩამოითლება სხვადასხვა სახით.

გამობურცულ ჩონჩხიანი კასრის დამზადებისას ტკეჩები ითლება შუაგულიდან ტორსებისაკენ, რის გამოც მისი სიგანე შუაგულში უფრო დიდი გამოდის, ვიდრე ტორსებში. ჩამოთლას ატარებენ ისე, რომ ტკეჩის სიგანის შემცირება ტორსებთან მოხდეს თანდათანობით და ერთნაირად, ე.ი. თითოეული წიბოდან ერთი და იმავე სიდიდით.

კონუსისებური ჩონჩხის შემთხვევაში ტკეჩის წიბოები ითლება ერთი ტორსიდან მეორემდე ისე, რომ ერთერთი ბოლო (ზედა ან ქვედა ჩონჩხის ფორმის მიხედვით ე.წ. ფართო ან ვიწრო თავით) იყოს ფართო ან ვიწრო მეორე ბოლოზე.

გათლილი ტკეჩი წარმოადგენს შავ ნამზადს – ლუგვულას. საბოლოო ფორმას და ზუსტ ზომებს ის იძენს სუფთა დამუშავებისას – ფენების გაშალაშინების და წიბოების რანდვისას.

გარეთა ფენის გაშალაშინება ხდება სწორი შალაშინით, ხოლო შიგა მხარე – ირიბი (მოხრილი) შლაშინით.

გაშალაშინება – ყველაზე შრომატევადი ოპერაციაა. ტკეჩი რომ დამაგრდეს საჭირო მდგომარეობაში და გახდეს უძრავი, ამისათვის იყენებენ საბონდარო მერხს.

არსებობს ტკეჩის თლისა და გაშალაშინების სხვა იშვიათად გამოყენებული მეთოდებიც – ,,შლიახტის'', წალდის, ამობურცული და ჩაბურცულ პირიანი შალაშინის საშუალებით.

ტკეჩის ,,შლიახტით'' და წალდით დამუშავება ნასესხები აქვთ ქართველებს დასავლეთევროპელი ოსტატებისაგან, რომელთა შორისაც დამუშავების ამ სახეობამ დიდი განვითარება ჰპოვა.

კასრის კედლები რომ გაუღწევადი იყოს, ტკეჩის წიბოები ერთმანეთს მჭიდროდ უნდა ეკვროდეს. ამისათვის მათ რანდავენ, ე.ი. ზუსტად და თანაბრად აშალაშინებენ სარანდავ ჩარხზე.

კასრის ჩონჩხისათვის მრავალი ფორმის მისაცემად არ არის საკმარისი ტკეჩის მოხრა და მისთვის ამობურცული ფორმის მიცემა. საჭიროა ტკეჩებს წიბოები ქონდეთ დახრილი ტკეჩის ფენის მიმართ. ამ დახრას ტკეჩს უკეთებენ გაშალაშინების დროს. დახრის სიზუსტეს, აგრეთვე სიგანის შემცირების სისწორეს, შუა ნაწილიდან ტორსებისაკენ, ამობურცულ ფორმას, ამოწმებენ სპეციალური განსაკუთრებული შაბლონის საშუალებით.

ასაწყობად მზა ტკეჩი გამოსახულია ნახაზი 2.5-ზე.



ნახაზი 2..5 დახრილ წიბოებიანი მზა

ტკეჩის საერთო სქემატური სახე.

განვიხილოთ კასრის ჩონჩხის აწყობა. კასრების აწყობას ახორციელებენ მუშა გვერგვზე ლითონის მომჭერის დახმარებით. მუშა გვერგვი წარმოადგენს 10-15 მმ სისქის მეტალის რგოლს მრგვალი ან ზოლოვანი რკინისაგან. მისი დიამეტრი უფრო დიდი უნდა იყოს ასაწყობი ჩონჩხის ტორსულ მომჭერზე. ამისათვის საბონდარო სახელოსნოში, სადაც ხდება სხვადასხვა დიამეტრის საბონდარო ჭურჭლის დამზადება, აქვთ სხვადასხვა დიამეტრის მუშა გვერგვის რამდენიმე ნაკრები.

კასრის ჩონჩხის აწყობისას გამოყენებული სალტეები მზადდება ლითონის ფირფიტისაგან, რომლებიც ზამბარისებურად შემოეჭირება კასრის ჩონჩხს და მუშა გვერგვთან იკავებს ტკეჩებს ერთად. ტკეჩებს ტორსებით რიგრიგობით აწყობენ მუშა გვერგვსა და სალტეს შორის, ხოლო შემდეგ კი ახდენენ მათ შემჭიდროებას. ამისათვის ერთ ერთ დამაგრებულ ტკეჩს მჭიდროდ მიადგამენ მეზობელ ტკეჩს, რომელსაც აგრეთვე ამაგრებენ გვერგვზე ახალ მდგომარეობაში. ასე აკეთებენ ყველა ტკეჩისათვის. საჭიროების შემთხვევაში კასრის დაშლისათვის და მისი ხელახლა აწყობისათვის ტკეჩებს ნიშნავენ როგორც შიდა, ასევე გარე ფარზე. როცა ტკეჩების აწყობის დამთავრებისას საჭირო ხდება ჩონჩხს გაუკეთდეს ბოლო ჩამკეტი ტკეჩი, მას არჩევენ საჭირო სიგანისას და დგამენ საჭირო ადგილზე. ზოგჯერ ტკეჩებს შორის მანძილი ისე მცირეა, რომ შეუძლებელია მათ შორის ჩაიდგას თუნდაც მინიმალური სიგანის ტკეჩი. ასეთ შემთხვევაში ამოიღებენ ერთ ან ორ გვერდით მდგომ ფართე ტკეჩს და მათ ადგილზე ჩადგამენ უფრო ვიწრო ტკეჩებს იმ ანგარიშით, რომ მათი ჩადგმით წარმოიქმნება იმხელა ადგილი, სადაც შეიძლება ჩაისვას საბოლოო ჩამკეტი ტკეჩი. თუკი არ მოხერხდება ასეთი ხერხით ტკეჩების შერჩევა, მაშინ ერთ ან ორ ტკეჩს ისევ აშალაშინებენ. როგორც კი

მთელი ჩონჩხი აიწყობა, მასზე აცვამენ მეორე სამუშაო სალტეს (საყელურს) ჩაქუჩის საშუალებით.

საყელური სალტეს შემდეგ გაკეთებული ტორსული სალტე მას რამდენადმე ჩააჯენს და მოუხსნის ჩაჭერას. ჩაქუჩის დარტყმით ასწორებენ ტკეჩის ბოლოებს. ამ ოპერაციაზე წარმოდგენას იძლევა ნახაზი 2.6.



ნახაზი 2.6 კასრის ჩონჩხის აწყობა

შემდეგ ოპერაციას წარმოადგენს მარაოსავით გაშლილი ტკეჩის ბოლოების მოჭიმვა. ამ ოპერაციისას ტკეჩი თავის შუა ნაწილში განიცდის ღუნვას. იმისათვის, რომ ტკეჩი არ გატყდეს, ჩონჩხს აცხელებენ. მერქნის გაცხელების შემდეგ ტკეჩი უფრო დამყოლი ხდება და იოლად იღუნება. ტკეჩში ჩამოტეხის, სიმრუდის და სხვა დეფექტების თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღუნვის პროცესის თანდათანობას –ის უნდა იყოს ნელი და ჩონჩხის გარშემო თანაბარი.

მერქნის გახურებისათვის, აგრეთვე მისი შემდგომი გამოწვისათვის ყველაზე მარტივი მოწყობილობა არის საცეცხლე ხუფი ან მაყალი, რომელსაც ჩვეულებრივად იყენებენ საბონდარო სახელოსნოებში.

მაგარფოთლოვანი ჯიშებისაგან დამზადებული სქელკედლიანი ტკეჩის გახურებისათვის იყენებენ ადუღებულწყლიან ჩანებს, რომლებშიც უშვებენ ჩონჩხს 15-30 წუთის განმავლობაში იყენებენ აგრეთვე გასაორთქლ ხუფებს, რომლებშიც გახურება მიმდინარეობს ცხელი ორთქლის საშუალებით.

კასრის ჩონჩხის გახურების შემდეგ, სანამ ის არ გაგრილებულა, ხდება მათი მოჭიმვა სპეციალური ჩარხის საშუალებით. ჩარხის ჩარჩოზე მიადგავენ კასრის ჩონჩხს და შემოავლებენ მას ფოლადის გვარლის ყულფს, რომლის ბოლოები დამაგრებულია ლილვზე მოძრავ ქანჩზე. მქნევარას საშუალებით ლილვის ბრუნვისას ქანჩი გადაადგილდება, ჭიმავს გვარლს და ახდენს ჩონჩხის მოჭიმვას. ეს სამუშაო ხორციელდება ორი მუშის მიერ. ერთი ატრიალებს ლილვს, მეორე ყულფს აცვამს და მუშაობის მსვლელობას აქცევს ყურადღებას.

როცა ტკეჩის ბოლოები მჭიდროდ მიეკვრება ერთმანეთს, კასრის ჩონჩხზე აცვამენ ტორსულ მუშა სალტეს. ამის შემდეგ ყულფს ხსნიან, ტორსულ სალტეს მოჭიმულ ბოლოზე ჩააჯენენ და აცვამენ მეორე მუშა საყელურ სალტეს.

ჩონჩხის მოჭიმვის შემდეგ ის უნდა გაშრეს, რომლის დროსაც ორთქლდება ის ტენი, რომელიც მიიღო მერქანმა ხარშვის ან გაორთქვლის დროს. ამ პროცესის დროს სალტეები თანდათან უნდა წაიწიოს ცენტრისაკენ, რათა ჩონჩხი არ დაიშალოს გაშრობის შემდეგ.

მოჭიმული ჩონჩხის ტკეჩები რომ მოხრილ მდგომარეობაში დარჩეს, მას გამოწვავენ (გამოაწრთობენ), ანუ მისი შიგა მხარე განიცდის მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებას რამდენიმე წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც მერქანს ენიჭება მუქი ყვითელი ან ღია ყავისფერი შეფერილობა. ძველი ოსტატები კასრში დებდნენ ბურბუშელას და წვავდნენ, თან ჩონჩხს აკოტრიალებდნენ (რათა არ დამწვარიყო) მანამ, სანამ არ მიიღებდა ოქროსფერს. შეიძლება გამოწვა სხვა ხერხებითაც.

გამოწვის შემდეგ, სანამ მერქანი არ გაცივებულა, ახდენენ მუშა სალტეების ჩაჯდომას. ამით კასრის სითხეგაუმტარობა იზრდება.

სალტეების ჩაჯდომის შემდეგ ხდება ჩონჩხის ტორსების გადაჭრა იმისათვის, რომ საბოლოოდ გათანაბრდეს ტკეჩების ბოლოები. ტორსებს

ჭრიან სისო-ხერხით. ხერხვა ხდება ისე, რომ განახერხის ზედაპირი რამდენადმე დახრილი იყოს კასრის შიდა მხარისაკენ.

იმისათვის, რომ ძირის შეერთებისას ჩონჩხთან მთელ სიმრგვალეზე იყოს მჭიდრო, ჩონჩხის შიდა მხარე უნდა იყოს თანაბარი. ამისათვის ორმაგი შალაშინით აშალაშინებენ იმ ადგილს, სადაც უნდა მოთავსდეს განივღარი. ღარს იღებენ ოვალური ფორმისას 2-3 მმ სიღრმეზე.

<u>Kკასრის ძირის დამზადება</u> იწყება საჭირო ზომის, რაოდენობისა და ხარისხის ტკეჩის შერჩევით.

კასრის ჩონჩხისათვის საჭირო ტკეჩებისაგან განსხვავებით ძირის ტკეჩები არ მოითხოვს მთელ რიგ ოპერაციებს. საბოდარო ნაკეთობის ძირი შედგება რამდენიმე ფიცრისაგან, რომლებიც შეკრულია ერთ საერთო ფარად. ძირი იმდენად მჭიდროდ უნდა იყოს შეკრული, რომ მასში სითხემ არ გაჟონოს. ამიტომ ძირის შემადგენელ ტკეჩებს საგულდაგულოდ უსწორებენ და აჯენენ ერთმანეთის გვერდით. როგორც კასრის ჩონჩხის ტკეჩების, ასევე ძირის ტკეჩების რანდვა ხდება ზემოთ აღნიშნულ სპეციალურ საბონდარო რანდზე ან ჩვეულებრივი სადურგლო შალაშინით. ძირის შუა ნაწილისათვის განკუთვნილ ტკეჩებს რანდავენ ორივე წიბოზე, ხოლო განაპირა ტკეჩებს – ერთი მხრიდან. გარანდული წიბოები უნდა იყოს ზუსტად პერპენდიკულარული ტკეჩის სიბრტყის. ტკეჩების წიბოებით ერთად დალაგებისას მათ შორის სინათლე არ უნდა გადიოდეს. გარანდული ტკეჩებისაგან აწყობენ ძირის ფარებს. მათი სიგანის და ძირის მიხედვით ასეთი ძირები ძირითადად შედგება 4-6 ტკეჩისაგან.

არჩეული ძირის ტკეჩებს შეკრავენ ფარად ანუ როგორც ბონდარები ამბობენ – კერავენ. ეს ოპერაცია უმრავლეს შემთხვევაში სრულდება რკინის პატარა ნაჭრებისაგან, რომლებსაც ჭრიან სატეხის საშუალებით. იმისათვის, რომ ეს რკინის ნაჭრები ანუ სოგმანები კარგად ჩაერჭონ ხეში, მათ ანიჭებენ რომბისებურ ფორმას.



ნახაზი 2.7 კასრის ძირის აწყობა

ფარს რანდავენ ორივე მხრიდან შალაშინით. იაფი კასრების დამზადებისას, თუკი ეს გათვალისწინებულია ტექნიკური პირობებით ან სტანდარტით, აშალაშინებენ მხოლოდ ფარის გარეთა მხარეს. ფარიდან გამოხერხილი ძირის დიამეტრი ზუსტად უნდა ემთხვეოდეს კასრის ჩონჩხის დიამეტრს განივ ღარში, ის განისაზღვრება ფარგლის საშუალებით. იმის ცოდნა, რომ წრეში ჩახაზული წესიერი ექვსკუთხედის გვერდით სიგრძე ამ წრის რადიუსის ტოლია, საშუალებას იძლევა გავიგოთ ფარის დიამეტრი. ამისათვის მიღწეული უნდა იქნას ის, რომ ფარგლის ბიჯი (დაშორება გაშლილ ფეხებს შორის) ზუსტად ექვსჯერ მოთავსდეს კასრის განივ ღარში.

ძირის გამოხერხვა ხდება სისო-ხერხით, რომელსაც აქვს თხელი ხერხის პირი და ზუსტად შეიძლება ფარგლით შემოხაზული წრის ხაზის მიყოლა. ძირის გამოხერხვის დამთავრების შემდეგ კასრის ჩონჩხს გადაატრიალებენ მეორე ბოლოთი ზემოთ, განსაზღვრავენ ზემოთაღნიშნული მეთოდით მეორე ძირის დიამეტრს და გამოხერხავენ მეორე ძირსაც.

კასრის განივ ღარში ძირის ნაპირები რომ ჩაჯდნენ, აუცილებელია რამდენადმე შემცირდეს მისი სისქე, რადგანაც ძირის სისქე საერთოდ უფრო მეტია, ვიდრე განივი ღარის სიგანე. ამისათვის ძირის ნაპირებს გარშემო შემოაშალაშინებენ.

გარეთა ნაზოლს ჩვეულებრივად იღებენ ძირის სისქის 1/3 ნაწილზე, შიგას კი 2/3-ზე. ამის შესაბამისად ნაზოლის სიგანეს აკეთებენ სხვადასხვას, გარეთას ჩვეულებრივ ვიწროს, ვიდრე შიგას.

კასრის ჩონჩხისა და ძირის დამზადების შემდეგ ხდება ლითონის სალტეების დამზადება. სალტეს აკეთებენ საჭირო პროფილის და საჭირო სიგრძისას. რომ განისაზღვროს მისი სიგრძე საჭირო ადგილზე, ზომავენ კასრის გარშემოწერილობას აღნიშნულ ადგილზე და ამას ამატებენ 8-10 სმ-ს ბოლოების შეერთებისას ერთმანეთზე გადადებისათვის. ბოლოებს ამაგრებენ სოგმანებით. სალტე რომ კასრზე მჭიდროდ შემოერტყას, ამისათვის მას დებენ ლითონის სადგარზე ან გრდემლზე და ჩაქუჩის დარტყმით ქვედა ნაპირზე მას თითქოს გაწელავენ მეორე ნაპირთან შედარებით. ამის შედეგად სალტე ღებულობს კონუსურ ფორმას.



ნახ. **2.8** კასრის ლითონის სალტე

ძირის ჩასმისათვის კასრის ჩონჩხს დებენ ტორსის ზემოთ. მას ხსნიან ტორსულ სამუშაო სალტეს და უტოვებენ შეკვრის სალტეს. ამის გამო ჩონჩხის ბოლოები ოდნავ დაშორდებია ერთმანეთს და განივი ღარიც გაგანიერდება. ძირის ერთი ნაპირის ნაზოლს დებენ განივ ღარში და ხელით თანდათანობით აჯენენ ძირს. როცა ნაზოლის უმეტესი ნაწილი ჩაჯდება ღარში, ძირის საბოლოო ჩაჯენა ხდება ჩაქუჩით. ძირის ჩასმის შემდეგ კასრს უკეთებენ ტორსულ სალტეს და აჯენენ რაც შეიძლება ქვემოთ. ამით ის მჭიდროდ აჯენს ძირს ღარში. ზუსტად ასევე ხდება მეორე ძირის ჩაჯენაც.

ძირის ჩასმის შემდეგ კასრს აძრობენ შეკვრის სალტეს და ახდენენ გარე ზედაპირის გაწმენდას ჩაკიდულობებისაგან, რომლებიც წარმოიქმნება სხვადასახვა სისქის ტკეჩებისაგან და მათი არათანაბარი

მოხრისას აშალაშინებენ კასრს ტკეჩების გასწვრივ. ამის შემდეგ კასრს დგამენ იატაკზე ტორსით. ტორსის პარალელურად აცვამენ მუდმივ შეკვრის სალტეს ჩაქუჩის დახმარებით ზუსტად თავის ადგილამდე. ამის შემდეგ ხდება საყელური სალტეს ჩამოცმა და შემდეგ უკვე ხსნიან ტორსულ მუშა სალტეს. ამის შემდეგ, როცა ტკეჩის ბოლოები რამდენადმე შორდება ერთმანეთს, ადვილი არ არის მუდმივი ტორსული სალტეს ჩამოცმა. ამისათვის იყენებენ გამჭიმს. როდესაც სალტეს ჩამოაცვამენ, შემდეგ ხდება მათი ჩაჯდომა საჭირო ადგილზე ჩაქუჩის დარტყმით. შეიძლება გამოყენებული იქნეს ხის ან კომბინირებული (ხის და ლითონის) სალტეები. აუცილებელი ჩამჯდარი სალტეების შეერთების კვანძები მოთავსებული იყოს ერთ ტკეჩზე. (ნახ. 2.9.).

სითხისათვის საჭირო კასრებს ერთ-ერთი ფართე ტკეჩის შუა ადგილზე ამობურღავენ ნახვრეტს საცობისათვის. მის კედლებს ჩვეულებრივად ანიჭებენ კონუსურ ფორმას, რომელიც გარეთ ფართოვდება. ამას ახერხებენ კონუსური ბურღის საშუალებით ან ჭრიან ხელით.



ნახაზი 2.9 კასრზე ლითონის სალტეების განლაგება

მზა კასრი უნდა შემოწმდეს სითხეგამტარობაზე. თუკი ღრეჩოები დიდი არ არის, მაშინ წყალი გამოჟონავს მხოლოდ პირველ წუთებში, სანამ ხის მერქანი არ გაჯირჯვდება. თუკი წყლის გამოჟონვა არ შეწყდება ნახევარი საათის შემდეგ, საჭიროა დეფექტების გამოსწორება. ღრეჩოების

ამოვსება შეიძლება საკასრე ბალახით, რომელსაც ამზადებენ წინასწარ. ახმობენ და ინახავენ კონების სახით მშრალ ადგილზე დაკიდებულს. საკასრე ბალახად ხმარობენ ჭილოფის ფურცლებს და ლელქაშის ღეროებს. თუკი ღრეჭო აღმოჩნდა ტკეჩებს შორის, მასში სვამენ გამხმარ ჭილოფის ფართე ფურცელს, ხოლო თუკი ღრეჭო განივ ღარშია – ლელქაშის ღეროს.

ცაცხვის, ვერხვის, თხმელის, ალვის, ნაძვის მერქნისაგან დამზადებული კასრებისათვის საკმარისია გაიორთქლოს მდუღარე წყლით, ხოლო მუხის კასრები მოითხოვს სპეციალურ დამუშავებას. პირველად მათ 2-3 კვირით ავსებენ ცივი წყლით, წყალს ცვლიან დღეგამოშვებით, თავიდან გადმოღვრილი წყალი შეფერილია ღია ყავისფრად, შემდეგ თანდათანობით წყლის ფერი გახდება ღია, როგორც კი გადმოღვრილი წყალი იქნება სუფთა, მას ცვლიან თბილი სოდიანი წყლის ხსნარით (20 გრამი 1 ლ-ზე). ნახევარი საათის შემდეგ კასრში ავლებენ ჯერ ცხელ, შემდეგ ცივ წყალს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მუხის კასრის გამოყენება კვების პროდუქტების შესანახად.[100.]

<u>შრომისა და სამუშაო ადგილის ორგანიზაცია ხდება</u> შემდეგნაირად: საბონდარო სახელოსნოებში, სადაც მუშათა რაოდენობა მცირეა და სამუშაო ადგილიც შეზღუდულია, მუშაობა ხდება, რა თქმა უნდა, შრომითი დანაწილების გარეშე. ყველა ოპერაცია, რაც ჭირდება ნაკეთობას, სრულდება ერთი ხელოსნის მიერ თავიდან ბოლომდე.

შრომის და ტექნოლოგიური პროცესის სწორი ორგანიზაციისათვის საჭიროა, რომ ნედლეულის ნახევრადდამუშავებული დეტალების და ნაკეთობის მსვლელობა ხდებოდეს დროის მინიმალური დანაკარგებით. შესასრულებელი ოპერაციის მიხედვით მუშათა სამუშაო ადგილები მკაცრად უნდა იქნეს გაანგარიშებული.

ყველა სამუშაო ადგილზე უნდა იყოს საჭირო იარაღები. მეკასრის ინსტრუმენტების, ხელსაწყოების და მასალის განლაგების სქემა სამუშაო ადგილზე ნაჩვენებია ნახაზი 2.10-ზე.



ნახაზი 2.10 ხელსაწყოების ინსტრუმენტების და მასალების განლაგება მეკასრის სამუშაო ადგილზე

1 - დაზგა, 2- ჯირკი, 3 - საბონდარო მერხი, 4 – საბონდარო რანდი, 5 - ინსტრუმენტების კარადა (დაზგის ზემოთ), 6 - ფანჯარა, 7 - დაუმუშავებელი ტკეჩის ადგილი, 8 - დამუშავებული ტკეჩის ადგილი, 9 - ადგილი კასრის ჩონჩხისათვის, 10 - ადგილი ძირებისათვის, 11 - ადგილი მზა ნაკეთობისათვის, 12 - გრდემლი. [102].

ერთი სამუშაო ადგილის ფართობი საშუალოდ უნდა იყოს არა ნაკლებ 10-15 $მ^2$. ტკეჩის, სალტეების და მზა ნაკეთობის სახელოსნოსთან ახლოს შენახვისათვის აუცილებლად უნდა მოეწყოს საწყობები: ტკეჩისა და სალტეებისათვის – ფარდულები, ხოლო მზა პროდუქციისათვის – დახურული ნაგებობა. სასურველია, თუკი სახელოსნოსთან იქნება შექმნილი ყველა იმ პირობათა მინიმუმი მაინც, რომელსაც მოითხოვს ადამიანთა დაცვა უბედური შემთხვევებისაგან.

<u>კასრის ტიპების კლასიფიკაცია.</u> კასრებს ტარისთვის არჩევენ შემდეგი ნიშნების მიხედვით [97.გვ.114].

1.ფორმის მიხედვით –ცილინდრული, წაკვეთილი კონუსისებური, ჩვეულებრივი (გამობურცული) კასრები

2.ხის ჯიშის მიხედვით – მუხის, ვერხვის, ცაცხვის და ცხვა კასრები.

3.ხარისხობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე შესაფუთი პროდუქციის თვისებების მიხედვით – ,,მტკიცე'' კასრები სითხეების შესანახად და კასრები მშრალი პროდუქტებისათვის და სხვადასხვა საცალო ნივთებისათვის.

4. შესაფუთი პროდუქციის სახეობის მიხედვით – ღვინისათვის მუხის კასრები, ლუდისათვის (მუხის, ძალიან მტკიცე, რომ გაუძლოს დიდ შიგა წნევას), ნავთისათვის (ვერხვის, ამოწებებული შიგნიდან), თევზისათვის (კასრები სითხეებისათვის ან მშრალი პროდუქტებისათვის), კასრები ბადაგისათვის, თაფლის, ხილფაფისათვის (ჩვეულებრივად ცაცხვის), კასრები ღვინის ესენციისათვის (შიგნიდან გამდნარი პარაფინით დაფარული), კასრები კარაქისათვის (თხელი წიფელის ტკეჩისაგან) და სხვ.

5. სალტეების მიხედვით – ხის სალტეებიანი, ლითონის სალტეებიანი და შერეული ტიპის კასრები.

6. დამზადების მეთოდის მიხედვით – კუსტარულად ნაკეთები (ხელის ინსტრუმენტებით დამზადებული) მექანიკური მეთოდით დამზადებული (მექანიკურ ჩარხებზე) კასრები.

<u>საბონდარო ჭურჭლისათვის დამახასიათებელი თვისებები</u> შემდეგია:

გამობურცული ფორმის კასრი ყუთებთან შედარებით ფლობს შემდეგ უპირატესობებს:

1. თავისი ფორმის გამო კარგად ეწინააღმდეგება გარე ძალების მოქმედებას – წნევას და დარტყმებს, ვინაიდან ყოველი ტკეჩი წნევას გადაცემს მეზობელ ტკეჩს.

2. სალტეები რომლებიც შემორტყმული არიან კასრს, მარტივად და მკვრივად, აგრეთვე საიმედოდ აერთებს კასრის შემადგენელ ტკეჩებს ერთ

მთლიან ნაკეთობად ლურსმნების გარეშე. რაიმე მიზეზით მოშვებული სალტე შეიძლება ისევ ადვილად შემოეჭიროს კასრს მისი წაწევით კასრის გამობერილი ნაწილისაკენ.

3. კასრი ასევე წარმატებით ეწინააღმდეგება კასრის შიგნით მოთავსებული მასისაგან გამოწვეულ შიგა ძაბვებს კასრის შემადგენელი ნაწილებისა, ძირისა და სალტეების წყალობით.

4. კასრის ჩონჩხისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ვიწრო ტკეჩები სიმტკიცის მნიშვნელოვნად შემცირების გარეშე, იმ კასრთან შედარებით, რომლისთვისაც გამოყენებულია ფართე ტკეჩი.

5. კასრის მრგვალი და ამობურცული ფორმა საშუალებას იძლევა ადვილად გადაადგილდეს კასრი გადაგორებით ნებისმიერი მიმართულებით. აგრეთვე შესაძლებელია მისი სიმაღლეზე ატანაც დახრილი ზედაპირის საშუალებით დარტყმებისა და ბიძგების გარეშე.

6. კასრი ადვილად იხსნება ისე, რომ არ დაზიანდეს მისი შემადგენელი ნაწილები.

7. კასრის გამოყენება შეიძლება მრავალჯერადად. ე.ი. აქვს ბრუნვადობის თვისება, თუკი მოხდება სატარე მეურნეობის ორგანიზაცია. კასრის ეს დადებითი თვისებები მას ხდის მეტად გავრცელებულ ჭურჭლად, რომელსაც აქვს მრავალმხრივი გამოყენება.

კასრების ჭურჭლად გამოყენებას აქვს ნაკლოვანებებიც, რომელთა შორისაც შეიძლება აღინიშნოს:

1. ყუთის ტარისაგან განსხვავებით საბონდარო ტარას აქვს უფრო მაღალი ფასი. ეს აიხსნება მისი შემადგენელი ნაწილების აუცილებელი დამუშავებით. ეს კი არა მარტო აძვირებს მუშაობის ღირებულებას, არამედ ზრდის მერქნის ხარჯსაც.

2. კასრები მრგვალი ფორმისა და მისი გამობერილობის გამო საწყობებში შენახვისას იკავებენ დიდ ადგილს და საწყობის შიგა ფართობის გამოყენება მცირდება.

3. ცარიელი კასრების ტრანსპორტაბელურობა მცირეა, მათი გადატანისას მცირე წონისას დიდი მოცულობის დაკავების გამო გადაზიდვების ხარჯები დიდია. კასრების გადატანა შეიძლება დაშლილი სახითაც, მაგრამ ეს იწვევს დამატებით ხარჯებს.

<u>მზა კასრის ტევადობის განსაზღვრა</u> ძალზე მარტივად შეიძლება. ამისათვის მას ავსებენ წყლით. ასავსებად იყენებენ წინასწარ ცნობილ ტევადობის ჭურჭელს, მაგალითად ვედროს, რომლის ტევადობაა 12 ლიტრი ან ლიტრიან ჭურჭელს. ძირითადი საზომი ერთეულის სახით ლიტრის გარდა, გამოიყენება აგრეთვე უფრო დიდი ერთეულები: როგორიცაა დეკალიტრი (დკლ), რომელიც 10 ლიტრის ტოლია და ჰექტოლიტრი(ჰლ), რომელიც 100 ლიტრის ტოლია.

თუკი კასრის დამზადება ჯერ კიდევ დაპროექტების სტადიაშია, მაშინ მისი ტევადობის განსაზღვრა ხდება ფორმულით, რომელიც დამოკიდებულია კასრის ძირითად ზომებზე, ეს ზომებია:

1.კასრის შიგა სიმაღლე (ძირებს შორის დაშორება). ჩვეულებრივ აღინიშნება ლათინური ასო ,,H‘‘-ით.

2.შიგა დიამეტრი (ყველაზე დიდი). აღინიშნება ,,D‘‘

3. შიგა დიამეტრი კასრის თავთან (ე.ი. ძირთან). აღინიშნება ,,d‘‘

არსებობს ტევადობის განმსაზღვრელი რამდენიმე ფორმულა. თუმცა ყველაზე ხშირად იხმარება სამი ფორმულა. პირველში იგულისხმება, რომ პირობითი ცილინდრის ფუძის ფართობი ტოლია იმ სამი ფართობის საშუალო არითმეტიკულისა, რომლებიც მოთავსებულია: ორი კვეთი ყველაზე ფართე ადგილზე და ერთი კვეთი თავთან. ნათელია, რომ კასრის მოცულობა უფრო მეტია, ვიდრე მისი სიმაღლისა და ფუძის ტოლი

ცილინდრისა, და ამასთან უფრო ნაკლები, ვიდრე იგივე სიმაღლისა და მისი დიდი დიამეტრის ტოლი ფუძის მქონე ცილინდრის მოცულობა. ფორმულაში მიღებულია, რომ კასრის მოცულობა ტოლია ერთი ცილინდრის(რომელსაც აქვს კასრის ქვედა ძირის ტოლი ფუძე) და ორი ცილინდრის, (რომელთაც აქვთ კასრის ყველაზე დიდი დიამეტრის ტოლი დიამეტრის ფუძე) მოცულობების საშუალო არითმეტიკულის, რადგან ცილინდრის მოცულობა ტოლია ფუძის ფართობისა და სიმაღლის ნამრავლისა, მაშინ კასრის მოცულობა (V) გამოითვლება შემდეგი სახით

$V=1/3\ (2\pi D^2/4+\pi d^2/4)H$ ან $V=\pi H/12(2\ D^2+ d^2)$ ან $V=0{,}262\ H(2\ D^2+ d^2)$

მეორე ფორმულაში მოცემულია, რომ ცილინდრის ფუძე ტოლია კასრის ყველაზე დიდი დიამეტრისა და დიამეტრების (დიდი დიამეტრის და კასრის თავის დიამეტრის) სხვაობის მესამედის სხვაობის. ამ პირობით კასრის მოცულობა შეიძლება გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით: $V=\pi/4((D-(D- d)/3))^2\ H$ ან $V=\pi H/4\ ((2\ D+ d)\ /3)^2$

ბოლო ფორმულა გვიჩვენებს, რომ კასრი ტოლდიდია (მოცულობით) ცილინდრისა, რომელსაც იგივე სიმაღლე აქვს და ფუძედ წრე, რომლის დიამეტრი ტოლია სამი დიამეტრების საშუალო არითმეტიკულის. ამ ფორმულის გამარტივებით მივიღებთ:

$$V=0{,}087\ H\ (2\ D+ d)^2$$

მესამე ფორმულაში მიღებულია, რომ კასრი ტოლდიდია ცილინდრის, რომელსაც აქვს იგივე სიმაღლე, ხოლო ფუძე ტოლია რვა დიამეტრის საშუალო არითმეტიკულისა, რომელთაგან 5 კასრის დიდი დიამეტრია, 3 კი კასრის თავის. ფორმულა ღებულობს [32გვ.116] ასეთ სახეს: $V=\pi H/4((5D+3\ d)/8))^2$ ან $V=\pi H/256(5D+3\ d)^2$

ან $V=0{,}0122\ H\ (5\ D+ 3d)^2$

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ თუკი კასრის სიმაღლე და დიამეტრი აღებულია სანტიმეტრებში, მაშინ მოცულობა მიიღება $მ^3$. თუკი ზომები აღებულია დეციმეტრებში, მაშინ მოცულობა მიიღება ლიტრებში.

ამ ფორმულებით მიღებული შედეგების თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს ცხრილი 1. კასრის ზომებია: H=5სმ D=5სმ d=45სმ

ცხრილი 2.1.

ნომინალური ტევადობა	ტევადობა ლიტრებში. გამოთვლილი ფორმულით		
	1	2	3
100	101.2	100.9 99.4	

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ზემოთმოყვანილი კასრის ტევადობის გამოსათვლელი ფორმულები გვაძლევს პრაქტიკული მიზნებისათვის სრულიად საკმაოდ მისაღებ ცდომილებებს.

მზა კასრში არსებული მერქნის კუბატურის და ნედლეულიდან მზა ნაკეთობის გამომუშავებისას სასარგებლო გამოსავლის პროცენტის ცოდნა საშუალებას გვაძლევს გამოვიანგარიშოთ ნედლეულის ხარჯი, რომელიც საჭიროა წარმოებისათვის. აღვნიშნოთ კასრის გარე დიამეტრები D^1 და Dd^1. სიმაღლეები. H^1- მანძილი ძირების გარე ზედაპირებს შორის და h - კასრის ჩონჩხის ნაპირების ამაღლება ძირთან შედარებით. მეორე ფორმულის გამოყენებით მივიღებთ მოცულობას:

$$V_1=0,087H^1(2D^1-d^1)^2$$



ნახაზი 2.11 მზა კასრის ჩონჩხი ჭრილში

ანალოგიურად გამოითვლება შიგა მოცულობაც:

$$V_2=0,087H(2D^{+}d)^2$$

ბოლოს, კასრის ჩონჩხის ძირთან ამაღლების მოცულობა შეიძლება გამოითვალოს, როგორც ორი ცილინდრის მოცულობის სხვაობა, რომელიც 2 ამაღლებული რგოლისათვის გამოითვლება ფორმულით:

$$2h(\pi(d^1)^2/4 – \pi d^2/4)$$

ამრიგად, მზა კასრში მერქნის მოცულობის გამოსათვლელად მივიღებთ ფორმულას:

$$V=0,087H^1(2D^1-d^1)^2 -0,087H(2D+d)^2+2h(\pi(d^1)^2/4 – \pi d^2/4)$$

მერქნის ხვედრითი ხარჯი (ე.ი. ხარჯი კასრის ტევადობის ერთ ერთეულზე) მცირდება კასრის ტევადობის ზრდასთან ერთად, ამიტომ დიდი ზომის კასრის მოხმარება ხელსაყრელია. მეორე მხრივ, კი მათი ჩატვირთვა და გადმოტვირთვა საკმაოდ შრომატევადია და მოუხერხებელი. მცირე მომხმარებლებზე პროდუქტების განაწილებისას მცირე ზომის ტარა უფრო მოსახერხებელია.

კასრების დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის განსაზღვრა მზა ნაკეთობაში, მერქნის კუბატურის ცოდნის გარდა, კიდევ საჭიროა ტარის დამზადებისას მერქნის სასარგებლო გამოსავლის ცოდნა. სასარგებლო გამოსავალი სხვადასხვაგვარი არსებობს და დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

1. ნედლეულის სახეობაზე. ბუკიდან გამოსავალი ჩვეულებრივად მცირეა, ვიდრე ფიცრებიდან ან ტკეჩებიდან, რომლებმაც უკვე გაიარეს რამდენადმე დამუშავება. დაპობილი ტკეჩიდან უფრო მცირეა გამოსავალი, ვიდრე დახერხილიდან.

2. ნედლეულის ხარისხსა და სორტზე. როკების დიდი რაოდენობა, ბზარები და სხვა დეფექტები ადიდებენ წუნს და მცირდება გამოსავალი.

3. კასრის სიდიდეზე. მცირე კასრების წარმოებისას სასარგებლო გამოსავალი მცირეა, იმის გამო, რომ თხელი ტკეჩის ნარჩენებში მიდის მერქნის დიდი რაოდენობა.

4. ერთდროულად დამზადებული კასრების ასორტიმენტზე. დიდი მოცულობის კასრების დამზადებისას მიღებული ნარჩენები შეიძლება გამოყენებული იქნას პატარა ზომის კასრების დასამზადებლად. ამიტომ ხელსაყრელია მშრალი პროდუქტებისათვის განკუთვნილი კასრები დამზადდეს სითხეებისათვის განკუთვნილ კასრებთან ერთად.

5. კასრებისათვის საჭირო მოპირკეთებაზე. მაგალითად, ტკეჩი ან ძირი შეიძლება გაშალაშინდეს ერთი მხრიდან.

6. მიღებული ტკეჩის განივ პროფილზე – გვერდულა ერთგვარი სისქით ან შუაში გათხელებული (მაგარი ჯიშის მერქნის ტკეჩის უკეთ მოხრისათვის).

7. საბონდარო საამქროსა და ნარჩენების საუტილიზაციო დამხმარე საამქროს კომბინირებაზე. (მაგალითად საყუთე საამქროსთან). წარმოების ასეთი ორგანიზაცია ზრდის ნედლეულის გამოყენებას, ე.ი. ზრდის სასრგებლო გამოსავალს.

მრგვალი ბუკებიდან კასრების დამზადებისას სასარგებლო გამოსავალი 34 – 47%-ის ტოლია. ტკეჩებად დაპობილი ნედლეულიდან- 46

– 56%-ის. შესაბამისად ნარჩენი მიიღება (6% შრობაზე გათვალისწინებით) 60 – დან 47% და 48 – დან 38%. [97.]

პრაქტიკულად მრგვალი ბუკიდან მერქნის სასრგებლო გამოსავალი მერყეობს 40-დან 48%-მდე ბუკის კუბატურიდან. დაპობილი ტკეჩიდან გამომუშავებისას -50-დან 50%-მდე – ტკეჩის კუბატურიდან. ერთმხრივ დაპობილი ტკეჩიდან გამოსავლის უფრო მაღალი პროცენტი არ მიუთითებს მერქნის საერთოდ მთლიან გამოყენებას, რადგან ტყეში, თვითონ ტკეჩის გამომუშავებისას გამოსავალი დიდი არ არის. ამის გათვალისწინებით კი საერთოდ დაპობილი ტკეჩიდან კასრის დამზადებისას გამოსავალი საკმაოდ დაბალია, ვიდრე მრგვალი ბუკებიდან და არ აღემატება 21 – 25%. მრგვალი ბუკიდან კარაქისათვის კასრების დამზადებისას გამოსავალი არ აჭარბებს 30%, რაც აიხსნება ამ კასრებისათვის თხელი ტკეჩების დამზადებით.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დასავლეთ საქართველოში ხის კასრების წარმოების აღორძინება.

მე-19 საქართველოში ხაზინის შემოსავალი ტყეებიდან იმდენად მცირე იყო, რომ იგი დაცვისა და მმართველობისათვის საჭირო ხარჯებს ვერ ფარავდა. [86.გვ.98] ამიტომ სახაზინო ტყეები შედარებით მოგვიანებით და ნელ-ნელა იჩეხებოდა. მემამულეთა ტყეების გაჩეხვა კი სწრაფად ხდებოდა. Aაქ მზადდებოდა სამშენებლო მასალა, ყავარი, მუხის განძელები რკინიგზისათვის, პარკეტი, საკასრე მასალა, ბზა, კაკლის მორები, ძელები და სხვა. [57.გვ.64]

საქართველოს სატყეო მრეწველობისათვის ნიშანდობლივი იყო ის გარემოება, რომ მთისა და ციცაბო ხეობების ტყეებიდან დიდი ზომის მორების გამოზიდვის სირთულის გამო, მრავალ საგანთა დამზადება თვით ტყის სიღრმეში მიმდინარეობდა, რაც ხელით შრომას

განაპირობებდა. ასეთი გზით ხდებოდა საკასრე ტკეჩების დამზადებაც. [81.გვ.145].

საქართველოში რეფორმის შემდგომ ხანაში კასრებზე მოთხოვნილების გადიდება განაპირობა, ერთმხრივ, სასაქონლო მეურნეობის სწრაფმა ზრდამ, და მეორე მხრივ, მასზე ბათუმის ნავთობის საექსპორტო ქარხნების გაზრდილმა მოთხოვნილებამ. [78.გვ296]. სასაქონლო მეურნეობის, კერძოდ, მეღვინეობის გარდა, სპირტიანი სასმელების კაპიტალისტური საწარმოები, რომელთა შორის თავისი სიდიდით გამოიჩეოდა რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოების პირველი დამფუძნებლის, დავით სარაჯიშვილის ქარხნები. Mმას მუხის კასრების დასამზადებლად შერჩეული ჰქონდა აფხაზეთის (გუდაუთის) მაღალმთიანი რაიონის მუხა. [94.] აფხაზეთში მუხის საკასრე ტკეჩები დიდი რაოდენობით მზადდებოდა და ის ძირითადად ექსპორტის საგანს შეადგენდა.

40-იან წლებში სამეგრელოს ტყეებიდან გაჰქონდათ განსაკუთრებით დიდი რაოდენობის საკასრე ტკეჩები. [75.გვ.2].

1894 წ. სოხუმის რაიონიდან 1,5 მლნ ცალი ტკეჩი გაიგზავნა მეტწილად საფრანგეთში და მცირე რაოდენობით ყირიმში. 1896წ. ზღვისპირა ტყეების გაჩეხვის გამო მისი დამზადება ერთ მილიონამდე შემცირდა. [99.გვ.42].

ზოგიერთი დარგის ნაწარმზე დიდმა მოთხოვნამ გამოიწვია ხელოსნობის ახალი დარგების წარმოშობა და განვითარება. ხის დამუშავების დარგში შედარებით მზარდ სახელოსნოებს კასრების დამამზადებელი სახელოსნო-საწარმო წარმოადგენდა.

1880 წლიდან დასავლეთ საქართველოში დაარსდა რამდენიმე კაპიტალისტური სამრეწველო საწარმო. მათი ძირითადი კაპიტალი სულ დაახლოებით 12 მლნ. ფრანკს შეადგენდა. [95.გვ.191].

ისინი ეწეოდნენ ზღვისპირა ტყეების (სოხუმიდან-ოჩამჩირემდე) ექსპლუატაციას, რადგან ეს ტყეები ყველაზე უფრო მოსახერხებელ

ადგილზე იყო. Aაქ საკასრე ტკეჩების გარდა, მზადდებოდა იფნისა და მუხის ძელები, პარკეტი და სხვ.

1886 წ. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა გენერალური აღწერის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში ხის დამმუშავებელი 108 სახელოსნოა აღრიცხული. [46.გვ.122]. ქუთაისში ხის დამმუშავებელი 27 სახელოსნოდან 21 სადურგლო სახელოსნო იყო, მათ შორის ორი კასრების დამამზადებელი. Uუფრო მსხვილი საკასრე სახელოსნოები ბათუმში იყო, რომლებიც 1886 წლიდან მანუფაქტურულ საწარმოებად ჩამოყალიბდნენ. მთლიანად ქალაქში 14 სახელოსნო იყო აღწერილი, საიდანაც ორი, კასრების შემკეთებელ სახელოსნოს შეადგენდა. მათგან ერთში 10 მუშა, ხოლო მეორეში – 4 დაქირავებული მუშა იყო.

მე-19 ს. მანძილზე მუხის საკასრე ტკეჩები დიდი რაოდენობით მზადდებოდა დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში. [5]. ეს მასალა ბათუმიდან, გუდაუთიდან და ოჩამჩირედან საზღვარგარეთ იგზავნებოდა.

1898წ. ბათუმიდან გაიგზავნა 5250 ფუთი ტკეჩი

1899წ. ,, ----- ‘‘ 7860 ,, ----- ‘‘

1900წ. 3000 ,, ----- ‘‘

1900წ. გუდაუთიდან 45000 ,, ----- ‘‘

1900 წ. შავიზღვისპირა ნავსადგურებიდან გაიგზავნა 351718 ფუთი ტკეჩი (მუხის). Aქედან ძირითადი ნაწილი საფრანგეთში გაიტანეს, დანარჩენი გერმანიაში, თურქეთში, ეგვიპტეში და საბერძნეთში.

მუხის ხის გაძლიერებული ექსპორტის შედეგად, კავკასიაში ამ ტყეების მარაგი ძალზე შემცირდა. 90-იან წლებში ბათუმიდან, საზღვარგარეთ და რუსეთში, ნავთობისა და მისი პროდუქტების გატანის გაფართოებასთან დაკავშირებით, კასრებზე დიდი მოთხოვნილების გამო, მუხის ხის გაძვირების შემდეგ თანდათან იმატა წიფლის ხისგან კასრების დამზადებამ.

1894 წ. წიფლის საკასრე ტკეჩები ბათუმში რკინიგზის გასწვრივ ახლოს მდებარე კერძო მფლობელობის ტყეებიდან შემოჰქონდათ. 100 ცალი უხეშად თლილი ტკეჩი 40-45 მან. Fფასობდა, სრულიად მზა კი- 10-15 მან. Mმეტად. [47.გვ.5].

ბათუმიდან ნავთობი და ზეთი საზღვარგარეთ კასრებით იგზავნებოდა. დასაწყისში ამისათვის მუხის კასრები გამოიყენებოდა. ის კასრები Nნაწილობრივ საზღვარგარეთიდან შემოდიოდა. [26].

1894წ. ბათუმის წლიურ მოთხოვნილებას 100 000 კასრისათვის საჭირო ტკეჩი შეადგენდა. Aაქედან 40 000 კასრი ადგილობრივი მასალით მზადდებოდა, რისთვისაც საჭირო ნედლეული ქობულეთიდან, ნატანებიდან და სუფსიდან ჩამოჰქონდათ. [58.გვ.68].

900-იანი წლებიდან საქართველოს ტყეებში საკასრე ტკეჩების დამზადება კიდევ უფრო გაიზარდა, განსაკუთრებით მსოფლიო ომის წინა პერიოდში. Mმას დიდი რაოდენობით მოიხმარდა რუსეთის კვების მრეწველობაც. დასავლეთ საქართველოში ამ წარმოების მთავარი ცენტრები იყო სურამის ქედის ორივე ფერდი, ახალციხე-იმერეთის ქედის ფერდობები (ბაღდათის უბანი), ოზურგეთის მაზრა, შავი ზღვის სანაპირო (ფოთი, ანაკლია და სხვა). Aამ რაიონებში საკასრე მასალად ძირითადად წიფელა გამოიყენებოდა. წიფლის კასრები საგანგებოდ მინერალური და მცენარეული ცხიმის გადასაზიდად გამოიყენებოდა. [81.გვ.95]. საჭირო მასალის მისაღებად არჩევდნენ და ჭრიდნენ ფოთლოვანი ჯიშის ყველაზე მაღალ და სწორ ხეს. იგი გარკვეული სიგრძის თანაბარ ნაწილებად იხერხებოდა და იჩეხებოდა ტკეჩებად. ხის დანაკარგი ამ დროს 25-30% ს აღწევდა. ხსენებულ სამუშაოზე მრავალრიცხოვანი მუშახელი იყო დაკავებული, მაგრამ ზუსტი რაოდენობის დადგენისათვის არავითარი მონაცემები არ არსებობს.

სარკინიგზო უწყების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით1900-იანი წლებიდან საკასრე ტკეჩების წარმოება, კიდევ უფრო, გაიზარდა. Aამ მონაცემების მიხედვით ნატანებიდან, რიონიდან, მარელისიდან, მოლითიდან, წიფადან, სურამიდან, გომიდან და სხვა სადგურებიდან გაგზავნილი საკასრე ტკეჩების წლიური რაოდენობა 1909წ 200 ათას ფუთს შეადგენდა. 1912-1913 წწ. კი 450 ათას ფუთამდე გაიზარდა. Aამ მასალის მეტი წილი ბათუმიდან სამხრეთ რუსეთში იგზავნებოდა. გარდა ამისა, ფოთის მიდამოებში და შავი ზღვის სანაპიროზე ყოველწლიურად 150000 ფუთამდე, ძირითადად იფნის, საკასრე ტკეჩები მზადდებოდა, რომელიც ფოთის ნავსადგურიდან გადიოდა. [81.გვ.97].

მთელ ამიერკავკასიაში საკასრე ტკეჩები ხელით მზადდებოდა და დიდი რაოდენობით საღდებოდა რუსეთში და საზღვარგარეთ. [81.გვ.100]

1902 წლისათვის საკასრე ტკეჩების და სხვა ძვირფასი ხის მასალის ბზისა და კაკლის დამზადებას მისდევდა 30-მდე ქართველი მრეწველი, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად იზღუდებოდნენ ბათუმში არსებული ხის მასალის შემსყიდველი სამი ფირმისაგან და ქარხნების მეპატრონეთაგან, რომლებიც ერთმანეთთან თავიანთი სურვილისამებრ არეგულირებდნენ საკასრე ტკეჩების ფასებს და ადგილობრივ მრეწველებს მცირე მოგება რჩებოდათ. ბათუმში გასაყიდად მოტანილი 1000 საკასრე ტკეჩი 46-47 მანეთი უჯდებოდათ და 43 მანეთზე მეტად ვეღარ ყიდდნენ. Mმოგების ნაცვლად ზარალს განიცდიდნენ. [6].

სოფელ კალდახვარაში არსებულ ბარონ დე კოსტექსის ქარხანაში 1885წ. მუშაობდა 18 კაცი, ხოლო ხე-ტყის მოჭრაზე ყოველდღიურად 100-მდე კაცი. საწარმოში 8 ცხენისძალიანი ერთი ორთქლის ქვაბი იდგა და მისი წლიური პროდუქცია 40 000 მან.შეადგენდა. აქ ამუშავებდნენ ფოთლოვანი ხის ჯიშებს, იფნის ხეს, მუხას, რცხილას, თელას და წიფელას. პარკეტის, ფიცრებისა და სხვა მასალების გარდა ამზადებდნენ საკასრე ტკეჩებსაც.

ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის-ტარის დამამზადებელი პირველი ქარხანა ააგეს ინჟინრებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ 1883 წ. ბათუმში. Qქარხანა ეკითვნოდა ,,კასპია-შავი ზღვის ნავთის დამმუშავებელ და სავაჭრო საზოგადოებას‘‘, რომელიც 1886 წლიდან როტშილდის ხელში გადავიდა. [73]. ამ საწარმოში 1885 წ 484 კაცი მუშაობდა. თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების გარდა, 172762 ხის კასრი დაამზადეს. ქარხანა მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა, რომელიც ორთქლის მანქანებით, ქვაბებით, სხვადასხვა დანადგარებითა და მანქანა-იარაღებით იყო აღჭურვილი. [71.გვ.200]. ამავე წელს ელერსისა და ბურგადტის საწარმომ, რომელიც წელიწადში 200 000 ცალ საკასრე ტკეჩს მოიხმარდა, 4600 კასრი დაამზადა. [114.გვ.28,44].

აღნიშნულ საწარმოთა გარდა, ქალაქში იმავე დანიშნულების რამდენიმე სხვა საწარმო მუშაობდა. თავდაპირველად ზოგიერთი მათგანი მანუფაქტურული ხასიათისა იყო, მაგრამ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და მექანიზაციის დანერგვის შედეგად მალე მსხვილ ქარხნებად გადაიქცნენ. ისინი დიდი რაოდენობის დახერხილ ხის მასალასა და საკასრე ტკეჩებს მოიხმარდნენ.

90-იანი წლების დასაწყისში ბათუმის ნავთობის საექსპორტო ქარხნების მიერ კასრებზე მოთხოვნილების ზრდის შედეგად ქალაქში რამდენიმე საკასრე მანუფაქტურა გაიხსნა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი საწარმო, რომელიც კრასინს ეკუთვნოდა, წლიურად 60 000 მან. ღირებულების კასრს ამზადებდა.

წიფლის კასრის დამზადება 3 მან 20 კაპ. ჯდებოდა, მუხისა კი 4-ჯერ ძვირი (1902წ.) ამავე დროს წიფლის კასრი უხარისხო იყო და მისგან დანაკარგი 5-დან 10%-მდე აღწევდა. [88.გვ.81].

კასრებით გადიოდა ნათობის ნარჩენი პროდუქტები, ზეთი და იშვიათად ნავთი. თითო კასრი 1 ფუთსა და 30 ფუნტს იწონიდა. საკასრე

ტკეჩები სოხუმიდან, ოჩამჩირედან, ტყიბულიდან, სურამიდან და სხვა ადგილებიდან იგზავნებოდა. კასრებისათვის საჭირო რკინას, საღებავს, წებოს ბითუმად მოვაჭრეთაგან იძენდნენ, რომლებიც რუსეთიდან შემოჰქონდათ. კასრების მანუფაქტურული წარმოება წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით არ გამოირჩეოდა. Kკასრების წარმოება თანდათან მცირდებოდა, რადგან ისინი იცვლებოდა თუნუქის ბიდონებით.

ნავთობი ხის კასრებით ძირითადად მახლობელ და შორეული აღმოსავლეთს მიეწოდებოდა. კლიმატური პირობების გარდა, Eეს გამოწვეული იყო სამიმოსვლო გზების მოუწესრიგებლობითაც, Aამავე დროს საცალო ვაჭრობისათვისაც ერთგვარ სიმარტივეს ქმნიდა.

1902 წლისათვის ნავთობის საერთო რაოდენობის 1,3% გაიგზავნა ხის კასრებით. [71.გვ.206]. Aამავე წლის ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშში დასახელებულია გუბერნიის 32 სახერხი ქარხანა, რომლის წლიური პროდუქცია 772 000 მანეთს შეადგენდა, სადაც 629 მუშა (კასრებისა -5 მანუფაქტურა , 556000 მან პროდუქციით და 170 მუშით) იყო დასაქმებული. [89.გვ.79].

კასრების მანუფაქტურული საწარმოთა ზრდის მაჩვენებლები [90.გვ.77][89.გვ.79][91.გვ.303][92.გვ.179] ასეთი იყო.

ცხრილი 2.2

წელი	საწარმოს რაოდენობა	მუშების რიცხვი(კაცი)	წლიური პროდუქცია (მან-ობით)
1899	5	190	260000
1902	5	170	566666
1910	4	130	200000
1912	5	163	207000

K

კაპიტალისტურ საწარმოთა შორის უნდა დავასახელოთ სადგურ რიონიდან 35 ვერსზე ალექსანდროვსკის მამულში მდებარე სახერხი ქარხანა, რომელიც საკასრე ტკეჩებს მანუფაქტურული წესით ამზადებდა. სტატისტიკურ მოამბეში მის შესახებ ნათქვამია: ,,ღირშესანიშნავი იყო წაბლარის ხევის აგარაკში ბელგიელი ტყისმრეწველების 1903-1904 წლების, იმ დროს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული ხე-ტყის სახერხი ქარხანა. Eეს ქარხანა მეორე ქარხნად ითვლებოდა საქართველოს ფარგლებში, საჭილაოს ქარხნის შემდეგ. წაბლარისხევის სახერხმა ქარხანამ 20 წელი იმუშავა. იგი 1925 წ. დაიხურა.‘‘[50].

Qქარხანაზე დამატებით ცნობებს გვაწვდის ნ.ნიკოლაძის არქივი, საიდანაც ვიგებთ, რომ საწარმო მასალას ალექსანდროვსკის ტყიდან იღებდა, რომლის ფართობი 4000 დესეტინას აღემატებოდა. საკასრე ტკეჩების დასამზადებლად ქარხანაში 28 სახერხი ყოფილა. [27]. 1905 წლის რევოლუციის გამო შეშინებულმა ბელგიელებმა საქმეს თავი დაანებეს და სამშობლოში დაბრუნდნენ.

ციმბირის კარაქის დამამზადებელი საწარმოთა მოთხოვნილება წიფლის ხის ტკეჩებზე გაიზარდა. Aამ ქარხნებს ყოველწლიურად ორ მილიონამდე კასრი ესაჭიროებოდათ. ციმბირის კარაქის ძირითადი მომხმარებლები - დანია და ინგლისი კარაქს მხოლოდ წიფლის კასრებით იღებდა. Oომიანობის გამო რუსეთს შეუწყდა გერმანიიდან საკასრე ტკეჩების მიწოდება, ამიტომ ხელისუფლება ცდილობდა კავკასიიდან მიეღო მანქანური წესით დამზადებული ტკეჩები, მაგრამ მისი დამამზადებელი ქარხანა მხოლოდ ორი აღმოჩნდა. თანაც გასარკვევი იყო კავკასიის წიფელისაგან დამზადებული ტკეჩები უპასუხებდა თუ არა მოთხოვნებს ხარისხის მიხედვით. Aამ საკითხის მოსაგვარებლად 1915 წ. კავკასიაში სატყეო კორპუსის ვიცე-ინსპექტორი გორნი მოავლინეს, საქართველოს წიფლის ტყეების სიუხვის მიუხედავად აღმოჩნდა, რომ

მანქანური წესით საკასრე ტკეჩების დამზადება მხოლოდ ორ ქარხანას შეეძლო: ბორჯომისა და წალარისხევის ქარხნებს. რადგან წაბლარისხევის ქარხანა უფრო კეთილმოწყობილი იყო, გადაწყვიტეს მას დაემზადებინა 200000 კასრის მასალა.[48.გვ.21]. ქარხანა კამერგერის ქვრივს, ნ.გ.ალექსანდროვსკაიას ეკუთვნოდა, რომლის მამულსა და ქარხნის საქმეებს მეტყეევე ლინევსკი განაგებდა. საწარმო დღეში 500 კასრს ამზადებდა. თითო კასრის სარეალიზაციო ფასი 65 კაპ. იყო. ქარხანაში 19 კაცი მუშაობდა. Mმას გარეთ კი 23 მუშა იყო დასაქმებული.[49.გვ.10-16]. 1914წ. მსოფლიო ომის გამო ქარხანამ შეკვეთები მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. ომის პერიოდში მუშების რიცხვი შემცირდა და ამ წრმოების დონე საგრძნობლად დაეცა.[93.გვ.313]

1915წ. დასავლეთ საქართველოს სახერხი ქარხნები წარმოებული პროდუქციის ოდენობით და დასაქმებული მუშების რაოდენობით მნიშვნელოვნად უსწრებდა აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც ამავე წელს ირიცხებოდა 17 სახერხი 343 მუშითა და 639 220 მან. წლიური პროდუქციით.[93.გვ.313].

საქართველოში ყველაზე მსხვილ კაპიტალისტურ სახერხ ქარხნებად მე-20 საუკუნის დასაწყისში ითვლებოდა გრაფ სბროიავაკის ქარხნები საჭილაოში, ფოთში, გაგრის სახერხი და ალექსანდროვსკის საწარმო. აღმოსავლეთ საქართველოში ზეზემანის ორი ქარხანა გორში და ორი სახერხი ქარხანა ბორჯომში. დანარჩენი ქარხნები საშუალო და მეტწილად მცირე წარმადობით ხასიათდებოდა. მათ მიერ მზადდებოდა: ძელები, ფიცრები, ლარტყა, საყუთე მასალა, საკასრე ტკეჩები და სხვა.

ტკეჩების წარმოება ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება საქართველოში განვითარდეს ხისდამმუშავებელი მრეწველობის ეს ერთ-ერთი დარგი და შეიქმნას ევროპის ბაზარზე კონკურენტუნარიანი

პროდუქცია. როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩვენ ქვეყანას რესურსი, ტრადიცია და გამოცდილება აქვს.

2.3 ქართული ხითხუროთმოძღვრების წინარე ისტორია. ხის ჭურჭელი

შინამრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ხის დამუშავება, რომლის საწყისები საუკუნეების სიღრმეში იძებნება. ხე იყო უძველესი, ყველაზე მეტად გავრცელებული, დასამუშავებლად ადვილი მასალა და ტყით მდიდარ ქვეყანაში მეურნის ყოფის ერთ-ერთი მთავარი მატერიალური საფუძველი. ხე-უძველესი დროიდან ყველაზე ხელმისაწვდომი და იაფი მასალაა საოჯახო მეურნეობაში.

საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო ხის დამუშავების მაღალი კულტურით, რომლის მასაზრდოებელ წყაროს მისი ტყით მდიდარი ბუნება და ადამიანის მრავალფეროვანი სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენდა. ხის დამუშავების მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდნენ ლაზები, (ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით –„ხელოვანნი ხის მეშვეობით‘‘) სვანები, ფშავ-ხევსურები, რაჭველები, იმერლები.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფოთლოვანი და წიწვოვანი ხის ჯიშები ხარობდა. წიწვოვანი ხის ჯიშებიდან ფიჭვი და ურთხმელი-უთხოვარი იყო გავრცელებული. ფიჭვნარი თუშეთში, პირიქით ალაზნის ხეობაში ჭარბობს. უთხოვარს უმთავრესად ბოძად, სარად იყენებდნენ. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში იგი მოხსენიებულია როგორც ძელი ულპოველი (გელათის ბიბლია).

ხის ჭურჭლის დასამზადებლად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფოთლოვანი ხის ჯიშებს – ცაცხვს, თელას, არყს, ვერხვს, მსხალს, წიფელს, ნეკერჩხალს, კუნელს, მთის ბოკვს, კაკალს იყენებდნენ. თუშეთში ფიჭვის

დიდი რაოდენობით გავრცელებამ განაპირობა მისი გამოყენება ხის ჭურჭლის ზოგიერთი სახის დასამზადებლად. იყენებდნენ მას აგრეთვე სამეურნეო იარაღების დასამზადებლად.

ცნობილია, რომ ხის ყველა ჯიში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა და ხელოსანი მათი გათვალისწინებით ამზადებდა მისთვის საჭირო ნივთს. ხალხი დიდი ხელოვნებით იყენებდა თითქმის ხის ყველა ნაწილს, ფესვებსაც კი. Kკაკლის ხის ფესვებიდან ამზადებდნენ სანაყებს. იგი დიდხანს ძლებს. Aარსებობს ასეთი გამოთქმაც – კაკლის ხის ფესვიდან დამზადებული სანაყები ოთხ თაობას ემსახურებაო.

არჩევდნენ ხის თვისებებს: სიმაგრეს (უმაგრესი ჯიშები- უთხოვარი ,,ორ მამას აბერებს‘‘, მსხალი, კაკალი; მაგარი ჯიშებია: მუხა, იფანი, წიფელი, ვაშლი, თელა, ლეკი, რცხილა; რბილ ჯიშებს მიეკუთვნება: ცაცხვი, ვერხვი, ფიჭვი, მურყანი, არყი). Mმაგარი ხე უმთავრესად სამშენებლო საქმეში გამოიყენებოდა. Aამ თავისებურებების გათვალისწინებით მზადდებოდა – ცაცხვისგან კოდი, სადღვებელი, კასრი; თელასაგან - ხონი, ხონჩა, ტაბაკი; ნეკერჩხლისაგან, ლეკისაგან - კოვზები, არყისაგან - სასმისები. ცომის საზელი ვარცლი და გობი ცაცხვის, წიფელას და თელისაგან მზადდებოდა. წყლის ჭურჭელი ფიჭვისა და ვერხვისაგან ითლებოდა, რადგან ეს ჯიშები წყალს ცივად ინახავდა. ზოგიერთი ჭურჭლის დასამზადებლად (მაგალითად კოდი, სადღვებელი, კასრი) ფუღუროიან ხეს იყენებდნენ. ნუჟრის (კოჟრისაგან) დამზადებული სასმისები საუკეთესოდ ითვლებოდა. ასეთი წანაზარდი უფრო ხშირად არყსა და ბიკვს აქვს, რომელიც არ დასკდება და ხანგრძელია. ნუჟრი ძალიან მაგარია და მერქანს ფენები ორნამენტივით აქვს განლაგებული.

ხელოსნები ხის ჯიშების გამოყენებას ადგილმდებარეობის მიხედვითაც ითვალისწინებდნენ. Mმზის გულზე გაზრდილი ხე უფრო მაგარი, გამომშრალი და უფრო ხარისხიანია, ჩრდილში კი ..დაქანცულია‘‘.

ქარისაგან გამრუდებული მერქანი ძნელი გასათლელია, ასევე რცხილას, არყს უჯრედები ,,ტაბაკისებურად'' აქვთ განლაგებული, რაც მის დამუშავებას აძნელებს.

Aარსებობდა აგრეთვე ხის ზოგიერთი ჯიშების, კერძოდ მუხის, გამაგრების წესი. Aამ წესით მოჭრილ ხეს ,,გაქერქავდნენ'' და ერთი წლის განმავლობაში ნაკელში ჩადებდნენ. Mმუხა რკინასავით მაგრდებოდა. Aამგვარად ამაგრებდნენ კაკალსაც, ტყემალს, თხილის მერქანს.

ხის სამასალედ მოჭრის დროს მის ხნოვანებასაც ითვალისწინებდნენ. სხვადასხვა ხის ჯიშს სამასალე დანიშნულებით სხვადასხვა ასაკი ჰქონდა. Mმაგალითად ფიჭვი 80 წლის, წიფელი - 70-80-ის, ხოლო ცაცხვი - 30-50 წლის.

სამასალე ხის მოჭრა უმთავრესად შემოდგომასა და ზამთარში ხდებოდა, როდესაც ხე მშრალი, ,,დაპურებულია'', ,,მძინარაა''. გაზაფხულზე მოჭრილი ხისაგან გაკეთებული ნივთი გასკდება.

აგრეთვე ხის მოჭრა და სხვა საქმიანობა დაკავშირებული იყო მთვარის ფაზებთან. სამასალე ხეს ორი კვირის ან გახუთშაბათებულ მთვარეზე მოჭრიდნენ. Aამ დროს მოჭრილი ხე არ ჭიანდება, არ დასკდება. საბუნებისმეტყველო მეცნიერების მონაცემებით გარკვეულია, რომ მწერების განვითარების რიტმულობა მთვარის ფაზების ცვლის სინქრონულია, რასაც ემპირიული გზით მიაკვლია ქართველმა მეურნემ.

საქართველოში საკმაოდ განვითარებული იყო წნული ნაწარმის დამზადება. Mმას იმდენად ფართო გამოყენება ჰქონდა, რომ მის გარეშე წარმოუდგენელი იყო ქართველი კაცის მეურნეობა. განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ინტენსიურად იყო განვითარებული მევენახეობა, მეხილეობა. Dდასაწნავად იყენებდნენ რბილ, ბოჭკოვან, ადვილად დრეკად მასალებს (თხილი, უზანი, შინდი, არყი, ცირცელი, შოთხვი). მანეული (ტირიფის ერთ-ერთი სახეობა) საუკეთესო წნულს იძლევა. თან მას

აშენებენ სანიაღვრო კვლების ირგვლივ, რომელიც ნიადაგს დახრამვისაგან იცავს.

საქართველოს მოსახლეობის ყოფაში ხის ჭურჭლის დამზადებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ხის ჭურჭლის დაზადება ოჯახური მრეწველობის ფარგლებში რჩებოდა. ზოგიერთ მხარეში მას შინამრეწველური ხასიათი ჰქონდა. სავარაუდო არის ხელოსნობის ჩანასახი ფორმების არსებობაც.

ოჯახური მრეწველობა, იგივე ოჯახური ხელოსნობა, ანუ ოჯახური სარეწები მრეწველობის უმარტივესი ფორმაა.

<u>ქართული ხით ხუროთმოძღვრება.</u> ძველი საქართველოს სამშენებლო ხელოვნების საწყისები ხითხურობაში უნდა ვეძებოთ. ხეშია ჩასახული და ჩამოყალიბებული არა მარტო ხალხური, არამედ მონუმენტური ხუროთ-მოძღვრების ძირითადი, მოცულობით – სივრცითი სტრუქტურები.

Kკავკასიონის დასვლეთ ნაწილში, სვანეთსა და რაჭა ლეჩხუმში ხით ხუროთმოძღვრებამ მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა როგორც მთლიანად ხისგან აგებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებში, ისე ქვითკირის შენობათა ინტერიერში.

დასავლეთ საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრება მთლიანად ხითხუროობის ხელოვნებას წარმოადგენს.

აღმოსავლეთ საქართველოს საცხოვრებლის ხუროთმოძღვრებაში საკედლო მასალად, ჩვეულებრივ, ქვას ან აგურს იყენებდნენ, მაგრამ სახცოვრებლის ძველი ტიპის აღნაგობა, მათი ხუროთმოძღვრული – მხატვრელი კონცეფცია ხის მასალაზეა დაფუძნებული.

საცხოვრებლის ახალი ტიპის (1-2 სართულიან, ფანჯრიან-აივნიანი სახლის) გავრცელებისას საქართველოს ყველა რეგიონის შენობათა არქიტექტურულ მხატვრულ სახლში წამყვან ადგილს იკავებს ხის აივანი,

ჩნდება ხის აივნის თავისებური სახეები, რომლებიც გარეგნობით ორგანულად ერწყმიან ხის სახლის ხუროთმოძღვრებას.[53.გვ.7]

ქართული ხუროთმოძღვრება მოიცავს ხალხურ ოსტატთა შემოქმედების სამ ძირითად წრეს:

1. დასავლეთ საქართველოს საცხოვრებელ, სამეურნეო და საკულტო ნაგებობებს
2. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ საქართველოს (სვანეთის) საცხოვრებლის ძველი ტიპების ინტერიერს.
3. ხის აივნებს, რომლებიც ქალაქის ან სოფლის საცხოვრებლის გარეგან სახეში წამყვან როლს თამაშობდნენ.

Gგარდა ამისა, საქართველოს ხითხუროებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე ავეჯისა და ბინის სხვა მოწყობილობათა, შრომის იარაღებისა და საყოფაცხოვრებო საგნების, მუსიკალური ინსტრუმენტების, ხის ჭურჭლის ორიგინალურ ფორმათა შექმნაში.

<u>თბილისის აივნები.</u> გასული საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც, ძველქართული საცხოვრებლის დარბაზისა და ბანიანი სახლის მაგიერ, ფართოდ ვრცელდება 2-3 სართულიანი სარკმლიან-სხვენიანი სახლი, საცხოვრებლის აუცილებელ ელემენტად იქცევა აივანი.

Uუკვე ოციანი წლებიდან აივნების მშენებლობამ თბილისში ისეთ ფართო გასაქანი მიიღო, რომ ქალაქის მმართველობამ თბილისისათვის ვითომდა ,,ევროპული სახის'' მინიჭების საბაბით, დაიწყო აივნების მოხსნა.

მიხეილ სერგის ძე გრიბოედოვი ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში თბილისის რეკონსტრუქციის შესახებ გადაჭარით ილაშქრებს აივნების განადგურების წინააღმდეგ. ,,არამც თუ უნდა შევუშალოთ ხელი- წერდა იგი, არამედ უნდა წავაქეზოთ მეპატრონე, რომელიც თავის სახლის გარშემო აივნის ან ფიცრული დერეფნის მიდგმას განიზრახავს. სახურავის კიდიდან

გადმოწეული ფარდული, რომელიც კედლიდან ერთი არშინის (არშინი-71,12სმ) ან უფრო მეტ მანძილზე მაგრდება ბოძებზე, აქაური ცხელი სარტყლის პირობებისათვის საჭირო ჩრდილს იძლევა და წინააღმდეგობას უწევს აგურის გადახურებას სიცხისაგან. სახლის შიგნით სიცხე ნაკლებია, უფრო გრილია. Yყველა აქაური ექიმის დამოწმებით ეს ჯანმრთელობისათვის აუცილებელია‘‘.

განსაკუთრებით მდიდრულად ამკობდნენ თბილისის აივნებს მე-19 ს. 60-იანი წლებიდან, როდესაც კაპიტალისტური წარმოების განვითარების, ბაზრების გაფართოებისა და ქალაქური ცხოვრების წინსვლის პირობებშის სახლის გარე ხუროთმოძღვრება წამყვან მნიშვნელობას იძენს.

Aაივანი ხდება ბინის შიდა სივრცის მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლად ქუჩასთან, კვარტალთან.

ხის აივნების არქიტექტურული ფორმები მომდინარეობს ღრმა ეროვნული ტრადიციებიდან, რაზედაც მიგვითითებს მათი პროტოტიპების გავრცელება ძველად: აივნის ,,ორდერი‘‘ რიკულებით, რომელიც შემოგვინახა ბაგრატის ტაძრის (1003წ) ერთმა რელიეფმა, შუასაუკუნეები დროინდელი საკურთხევლის კანკელები ყრუ, რელიეფებიანი მოაჯირებით. გვიანი შუა საუკუნეების ტრადიციული ორნამენტული მოტივები გამოყენებულია აივნის აჟურულ მოაჯირებში და სხვ. ამასთან აივნებში გონივრადაა გამოყენებული ევროპული კლასის ფორმები, რომელთა ადგილობრივი მოთხოვნილებების მიხედვით გადამუშავებაშიც ოსტატები ამჟღავნებენ გასაოცარ მხატვრულ ალღოსა და ფაქიზ გემოვნებას.

აივნები თბილისში აუცილებლად იღებებოდა (ღია ფერით). სოფლის სახლებში კი საღებავის გამოყენება იშვიათია.

თბილისური ხის აივნები ეროვნული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლებია. მათ ბევრ რამეში განსაზღვრავს არა მარტო

საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის თავისებურება, არამედ კვარტლის, ქუჩის, მთელი ქალაქის ხუროთმოძღვრულ – მხატვრული იერიც.

<u>მოჩუქურთმებული კარები.</u> მხატვრული ჩუქურთმა ხესა და ქვაზე ქართული ხელოვნების ტრადიციული სახეა, რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში ჩუქურთმა განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს მე-2 საუკუნიდან. Aამ პერიოდის მოჩუქურთმებული კარები გამოირჩევა ნახატის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, რთული სკულპტურული დამუშავებით, დეტალების სათუთი გამოძერწვით. ამასთან კარების საერთო კომპოზიცია არ კარგავს მკაფიოებასა და მთლიანობას. თავისი მხატვრული გამომსახველობით კომპოზიციური მთლიანობითა და მრავალფეროვნებით მოჩუქურთმებულ კარებს არაფრით ჩამოუვარდება დარბაზის შიდა საყრდენის- დედაბოძის, ოდა სახლის აივნის სვეტების, კიდობნებისა და ტაგრუხების მხატვრული დამუშავება.[53.გვ.21]

საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრება უპირატესად ხისაა. ხეშია ჩასახული და გაფორმებული საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო ნაგებობათა ისეთი ძირითადი მოცულობით-სივრცითი სტრუქტურები, როგორიცაა: ქართლ-კახური დარბაზი, სამცხე-თრიალეთის დარბაზოვანი, სამცხე-თრიალეთური ოდა და ,,ხორი‘‘, სვანური საცხოვრებელი მაჩუბი, საჯალაბოსა და ოდა-სახლის წნული სასიმინდეების მრავალფეროვანი ფორმები.

ხეშია შექმნილი აგრეთვე უნიკალური საკულტო ნაგებობანი, აჭარული ჯამე და დასავლეთ საქართველოს ერთდარბაზიანი ეკლესია.

ათასეული წლის მანძილზე დარბაზული საცხოვრებლის განვითარების პროცესში გამომუშავდა გეგმარებითი, ხუროთმოძღვრულ-მხატვრული და ტექნოლოგიური ხერხები, რომლებიც შესანიშნავად პასუხობდნენ ადგილობრივი პირობებისა და საშენი მასალების თავისებურებებს:

ა) დარბაზული სახლის თემაში სრულყოფილი განვითარება ჰპოვა დიდი ოჯახის საცხოვრებლის ინტერიერმა შინაგანი საყრდენებითა და მძიმე, მიწურებიანი სახურავით.

ბ) დამუშავებულია და ტექნიკურ სრულყოფამდეა აყვანილი გვირგვინული გადახურვების სისტემის ყველა სახესხვაობა (განსაკუთრებით კიბურ-კოჭოვანი გუმბათები), რომლებიც Fფართოდ იყო გავრცელებული მთელ ძველ სამყაროში.

გ) გამომუშავდა არქიტექტურული ფორმები, რომლებიც შესანიშნავად ითვალისწინებდნენ საშენი მასალის თვისებებს, აღქმის პირობებსა და ყოველი ცალკე ელემენტის როლს ინტერიერის საერთო გადაწყვეტაში.

დ) ხე-ტყის მასალის განსხვავებული თვისების გამო, გამომუშავდა ინტრერიერის გადაწყვეტის მხატვრული პრინციპები – ფოთლოვანი ჯიშის ხისათვის (ძირითადად მუხისათვის) ქართლში და წიწვოვანი ჯიშის მასალისათვის (ძირითადად ფიჭვისათვის) სამცხე –თრიალეთში.

ე) დამუშავებულია და მხატვრულ სრულყოფამდეა მიყვანილი საყრდენი ბოძის ფორმა, იგი შორეულ მსგავსებას ამჟღავნებს ეგეოსის სამყაროს ,,ორდერთან‘‘. ორივე მათგანი, ანტიკური ,,ორდერის‘‘ სვეტისაგან განსხვავებით, ზემოთ განიერდება.

ვ) გამომუშავებულია დეტალების ჩუქურთმით დამუშავების მხატვრული ხერხები, რომლებშიც მჟღავნდება ხით-ხუროს მაღალი გემოვნება და ზომიერების გრძნობა, საერთო კომპოზიციაში ამა თუ იმ ელემენტის მნიშვნელობისა და აღქმის პირობების ღრმა გაგება. ცალკეული ნაწილების დაქვემდებარება უმთავრესი ფორმირებისათვის ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც ქართლის, ისე მესხეთის დარბაზებისათვის. [53.გვ.21]

დასავლეთ საქართველოს აივნის სვეტი დედაბოძისაგან განსხვავებით, გარეთა საყრდენი კონსტრუქციაა. იგი დედაბოძივით ცალკე კი არ დგას,

არამედ რიგითია – ერთ-ერთი საყრდენთაგანი, რომელსაც აივნის გადახურვა უჭირავს. Aაივანი ოდა სახლს მთელ ფასადზე გასდევს და ზოგჯერ მას ორ, სამ და ოთხ მხარეს უვლის. ოდა სახლის სახურავი, როგორც წესი, ოთხფერდაა და ყავრით ან კრამიტით კეთდებოდა. Aაივნის მოაჯირის გასწვრივ მოწყობილი იყო საჯდომი მერხები, რომელიც ფარავდა სვეტების ქვემო ნაწილს.

სვეტების საუკეთესო ნიმუშებში, თუ მათ სიმაღლეს პირობით 12,5 ნაწილად (მოდულად) გავყოფთ, კვადრატული კვეთის ქვედა ნაწილის, შუა 8-16 წახნაგოვანი ნაწილისა (დეკორატიული ქვებით) და ზედა კვადრატული ნაწილის ურთიერთშეფარდება გამოდის 4:5:3,5. სვეტების მეორე სახესხვაობაში ამავე ნაწილების ურთიერთფარდობა გვაძლევს შემდეგ სიდიდეებს 4,5:4,5:3. Aამ სვეტების სტრუქტურულ გადაწყვეტასა და დამუშავებაში ხით ხუროები იჩენენ ულევ ფანტაზიასა და სათუთ გემოვნებას, შესრულების დიდ ოსტატობასა და გამომგონებლობას. ჩვენთვის ცნობილია მსგავსი საყრდენების ათზე მეტი სტრუქტურული ვარიანტი, დამუშავებული მდიდარი ორნამენტული სამკაულით, რომელშიაც, როგორც წესი, ერთნაირი ჩუქურთმა არ მეორდება ერთი და იმავე ბოძის ორ წახნაგზეც კი. წერწეტი, ტანშეწყობილი პროპორციები, ორნამენტული მოტივების სინაზე, დეტალების სათუთი მოხაზულობა შესანიშნავად ეხმატკბილება სახლის მსუბუქ ხუროთმოძღვრულ ფორმებს, კოლხეთის რბილ, ცხოველხატულბუნებას.

სვეტების სამკაულში ფართოდაა გამოყენებული მცენარეული მოტივები, რაც ნაკლებადაა დამახასიათებელი აღმოსავლურ -ქართულ ხეზე კვეთილობისათვის. ცნობილია, რომ მრავალი საუკეთესო სახლი დასავლეთ საქართველოში აგებული იყო ძველთაგანვე სახელგანთქმული ლაზი ოსტატიების მიერ. მათი ვირტუოზული ბეჭდითაა აღნიშნული აგრეთვე ხუროთმოძღვრულ - მხატვრული გდაწყვეტით უნიკალური

დარბაზული კომპლექსები მესხეთ-ჯავახეთისა და თრიალეთში, განსაკუთრებით ,,თაკარებიანი ოდის'' ჰარმონიული ინტერიერი.

ქართული ხუროთმოძღვრების ბოძ-ბალავრის სისტემის ტექნიკურ გააზრებაში ყურადღებას იპყრობს ერთი თავისებურება, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ელემენტები აქ ინტერპრეტირებულია როგორც ჩარჩოვანი კონსტრუქციის ნაწილები. ბოძისა და ბალავრის შეხების ხაზზე სრულიად არაა გამოვლენილი. Mმეტიც, დარბაზულ კონსტრუქციებში შესაფერისი ადგილები სპეციალურადაა შენიღბული მხატვრული დამუშავების მახვილგონივრული ხერხებით.

Kკაპიტელი, ელემენტი, რომელიც ხისათვის არაა ორგანული, პირველად თბილისის აივნებში გაჩნდა. Eეს სიახლე ევროპული კლასიკის გავლენას უნდა მიეწეროს, რომლის დანერგვაც მეფის მთავრობამ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების დროიდან დაიწყო, ამიტომაც არის, რომ ეს კაპიტელები სინამდვილეში კი არ აგვირგვინებენ კორონის ღეროს, არამედ ისინი მასზე გვერდებიდანაა ნაწილ-ნაწილ მიკრული.

აღმოსავლეთის, დასავლეთისა და მთა-საქართველოს საცხოვრებელი სახლის ფორმები საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდა ადგილობრივი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნებრივი-კლიმატური პირობების შესაფერისად, საერთო სიციალურ-ეკონომიკური საფუძვლი-დან გამომდინარე. Eეს უკანასკნელი აპირობებდა ერთიანობას ხალხური საცხოვრებლის ხუროთმოძღვრულ ფორმათა მრავალფეროვნებაში.

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების სამი: აღმოსავლეთის, დასავლეთისა და კავკასიონის შტო, წარმოადგენს ერთ მთლიანობაში შერწყმულ იმ სამ საწყისს, რომელთაც განაპირობებს ქართული მხატვრული კულტურის მრავალფეროვნება.

დარბაზის მშვიდი და მედიდური იერის ინტერიერი მხრებგაშლილი დედაბოძით, ,,თაკარებიანი ოდის'' მხატვრულად სრულყოფილი,

დახვეწილი შინაგანი სივრცე, კოლხური ოდა-სახლი მსუბუქი ,,ორდერი'' მოჩუქურთმებული ბოძებით, სვანური მაჩუბის ეპიკური ხუროთმოძღვრება, აღმოცენებულია ერთიანი ქართული ხალხური ფესვებიდან.

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია ათასეული წლებს ითვლის. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, პირველი ნაგებობები, რომლებშიც აშკარადაა მოცემული ხის გადახურვის ტექნიკურად გააზრებული კონსტრუქციები, შიგა ბოძით-დარბაზული დედაბოძის პროტოტიპით შექმნილია ქართველთა წინაპარი ტომების მიერ ძვ.წ.აღ. მე-3 ათასწლეულში (ქვაცხელები).

ძვ.წელთაღრიცხვით მე-2 ათასწლეულში გავრცელებული ჩანს ერთმანეთში ჩაჭედილი ჰორიზონტალური რიგებისაგან წყობილი ჯარგვალური ნაგებობანი (სამგორი).

ბოძებზე Hშემდგარი ხის სახლების არსებობა ძველ კოლხეთში და ჯარგვალური კოშკურა სახლების გავრცელება მოსინელებს შორის ძვ.წ. პირველი ათასწლეულიდან დასტურდება უკვე წერილობითი წყაროებით (ჰიპოკრატე, ქსენოფონტე, ჰეროდოტე).

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის ბოლოდან კიბურ-გუმბათოვანი გადახურვების კონსტრუქციის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს ვიტრუვიუსის ,,ათი წიგნი ხუროთმოძღვრებაზე'' (ძვ.წ.1 საუკუნე).

ხის კონსტრუქციების რელიეფური გამოსახვა ანტიკური დროის უფლისციხის გამოქვაბულის ჭერზე, მოწმობს არა მარტო ორიგინალური ხის გადახურვების ფართო გავრცელებას საქართველოში, არამედ იმასაც, რომ ქართველ ხუროთმოძღვრის სახვითი აზროვნება, მისი მხატვრული მრწამსი ვითარდებოდა ხის კონსტრუქციების ტექტონიკური მეტყველების ენაზე.

ასეთია ქართული ხუროთმოძღვრების წინარე ისტორია. ხითხუროობის ტრადიციის შემდგომი განვითარების შესახებ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან აშკარად მეტყველებს ხალხური ხუროთმოძღვრების ჩვენამდე მოღწეული შედევრები, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო მოთხრობილი.

<u>სოფლის მაცხოვრებლის კარმიდამო</u>. ჩვენმა წინაპრებმა და მონათესავე ხალხებმა, ეგვიპტელებთან და ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთ სხვა ხალხებთან ერთად, სათავე დაუდვეს მსოფლიო ცივილიზაციას, რომელიც როგორც ამას მოხდენილად შენიშნავს ერთი ქართველი მკვლევარი, ,,გარედან მობერილი არაა ჩვენთვის, Dშიგაა ჩაქსოვილი ჩვენი გული, სული, ჩვენი სისხლი და ხორცი‘‘.[20] ეს კარგად შეიგრძნობა თუკი საქართველოს მთა-ბარს შევისწავლით და გადავხედავთ მათ მაცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებას.

ფრიდრიხ ბაუმჰაუერმა, რომელიც 1922 წლიდან 1925 წლის თებერვლამდე მსახურობდა თბილისში გერმანული რეალური გიმნაზიის უფროს მასწავლებლად, გამოიკვლია საქართველოში არსებული საცხოვრებელი სახლები და 1988 წ. ჰამბურგში დაბეჭდა სტატია სათაურით ,,Forschungen uber die Hausformemen in Georgien‘‘.[116] ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას საქართველოს ბუნების მშვენიერებაზე, რომელთანაც კანონზომიერად და გემოვნებით შეხამებულია არქიტექტურული ფორმები, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს აივნიან სახლებზე და აქაურ კარმიდამოთა სილამაზეზე. Eეს უკანასკნელი, მისი აზრით, მთელი გარემოს სილამაზესთან ერთად აივნებიდან უკეთ შეიგრძნობოდა.[20.გვ.30]

ქართველი მკვლევარი, ჩოჩია, აღწერს, რომ დაბლობის სოფლები იყო გაშლილი და კარმიდამოები არც თუ ისე შორს დგანან ერთმანეთისაგან.

ხშირად სოფლების საზღვრები ერთმანეთში ირევა და არ არის მკვეთრად გამოყოფილი. სოფელი გადაჭიმულია რამდენიმე კილომეტრზე.

მთის დასახლება არის გაბნეული სახით წარმოდგენილი, რადგან აქ მეურნეობის მთავარი დარგი მესაქონლეობაა. შეჯგუფული სახის დასახლება იქ არის მოცემული, სადაც ხანგრძლივი იყო მტრისაგან თავდასხმის საფრთხე (ხევსურეთი, ფშავი). Gგამონაკლისია სვანეთი, სადაც სოფლური დასახლების მაგიერ ცალკე ოჯახური დასახლებაა წარმოქმნილი მამისაგან შვილის გამოყოფის შედეგად[118].

<u>იმერეთის სოფლის კარმიდამო</u>. იმერეთის კლიმატი და ფლორა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა აქაურ დასახლების თავისებურებებზე. მაგალითად, ტყეების სიხშირე მოსახლეობას ხის მასალის ადვილად მოპოვების საშუალებას აძლევდა, რაც ნაწილობრივ კლიმატთან ერთად, განაპირობებდა იმას, რომ ნაგებობანი იმერეთის დაბა-სოფლებში მეტწილად ხისა იყო. ამასთან ტყეების სიხშირე და მათი სიახლოვე დასახლებული პუნქტებიდან ხელს უწყობდა აგრეთვე ამ კუთხეში ხიმიანი და წნული ღობეებისა და წნული ნაგებობების (ფაცხა,ძარიანი, ანუ მოქსოვილი სასიმინდე, მოღობილი საღორე და სხვა) გავრცელებას. თვით ეზოებში ხეხილთან ერთად, ხშირად ირგებოდა ტყის ჯიშის – მუხის, ცაცხვის, თელის, ვერხვის ნერგები, რომლებიც ეზო-მიდამოს ფრიად ამშვენებდა და ზაფხულში საჩრდილობლად იყო გამოყენებული.

საცხოვრებელი სახლი, რომელიც ეზოს ცენრტშია და მიდამოს ამშვენებს, წარმოადგენს იმერეთში გავრცელებულ პალატიან სახლს. იგი პირით მზისკენაა მოქცეული, რის გამოც ოთახები მუდამ ნათელია. სახლები ძირითადად ორსართულიანია. ქვემო სართული ქვის ნაგებობაა. ,,საჯალაბო‘‘ ეწოდება, მეორე კი ხისაა. Pპირველ სართულზე ცხოვრობს ოჯახის უფროსი მოხუცი, სახლის მეორე თვალი განკუთვნილია

საჭმელების სამზადად, სადაც ბუხრის მეორე თვალია გამოყენებული. Bბუხრის პირის განი უდრის 1,15 მეტრს. Pპირველ სართულზევეა აივნის ქვემოთ მიშენებული საკუჭნაო. მასში საოჯახო ნივთებს ინახავენ.

მეორე სართული წინა და სატუმრო ოთახისაგან შედგება. წინა ოთახი საძინებელია. სასტუმრო ოთახი განკუთვნილია სტუმრების მისაღებად და სალხინოდ. სახლს ლამაზად მოარშიებული წყვილი აივანი აქვს (წინ და უკან). წინა აივნის საძირკველს შეყენებული აქვს 6 სვეტი, რომლებიც განრიგებულია ქვემო სართულის წინა კედლის გასწვრივ. Aამდენივე სვეტი აქვს დასახელებულ აივანსაც. Uუკანა აივანიც 6 სვეტიანია, ხოლო მისი საძირკველი დაყრდნობილია სამ სვეტზე (სვეტებს შორის მანძილი უდრის 1,87 მ, ხოლო სიმსხო -14 სმ).

<u>ქართული საცხოვრებელი სახლები</u>. საცხოვრებელი სახლები პირველ რიგში წარმოადგენს ოჯახის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრებისა და მისი ყოფის ცენტრს, ამიტომაც საცხოვრებელი ნაგებობა თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ზოგჯერ საკმაოდ რელიეფურად ასახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ საფეხურს.

ადამიანის საცხოვრებელი გარემო ძალზე რთულია და მრავალფეროვანი ინფორმაციის მატარებელი, რამდენადაც დაგეგმარება-პროგნოზირებასთან, ყველაზე ოპტიმალურ ცხოვრებისეული სიტუაციების მოდელირებასთანაა დაკავშირებული, ხუროთმოძღვარი კარგად უნდა ერკვეოდეს გარემომცველი სამყაროს ნიუანსებში.

უზენაესი დამკვეთები დრო და საზოგადოება – განსაზღვრავენ მიზნებს, წარმოქმნიან აქტუალურ პრობლემებს და არჩევენ ოსტატებს, რომელთაც შესწევთ უნარი ყველაზე ნათლად გამოხატონ მათი ხასიათი. ტრადიციის მექანიზმის საშუალებით შეინარჩუნება და სათანადო მიმართულება ეძლევა დადებითს – პროგრესულს. [55] ამ პროცესში გადამწყვეტი სიტყვა მშენებელს ეკუთვნის, რომელიც მოწოდებულია აღიქვას, აითვისოს და

გაიაზროს საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და მოგვცეს კონკრეტული პრობლემის მაღალპროფესიონალური გადაწყვეტა. ეს კი შეუძლებელია იმ ფაქტორთა გათვალისწინების გარეშე, რომლებიც ასახავენ როგორც დროის სპეციფიკას, ისე დამახასიათებელ საზოგადოებრივ ტენდენციებს. ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრის რეალიზაციაში უნდა ასახულიყო ურთიერთობის ნორმები, კულტურისა და ყოფის თავისებურებანი.

მართალია, ძველებური ნაგებობები აღარ გვაწყობს, დღეს რადიკალურადაა შეცვლილი სოციალური პირობები, ყოფა, მშენებლობის მეთოდები და ძველებურად აღარ უნდა ვაშენოთ, მაგრამ განა კლიმატიც შეიცვალა? მთაში იგივე მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარია, ზაფხულში კი ისევ ძველებურად აცხუნებს მზე, მთის სპეციფიკიდან გამომდინარე იგივე სამეურნეო პირობებია.

საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა ქართველ მთიელთა ტრადიციული საცხოვრებლის სტანდარტიზირებული ტიპები. მათი განვითარების გზები და ხასიათი პოლიტიკური, ეკონომიკური, ესთეტიკური, ტექნიკური თუ სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედებით იყო განპირობებული.

ფუნქციონალური და ესთეტიკური საწყისების ღრმა გააზრება სწორედ საცხოვრებლისათვის ადგილის შერჩევის დროს ხდებოდა. მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი თავისებურებები, როგორიცაა: მისი მხატვრული მხარე, კომუნიკაციები, ინსოლაცია, აერაცია, გრუნტის წყლების დონე, სასმელი და სამეურნეო წყლების სიახლოვე, ზვავსაშიშროება და ა.შ.

იმ ოპტიმალური ფსიქოლოგიური კლიმატის ხელოვნური შექმნით, რომელიც ადამიანის განწყობილების ფორმირებას ახდენდა, ბუნებრივი გარემო – ეს პირველი მასწავლებელი – ბუნებრივი ჰარმონიის დარღვევის საშუალებას არ აძლევდა მას და ადამიანის ხელით შექმნილი, მეტწილად

ბუნებისავე ორგანულ ნაწილად იქცეოდა. სწორედ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფდა თითოეული სოფლის განუმეორებლობას, ქმნიდა მის დამამახსოვრებელ იერსახეს.

ბოლო პერიოდში გახშირდა უზარმაზარი, ორ – ზოგჯერ სამსართულიანი საცხოვრებელი სახლების შენება, რომელთა ზედა სართულებზე ოჯახის წევრები იშვიათად ადიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა დაეთმო მეორეხარისხოვან ელემენტებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგი საცხოვრებლის პომპეზური აივნისა და კიბის ღირებულება აღემატება სახლის საცხოვრებლად განკუთვნილი ნაწილის ღირებულებას.

ხალხურ ბინათმშენებლობაში გიგანტომანია მიმბაძველობიდან პრესტიჟის სტატუსამდე ამაღლდა. ცხადია, იგი გარკვეულად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე შემდგომ შესაბამისი ქცევის ნორმებად ყალიბდება. მშენებლობის მსგავსი პრაქტიკა, სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირში, ხელს უწყობდა და უწყობს მომხვეჭელობის, მექრთამეობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების ცხოვრებაში დამკვიდრებას და მათი ტრადიციის შექმნას.

აღნიშნულთან ერთად ქართული საცხოვრებლისა და დასახლების სახეს განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ტიპობრივმა დაპროექტებამ. მისი გლობალური აუცილებლობა გამოწვეული იყო დამპროექტებელთა ძალებსა და მშენებლობის ტიპებს შორის არსებული დისპროპორციით.[55.გვ.] ტიპობრივი პროექტი განყენებული პროექტია. ნებისმიერი ადგილისა და შემთხვევისათვის გამიზნული.

სტანდარტის ცნების ვულგარიზაცია, ერთი და იგივე საგნის, მოქმედებისა თუ ფორმის უსასრულოდ გამეორება ყველგან და ყოველთვის ქმნის მონოტონურობას, დაღლილობას. იკარგება შედარების,

არჩევის შესაძლებლობა, საჭირო თვისებების ძიების მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება.

დღეს მშენებლობის პროცესში რელიეფის, ადგილმდებარეობის ბუნებრივი თავისებურებების სრულ იგნორირებას აქვს ადგილი. დამგეგმარებლის ნააზრევის რეალიზაცია მშენებლის მიერ ტექნიკის საშუალებით ხდება. ჩვენს წინაპრებს არასოდეს მოსვლიათ აზრად გრუნტის გასწორება. ისინი იმ მონაკვეთებზე აგებდნენ, რომელიც არგუნა ბუნებამ და სრულიადაც არ აფრთხობდათ მისი ფორმების უწესრიგობა თუ შემთხვევითობა.

ყოველი ბორცვი, მთა, ფერდობი, ხე, ტყე, წყარო, კლდე და ა.შ. ბუნების მიერ მომადლებული საჩუქარია, რომელსაც მოვლა და გაფრთხილება სჭირდება დამგეგმარებელმა უკიდურესად უნდა განავითაროს აღნიშნული ელემენტები და მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტის აუცილებელ კომპონენტებად აქციოს, რადგანაც არქიტექტურასა და გარემომცველი გარემოს ორგანული კავშირი ჰარმონიის, წესრიგისა და მდგრადობის საწინდარია.

საქართველოს საკურორტო და სატურისტო რესურსების უდიდესი მარაგი გააჩნია. Bბუნებისაგან მომადლებული ეს სიმდიდრე დღემდე გამოუყენებელია. Mმრავალფეროვანი ლანდშაფტი, მატერიალური კულტურის ორიგინალური ძეგლები მრავალ ადგილობრივ თუ უცხოელ ტურისტს იზიდავს. მაშ, რატომ არ უნდა იყოს აქ თანამედროვე სამთო კურორტების, ტურისტული ბაზების, სასტუმროების ფართო კომპლექსები. Aასევე გამოუყენებელია ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის არსებული რესურსები. Dდროა საქმის დაწყებაზე ვიზრუნოთ. Mმოცემულ გარემოში ორგანულად ჩასმული ახალი დანიშნულების ნაგებობანი (ცხადია, ახალი ტიპის) კიდევ უფრო

ღირშესანიშნავს გახდის მას და იმავდროულად მოსახლეობას ადგილზე დაასაქმებს.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში განვითარდეს ხის მასალებისაგან დამზადებული სახლების მრეწველობა. ახლებურად უნდა მივუდგეთ მომხმარებლის ხის მასალით უზრუნველყოფის საკითხს. Eეს სახლები უნდა იყოს მაღალკომფორტული, ეკოლოგიურად უსაფრთხო ცხოვრებისათვის.

ბინათმშენებლობაში გიგანტომანია მიმბაძველობიდან პრესტიჟის სტატუსამდე ამაღლდა, ცხადია, იგი გარკვეულად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, შემდგომ შესაბამისი ქცევის ნორმებად ყალიბდება. მშენებლობის მსგავსი პრაქტიკა, სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირში, ხელს უწყობდა ნეგატიური ფასეულობის ცხოვრებაში დამკვიდრებას და მათი ტრადიციის შექმნას.

აგრეთვე არ არის გამოყენებული რესურსები, ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის, დროა საკითხს ახლებურად მივუდგეთ. Mმოცემულ გარემოში ახალი ტიპის ნაგებობები გადააქცევენ ამ ადგილებს უფრო ღირშესანიშნავ ადგილებად და, რაც მთავარია, მიიზიდავენ ადგილობრივ მცხოვრებლებს სამუშაოებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოში უნდა განვითარდეს ხისდამმუშავებელი მრეწველობა, აუცილებელია ახლებურად მოხდეს მიდგომა მოსახლეობის ხის მასალებით უზრუნველყოფისათვის. Aახალი სახლები უნდა იყოს კომფორტაბელური, ეკოლოგიურად უსაფრთხო და საიმედო მშვიდი ცხოვრებისათვის. [84.გვ.270].

2.4 ხე-ტყის მრეწველობის პერსპექტივები და განვითარების სტრატეგია საბაზრო ურთიერთობების პირობებში

საქართველოსათვის ტყე განსაკუთრებული ფასეულობის ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის მესამედზე მეტს მოიცავს და აკისრია უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო და ეკონომიკური ფუნქციები, როგორც ეროვნულ ისე რეგიონალურ ასპექტში.

მსოფლიო დონეზე აღიარებული ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული 25 ცხელი წერტილიდან, რომელთა შემადგენლობაში კავკასიაც შედის, საქართველოს ტყის ეკოსისტემებს გამორჩეული ადგილი უჭირავს. ისინი, როგორც მთიანი ქვეყნის ტყეები, ასრულებენ ძალზედ მნიშვნელოვან ნიადაგდამცავ და წყალშემნახველ ფუნქციებს, ხელს უწყობენ მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შენარჩუნებას, აუმჯობესებენ კლიმატურ პირობებს და ხელსაყრელ გარემოს ქმნიან ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის.

მსოფლიოში მერქნის დამზადება იზრდება. Aამ სფეროში ლიდერობენ აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ინდონეზია, კანადა. რუსეთი 1990 წლამდე შედიოდა ლიდერთა სიაში, მაგრამ შემდეგ წლებში ამ დარგმა მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა.[107.გვ21]. საქმიან მერქანზე მოდის ჩრდილო სატყეო ზოლის ქვეყნებში მთელი დამზადებული მერქნიდან 80-100%, (შვედეთში, ფინეთში, ნორვეგიაში, კანადაში 90%-ზე მეტი, ხოლო აშშ-ში 80%). სამხრეთი ზოლის ქვეყნებში (ტროპიკული და ეკვატორული ტყე) – ეს მაჩვენებელი დაბალია (ტაილანდი, ინდოეთი 8%, ინდონეზია 20%, ბრაზილია 40%, ვენესუელა 60%).

საქმიანი მასალის უმთავრესი მომხმარებელი არიან სახერხები, რომლებიც წარმოადგენენ შემდგომი გადამუშავების ბაზებს. დახერხილი მასალის წარმოებაში ლიდერია აშშ, კანადა, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი,

ინდოეთი, გერმანია, შვეცია. მერქანბოჭკოვანი ფილების დამზადებაში ლიდერია აშშ, ჩინეთი. Yყველაზე მსხვილი ექსპორტიორი მსოფლიოში დახერხილი მასალისა და ქაღალდისა არის კანადა. ევროპაში კი - სკანდინავიის ქვეყნები. ფინეთი და შვედეთი სპეციალიზებულნი არიან ქაღალდის ექსპორტზე, Nნორვეგია – უფრო ღირებულ პროდუქციაზე – მერქნულ მასაზე, ცელულოზას და სხვადასხვა სახის მუყაოსა და ქაღალდზე.

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა. ტყის ფონდის საერთო ფართობი 3007,8 ათას ჰექტარს შეადგენს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის (6949,4 ათასი ჰექტარი) _ 43%-ს. ტყის ფონდის საერთო ფართობიდან საკუთრივ ტყეს (ტყით დაფარული მიწები) უკავია 2822,5 ათასი ჰექტარი, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40,6% (ტყიანობის პროცენტი). ტყეების მერქნის (ხეთა ღეროები) სავარაუდო საერთო მარაგი შეადგენს 451,7 მლნ. $მ^3$-ს, ხოლო მერქნის მარაგის საშუალო წლიური შემატება შეადგენს 3.75_4,5 მლნ. $მ^3$-ს. ერთ სულ მოსახლეზე მოდის საშუალოდ 0.53 ჰა ტყე, დაახლოებით 80 $მ^3$ მერქანი, რაც სამჯერ აღემატება ევროპის საშუალო მაჩვენებელს. საშუალო ზეზემდგომი მოცულობა ჰექტარზე 176 $მ^3$-ია. საქართველოს ტყეების საშუალო ასაკი დაახლოებით 100-120 წელია. დომინირებს ფართოფოთლოვანი ტყე, რომელიც მოიცავს ტყის 80-%- ს, აქედან 50% - მდე წიფელია. [70.გვ.6].

ტყეები ძირითადად ფორმირებულია შემდეგი სახეობებით: აღმოსავლეთის წიფელი 48.5%; რცხილა 6.6%; მუხის სახეობები 10.2%; თხმელა 3.2%; წაბლი 3.8%; წიწვოვანი სახეობები - (კავკასიური სოჭი, აღმოსავლეთის ნაძვი, სოსნოვსკის ფიჭვი) 17.4%.

ცენტრალიზებული დაგეგმვის პერიოდში სატყეო სექტორის წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენდა 4-5%-ს. 1990 წლამდე დარგის

პროდუქციის მონაცემები შემდეგნაირი იყო: ჭრები 14%, ხის გადამამუშავებელი მრეწველობა 69%, მერქნისა და ქაღალდის

რუკაზე ნაჩვენებია საქართველოში ტყიანობის ზონები. [16.გვ90]

მრეწველობა 17%, ხოლო 1980 და 1990 წლებში ხის გადამამუშავებელ მრეწველობაში მონაცემები ასე ხასიათდებოდა: სახერხები 10,4% და 9.0 %, ავეჯის მრეწველობა 55% და 60%, სამშენებლო დეტალები 12,1% და 11,0%, შესაფუთი მასალები 7,2% და 6,0%, სხვა ხის გადამამუშავებელი წარმოება 15,3% და 14,0%. (URS Corporation 2002).

ზემოთმოტანილი მასალებიდან ჩანს რომ, საქართველოში სერიოზული პერსპექტივა გააჩნია ხე-ტყის წარმოება-გადამუშავებას და ჩვენი ხე-ტყის წარმოება ინვესტიციამგრძნობიარეა.

დღეს, ისევე როგორც მთელი საქართველოს ეკონომიკა, სატყეო კომპლექსის საწარმოები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მძიმე პროცესშია. დღევანდელი საწარმოო სიტუაციები წარმოადგენს ადრე არსებული -საგეგმო მართვის სისტემის და სამეურნეო კავშირების რღვევის, Fფასობრივი და სამართლებრივი დისბალანსის შედეგს.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ კრიზისული მდგომარეობა ხე-ტყის მრეწველობის ეკონომიკაში განპირობებულია არა მარტო ზემოთ

ჩამოთვლილი მიზეზებით, არამედ გარდამავალ პერიოდში წარმოქმნილი სიძნელეების გამოც. Kკრიზისი გაცილებით ადრე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მწიფდებოდა, დაახლოებით სამი ათეული წლის მანძილზე.

1990-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა და მსოფლიო ხე-ტყის ბაზარზე მოთხოვნილების მნიშვნელოვანმა ზრდამ თავისი დაღი დაასვა ტყის რესურსების მდგომარეობას. ხეების გადაჭარბებულმა ჭრებმა და საძოვრების გაფართოებამ გამოიწვია ტყის მასივების მნიშვნელოვანი ნაწილის დეგრადაცია. აღნიშნული ნეგატიური პროცესების გაგრძელებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და ეკონომიკური ზარალი.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია სატყეო-საქაღალდე პროდუქციის ძირითადი სახეობების წარმოების განვითარების ტემპების კატასტროფული დაცემა. Eეს უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო დარგის არასაკმარისი ინვესტირებით, მშენებლობის მასშტაბების შემცირებითა და ახალი საწარმოო სიმძლავრეების არასრული გამოყენებით, თანამედროვე მაღალმწარმოებლური აღჭურვილობის უკმარისობით. იმის გამო, რომ სირთულეები შექმნილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში და ხე-ტყის მრეწველობაში, არ მოხდა, თავის დროზე, მისი განვითარების პრობლემების გადაჭრა, დღეს ამ დარგს შესაძლებლობა არა აქვს, სახსრები არ გააჩნია გადაჭრას მის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანები.

პირველ რიგში ხის გადამამუშავებელი საწარმოების წინაშე დგას ხე-ტყის ნედლეულით წარმოების უზრუნველყოფის პრობლემები. ასეთი მწვავე დეფიციტი გამოწვეულია იმით, რომ უკანასკნელ წლებში ხე-ტყის მასალების გარედან შემოტანა შემცირდა.

ასეთ მდგომარეობას მივყავართ პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვან შემცირებასთან, აღჭურვილობის მასიურ მოცდენასთან, არსებული

სიმძლავრეების დაუტვირთაობასთან. ცდება წარმოების ძვირადღირებული იმპორტული ტექნიკა. წარმოების შეფერხებას ხის ნედლეულის გარდა, იწვევს აგრეთვე, საჭირო აუცილებელი ნედლეულის დეფიციტი და სიძვირე.

ეს ფაქტები მოწმობს იმის შესახებ, თუ რამდენად ვრცელია კრიზისული მდგომარეობის მასშტაბები და რამდენად რთულია ეკონომიკის აღმავლობის რელსებზე გადაყვანა.

კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას საფუძველშივე აფერხებს – წარმოების მემკვიდრეობით მიღებული დაბალი ტექნიკური დონე. სამამულო თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებლობა პრაქტიკულად ვერ უშვებდა ისეთ მანქანა დანადგარებს, რომლებიც კონკურენციას გაუწევდნენ საზღვარგარეთის საუკეთესო ნიმუშებს მწარმოებლურობით, საიმედოობით, ენერგონაჯერობით.

მერქანფილების, ფანერის, საავეჯო თუ ხე-ტყის სახერხ წარმოებას არ ჰყავს დანადგარების საიმედო მიმწოდებლები ქვეყნის შიგნით, ამიტომ იძულებულნი არიან ორიენტირი აიღონ საზღვარგარეთ მანქანების შეძენაზე.

ზოგიერთ ხის დამამუშავებელ საწარმოებში ნედლეულის მომზადებისა და სორტირებისას დიდია ხელით შრომის წვლილი. დაახლოებით 40%. ძირითად საწარმოებში მანქანა დანადგარები გაცვეთილია და საჭიროებენ შეცვლას, საჭიროა წარმოების რეკონსტრუქცია.

მეოცე საუკუნის 50-60 იან წლებში დადგმული ტექნიკა უკვე ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ამას ემატება ისიც, რომ საწარმოები ვეღარ ღებულობენ მაღალხარისხოვან ფისებს და სპეციალურ აღჭურვილობას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღება.

ამის შედეგია ისიც, რომ გამოშვებული პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია ბაზარზე. ამას ემატება, კიდევ, მათი მაღალი ტოქსიკურობაც. ზემოთ ჩამოთვლილის შეჯამების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ხის დამამუშავებელ საწარმოები საბაზრო ურთიერთობებზე გადასასვლელ მიჯნას უკვე მიადგნენ. ადრე არსებული საწარმოო კავშირების რღვევამ მრეწველობა კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა. Yყველა საწარმოს წინაშე დადგა ისეთი სერიოზული პრობლემები, როგორიცაა: სად და როგორ შეიძლება ნედლეულის, დანადგარების, მასალების შეძენა, როგორი უნდა იყოს პროდუქციის გასაღების ორგანიზაცია, როგორ უზრუნველყონ თავიანთი ინტერესების სამართლებრივი დაცვა.

ფასების ნახტომისებურად აწევის და სამართლებრივი განუკითხაობის პირობებში საკუთარი საწარმოს მდგრადი მუშაობის უზრუნველყოფა ყველას ხვედრი როდია. შექმნილ სირთულეებს ემატება ისიც, რომ მკვეთრად გაუარესდა საწარმოების ფინანსური მდგომარეობა. ძალზე გაიზარდა მომხმარებელთა გადაუხდელობის პრეცედენტები. თავის მხრივ იმატა საწარმოების დავალიანებამაც. ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია ხელფასების შეჩერება, მოხდა წარმოების სერიოზული პარალიზება.

რა თქმა უნდა, უმეტესი ნაწილი ამ სირთულეებისა ატარებს დროებით ხასიათს და დაძლეული იქნება ახალ საწარმოო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში, თუმცა წარმოქმნილი პრობლემები არსებითად გავლენას ახდენენ საწარმოს მუშაობაზე, ამუხრუჭებენ საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესს.

შექმნილ პირობებში მიღებული იქნა განსაზღვრული ღონისძიებები საწარმოების მუშაობის სტაბილიზაციისათვის ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების ჩატარების ჩარჩოებში. როგორც ცნობილია, გატარებული ეკონომიკური რეფორმის ძირითადი არსი მდგომარეობს სახალხო-

მეურნეობის ცენრტალური საგეგმო მართვის სისტემიდან შერეულ ეკონომიკაზე გადასვლაში, სადაც მთავარ როლს შეასრულებს ბაზარი. ეს გადასვლა მთლიანად არ გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ კონტროლს და წარმოების მუშაობის რეგულირებასა და ორგანიზაციას მეწარმეობის განვითარების ინტერესებისათვის. ამისათვის მნიშვნელოვანია გარდამავალ პერიოდში შენარჩუნებული იქნას დარგობრივი რგოლი, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს კონტროლი და რეგულირება, ამ ორგანოების საშუალებით უნდა მოხდეს სამეურნეო კავშირების შენარჩუნება მერქნის დამამზადებელი და ხის გადამამუშავებელი საწარმოებს შორის.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, ცენტრალური დაფინანსების წყაროების ლიკვიდაციის პირობებში ყურადღების გარეშე დარჩა რეგიონული თავისებურებები. ამისათვის შექმნილი უნდა იყოს არასაბიუჯეტო დამფინანსებელი ფონდი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის, აგრეთვე ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებისათვის. Eეს ფონდი შეიძლება შეიქმნას წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებიდან გარკვეული პროცენტის დარიცხვით. ფონდის შექმნა შესაძლებელს გახდის დაფინანსდეს სამეცნიერო საპროექტო,
საკონსტრუქტორო დამნერგავი ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც შექმნიან დანადგარებსა და მასალებს, ჩაატარებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს.

საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია და აქციონირება, აგრეთვე სააქციო ნებაყოფლობითი საზოგადოების (კორპორაციები, კონცერნები, ასოციაციები) ჩამოყალიბება.

დარგის თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვს საწარმოების სრულყოფილობის საკითხისადმი ახალ მიდგომას. იწყება ორმხრივ ხელსაყრელი კავშირების (პარტნიორობისა და პოტენციურ ინვესტორებს-პროდუქციის მომხმარებელს შორის) დადება.

ახალი ინვესტიციების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა დაინტერესებული საზღვარგარეთის ფირმების მოზიდვა და ადგილობრივი მომხმარებლების დაინტერესება.

ხე-ტყის გადამმუშავებელი საწარმოების განვითარება წარმოადგენს სახელმწიფოს მნიშვნელოვან ამოცანას. Aამიტომ სახელმწიფომ პირველ ხანებში უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები სატყეო ინდუსტრიის განვითარებისათვის. ასეთ პირობებში ვგულისხმობთ იმას, რომ:

- გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისაგან ის საწარმოები, რომელთა მუშაობა მიმართულია მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციისაკენ, წარმოების გაფართოებაზე;
- ფინანსურ მდგომარეობაში პრობლემების სასწრაფოდ გადაწყვეტისათვის გამოიყოს შეღავათიანი კრედიტები საბრუნავი საშუალებების შევსებისათვის;
- მოხდეს სატყეო ექსპორტის სტიმულირება ტარიფების გაუქმებით სახელმწიფო მიწოდებისათვის;
- შეიქმნას სახელმწიფო გარანტიები საზღვარგარეთელი ინვესტორებისათვის, რომლებიც დააბანდებენ სახსრებს სატყეო კომპლექსის განვითარებაში;

Y ყველა ამ წინადადებამ მხარდაჭერა უნდა ნახოს მმართვის ორგანოებში , რაც დაეხმარება ამ დარგს გადალახოს კრიზისული მდგომარეობა, მოხდება მუშაობის სტაბილიზაცია და მყარი ნიადაგი შეიქმნება ეფექტიანი განვითარებისათვის.

საქართველოს სატყეო პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავების

საფუძველს წარმოადგენს ფართოდ აღიარებული პრინციპები, რომლებიც მიღებულია ისეთი საერთაშორისო სატყეო ინსტიტუტებისა და პროგრამების მიერ, როგორიცაა FAO, MCPFE, ENP, ENA-FLEG და სხვ. [39.] რაც უმთავრესად ნიშნავს: დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართვას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, ინტერ- სექტორალურ მიდგომას და ინტეგრაციას ქვეყნის განვითარების გეგმებში და ეროვნული გადაწყვეტილებების

ჰარმონიზაციას საერთაშორისო სატყეო ინიციატივების, კონვენციებისა და პარტნიორობის განხორციელების მიმართულებით. სატყეო პოლიტიკის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპია ტყეების მდგრადი მართვა, რაც გულისხმობს: ტყის რესურსების იმგვარად მართვას და გამოყენებას, რომელიც ხელს უწყობს მისი ბიომრავალფეროვნების დაცვას, წარმადობის, პროდუქტიულობის ზრდას, თვითგანახლების შესაძლებლობისა და სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებას და სრულად უზრუნველყოფს ამჟამად და მომავალში შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების განხორციელებას ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე

სხვა ეკოსისტემებზე ზიანის მიუყენებლად. [69]. იგი სავალდებულოა ყველასათვის, ვინც ჩართულია ტყეების მართვაში, საკუთრების ფორმების მიუხედავად.

ქვეყნის ტყის მერქნითი რესურსების დაცვა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სწორად რეგულირებულ ექსპორტ-იმპორტზე. კერძოდ, შესაბამისი საგადასახადო მექანიზმებით მეწარმეებისათვის უფრო მომგებიანი უნდა გახდეს მზა პროდუქციის ექსპორტი, ვიდრე ნედლეულის, თუმცა არც უკანასკნელის ექსპორტის აკრძალვა არ იქნება სწორი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ხე-ტყის ნედლეულის იმპორტის წახალისება ნულოვანი აქციზებით და სხვა საგადასახადო შეღავათებით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და ქვეყნის მოსახლეობისათვის თანამედროვე ცივილიზაციის შესაფერისი ცხოვრების დონის რეალური გარანტიების შექმნა დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი და მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბების საფუძველზე.

საშუალოვადიანი პერიოდისათვის კი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების რეალურად დამკვიდრების პროცესის დამთავრებაა, რომლის ფარგლებში უფრო მოკლე პერიოდისათვის მკვეთრად ჩამოყალიბდა დაჩქარებული ეკონომიკური ზრდისა და მის საფუძველზე სიღარიბის დაძლევის სტრატეგიული მიზანი.

ამ სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები შემდეგნაირად ყალიბდება: გრძელვადიანი პერიოდის სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტად სახელმწიფოებრიობის შემდგომი განმტკიცება და მეწარმეობის განვითარების სტიმულირებისათვის აუცილებელი გარემოს მუდმივად შენარჩუნების უზრუნველყოფა მოიაზრება.

გაცილებით მრავალფეროვანია სადღეისო პრიორიტეტები, რომლებმაც ახლო პერსპექტივაში, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარების განვითარება და ამჟამად მკვიდრად ჩამოყალიბებული სიღარიბის დაძლევა უნდა უზრუნველყოს.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასახული სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტების რეალიზაცია შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, დროისა და სივრცეში მის თანმიმდევრულ განხორციელებას მოითხოვს.

პრიორიტეტების რიცხვში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნული წარმოების და საშინაო ბაზრის როლის ამაღლებას მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

ცნობილია, რომ მრეწველობა ეროვნული ეკონომიკის წამყვანი სექტორია, რადგან მას შეუძლია არა მარტო აწარმოოს მთლიან შიდა პროდუქტში ყველაზე მეტად საჭირო პროდუქციის უდიდესი ნაწილი, არამედ შექმნას ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებისათვის მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე განვითარების ხელშემწყობი კლიმატი, ქვეყნის სამრეწველო კომპლექსი დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე და მისი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის სწორად წარმართვის პირობებში შეიძლება გადაიქცეს ეროვნული პროდუქტის ზრდის ძირითად, საიმედო და პრაქტიკულად შეუზღუდავ წყაროდ. ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და ეროვნული უშიშროების საფუძველი მაღალგანვითარებული მრეწველობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის სამრეწველო კომპლექსის რეაბილიტაცია და მისი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარება ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითად და აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას განვითარებული კერძო სექტორი წარმოადგენს, ამიტომ საჭიროა დაიხვეწოს სამეწარმეო საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა, უფრო საჯარო გახდეს ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები, ხელი შეეწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას, უზრუნველყოფილი იქნას სამართლიანი კონკურენცია და კერძო სექტორის ფუნქციონირებაში სახელმწიფო მოხელეების ჩარევა მინიმუმამდე იქნას შემცირებული.

მრეწველობის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა და გარდაქმნა, პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტის

საქმეში დიდი როლი ენიჭება გრძელვადიანი პერიოდისათვის მეცნიერულ საფუძველზე დამუშავებულ სამრეწველო პოლიტიკის კონცეფციის პრაქტიკულ რეალიზაციას, რომელიც ითვალისწინებს სამრეწველო სექტორში ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებას, საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების სრულფასოვან ამოქმედებას, მრეწველობაში არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობის გამოვლენას და ეფექტიან გამოყენებას, სამრეწველო კომპლექსის რეაბილიტაციისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას, ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური თავისებურებებისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების გათვალისწინებით მრეწველობის პერსპექტიული დარგების აღორძინებისა და განვითარების ორგანიზაციული, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ხელშემწყობ ღონისძიებათა განხორციელებას.

დღეს საქართველოში, მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, დარგში არსებული მდგომარეობა ძალზე რთულია. ძირითადად, შიგა სამომხმარებლო ბაზრის უკიდურესი შეზღუდულობის გამო, არსებული საწარმოო პოტენციალის გამოყენების დონე უმნიშვნელოა (3-10%). ასევე საწარმოთა უაღრესად დაბალი ტექნიკური დონის მიზეზით შეუძლებელია მაღალხარისხიანი პროდუქციის დამზადება და იმპორტით შემოტანილი ნაწარმისათვის კონკურენციის გაწევა. [83.გვ.504].

ხის დამამუშავებელიOდა ავეჯის მრეწველობის სტაბილური ფუნქციონირება და განვითარება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ადგილობრივი ხე-ტყის ნედლეულის დამზადების პერსპექტივასთან, ვინაიდან სამრეწველო დანიშნულების, უწყვეტი სარგებლობის სანედლეულო ბაზის არსებობის ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ამ დარგის მდგრადი განვითარებისათვის – ნიშანდობლივია, რომ ამავე ფაქტორმა განაპირობა დარგის პროფილის მრავალი, მცირე ბიზნესის

კატეგორიის საწარმოთა ჩამოყალიბება. Aამ მხრივ გამსაკუთრებით გამოვყოფთ დასავლეთ საქართველოდან იმერეთის რეგიონს.

მოხმარების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე, ქართული ავეჯის ბაზარი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს მაჩვენებელს იგივე კომპონენტში. მომხმარებელთა გამოკითხვით და ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ მომხმარებელთა 58,21%, ავეჯის შეძენისას, უპირატესობას ანიჭებს ხარისხს. შემდეგი ფაქტორები, რომელიც ასევე პრობლემურია მომხმარებლისათვის, არის ავეჯის ფასი და დიზაინი. დასავლეთ საქართველოში დიდ პოტენციალია იმისა, რომ გამოყენებული იქნეს ადგილობრივი ნედლეული, რაც შეამცირებს ერთეულ პროდუქციაზე ხარჯებს. ხე-ტყის მოპოვების თვალსაზრისით, იმერეთის რეგიონში პირველ ადგილზეა ბაღდათის სატყეო მეურნეობა, რომელიც მოიცავს ბაღდათისა და ვანის რაიონებს, სადაც 2005 წლის მონაცემებით, სამასალედ მოიჭრა 1600$მ^3$ ხე-ტყე. Mმეორე ადგილზეა ხარაგაულის სატყეო მეურნეობა, რომელიც მოიცავს ხარაგაულისა და ზესტაფონის რაიონებს, სადაც სამასალედ მოჭრილი იყო 1350$მ^3$ ხე-ტყე. ქუთაისის სატყეო მეურნეობა მოიცავს ქუთაისის, ტყიბულისა და ხონის რაიონებს, სადაც სამასალედ მოჭრილი იყო 2200$მ^3$ ხე-ტყე. (იმერეთის რეგიონის გარემოს დაცვის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემები). უნდა არინიშნოს, რომ არც ნედლეულის საკუთარი ბაზა წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს, რათა ამ დარგმა დიდი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლაში. როგორც ვიცით იტალია მსოფლიოში ხის მასალებისაგან დამზადებული ავეჯის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ის ამასთანავე ამ დარგს ამუშავებს ხე-ტყის მასალების 100% -იანი იმპორტით. ასევე იაპონიასაც 100% შემოაქვს სამრეწველო ტყე. პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ყაზახეთი, რომელსაც თითქმის არ გააჩნია საკუთარი ნედლეულის ბაზა, სწრაფად და მკვეთრად

ავითარებს ამ დარგს ყარაჩაგანაკის და პორტი აკტაუს ინფრასტრუქტურის განვითარების დამსახურებით, ყაზახეთის ახალი დედაქალაქის– ასტანას მშენებლობის დამსახურებით, ტურისტული და საგზაო ინფრასტრუქტურების ზრდის დამსახურებით. ყველა ეს ობიექტი ამ დარგის დიდი მოცულობის პროდუქციას მოითხოვს. რათქმაუნდა ბაზრის ფაქტიური მოცულობა უფრო ნაკლებია, ვიდრე მისი პოტენციალი.

რაც შეეხება ფურნიტურას და ავეჯის მხატვრულ მხარეს, როგორც წინა თავებშია აღნიშნული, დიდი პოტენციალია დასავლეთ საქართველოში ამ მხრივაც. ხის მხატვრული დამუშავება და მასზე მრავალფეროვანი ორნამენტების ამოკვეთა ჩვენს ტრადიციებში ისე ღრმადაა ფესვებგადგმული, რომ თუკი საწარმო ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიური მანქანებით იქნება აღჭურვილი, შესაძლებელი იქნება მაღალი დონის, ყველა სახის, კონკურენტუნარიანი ფურნიტურის დამზადება, რომელიც თავის ადგილს დაიკავებს საერთაშორისო ბაზარზე.

მომხმარებელთა 21,39%-ს მიაჩნია [56.გვ.109], რომ ავეჯის შეძენის ხელისშემშლელი ფაქტორი ფასია. ხარისხის შემდეგ მომხმარებელი ყურადღებას ფასზე ამახვილებს. Aამიტომ საწარმოებმა უნდა შეიმუშაონ სწორი საფასო პოლიტიკა და მხედველობაში უნდა მიიღონ მომხმარებელთა შემოსავლის დონე, დანაზოგების სიდიდე და კრედიტუნარიანობა. ავეჯის ფასი უნდა შეესაბამებოდეს მის მახასიათებლებს: ხარისხს, დიზაინს, ფუნქციონალურ დანიშნულებას და სხვ.

Aავეჯის საწარმოების ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომ ფასებში მიაწოდოს საჭირო საქონელი საჭირო ადგილზე და საჭირო დროს. გაიზრდება ავეჯის გაყიდვების მოცულობა, და ამასთანავე საწარმოს შემოსავალი.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს განსაკუთრებული პრივილეგიები და პერსპექტივები აქვს მრეწველობის ამ დარგის აღორძინებისა და განვითარებისათვის. ასეც რომ არ იყოს, მაინც მიზანშეწონილია დიდი ყურადღება მიექცეს მთავრობის მხრიდან ხის დამმუშავებელი მრეწველობის და ავეჯის წარმოების განვითარებას, რადგან შექმნილია და ფუნქციონირებს ასობით მცირე საწარმო და დასაქმებულია ასობით ადამიანი, რომელთაც აქვთ საკუთარი შემოსავალი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხისდამმუშავებელი დარგისათვის კადრების მომზადების საკითხს. კიდევ ერთი სფერო, სადაც აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, რითაც მთლიანად უნდა დაკავდეს განათლების სამინისტრო. წინა წლებში იყო პროფესიული სასწავლებლები, ტექნიკუმები, ინსტიტუტები, სადაც ასწავლიდნენ ხის დამუშავების ტექნოლოგიას და ავეჯის წარმოებას. ამჟამად დარგის ამ სფეროში განათლების მიღების მასშტაბები და დონე ძალზე დაბალია. უარესი მდგომარეობაა რეგიონებში. პრობლემა უდიდესია. ეს ეხება წარმოების თითქმის ყველა რგოლს.

ნებისმიერი საწარმოს სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია საკუთარი თავისუფალი საბრუნავი საშუალებები, რომლის შევსება ხდება, როგორც წესი, სამგვარად:

პირველი – საწარმოს აქციონირებით,

მეორე – საწარმოს დაკრედიტება მეორე დონის ბანკების მიერ.

მესამე – (ყველაზე უფრო მიღებული და პერსპექტიული საშუალება) – შიგა და გარე (უცხოელი) ინვესტორების მოზიდვის გზით.

ხის დამმუშავებელი და ავეჯის ინდუსტრიის ყველა პრობლემა, ჯამში, დაკავშირებულია იმასთან, რომ ქვეყანაში არ არსებობს მიზანმიმართული ინდუსტრიული პოლიტიკა. ამასთან შიგა ბაზრის დაცვისათვის საქონელმწარმოებლობის განვითარებისათვის პირობების შექმნასთან.

მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება იმპორტჩანაცვლებისას არასაკმარისია და ის მალე ამოიწურება. უნდა იქნას მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია მთავრობისა ყველა დარგთან მიმართებაში. არა ემოციური ან ადმინისტრაციული ზეწოლა, არამედ ეკონომიკური რეგულირება გადასახადებით, ტარიფებით, შეღავათებით. ძირითადად საწარმოების პრობლემა წარმოიქმნება საბაზო გადასახადების ტარიფებით. მასალები, რომლებიც ქვეყანაში არ იწარმოება ტარიფით არ უნდა იბეგრებოდეს. ამჟამად ასეთი იმპორტული მასალები 20% ტარიფით იბეგრება. აუცილებელია მთავრობის ახალი დამოკიდებულება. მწარმოებლებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა თავიანთი პროფესიონალური ასოციაციების საშუალებით გავლენა მოახდინონ კანონშექმნის პროცესზე და შეიტანონ წინადადებები კანონპროექტებში.

მესამე თავი

ხისდამმუშავებელ მრეწველობაში მცირე ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები

3.1 ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა ეკონომიკური ფუნქციონირების ანალიზი და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

მცირე საწარმოები ისეთივე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს გეგმავენ, აღრიცხავენ და ანგარიშობენ, როგორც მსხვილი და საშუალო საწარმოები. გეგმიანი ეკონომიკის დროს მეტი ყურადღება ეთმობოდა რაოდენობრივ მაჩვენებელთა შესრულებას, შედარებით ნაკლები - ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ წინა პლანზე წამოსწია საწარმოთა ხარისხობრივი მაჩვენებლები. მაღალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საწარმოების საქმიანობას და მათ სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს არა ის, თუ რა მოცულობის პროდუქციას აწარმოებენ ისინი, არამედ ის, თუ როგორი ხარისხისაა მათი პროდუქცია, როგორია ერთეული პროდუქციის დამზადებაზე გაწეული ინდივიდუალური დანახარჯები, საწარმოს რენტაბელობის დონე და უფრო მეტიც, საბაზრო ურთიერთობებმა ჩვენს ეკონომიკაში შემოიტანა ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენთვის სრულიად უცნობი მაჩვენებლები. როგორიცაა მაგალითად საწარმოს საქმიანი აქტივობის, რენტაბელობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები, საბაზრო აქტივობის და ლიკვიდობის მაჩვენებლები.

ლიკვიდობის ეს მაჩვენებლები ზოგად შტრიხებში ემთხვევა გადამხდელუნარიანობის მაჩვენებლებს, რომლებსაც გეგმიანი ეკონომიკაც იცნობს, საბაზრო აქტივობის მაჩვენებლები კი იანგარიშება მხოლოდ

ისეთი საწარმოებისათვის, რომლებიც ფასიანი ქაღალდების (მაგ.აქციები) გამოშვებით არიან დაფუძნებული. ასეთი საწარმო სახელწოდებით „სააქციო საზოგადოება“, როგორც ცნობილია, გეგმიანი ეკონომიკის დროს არ არსებობდა, იგი საბაზრო ეკონომიკის პირმშოა. ბუნებრივია, გეგმიანი ეკონომიკა საბაზრო აქტივობის მაჩვენებლებს - ერთ აქციაზე მოსული მოგება, ერთ აქციაზე მოსული დივიდენდის და მოგების თანაშეფარდება, აქციის შემოსავლიანობა, აქციის საბაზრო ფასისა და ერთ აქციაზე მოსული მოგების თანაშეფარდება, აქციის საბაზრო და საბალანსო ღირებულების თანაშეფარდება და ა.შ - არ იცნობდა.

ეკონომიკურ მაჩვენებელთა დანარჩენი ჯგუფები, რომელსაც საბაზრო ეკონომიკა ანალიზის ინსტრუმენტად იყენებს, ასევე ჩვენთვის ცნობილია. ესენია რენტაბელობის მაჩვენებლები და გადამხდელუნარიანობის მაჩვენებლები (ან კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლები). მათი უმრავლესობა გეგმიანი ეკონომიკის დროსაც იანგარიშებოდა იმ განსხვავებით, რომ ისინი ახლა საწარმოს წარმატებულ განვითარებაში გადამწყვეტი როლით განიხილებიან. გეგმიანი ეკონომიკის დროს კი მათ ასეთ მაღალ შეფასებას არავინ აძლევდა. ეს ეხება არა მხოლოდ რენტაბელობის და გადამხდელუნარიანობის მაჩვენებლებს, არამედ ყველა ზემოთჩამოთვლილ მაჩვენებლებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკამ შემოიტანა. თუ ამ მაჩვენებლებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ყველა ისინი საწარმოს საფინანსო მეურნეობასთან არიან დაკავშირებული. ამიტომ მათ ფინანსური კოეფიციენტები ეწოდებათ. გამოდის, რომ საბაზრო ეკონომიკის დროს საწარმოს საქმიანობა უპირველესად ფასდება მისი მუშაობის ფინანსური მაჩვენებლებით, განსხვავებით გეგმიან ეკონომიკის დროს მოქმედი საწარმოებისაგან, რომლის მუშაობა უპირველესად ფასდებოდა საწარმოო მაჩვენებლებით (პროდუქციის

გამოშვება) და შრომითი მაჩვენებლებით (შრომის ნაყოფიერების ზრდა) და მხოლოდ ამის შემდეგ მოგებით და რენტაბელობის დონით.

საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები, ისე როგორც მთელი საქართველოს ეკონომიკა, საბაზრო ეკონომიკაზე გადადის. ფორმირების სტადიაშია საბაზრო ურთიერთობები. საწარმოები, რომლებსაც ინიციატივიანი და ენერგიული მენეჯერები მართავენ, ამ საქმეში უფრო წინ არიან. ისინი უკვე ნერგავენ საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, ატარებენ საწარმოს ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და ტრენდულ ანალიზს, ანგარიშობენ ფინანსურ კოეფიციენტებს, ყურადღებას აქცევენ ფულის ნაკადების მოძრაობას და ადგენენ ფულადი სახსრების ბიუჯეტს, რეალიზაციის ბიუჯეტს, დანახარჯების ბიუჯეტს და ა.შ. აგრეთვე ადგენენ პროგნოზებსაც. საქართველოში ასეთი საპროგნოზო ანგარიშგებების გამოქვეყნება არ ხდება.უფრო მეტიც, არა მარტო საწარმოები, არამედ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც საწარმოების არათუ პროგნოზებს, არამედ საანგარიშო (ფაქტიურ) მაჩვენებლებსაც კომერციულ საქმიანობად აცხადებენ. პარადოქსია, მაგრამ ასეა დაფიქსირებული კანონშიც „სტატისტიკის შესახებ“. ეს ფაქტი გვაიძულებს ვიფიქროთ რომ ყოველივე ეს სპეციალურადაა გაკეთებული, რათა არ მოხდეს ან შეფერხდეს საწარმოთა შორის ურთიერთობების დარეგულირება. ან როგორ უნდა მოახდინონ საწარმოთა ათობით კონტრაგენტმა - მიმწოდებლებმა, მყიდველებმა, ბროკერებმა, ბანკებმა და სხვ. მათი საანგარიშო ასევე პროგნოზული მაჩვენებლების გაცნობა. რომ არაფერი ვთქვათ გარეშე დაინტერესებულ პირებზე. საბაზრო ურთიერთობების ფორმირების დაჩქარების ინტერესებიდან გამომდინარე ეს შეზღუდვა უნდა მოიხსნას.

ინფორმაციულმა დეფიციტმა და ზემოაღნიშნულმა დაბრკოლებებმა, იძულებული გაგვხადა დავკმაყოფილებულიყავით იმ ტექნიკურ-

ეკონომიკური მაჩვენებლებით, რომელსაც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი შეუფერხებლად იძლევა მცირე საწარმოთა ჯგუფზე(და არა ცალკეულ მცირე საწარმოებზე). ეს მაჩვენებლებია: პროდუქციის გამოშვება, მომუშავეთა რიცხვი, საწარმოთა რაოდენობა, ბრუნვის მოცულობა, დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა, ძირითადი კაპიტალი და სხვა. გამოვიყენეთ აგრეთვე პირადი კონტაქტები დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (იმერეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი). შეგროვილი მასალა მოცემულია ცხრილებში.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ,,სტატისტიკური წელიწდეულები“ 2008წ და 2009წლების კრებულებში მრეწველობა დაყოფილია სამ ძირითად ქვეჯგუფად. ესენია: სამთომოპოვებითი მრეწველობა; დამმუშავებელი მრეწველობა; ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება.

ყველა ცდის მიუხედავად ჩვენ ვერ შევძელით აგვეღო მცირე საწარმოთა მუშაობის ფინანსური მაჩვენებლები. საქართველოს პირობებში ყველაზე მეტად სწორედ ეს მასალაა გასაიდუმლოებული. რომელიც მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილების მიხედვით საწარმოსათვის წინა პლანზეა წამოწეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე საწარმოების ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მათ პროფილურ საქმიანობის (ძირითადი პროფილი) მაჩვენებლებს და იგი არ ეხება არაპროფილურ საქმიანობას, რომელიც თითქმის ყველა საწარმოს მეტ-ნაკლებად აქვს. ხისდამმუშავებელი წარმოება მრეწველობის ერთ-ერთი დარგია. როგორც საწარმოთა რაოდენობით, ისე გამოშვებული პროდუქციით, ძირითადი ფონდებით და სამრეწველო-საწარმოო პოტენციალით.

ხისდამმუშავებელ მრეწველობას ქვეყნის მრეწველობაში მაღალი ხვედრითი წილი უკავია როგორც ადრე, ისე ახლაც. როგორც შპს

„საქტყემრეწვი“ს მონაცემებიდან ჩანს 1990 წლამდე ეს დარგი კონცენტრირებული იყო საქართველოს ხე-ტყისა და დამმუშავებელი მრეწველობის სამინისრტოსა და გაერთიანება „საქქაღალდმრეწვი“-ს სისტემით. აერთიანებდა 37 სამრეწველო საწარმოს და ორგანიზაციას. მის წილად მოდიოდა რესპუბლიკაში წარმოებული ავეჯის და მუყაო-ქაღალდის პროდუქციის 95%. წარმოებები ძირითადად განლაგებული იყო სამრეწველო ქალაქებში და რაიონებში (თბილისი, ქუთაისი, სამტრედია,ბათუმი, ახალდაბა, ახმეტა, ზუგდიდი) დარგის საწარმოო-ტექნიკური პოტენციალი ასეთი იყო:

-საერთო დაკავებული ტერიტორია -180 ჰა. მათ შორის საწარმოო ფართი 370 ათ.მ^2;

-ძირითადი სამრეწველო ფონდების ღირებულება (1988 წლის ფასებით)-270 მლნ. აშშ. დოლარი, მომუშავეთა საერთო რაოდენობა 14000 კაცი (1990წ).

წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნომენკლატურა და მათი საწარმოო სიმძლავრეები 1990 წლის მდგომარეობით შეადგენდა:

- ავეჯის წარმოების-120 მლნ.დოლარი (1990 წლის ფასებით), (160 მლნ.მანეთი)
- დახერხილი მასალა-350 მ^3
- ანათალი შპონის -17 მლნ.მ^2
- შეწებილი ფანერის - 6 ათ.მ^3
- მერქანბურბუშელის ფილის - 18,7 ათ.მ^3
- პარკეტი -800 ათ. მ^2
- სარკის და მინის წარმოებების -350 ათ. მ^2
- ლითონის მილებიდან საავეჯო (სასკოლო) კარკასების წარმოების -1,6 მლნ.გრძ.მ.
- პენოპოლიურეთანის რბილი ელემენტები - 150 ტონა;

- საწერი ქაღალდი - 20 ათასი ტონა;
- ჩაის ქაღალდი (ერთჯერადი პაკეტებისათვის) - 2 ათ.ტონა;
- მუყაოს ნაწარმი (შეწებილი, სატარე) - 40 ათასი ტონა;
- სასკოლო რვეულები - 120 მლნ. ცალი;

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით საქართველოში მზადდებოდა ყველა კატეგორიის ავეჯი - კორპუსული, რბილი, ნახევრადრბილი, ცხაური, ლითონის კარკასებზე, მასიური მერქნის, მათ შორის მაღალმხატვრული ჭრის ორნამენტებით. დანიშნულების მიხედვით არჩევენ საყოფაცხოვრებო, საკანცელარიო, სამედიცინო, საკურორტო, სასკოლო, საბავშვო, საოფისე და ნებისმიერი არასტანდარტული ტიპის ავეჯის ნაწარმს.

დარგის მაღალი ტექნიკური დონის მაჩვენებელი იყო 80 ერთეულს აღემატებოდა, ძირითადად იმპორტული მაღალმწარმოებლური ავტომატური და ნახევრადავტომატური ტექნოლოგიური ხაზების არსებობა და საკუთარი ძალებით და სახსრებით შექმნილი განვითარებული ინფრასტრუქტურის და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ფართო ქსელი;

ხის გადამმუშავებელი, ავეჯის და ქაღალდის მრეწველობის დარგი, რომლის წვლილი საქართველოს ეროვნულ პროდუქციაში 1990 წლამდე 5-6%-ს შეადგენდა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სისტემის პერიოდში ხე-ტყის გადამამუშავებელი, ავეჯის და ქაღალდის მრეწველობა ჩართული იყო საკავშირო სამეურნეო დარგთაშორისი კოოპერირების საერთო ქსელში, რამაც იმ პერიოდისათვის ხელსაყრელი, პირობები შეუქმნა დარგს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების სფეროში. ასე მაგალითად: დარგი ყოველწლიურად ხე-ტყის ნედლეულის და მერქნის ნახევარფაბრიკატების საერთო მოხმარების 95%-ზე მეტს (რაც მრგვალ

მორზე გადაანგარიშებით 720-780 ათ.მ^3 შეადგენდა), ღებულობდა რუსეთის ფედერაციიდან. გარდა ამისა, რესპუბლიკის გარედან, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოდიოდა 600-ზე მეტი დასახელების მასალა-ნედლეული, ტექნიკა, ჩარხ-დანადგარები, ტრანსპორტი, მაკომპლექტებელი ნაკეთობები, სათადარიგო ნაწილები, მჭრელი იარაღები, ინსტრუმენტები და სხვა.

ასეთი სისტემის არსებობამ განაპირობა ის გარემოება, რომ რესპუბლიკის მრეწველობის სხვადასხვა დარგებში საერთოდ არ ვითარდებოდა ავეჯის და ქაღალდის წარმოებისათვის განკუთვნილი მატერიალირ-ტექნიკური რესურსების ძირითადი ნომენკლატურის მწარმოებელი ბაზა, როგორიცაა: სინთეზური წებო, ლაქსაღებავები, პარალონი, რბილი პენოპოლიურეტანი, ტექნიკური მინა, პლასტიკატი, დაზგა დანადგარები, თხელკედლიანი ლითონის საკარკასე მილები, ავეჯის მაკომპლექტებელი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობები, მხატვრული ფურნიტურა და სხვა.

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის და ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებისათვის დარგი მეტად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ასეთ სიტუაციაში დარგის საწარმოებს ნედლეულის და მასალების შეძენა უხდებოდათ ინდივიდუალურად, არაორგანიზებულ ბაზარზე, მცირე პარტიებად საცალო ფასებით, რაც სულ მცირე 10-15%-ით სჭარბობდა მსხვილ საბითუმო პარტიებით (ქარხნიდან) შეძენილ მასალის ღირებულებას. ეს კი თავისთავად შესაბამისად ზრდიდა პროდუქციის თვითღირებულებას, გამომდინარე აქედან შედეგებით.

ქვეყანაში მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე შექმნილი მწვავე სიტუაციის გარდა, უკანასკნელ წლებში მთელმა რიგმა ცნობილმა მოვლენებმა და ფაქტორებმა განაპირობეს სატყეო მრეწველობის კომპლექსის საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის მკვეთრი დაქვეითება,

ამიტომ დღეისათვის დარგის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად მიგვაჩნია რესპუბლიკის სამრეწველო კომპლექსის საწარმოებში დეფიციტური და ახალი პროგრესული მასალების და ნედლეულის წარმოება. კერძოდ: სინთეზური წებოების და ლაქსაღებავების- რუსთავის ს/საზოგადოება „ქიმკომბინატში‘‘, პლასტიკატის, პარალონის და პენოპოლიურეტანის -თბილისის რეზინა-ტექნიკური ნაკეთობათა ქარხანაში, თხელკედლიანი ლითონის საკარკასე მილების -კონცერნ „საქმეტალურგმრეწვში“, დეკორატიული და ბამბის ქსოვილების-მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, ფურნიტურის და ავეჯის მაკომპლექტებელი ნაკეთობების -ს/საზოგადოება „საავიაციო ქარხანაში“.

საქართველოში ხე-ტყის ნედლეულის სათანადო რესურსების არსებობა მეტად მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის მრეწველობის სტაბილური ფუნქციონირების საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ მწვავე კრიზისის პერიოდში მხოლოდ ადგილობრივმა მერქნის ნედლეულმა შექმნა დარგის ტრადიციული შრომითი კოლექტივების და სამრეწველო პოტენციალის შენარჩუნების ხელსაყრელი პირობები. ადგილობრივი ხე-ტყის ნედლეულის ჭრილში დარგის განვითარების უახლოეს ამოცანად მიგვაჩნია, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, მნიშვნელოვნად გაღრმავდეს და გაფართოვდეს ხის დამუშავების და მასიური მერქნიდან ავეჯის წარმოების სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც ძირითადად უნდა განხორციელდეს ხე-ტყის ნედლეულის ადგილზე დამზადების და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მჭიდრო კოოპერაციის განვითარებისა და პარტნიორული ურთიერთობათა სამეურნეო-ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპებზე, რომლის ერთ-ერთ (პრაქტიკაში გამოცდილ) კლასიკურ ფორმად მიიჩნევა ხე-ტყის

დამზადებისა და გადამუშავების კომპლექსური სამრეწველო სამეურნეო რგოლების შექმნა.

3.2 საქართველოში ხისდამმუშავებელი მრეწველობის ადგილი და როლი

2005 წლის მონაცემებით საქართველოს მრეწველობის მთლიან პროდუქტში ხე-ტყის დამუშავებას და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოებას, ავეჯის გარდა 1,23%, 2006 წელს 0,9%, 2007 წელს 0,8%, ხოლო 2008 წელს კი 0,7% ეკავა. [51.გვ.158]. ხისდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციიდან 2007წ 44,9%, ხოლო 2008წ 29,3 % მოდიოდა მცირე საწარმოებზე. [37.გვ.110]. (ეს გაანგარიშებები გაკეთებულია შესადარ ფასებში დღგ-სა და აქციზის გარეშე).

ამჟამად, 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ხიდამმუშავებელი მრეწველობაში 1510 საწარმოა რეგისტრირებული, მათ შორის, 76 საშუალო და 1403 მცირე. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ ვიკვლევთ მათ კონცენტრაციის დონეს და სტრუქტურას.

იმის გამო, რომ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტს 2009-2010 წლის ინფორმაცია ამ ჭრილში ჯერჯერობით დამუშავებული და გამოქვეყნებული არა აქვს, ამიტომ ხისდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა კონცენტრაციის დონისა და სტრუქტურის ანალიზს ვატარებთ მხოლოდ 2009 წლამდე მაჩვენებლების მიხედვით.

ხისდამმუშავებელ მრეწველობაში საწარმოთა კონცენტრაციის დონის შესწავლის მიზანია მცირე საწარმოთა რაოდენობისა და საწარმოთა საერთო რიცხვში მათი ხვედრითი წილის გამოკვეთა და შემდეგ ხისდამმუშავებელ მცირე საწარმოების სახეობრივი, ქონებრივი, ტერიტორიული და სხვა სახის სტრუქტურის დადგენა.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ 2003 წწ. საქართველოს მრეწველობაში დამმუშავებელ მრეწველობის ხვედრითი წილი თითქმის 91% იყო. ხოლო ხე-ტყის დამუშავება და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოებას, ავეჯისა და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დანარჩენი პროდუქციის წარმოებას მთლიან მრეწველობაში დაახლოებით 10,6 % ეკავა. 2007 წლისათვის ეს მაჩვენებლები შემდეგი იყო: დამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან მრეწველობაში ისევ 91%, ხოლო დარგისა კი 12,8% გახდა. [52.გვ.164].

საქართველოს მრეწველობაში დამმუშავებელ მრეწველობას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ბოლო ათი წელია, დამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი საწარმოთა რაოდენობის მიხედვით მთლიან სამეწარმეო სფეროში წლების მიხედვით დაახლოებით 11,6%-დან 13,4%-მდე ინტერვალშია. ის ჩამორჩება მხოლოდ ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნებისრემონტის სფეროს, რომლის ხვედრითი წილი დაახლოებით 46%-ის ფარგლებშია. მართალია ,ცხრილი 3.1-დან ჩანს, რომ დამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი საწარმოთა რაოდენობის მიხედვით წლების მიხედვით თანდათან მცირდება. 2006 წელს 13,4% იყო, ხოლო 2008 წელს კი 11,6% შეადგინა, მაგრამ გამოშვებული პროდუქციის მიხედვით მისი ხვედრითი წილი იმატებს 2008 წლისათვის.

ცხრილი3.1.

გამოკვლეულ საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით [51.][52]

	საწარმოთა რაოდენობა(ერთეული)	2005	2006	2007	2008
1	მთელი მრეწველობა	34934	28530	23137	21779
2	დამმუშავებელი მრეწველობა	4306	3835	2920	2532

3	დამმუშავებელი მრეწველობის წილი მთელ მრეწველობაში %-ით ჯამთან	12,3	13,4	12,6	11,6
4	ხე-ტყის დამუშავება და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა	540	399	216	194
5	ავეჯისა და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დანარჩენი პროდუქციის წარმოება	163	173	196	161
6	ხისდამმუშავებელ მრეწველობაში სულ(გრაფა4+გრაფა5)	703	572	412	355

ცხრილი 3.2

გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (სუბსიდიების ჩათვლით) [51] [52].

	პროდუქციის მოცულობა(მლნ.ლარი)				პროცენტობით ჯამთან			
	2005	2006	2007	2008	2005	2006	2007	2008
სამეწარმეო სფერო სულ	5838,3	7412,6	9645,4	10248,4	100	100	100	100
დამმუშავებელი მრეწველობა	1552,7	1919,1	2532,9	2804,5	27,1	25,9	26,3	27,4
ხისდამმუშავებელ მრეწველობაში სულ(მლნ.ლარი)	36,2	42	51,5	52	1,64	1,5	1,5	1,4
ხე-ტყის დამუშავება და მერქნის ხისა და კორპის ნაწარმის წარ-მოება, ავეჯის გარდა (მლნ.ლარი)	27,1	25,3	27,6	26,5	1,23	0,9	0,8	0,7
Ავეჯისა და სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი დანარ-ჩენი პროდუქციის წარმოება	9,1	16,7	23,9	25,5	0,41	0,6	0,7	0,7

დანართი 2-დან ვხედავთ, რომ პროდუქციის გამოშვება კერძო სექტორში 2007 წ მეოთხე კვარტალში 490512,1 ათას ლარს გაუტოლდა, ხოლო სახელმწიფო სექტორში მხოლოდ 20301,6 ათასი ლარი შეადგინა. Aქედან საშუალო საწარმოების წილად კერძო სექტორზე -297267,6 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო სექტორში – 16331,0 ათასი ლარი. Mმცირე საწარმოების წილი კი იყო კერძო სექტორში-193344,5 ათასი ლარი, სახელმწიფო სექტორში კი 3970,5 ათასი ლარი. ხოლო 2008 წლის მეოთხე

კვარტლის მონაცემებით მდგომარეობა ასეთია: პროდუქციის საერთო მოცულობამ მოიკლო 51703,5 ათასი ლარით, (რამაც ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 17,1% შეადგინა, რაც 10,1%-ით ჩამორჩება 2007 წლის მეოთხე კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს. 2007 წლის მეოთხე კვარტალში მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქციის გამოშვებამ ბიზნეს სექტორის გამოშვების 19,0% შეადგინა). შემცირდა აგრეთვე კერძო სექტორის მიერ პროდუქციის გამოშვება 55810,6 ათასი ლარით.

ცხრილი 3.3

მცირე საწარმოთა რაოდენობა და პროდუქციის გამოშვება საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობის საშუალო და მცირე
საწარმოებში (როგორც მთლიანად, ისე ერთ საწარმოზე ანგარიშით). [51][37].

წლები	Pპროდუქციის გამოშვება საშუალო და მცირე საწარმოებში საკუთრების ფორმების მიხედვით		
	მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა	პროდუქციის გამოშვება (ლარი)	პროდუქციის გამოშვება ერთ საწარმოში საშუალოდ (ლარი)
2007 მე-4 კვარტ.	412	510813,7	1239,84
2008 მე-4 კვარტ.	355	459110,2	1293,27
ცვლილება 2007-2008წწ			
ა)აბსოლუტურად ლარებში	- 57	-51703,5	+53,43
ბ)პროცენტულად (2008წ%-ად 2007 წელთან)	86,17	89,88	104,31

ცხრილი 3.3-დან ჩანს, რომ საწარმოთა რიცხვმა დარგში ამ ერთი წლის განმავლობაში მოიმატა, მაგრამ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობამ კი მოიკლო. მაგრამ თუ გადავხედავთ დანართი 1-ს ამ ერთი წლის დინამიკაში ნათლად გამოჩნდება, რომ პროდუქციის გამოშვება შემცირდა საშუალო საწარმოების ხარჯზე, ხოლო მცირე საწარმოთა პროდუქციის

გამოშვებამ მოიმატა და მთლიან გამოშვებაში 38,6% დან 46,2% -მდე ავიდა. ეს მაჩვენებელი მცირე საწარმოთა მაღალ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს. თუმცა აქვეა მისანიშნებელი ის ფაქტი, რომ საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობაში 2007-2008 წწ. მცირე საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვების საშუალო მაჩვენებლები 2007წ.- 1239,84 ლარი, 2008 წ -1293,27 ლარი) მათი ზრდის მიუხედავად, რაც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ არის დაშორებული საქართველოს კანონით - „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ მცირე საწარმოებისათვის დადგენილ საქონელბრუნვის ზღვრულ მოცულობას -500 ათ.ლარს. რათქმაუნდა, პროდუქციის გამოშვების და საქონელბრუნვის მაჩვენებლები სხვადასხვაა, მაგრამ რადგან მოცემულ დარგში მთელი გამოშვებული პროდუქცია რეალიზდება, ჩვენ ისინი თანაბარ სიდისეებად ჩავთვალეთ. ბრუნვის ზემოაღნიშნული ლიმიტის (500 ათ.ლარი) მიმართ ამჟამად მოქმედ მცირე საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვება და შესაბამისად მისი რეალიზაცია (იგივე საქონელბრუნვა) შეადგენს 2005წ - 1,64%; 2006წ.და 2007წ. -1 ,5%; 2008წ - 1,4%. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობა შედგება მცირე და უმცირესი (უწვრილესი) საწარმოებისაგან, რომელთაც ფეხზე დადგომისა და გამართულად მუშაობისათვის კეთილსასურველი მაკროგარემოს შექმნა სჭირდებათ. კერძოდ, თუ როგორი გარემო და რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო მის უზრუნველსაყოფად, ამაზე დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ ამ საკითხზე ჩვენი კონცეფციის წარმოდგენისას.

ზემოთ დასახელებულ კანონში - „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ არ არის მინიშნებული, მრეწველობის მცირე საწარმოსათვის დადგენილი საქონელბრუნვის სიდიდე 500 ათ.ლარი, საწარმოს ძირითად (პროფილურ) საქმიანობას ეხება, თუ ყველა საქმიანობას ერთად. ჩვენი დასკვნები გამოტანილია მხოლოდ ძირითადი საქმიანობის საფუძველზე.

ხოლო თუ კანონში იგულისხმება ყველა საქმიანობა, მაშინ ჩვენი დასკვნები შეიცვლება, მაგრამ არა მნიშვნელოვნად. სტატისტიკურ კრებულებშიც სამეწარმეო სფეროში მონაცემები კონკრეტულ დარგებში - 2006 წლამდე მონაცემები ნაჩვენები იყო მხოლოდ ძირითადი საქმიანობის მიხედვით, ხოლო 2006 წელს როგორც ძირითადი, ასევე არაძირითადი საქმიანობების მიხედვით. ამიტომ ზოგიერთ მაჩვენებლებში გარკვეული განსხვავებები არსებობს.



ნახაზი .3.1. მცირე და საშუალო საწარმოების ხვედრი წილი საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობის პროდუქციის გამოშვებაში

საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების მიხედვითაც დამმუშავებელ მრეწველობას წამყვანი ადგილი უჭირავს და პირველ ადგილზეა ქვეჯგუფებში. საქართველოს მრეწველობაში 2004-2008 წლებში სულ დასაქმებული იყო 85,4; 94,3; 90,3; 88,4 და 85,7 ათ.კაცი შესაბამისად. აქედან დამმუშავებელ მრეწველობაში დასაქმებული იყო 2004წ. 52,6 ათ. კაცი, 2005წ - 61,7 ათ.კაცი, 2006წ - 57,5 ათ.კაცი, 2007წ - 60,3 ათ.კაცი და 2008წ - 58,8 ათ.კაცი.

ცხრილი 3.4

საშუალოწლიური რიცხოვნობა

	2004წ	2005წ	2006წ	2007წ	2008წ
ხე-ტყის დამუშავება და მერქნის ხისა და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა(მლნ.ლარი)	2,2	3,5	2,7	1,8	1,8
ავეჯისა და სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი დანარჩენი პროდუქციის წარმოება	0,8	1,1	1,1	1,3	1,1
ხისდამმუშავებელი მრეწველობა სულ	3,0	4,6	3,8	3,1	2,9

ცხრილი 3.5

გამოსაკვლევ 2004-2008 წლებში ხისდამამუშავებელი დარგის საწარმოთა რაოდენობიდან გამომდინარე საშუალოდ ერთ საწარმოზე მოსულ მუშაკთა რიცხვი

	2004წ	2005წ	2006წ	2007წ	2008წ
დასაქმებულთა რაოდენობა (ათ.კაცი)	3,0	4,6	3,8	3,1	2,9
საწარმოთა რაოდენობა	310	703	572	412	355
ერთ საწარმოზე მოსულ მუშაკთა რიცხვი	9,8	6,5	6,6	7,5	8,17

ცხრილი 3.4 და 3.5 შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე. იხ. სტატისტიკური კრებულები „მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში“ და სტატისტიკური წელიწდეული 2009წ.

აღსანიშნავია, რომ დარგის მცირე და საშუალო საწარმოებში 2007წლის მეოთხე კვარტლის მონაცემით დასაქმებულთა 1368 ერთეულიდან 172 ერთეული იყო ქალი. ხოლო 2008 წელს მეოთხე კვარტალში კიდევ უფრო შემცირდა და დასაქმებულთა 1059 ერთეულიდან 112 იყო ქალი. აქედან 2007წ საშუალო საწარმოებზე მოდიოდა დასაქმებულთა 482 ერთეული (105 ქალი), ხოლო მცირე საწარმოებზე 886 დასაქმებულიდან 68 ქალი. 2008 წლის მეოთხე კვარტალში მცირე საწარმოებში საშუალოსთან შედარებით ისევ უფრო მეტი დასაქმებული იყო 135 ერთეულით, მაგრამ ქალების რაოდენობამ გაცილებით მოიკლო

და საშუალო საწარმოებში 55, ხოლო მცირე საწარმოებში 57 ერთეული შეადგინა.

საწარმოებში დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ 2008 წლის მეოთხე კვარტალში 130982 პირი შეადგინა (ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 39,3 %), რომელთაგან ქალია 44,9%. ქალთა ხვედრითი წილი 0,9%-ით მეტია 2007წლის მეოთხე კვარტლის მონაცემზე. აღსანიშნავია ისიც, რომ 2008 წლის მეოთხე კვარტალში დასაქმებულთა მატება იყო მცირე საწარმოებში (57,6%), ვიდრე საშუალო საწარმოებში (42,4%). 2007 წლის იმავე პერიოდისათვის ეს მნიშვნელობები იყო - მცირე საწარმოებში - 48,2%, ხოლო საშუალო საწარმოებში - 51,8%. იგივე ტენდენციაა ქალთა სქესის დასაქმების მხრივაც. მცირე საწარმოებში მათი ხვედრი წილი იმატებს 6,6%-ით, ხოლო საშუალო საწარმოებში კი იკლებს 1,0%-ით 2008 წელს 2007 წელთან შედარებით.

ხისდამმუშავებელ საწარმოებში საშუალოდ 7-8 კაცია დასაქმებული. დასაქმების ზღვრულ ნორმად კი მათთვის 40 კაცია დადგენილი. ე.ი. ფაქტიური დასაქმება ზღვრული დასაქმების მხოლოდ 20%-ია. ეს მაჩვენებელი კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები დასაქმებულთა რიცხვითაც წვრილი საწარმოები არიან, ანუ ორგანიზაციული თვალსაზრისით მცირე საწარმოები განვითარების საწყის დონეზე დგანან.

ჩვენ ვიანგარიშეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოების შრომისნაყოფიერების მაჩვენებლები და შევუდარეთ ისინი დარგის საშუალო საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებლებს (ცხრილი 3.6). აღმოჩნდა, რომ მცირე საწარმოებში დასაქმებული ერთი მომუშავის საშუალო შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საწარმოებში დასაქმებულ ერთი მომუშავის შრომისნაყოფიერებას. მაგ. 2008 წელს ეს მაჩვენებელი მცირე საწარმოებში იყო 1370 ლარი, საშუალო

საწარმოებში კი 6344 ლარი, ანუ თითქმის 4,5-ჯერ მეტი. მეტი იყო იგი წინა წლებშიც. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ დარგის მცირე საწარმოებში დაბალია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დონე, შრომის ტექნიკური აღჭურვილობის დონე, რაც ბუნებრივია ამცირებს შრომის ნაყოფიერების სიდიდეს.



ნახაზი 3.2 შრომისნაყოფიერების სიდიდე მცირე და საშუალო საწარმოებში

ხის დამუშავების ცალკეული წარმოებების ჭრილში 1997 წელსაც შრომის ნაყოფიერება ძალზე დაბალი იყო ხის სამშენებლო კონსტრუქციების და დეტალების წარმოებაში (594 ლარი). 1998 წელს იგი 922 ლარამდე გაიზარდა, მაგრამ ამ დარგის შიგნით მაინც ყველაზე დაბალ დონედ დარჩა. იგივე მდგომარეობაა თითქმის დღესაც. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ხეზე მუშაობა ძირითადად ხდება ხელით, ანდა ხელის იარაღებით. 2008 წლიდან კი შეინიშნება შრომისნაყოფიერების ზრდა. ეს გამოიწვია წარმოებაში უცხოური, თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზების დანერგვამ

(მაგ. ქუთაისის ქარხანა „კავკასუს როუდ პროჯექსი“ და ბათუმის შპს „რანდი“ და სხვაგან).

ცხრილი 3.6

შრომის ნაყოფიერების დონე და დინამიკა საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოებში 2007-2008წწ

	M მცირე საწარმოები			საშუალო საწარმოები		
	პროდუქციის გამოშვების მოცულობა	დასაქმებულთა რიცხვი	ერთი მომუშავის შრომის ნაყოფიერება	პროდუქციის გამოშვების მოცულობა (ლარი)	დასაქმებულთა რიცხვი	ერთი მომუშავის შრომის ნაყოფიერება
2007 წ	2147100	597	3596	2638600	482	5474
2008 წ	1214700	886	1370	2931300	462	6344
ცვლილება 2007-2008წწ						
ა)აბსოლუტურად ლარებში	+932400	+289	-2226	+292700	-20	+870
ბ)პროცენტულად (	56,57	148,4	38,09	111,1	95,9	115,9

ცხრილი დამუშავებულია ჩვენს მიერ

მოშლილი სტატისტიკური აღრიცხვისა და იმ მრავალი ბიუროკრატიული ბარიერების გამო, რაც გარდამავალ პერიოდს ახასიათებს საქართველოში, ჩვენ ვერ შევძელით ხისდამმუშავებელ მრეწველობის მცირე საწარმოებზე ზოგიერთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების (მაგ. პროდუქციის თვითღირებულების, საწარმოთა მოგება-ზარალის, რენტაბელობის, ფონდუკუგების და სხვ.) მოპოვება. ამის მიზეზი ისიც გახდა, რომ მცირე საწარმოები გამარტივებული ბუღალტერიით მუშაობენ და მათ აღარ ევალებათ ყველა იმ

ანგარიშგებითი ფორმების შევსება და სტატისტიკის დეპარტამენტში წარდგენა, რომელსაც გარდაქმნამდე ადგენდნენ.

ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეული მაჩვენებლებიც (პროდუქციის გამოშვება, ბრუნვა, მუშაკთა რაოდენობა, საწარმოთა რაოდენობა, შრომისნაყოფიერება, საშუალოთვიური ხელფასი) საშუალებას იძლევიან დარგში მოქმედ მცირე საწარმოების საქმიანობაზე გავაკეთოთ დასკვნები.

3.3 დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა ბიზნეს გარემოს გამოკვლევა და მართვის სრულყოფის ღონისძიებები

ყოველი საწარმო ფუნქციონირებს განსაზღვრულ გარემოში, რომლის კომპონენტები მასთან მჭიდროდ ურთიერთმოქმედებენ. „ბიზნესის გარემო არის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე, როგორც გარე, ისე შიდა მოქმედების გზით“ [3.გვ.159].

მაშასადამე, გარემო მოიცავს ფაქტორებს, რომელთა ერთი ნაწილი პირდაპირ მოქმედებს საწარმოს საქმიანობაზე, მეორე კი-ირიბად. ზოგი ავტორი პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორების ერთობლიობას უწოდებს უშუალო გარემოს, ანუ მიკროგარემოს, ხოლო ირიბი ზემოქმედების ფაქტორების ერთობლიობას - ზოგად ანუ მაკროგარემოს. ამ განმარტებიდან გამომდინარე მიკროგარემო შიგა გარემოდ უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მაკროგარემო -გარე გარემოდ. გარემოს ფაქტორების დაჯგუფებაზე განსხვავებული აზრი აქვთ სხვადასხვა მეცნიერებს.

წინამდებარე გამოკვლევისათვის ამ საკითხს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამიტომ მასზე მეტს არ შევჩერდებით და



ნახაზი 3.3 საწარმოს საქმიანობაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების სქემა

ჩამოვთვლით მხოლოდ ამ ფაქტორებს. ესენია: საწარმოო ძალები, რესურსების მომწოდებლები, მარკეტინგული შუამავლები, კლიენტები (მომხმარებლები), კონკურენტები, საკონტაქტო აუდიტორია (ფინანსური დაწესებულებები, სახელმწიფო დაწესებულებები და ა.შ), ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური მდგომარეობა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დონე, სოციალურ-კულტურული გარემო, საერთაშორისო მოვლენები, დემოგრაფიული მდგომარეობა.

გარემოს ზემოჩამოთვლილი ფაქტორები არ გამოირჩევიან მდგრადობით. მათ ახასიათებთ ცვალებადობა და გაურკვევლობა. ამიტომ

საწარმოთა საქმიანობაში მნიშვნელოვანია გარემოს ფაქტორების შესწავლა, პროგნოზირება და საწარმოთა საქმიანობაზე ზემოქმედების პროცესების შეფასება.

ამრიგად, საწარმოებს მეტად რთული პირობებში უხდებათ მუშაობა, გარემო ფაქტორების უმრავლესობა მათთვის უცნობია, პირობები კი ცვალებადი. განსაკუთრებით ძნელია საწარმოთა მუშაობა პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილურ ქვეყანაში, სადაც მათ არა აქვთ ორგანიზაციულ-სამართლებრივი გარანტიები, ხანგრძლივვადიანი მოტივაცია და სხვა. ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველო. ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება ფერხდება. კანონების ხშირი ცვლა, მათი დამატებები და შესწორებები, ხელისუფლებაში მოსულ პარტიათა შორის ძალაუფლების გადანაწილება, განსაკუთრებული ინტერესის ჯგუფის წარმოქმნა და მათი ლობირება მთავრობაში და ა.შ. იწვევს ბიზნესმენთა შიშს ხვალინდელი დღის მიმართ. მოქმედი საწარმოები იხურებიან, ხოლო აუმოქმედებელთა მეპატრონეები უკეთესი დღის დადგომას ელოდებიან.

თუ რა უნდა გააკეთოს ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ, ამის შესახებ ნაშრომის შემდეგ თავში გვექნება საუბარი, აქ კი ზოგადად მიმოვიხილოთ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში - იმერეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, სვანეთი, გურია - ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა გარემო პირობები, ხოლო შემდეგ კონკრეტულად გამოვიკვლევთ ქუთაისის და ბათუმის ხისდამმუშავებელ საწარმოებს „კავკასუს როუდ პროჯექსი“ და სს საავეჯო ბამბუკის ფაბრიკას.

გამოკვლევების შედეგებით 2007 წლის მეოთხე კვარტალში მცირე და საშუალო საწარმოთა ნაწილი (28,2 პროცენტი) სამეწარმეო საქმიანობას ეწევა 5-10 წელია. 25,6 % კი 3-5 წელია. 25,2 % 10 წელზე მეტია.[37.გვ.47].

დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იყო ერთი წლის შემდეგაც 2008 წლის მეოთხე კვარტალში. 2009 წლის 1 აპრილის მონაცემებით კი საწარმოთა 43%-ის გამოცდილება 5 წელს არ აღემატება. Ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ბიზნესის მართვის კულტურა და ტრადიციები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. Ამას ისიც ემატება, რომ საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო, და შესაბამისად კანონმდებლობა არასტაბილურია და ჯერაც განვითარების გზაზე იმყოფება.



სქემა 3.4 სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ საწარმოთა განაწილება მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით 2008 წლის მეოთხე კვარტალში

2007 წლის მეოთხე კვარტალში მცირე და საშუალო საწარმოთა 43% თვლიდა, რომ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში სამეწარმეო გარემო გაუმჯობესდა, 27,4% კი თვლიდა რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 5,5% კი თვლიდა რომ სამეწარმეო გარემო მნიშვნელოვნად გაუარესდა. 2008 წლის მეოთხე კვარტალში მდგომარეობა უმნიშვნელოდ გაუარესდა, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას 6%-ით ნაკლები მეწარმე უჭერდა მხარს, ხოლო გარემოს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას კი 12%-ით ნაკლები, ხოლო სამეწარმეო გარემო პირობების გაუარესებას 10,4 % აღიარებდა. მონაცემების დარგობრივ ჭრილში განხილვა შემდეგ სურათს

გვაძლევს: დამმუშავებელი მრეწველობის დარგში 5,5%-დან 9,6 პროცენტამდე გაიზარდა იმ საწარმოთა წილი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სამეწარმეო გარემო მნიშვნელოვნად გაუარესდა.(დანართი 2)

საინტერესოა საწარმოთა პროგნოზი მომავალში სამეწარმეო გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებით. 2007 წელს უდიდესი ნაწილი 31,3% თვლიდა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ უმნიშვნელოდ; 29,2% ოპტიმისტურად იყო განწყობილი და თვლიდა, რომ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდებოდა, თუმცა იყვნენ ისეთი მეწარმეებიც, ვინც გარემოს მნიშვნელოვან გაუარესებას გვიწინასწარმეტყველებდნენ (2,2%). 2008 წლის მეოთხე კვარტალში კი

ცხრილი 3.7

ბიზნეს გარემოს შეფასება (2008 წლის მეოთხე კვარტალი)

მაჩვენებლები	ხისდამუშავების მცირე და საშუალო საწარმოები			
	სულ	2007წ მე-4 კვარტ.	სულ	2008 წ მე-4კვარტ.
1.რამდენი წელია ეწევით სამეწარმეო საქმიანობას?	100	100	100	100
1 წელზე ნაკლები	3,1	6,0	5,6	5,9
1-დან 3 წლამდე	17,9	14,1	12,7	9,0
3-დან 5 წლამდე	25,6	22,6	25,7	23,9
5-დან 10 წლამდე	28,1	29,6	28,2	31,5
10 წელზე მეტი	25,2	27,6	25,5	26,1
Uუარი პასუხზე	0,1	0,1	2,3	3,6
2.თქვენი შეფასებით როგორ შეიცვალა სამეწარმეო გარემო ბოლო 1 წლის განმავლობაში	100	100	100	100
მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა	27,4	28,1	15,4	17,2
უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა	43,0	41,5	36,0	36,5
მდგომარეობა არ შეცვლილა	14,2	11,9	18,4	18,9
უმნიშვნელოდ გაუარესდა	6,9	8,7	12,6	12,2
მნიშვნელოვნად გაუარესდა	5,5	5,5	10,4	9,6
უარი პასუხზე	3,0	4,3	7,2	5,5
3.თქვენი შეფასებით როგორ	100	100	100	100

შეიცვლება გარემო მომავალი 1 წლის განმავლობაში				
მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება	29,2	18,7	13,4	13,4
უმნიშვნელოდ გაუმჯობესდება	31,3	31,2	28,3	30,4
მდგომარეობა არ შეიცვლება	10,7	11,0	15,2	16,0
უმნიშვნელოდ გაუარესდება	2,1	1,3	5,8	6,6
მნიშვნელოვნად გაუარესდება	2,2	2,1	4,5	3,4
Aარ ვიცი	22,5	22,0	27,8	25,9
Uუარი პასუხზე	2,0	3,7	4,9	4,4

მდგომარეობა შეიცვალა: ოპტიმისტების რიცხვი შემცირდა 3%-ით. მეწარმეთა უფრო დიდ ნაწილს (27,8%) უჭირს პროგნოზის გაკეთება. უფრო მეტი თვლის რომ მდგომარეობა არ შეიცვლება. მხოლოდ 13,4% დარჩა ოპტიმისტურად განწყობილი , რაც 15,8%-ით ნაკლებია წინა წლის ამ მონაცემზე. აღსანიშნავია, რომ 2,3%-ით გაიზარდა და 4,5%-ს მიაღწია იმ საწარმოთა წილმა, რომლებიც თვლიან, რომ სამეწარმეო გარემო მნიშვნელოვნად გაუარესდება. 2009 წლის პირველი აპრილის მონაცემებით კი გამოკითხულ საწარმოთა 73% თვლის, რომ ბიზნეს გარემო გაუარესდა. მიუხედავად რესპოდენტთა უმრავლესობის მოსაზრებისა ბიზნესგარემოს გაუარესებაზე, კომპანიების 63%-მა საგადასახადო კოდექსის პრაქტიკაში მოქმედება საშუალოდ შეაფასა. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ბიზნესგარემოს ნეგატიური შეფასება ძირითადად პოსტკონფლიქტური და გლობალური ფინანსური კრიზისითაა გამოწვეული.

გამოკითხულ საწარმოთა 73% ვერ ახერხებს საკუთარი ბიზნესის გაფართოებას ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის არქონის გამო. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც საფინანსო ინსტიტუტები, ასევე ინვესტორები, და საკუთარი თავისუფალი სახსრები. Kკრიზისამდე, მცირე საწარმოები განვითარებას საკუთარი რეინვესტიციის ხარჯზე ახდენდნენ, რაც დღეს უკვე დიდი პრობლემაა, რადგან მათ ხშირად საოპერაციო ხარჯებიც კი არ გააჩნიათ.

საკმაოდ საინტერესოა მეწარმეთა შეხედულება იმის შესახებ, თუ რომელი ფაქტორები უშლის ხელს მეტნაკლებად ბიზნესის განვითარებას. როგორც 2007 წლის მეოთხე კვარტალის, ისე 2008 წლის მეოთხე კვარტლის გამოკვლევის მიხედვით, ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებად, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ძირითადად ასახელებენ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მომატებას, საბანკო კრედიტის მაღალ საპროცენტო განაკვეთსა და გაზრდილი საგადასახადო განაკვეთებს.

2008 წელს 2007წელთან შედარებით თითქმის შედარებით გაორმაგდა იმ საწარმოთა წილი, რომლებიც ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობის სირთულეს. საწარმოთა უმრავლესობისათვის კრიტიკულია კრედიტის საპროცენტო განაკვეთი. უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლისათვის ბანკებმა თითქმის შეწყვიტეს კრედიტების გაცემა. ამასთან ფინანსური სექტორი უპირატესობას ყოველთვის მსხვილ ბიზნესს ანიჭებდა და თითქმის არასოდეს აფინანსებს მცირე, დამწყებ კომპანიებს. Mცირე კომპანიებისათვის ერთი გამოსავალი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია, რომელთაც თავის მხრივ დიდი საპროცენტო განაკვეთები აქვთ 30% და მეტი. მეწარმისათვის ასეთი პირობები აუტანელია.

მეწარმეთა 60%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა, დაწესებული რომ იყოს საგადასახადო შეღავათები. Pრობლემაა ის, რომ არ ტარდება მცირე დაშუალო ბიზნესის განვითარებისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

პრობლემაა აგრეთვე პროფესიული კადრების მოძიება. ეს პრობლემა დგას მსხვილი წარმოების წინაშეც. Mმიუხედავად იმისა, რომ დიდია უმუშევრობის დონე, პროფესიონალის მოძიება საკმაოდ რთულია როგორც დიდი, ასევე მცირე საწარმოსათვის. Eეს კი მიუთითებს

საქართველოში ბიზნეს –გარემოს კიდევ ერთ –ერთ მტკივნეულ ნაკლოვანებაზე.

მცირე და საშუალო კომპანიებისათვის კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება გამართული ბუღალტრული აღრიცხვა. შაწარმოების 55% თვლის, რომ მათ დახმარება სჭირდებათ თანამედროვე ევროპული სტანდარტების ბუღალტრული აღრიცხვის საქმეში. Aმას კილევ ემატება საგადასახადო კოდექსში ხშირი ცვლილება და რთული, გასაგებად ენა, რომელზეც ეს კოდექსია დაწერილი. შესაამისად მეწარმეები ვერ ფლობენ ზუსტ და საჭირო ინფორმაციებს ჯარიმების, საგადასახადო ვადებისა დას სხვათა შესახებ.

ერთ-ერთი ძალზედ რთული საკითხია საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმისათვის ინვესტორის მოძიება. რესპოდენტთა 94% არ ქონია არავითარი შეხება პოტენციურ ინვესტორთანაც კი. ამასთან არ აქვთ ინფორმაცია ისეთი ორგანიზაციებსა და საწარმოებზე, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ მათ ინვესტორის მოძიებაში და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში.

მეწარმისათვის ერთ-ერთი დიდი პრობლემა პროდუქციის გასაღებაა. Mმცირე საწარმოებს არ გააჩნიათ ადამიანური და სხვა რესურსები, რათა თავად მოიძიონ ინფორმაცია გარე ბაზრებზე ან პოტენციურ მყიდველების შესახებ. რესპოდენტთა 99,2% არ ფლობს ინფორმაციას შუამავალ ორგანიზაციის შესახებ.

სტატისტიკის მონაცემებით ყოველ წელს იზრდება რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ ახერხებს ბიზნესის წარმატებულ მართვას და იძულებულნი არიან დახურონ ან გააჩერონ წარმოება და დატოვონ ბაზარი უმოკლეს ვადაში. Eეს კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბიზნესის მართვისა და დაგეგმვის კულტურა ჯერ

კიდევ დაბალია და ძალზედ ბევრია ამ მხრივ გასაკეთებელი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

იმის გამო, რომ ხისდამმუშავებელი საწარმოები ძირითადად განთავსებულია იმერეთის რეგიონში, მაგალითისათვის მოვიყვანოთ იმერეთის რეგიონი.

დღეისათვის იმერეთის 9 რეგიონში დარეგისტრირებულია დაახლოებით 1560 ხისდამმუშავებელი მცირე და საშუალო საწარმო. აქედან უმეტესი წილი მოდის ხარაგაულის რაიონზე – (364) ერთეული, და ქუთაისზე –(341). შემდეგ მოდიან ხონის (190), ზესტაფონის (133) და ბაღდათის (131) რაიონები.შედარებით მცირე რაოდენობის საწარმოებია ჭუათურა(71), წყალტუბო (70), საჩხერე (65), ტყიბული(59), თერჯოლა(52), ვანი (45), სამტრედია (41). აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 30-35% ამჟამად არ ფუნქციონირებს, ან ნაწილობრივ დატვირთვით ფუნქციონირებს. დირექტორთა შერჩევითი გამოკითხვით მუშაობის ძირითად ხელისშემშლელ მიზეზად ასახელებენ დიდ გადასახადებს, ბიუროკრატიულ სიძნელეებს, კაპიტალის უქონლობას, მომხმარებლის ფაქტორს და სხვ.

განვიხილოთ ქუთაისში ახლადშექმნილი ხისდამმუშავებელი ერთ-ერთი საწარმო- ქუთაისის ქარხანა „კავკასუს როუდ პროჯექსი“.

ხე-ტყის გადამამუშავებელი მცირე საწარმო ჩამოყალიბდა თბილისში 2005 წელს. 4 წლის განმავლობაში განთავსებული იყო საავიაციო ქარხანაში. მუშაობდა ძირითადად ხის პანელებისა და ხის კოტეჯებისათვის მასალების, აუზებისათვის ხის დაფების დამზადებაზე. მზა პროდუქცია გადიოდა ექსპორტზე ევროპის ქვეყნებში, კერძოდ: შვეიცარიაში, Gგერმანიაში, ავსტრიასა და იტალიაში.

M შემოდის ძირითადად მე-3 და მე-4 ხარისხის მეორადი წარმოების ნარჩენები ჩამოუგანავი ფიცრების სახით.Mმურყანი, წაბლი, წიფელა.

ნედლეული შემოაქვთ ადგილობრივი სახერხებიდან, კერძოდ იმერეთიდან. აქედან Qკომპანიას ეკუთვნის საჩხერეში, ვანსა და ტყიბულში 5-6 სახერხი. Mმასალა შემოაქვთ თვეში 700$მ^3$. სულ კომპანიის ხისდამმუშავებელ სფეროში დასაქმებულია 2000 კაცი. ხოლო ქუთაისის აღნიშნულ საწარმოში 70 კაცი.

საწარმოში ამჟამად მუშაობს 1 ცვლა და ზაფხულის პერიოდიდან დაიწყებს მუშაობას მე-2 ცვლა.

M შემოდის ჩამოუგანავი გამშრალი, გამოხარშული, მე-3 ხარისხის ფიცარიც, წაბლი 1$მ^3$ – 300-350 ლარი, წიფელა 1$მ^{3-}$ 250-300 ლარი ღირს. მუშავდება და მზადდება ხის ნახევარფაბრიკატები, ადგილობრივი, ძირითადად იმერეთის, ავეჯის და სხვა ნაწარმის მცირე საამქროებისათვის და ევროპაში ექსპორტისათვის. ადგილობრივი წარმოება მოიხმარს დაახლოებით 20%, ხოლო ექსპორტზე იგზავნება 80% ხის ნახევარფაბრიკატები (პანელები, კარ-ფანჯრები, პარკეტი. გადახურვის ფერმები, რომელიც სიმტკიცით უტოლდება რკინას. ინტერიერის ფურნიტურა და სხვა). Fფასები მასალაზე ასეთია:

1$მ^3$ წაბლი 1 ხარისხის 1700 ლარი

მე-2 ხარისხის 1500 ლარი

1$მ^3$ წიფელა პირველი ხარისხის 1600 ლარი

მეორე ხარისხის 1400 ლარი

1$მ^3$ მურყანი პირველი ხარისხის 1400 ლარი

მეორე ხარისხის 1200 ლარი

1$მ^2$ კარ-ფანჯარის ფასი თავისი ფურნიტურით 250-300 ლარია. დიფერენციაცია ხდება მოდელის, მასალის სახეობისა და ხარისხის მიხედვით.

მუშათა ხელფასი გამომუშავებითაა. დღეში- 20-დან 40 ლარამდე, მუშათა პროფესიონალიზმისა და სხვა თვისებების მიხედვით.

საწარმო აღჭურვილია გერმანულ – ტაივანური წარმოების, ჰოლიტეკის, ვაიმინგის ფირმის მანქანა –დანადგარებით.

გამოსავლიანობა მე-3 ხარისხის ფიცრიდან ძირითადად დაახლოებით 60%-ია. შეიძლება იყოს გამოსავლიანობა 30% დან 70%-მდე. საწარმო არ ღებულობს ისეთ ნედლეულს თუკი გამოსავლიანობა 30%-ზე დაბალია.

1 ეტაპზე ხდება შემოტანილი მასალის ჩამოგანვა,

2. ტარდება რეისმუსში, უსწორდება გვერდები, ,,ფინგერჯოინტ'' დანადგარში იწყობა დეტალები და უკეთდება ჭრილები და მზადდება შესაწებებლად. ძელაკები ეწებება სიგრძეზე და მზადდება 6 მეტრის სიგრძის ძელი.

3. გადადის პრესზე, სადაც იწყობა ძელები, უსვავენ წებოს გრძივად, და პრესში გავლის შემდეგ მიიღება ფიცარი რომლის ზომებია მასიმუმ სიგრძით 6 მ, სიგანით 1მ 30 სმ და 20 სმ სისქის.

4. შემდეგი ეტაპია გვერდების გასწორება ;

5. ბოლო ეტაპი კი ზედაპირების გაპრიალებაა სპეციალურ დანადგარში.

შემდეგ ხდება დამუშავება ანტისეპტიკურად. ილაქება სპეციალური ლაქ-საღებავებით. ჭებოები არის დ-4, დ-3 მარკის, გერმანული წარმოების და ახლავს უვნებლობის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ჩატარებული აქვს ცდები საიმედობაზე. საღებავები არის უსაფრთხო. იხსნება წყალში, არ იხსნება ბენზინსა და ნავთში, მიიღება ბუნებრივი მასალებისაგან.

Lლაქი 1 ლიტრი დაახლოებით 20-25 ლარი ღირს.

აღნიშნული საწარმო დაჯდა 5 მლნ. ლარი. 2,5 მლნ. იაფი კრედიტით დაიფარა, 2,5 მლნ. Kკი კომპანიის ინვესტიციაა.

წელიწადში მუშავდება დაახლოებით 3000$მ^3$ მასალა. Gგაიზარდა ბოლო დროს მოთხოვნა და იმიტომ. მოთხოვნის შემდგომი გაზრდისას საწარმო მზადაა გაზარდოს პროდუქციის რაოდენობაც.

რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხისდამამუშავებელი მრეწველობას მდგომარეობა ასეთია:

აჭარაში 2000 წლისათვის 120 სამრეწველო საწარმო იყო. ხისგადამამუშავებელ მრეწველობაში (კერძოდ, ავეჯის წარმოებაში) – 5, 2005წ. რაოდენობა ისევ 120 იყო, ხისდამუშავებაში -18. 2007 წელს რაოდენობა 82 შეადგენდა, ხის დამუშავება და ავეჯის წარმოების -6.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2005 წ. სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების სტატისტიკური მონაცემებით, გამოშვებული პროდუქციის მთელმა მოცულობამ ფაქტობრივ ფასებში დღგ-სა და აქციზის გარეშე შეადგინა 262 283,6 ათასი ლარი. ძირითადი საქმიანობის მიხედვით გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 249 397,6 ათასი ლარი. გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობიდან მრეწველობაზე მოდის 16,6% ანუ 43 453,5 ათასი ლარის პროდუქცია. 2006 წლიდან საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სამრეწველო სექტორი, სადაც გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 78,8 მლნ. Lლარი, რაც 31%-ით აღემატებოდა წინა წლის შესაბამის მონაცემებს. 2007წ კი წარმოების მოცულობა უკვე 120,5 მლნ ლარს გაუტოლდა (მიახლოებით 63%-ით გაიზარდა).

2006წ სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობამ მოქმედ ფასებში შეადგინა 40015,6 ათასი ლარი (წინა წელთან შედარებით 132,2%), მათ შორის სახელმწიფო სექტორის საწარმოებში 20342,4 ათასი ლარის, ხოლო არასახელმწიფო სექტორში 19673,2 ათასი ლარს.

საწარმო ტიპების მიხედვით: მსხვილი-7, საშუალო -24, და მცირე 142.

აღნიშნულ საწარმოებში წარმოებული პროდუქციის რაოდენობამ შესაბამისად შეადგინა 18415,0; 11215,3 და 10385,3 ათასი ლარის სასაქონლო პროდუქცია.

2005 წ. მსხვილ საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ 163 688,2 ათასი ლარი ანუ სამეწარმეო სფეროს პროდუქციის მთელი მოცულობის 62,4% შეადგინა. საშუალო საწარმოებში 42835 ათასი ლარი-(16,3%). Mმცირე საწარმოებში -55760,4 ათასი ლარი (21,3%), მრეწველობის დარგთა მიხედვით წარმოებული პროდუქციის რაოდენობა მოცემულია ცხრილში, სადაც ჩანს, რომ 2007წ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით წარმოებული პროდუქცია სულ შეადგენს 41599,6 ათას ლარს, რაც ეკონომიკურ ზრდის მაღალ ტემპს მიუთითებს.

ცხრილი 3.8.

ხის დამუშავების წარმოების დინამიკა

	2003წ	2004	2005	2006	2007
სულ დამამუშავებელი მრეწველობა	38941,7	41400,3	40264,7	38952,7	41599,6
ხის დამუშავება	2012,1	3586,3	3879,5	4567,2	4958,4

ჭყარო: აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო Dდეპარტამენტის მონაცემები

ცხრილი 3.9.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხის დამამუშავებელი სამრეწველო საწარმოთა მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (2000-2007 წლებში)

საწარმოთა დასახელება	ერთეული	წარმოების მოცულობა (წლებში)							
		2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
სს ხის დამამუშავებელი კომბინატი	ათ. ლარი	564,1	601,3	676,9	362,7	429,9	411,2	524,3	600,5
შპს ,,რანდი ‘‘		-	-	-	19,3	19,5	29,8	64,7	165,9
სს ბათუმის საავეჯო ბამბუკის ფაბრიკა		269	426,8	336,6	185,4	338,8	405	564,2	657
,,ბეთლემი ‘‘		-	-	-	8,1	4,6	5,8	9,6	28,9

2000 წ მრეწველობაში საგრძნობლად შეიცვალა მდგომარეობა. მრეწველობაში რეგისრტირებული 21 საწარმოდან არ ფუნქციონირებდა 5 საწარმო. Aასეთივე იყო მდგომარეობა სხვა დარგებშიც.

Mმრეწველობის სფეროში მოქმედი საწარმოებიდან მნიშვნელოვანია ბათუმის საავეჯო ბამბუკის ფაბრიკა, რომელიც სპორტული ინვენტარის ფაბრიკის ბაზაზე ფუნქციონირებს და 1962 წლიდან იგი ცნობილი საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკის სახელწოდებითაა. Fფაბრიკის საქონელი ძირითადად ადგილობრივ (თბილისი, თელავი,გურჯაანი,საგარეჯო,გურია), უკრაინის (2,1 ათასი ლარი) და თურქეთის (11,1 ათასი ლარი) ბაზარზე რეალიზდება. ფაბრიკის პროდუქციიდან საექსპორტო მნიშვნელობისაა ბამბუკის ნაწარმი. ბამბუკის ნედლეულს ფაბრიკა ძირითადად ადგილობრივი (ციხისძირი) და მეზობელი ლანჩხუთის რაიონიდან იღებს. აღსანიშნავია, რომ ბამბუკის ნედლეული შემოჰქონდათ სოხუმიდანაც, უახლოეს პერსპექტივაში ფაბრიკას დაგეგმილი აქვს აშშ-სა და გერმანიის ბაზრების ათვისება. აღსანიშნავია,რომ ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრე 7 მლნ. ლარს შეადგენს,

მაგრამ ამ ეტაპზე ფაბრიკა 300-40 ათას ლარის პროდუქციას აწარმოებს, რაც საწარმოო სიმძლავრის მხოლოდ 15-20%-ია.

Aავეჯის საწარმოებში საავეჯო-ბამბუკის გარდა, კიდევ რამდენიმე საწარმო ფუნქციონირებს. მათგან მნიშვნელოვანია სააქციო საზოგადოება ბათუმის ხის გადამამუშავებელი კომბინატი, რომლის მიერ დამზადებულ პროდუქციას ძირითადად სახელმწიფო დაწესებულებები იძენენ. Kკომბინატის წარმოების მოცულობა არასტაბილურობით ხასიათდება. 1998 წლიდან 2000 წლამდე წარმოება 366000 ლარით, ხოლო 2001-05 წლებში 1,1-ჯერ გაიზარდა.

კერძო სექტორში კერძოდ კი ავეჯის წარმოებაში საინტერესოა ,,რანდი და ,,ბეთლემი‘‘. აღნიშნული საწარმოების საქმიანობა ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში კუსტარული წარმოებით დაიწყო, თუმცა მათ კარგად გაართვეს თავი თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. საწარმოთა საქონელი ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე იყიდება და საკმაოდ პოპულარულია მომხმარებლებში. ,,ბეთლემის‘‘ რეალიზაციის მოცულობა 8 100 ლარიდან 28 900 ლარამდე, ანუ 4-ჯერ გაიზარდა.

,,რანდის‘‘ პროდუქცია მომხმარებლის თითქმის ყველა ფენისათვისაა გათვლილი. აღსანიშნავია, რომ ,,რანდი‘‘ საქართველოს სავაჭრო პალატის მიწვევით თურქეთში, თანამედროვე დაზგა-დანადგარებით წარმოებული პროდუქციის გამოფენაზე იმყოფებოდა. ,,რანდის‘‘ წარმოების მოცულობა უკანასკნელ წლებში მნიშვნელივნად გაიზარდა. კერძოდ 19300 ლარიდან 165900 ლარამდე, ანუ თითქმის 8-ჯერ (11%-ით) გაიზარდა. აღნიშნული საწარმო წარმოების მოცულობით თითქმის გაუთანაბრდა რეგიონში ავეჯის წარმოებაში ლიდერის, ბათუმის საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკას.

გრაფიკულად თუ განვიხილავთ სამრეწველო საწარმოებს წარმოების მოცულობის მიხედვით, საწარმოები მაღალი ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან 2000-07 წლებში.

საწარმოთაგან წარმოების მოცულობით გამოირჩევა საავეჯო ბამბუკის ფაბრიკა.

ჩვენი საწარმოები, რომლებიც მუშაობენ ძველი მეთოდებით ვერ ეგუებიან მსოფლიო ბაზრის ცვლილებებს. შემთხვევით არაა, რომ სწორედ კრიზისულ პერიოდში წარმოიშობა ინოვაციების ცვლილებათა მკაცრი აუცილებლობა. მარკეტინგული კვლევის ეფექტურად წარმოება დაკავშირებულია ბაზრის კვლევასთან, მით უფრო, როდესაც ბაზარზე ახალი ინოვაციური საქონლის გატანაა გამიზნული. ზემოთ აღნიშნულ საწარმოებს პერსპექტივაში დაგეგმილი აქვთ გასაღების ახალი ბაზრების ათვისება. ბათუმის საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკის მიერ წარმოებული პროდუქცია გადის უკრაინაში, ბულგარეთში, თურქეთში, ფაბრიკის პროდუქციით დაინტერესებულია საბერძნეთი, Gგერმანია (დეტალებზე) და აშშ.

Mმარკეტინგული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აჭარის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობაში ტექნიკისა და ტექნოლოგიების განახლება უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ფაქტიურად არ განხორციელებულა და მანქანა-მოწყობილობების 80%-ზე მეტი მორალირად მოძველებულია, როგორც ვიცით მორალური ცვეთის ვადებად მანქანათმშენებლობაში დადგენილია 6-7 წელი. [63]

ცხადია ასეთ პირობებში წარმოებული პროდუქცია გასაღების ბაზარზე ვერ ისარგებლებს სათანადო მოთხოვნებით. ამიტომ მნიშვნელოვანია კომპანიათა კომპლექსური ბიზნეს დიაგნოსტიკა, რომელიც მიმართული იქნება გამოავლინოს კომპანიათა პრობლემები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, ადგილი ბაზარზე და კონკურენტებს შორის და სხვა.

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოური საწარმოები, რომლებიც ორიენტაციას ახალ პროდუქციაზე აიღებენ, სასურველია მათი რესტრუქტურიზაცია. დესტრუქტურიზაცია შეიძლება გავიგოთ, როგორც სამრეწველო საწარმოს

კრიზისიდან გამოსვლის მოდელი, რომელიც სასურველია გამოიყენონ ინოვაციური საწარმოებმა [14გვ.8].

როგორც ცნობილია, საწარმოთა კრიზისი სტრატეგიულიდან გადადის ტაქტიკურში, რომელშიც შედის საქმიანობის მასშტაბების შემცირება, მოგებისა და ბაზარზე წილის შემცირება, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შემცირება და ა.შ. საწარმოთა კრიზისიდან გამოსვლის ღონისძიებებში შეიძლება განვიხილოთ რესტრუქტურიზაცია, მარკეტინგი, გასაღების ახალი ბაზრების შესწავლა და დაუფლება, მართვის სისტემის სრულყოფა საწარმოს მოდერნიზაციის ანგარიშზე და პერსპექტიული ტექნოლოგიების დანერგვა. [74.გვ.11].

როგორც კვლევის შედეგებიდან ირკვევა აჭარის სამრეწველო საწარმოთა ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რეგიონის ბაზრის შესწავლა და ანალიზი, რომლითაც დაინტერესებული უნდა იყვნენ კომპანიათა წარმომადგენლები, ვინაიდან საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით აუცილებელია განისაზღვროს რა და რამდენი სახის წარმოებაა შესაძლებელი აღნიშნულ რეგიონში. Eეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონში ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და კონკურენტიანი პროდუქციის წარმოებას, რომელიც განკუთვნილი იქნება არა მარტო ადგილობრივი, ასევე საგარეო ბაზრისათვის.

ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ადგილი აქვს საწარმოების შემცირების ტენდენციებს ტრადიციულ სამრეწველო საწარმოებში. ამიტომ მეტი აქტიურობაა საჭირო საწარმოების ტექნოლოგიური პროცესის განახლების საფუძველზე სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მრავალ სხვა ფაქტორებთან ერთად საჭიროებს ბაზრისა და საბაზრო ურთიერთობათა შესახებ აზროვნების

შემდგომ განვითარებას. თანამედროვე ეტაპზე მრკეტინგული კვლევის პროცესში ყურადღების ცენტრშია მომხმარებელთა სრულად დაკმაყოფილება, რომელიც ახალი საქონლის შექმნასა და ინოვაციური პოლიტიკის რეგულირების პრობლემებთანაა დაკავშირებული.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა გარკვეულად ცვლის მრეწველობის საწარმოებში ახალი პროდუქციის ან ახალი ტექნოლოგიების შექმნასთან დაკავშირებული ინოვაციური პროცესების რეგულირების მექანიზმს. [54.გვ.50]

ეკონომიკური ურთიერთობათა გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა საბაზრო სისტემის ძირითადი ეკონომიკური მექანიზმი, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი, ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა დაუბალანსებლობა, კიდევ უფრო აძლიერებს ქვეყნის (რეგიონის) სამრეწველო საწარმოებში უახლოეს სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა წარმოებაში დანერგვის აუცილებლობას. ის საწარმოები, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ფუნქციონირების უნარს, ვერ უზრუნველყოფენ მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას. Aმიტომ საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესში დროის შესატყვისი მაკროეკონომიკური სფეროს ჩამოყალიბების სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ძირეულ გარდაქმნაზე, რომელშიც იგულისხმება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა, დასაქმება და ა.შ.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ტექნოლოგიებში და განაახლეს პროდუქციის ასორტიმენტი საწარმოებმა. კერძოდ:

1. ბათუმის საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკაში წარმოება პრესიდან ლამინატზე გადავიდა და ბამბუკის მასალის დამუშავება ნაცვლად ნავთისა (ღუნვა, სასურველ ფორმად) ამჟამად გაზით წარმოებს. (ბამბუკის მასალის

დამუშავება, პრიმიტიულად ნავთით წარმოებდა), რაც ნაკლებ შრომით დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

2. ,,რანდი‘‘ ავეჯის წარმოებაში გამოხარშულ მასალას, ლამინატს და პრესს იყენებს.

3. ,,ქედის‘‘ ავეჯი გვთავაზობს ყველა სახის ავეჯის, კარისა და ფანჯრების დამზადებას უცხოური ტექნოლოგიით, ფირმა ამისათვის გამოხარშულ მასალას (ნედლეულის ტექნოლოგიური დამუშავება წარმოებას თავად ახორციელებს) იყენებს.

ბათუმის ამ სამივე ხისდამამუშავებელ საწარმოებისათვის დამახასიათებელია შეფარდებითი სიახლე, რაც ნიშნავს, რომ ესაა სიახლე, რომელიც სხვა საწარმოებში უკვე გამოიყენეს, მაგრამ მოც. საწარმო პირველად ახორციელებს.

Bბაზარზე კონკურენციისათვის საჭიროა კონკურენტების ანალიზი გაკეთდეს, დაადგინეს საწარმოს ძირითადი კონკურენტები ბაზარზე (პირდაპირი და არაპირდაპირი), გამოვლინდეს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.[113.გვ.51]. გამოყენებული იქნას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომლის ზემოქმედებითაც მცირდება წარმოების ხარჯები, უმჯობესდება საქონლის ხარისხი და იზრდება მოგება. [61.გვ.222]. ძალზე მნიშვნელოვანია საქონლის ხარისხის კრიტერიუმების განსაზღვრა [111.გვ.104]. ინოვაციური პროცესების ფარგლებში საწარმო ახორციელებს ტექნიკური და ტექნოლოგიური მოწყობილობების სრულყოფას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს სტრატეგიაა შესთავაზოს მომხმარებელს პროდუქცია ხარისხთან დაუპირისპირებელ ფასებში.

უნდა მოხდეს საქონლის შედარება კონკურენტი კომპანიის საქონელთან, როგორც სამომხმარებლო მოთხოვნილების, ისე დანახარჯების მიხედვით.

დღეს, როცა საქართველოში ესოდენ დიდი ცვლილებები მოხდა პოლიტიკურ სპექტრში, ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ეკონომიკურ

პოლიტიკაში ახალი მიდგომების ძიება. [19.გვ.40]. საქონლის კონკურენ-ტუნარიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია ყველა ღონისძიების გატარება დანახარჯების, კერძოდ თვითღირებულების შემცირების მიზნით.

საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ევროპული ფორუმი მართვის პრობ-ლემებზე'' (ცენტრი ქ.ჟენევა) რეგულარული გამოკვლევების საფუძველზე აწარმოებს დასავლეთის ქვეყნების კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება როგორც ფირმების, რეალური და პოტენციური შესაძლებლობა დაამზადონ და გაასაღონ საქონელი, რომელიც უფრო მიმზიდველია მომხმარებლისათვის, ვიდრე კონკურენტების საქონელი.

ჯერჯერობით საწარმოთა კონკურენტუნარიანობის შეფასების საერთოდ მიღებული მეთოდიკა არ არსებობს. [80.გვ.217]. ინოვაციური საქონლის კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის აუცილებელია სამომხმარებლო ბაზრის ზუსტი სეგმენტაცია, რათა გამოვავლინოთ მომხმარებელთა დამოკიდებულება კომპანიებისა თუ მათ მიერ წარმოებულ საქონელზე.

ცხრილი 3.10

A ავეჯის მწარმოებელი სამრეწველო საწარმოთა ძირითადი ეკონომოკური მაჩვენებლები

1	ეკონომიკური მაჩვენებლები	ზომის ერთეული	,,რანდი ''	საავეჯო ბამბუკის ფაბრიკა
1	ნედლეული და მასალები	ლარი	230520	223471
2	შრომის ანაზღაურება		46104	34268
3	სოციალური გადასახადი		9221	16823
4	მივლინება		3842	3149
5	ოფისის ხარჯები		3063	1200
6	კომუნიკალური ხარჯები		3878	1228
7	ტრანსპორტის ექსპლოატაცია და		1210	1947

	შენახვის ხარჯები			
8	სხვა ხარჯები		7684	12462
9	ამორტიზაცია		384	15564
10	სულ ხარჯები		345780	374846
11	მოგება		38420	19354
12	სულ სასაქონლო პროდუქცია		384200	394200
13	ერთ. Pპროდუქციის ფასი		1500	1300
14	რენტაბელობა		10	20,4

წყარო: აჭარის სტატისტიკის სახელმწიფოDდეპარტამენტის მონაცემები.

მოტანილი მონაცემებით ჩანს,რომ აჭარის ავეჯის მწარმოებელი საწარმოების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით კომპანიების მიერ ნედლეულ-მასალებზე გაწეული ხარჯები თითქმის ერთნაირია. აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანია ნედლეულს იძენს ადგილობრივ ბაზარზე. ,,რანდი‘‘-ს ამორტიზაციაზე გაწეული ხარჯები მკვეთრად ჩამორჩება საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკის შესაბამის ხარჯებს, შრომის ანაზღაურებაზე გაღებული თანხებით მკვეთრად აღემატება ბათუმის საავეჯო ბამბუკის ფაბრიკის შესაბამის ხარჯებს. აქვე აღსანიშნავია ერთეული პროდუქციის ფასიც განსხვავებულ კომპანიებში.

1. საავეჯო ბამბუკის ფაბრიკა აწარმოებს ასორტიმენტს: კორპუსული ავეჯი, ბამბუკის ნაწარმი-მაგიდა, სკამი, კარადა, სხვადასხვა ტიპის სამეულები, ფანჩატურები და სხვა ტიპის ბამბუკის ავეჯი.

2. ,,რანდი‘‘- სხვადასხვა დანიშნულების საოჯახო ავეჯს, მხატვრულ ავეჯს.

3. ,,ქედის ავეჯი‘‘- თანამედროვე და ხალხური სტილის საოჯახო ავეჯი

4. ,,სავარძელი‘‘- საოფისე ავეჯის წარმოება

კვლევებით დადგინდა, რომ უახლოეს პერიოდში მომხმარებელთა მიერ შეძენილი პროდუქციის პროცენტული წილი აჭარაში საერთოდ მრეწველობაში ცნობილი კომპანიების მიხედვით არის:

1. საავეჯო ბამბუკის ფაბრიკა- 27%
2. ,,რანდი‘‘- 22%
3. ,,ქედის ავეჯი‘‘-1%

კომპანიათა გლობალიზაციის მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე მწარმოებელმა საწარმოებმა უნდა შეძლონ მარტივი ტიპის კლასტერის ჩამოყალიბება. კლასტერში მონაწილეობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობას იძლევა. იგი ხელსაყრელია რადიკალური ინოვაციების გამოყენების თვალთაზრისით. [103]. გარდა ამისა, ერთიანი ძალებით საგარეო ბაზრებზე გასვლა, მომგებიანი იქნება კლასტერში მონაწილე საწარმოებისთვის. ასეთი კლასტერის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მასში შემავალი ფირმების მწარმოებლურობის ამაღლებას.

საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობის მცირე საწარმოების შესწავლით აღმოჩნდა, რომ ისინი მართვის საკმაოდ მარტივი სქემით მუშაობენ. წვრილ საწარმოებს (10 კაცამდე დასაქმებულით) ჰყავთ პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტი (ან დირექტორი), ბუღალტერი, მდივანი. (ნახ.3.5). 10-დან 40 კაცამდე დასაქმებულით საწარმოებს მართვის სხვადასხვა სტრუქტურა აქვთ. ზოგს ფუნქციონალური განყოფილებები აქვს შექმნილი, ზოგს კი მხოლოდ სამუშაო ადგილები. ორივე შემთხვევაში საწარმოების მართვის სტრუქტურა იმეორებს საბჭოთა დროინდელ საწარმოთა მართვის სტრუქტურას.



ნახაზი 3.5 ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოებში მართვის მოქმედი სტრუქტურა.

ერთადერთი წინსვლა, რაც ჩვენ შევამჩნიეთ არის ის, რომ ზოგიერთ საწარმოებში გამოყენებულია მენეჯერების (მომარაგება-გასაღების, ან მარტო მომარაგების, ან მარტო რეალიზაციიც მენეჯერის) შტატები. ეს მაშინ, როცა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესი უწინარესად და უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად და რამდენად საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებისადმი ადეკვატურად შეიცვლება სამეურნეო სუბიექტების მართვა.

მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში და განსაკუთრებით მის გარდამავალ ეტაპზე, ხისდამმუშავებულ მრეწველობის მცირე საწარმოებს უპირველესად ისა აქვთ გასაცნობიერებელი, რომ ახლებურად მუშაობაში ძირითადი არის საწარმოს სწორი მართვა. მეწარმეთა 90 % კოტრდება, რადგან ამას ვერ აცნობიერებს.უფრო მეტად ეს ემუქრებათ მცირე საწარმოებს, რადგან ამ სფეროში უფრო მრავლადაა დილეტანტები.

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ გაკოტრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის საწარმოს მართვის უცოდინარობაზე. გარდა ამისა, როცა დილეტანტი ხსნის ახალ მცირე საწარმოს, ის საქმის წარმართვისათვის არ ქირაობს მენეჯერს, არამედ ან ღვითონ უძღვება წარმოებას, ან დირექტორად თავის ახლობელს, ასევე არაკომპეტენტურ პარტნიორს (თანადამფუძნებელს) ირჩევს და ანდობს საქმეს. თუმცა როგორც აღვნიშნეთ სწორედ საწარმოს მართვაა ყველაზე საპასუხიმგებლო და რთული ბიზნესში.

ეკონომიკის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არა თუ მცირე, არამედ უმცირეს საწარმოებშიც (3-5 კაციანი) კი მართვის პროცესი უმაღლეს

დონეზე დგას. მოქალაქე არ იფიქრებს ჯერ გახსნას საწარმო და მერე ისწავლოს მისი მართვა. საქართველოში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. თითქმის უმრავლესობა მცირე საწარმოებისა ასეა გახსნილი. ბევრი კი საქმის დაწყების შემდეგაც კი არ აპირებს ისწავლოს ბიზნესის საფუძვლები.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვართ მომხრე იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის იმ პერიოდში, რომელშიც საქართველო იმყოფება, საწარმოთა მართვაში ადმინისტრაციული მეთოდები მთლიანად შეიცვალოს ეკონომიკური მეთოდებით. ეს თანდათან უნდა მოხდეს. ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდები ერთმანეთს უნდა ავსებდნენ .

ჩვენი აზრით, მცირე საწარმოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ასაგებად უნდა მოხდეს მცირე საწარმოთა დაჯგუფება დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით 1 ჯგუფი - უწვრილესი საწარმოები (5-10დასაქმებულით), მე-2 ჯგუფი -წვრილი საწარმოები (11-25 დასაქმებულით) და მესამე ჯგუფი -მცირე საწარმოები (26-40 დასაქმებულით) და თითოეული ჯგუფისათის წარმოდგენილი იქნას ორგანიზაციის სტრუქტურის მიზანშეწონილი სქემები.

ჩვენ დავამუშავეთ ეს სქემები და ვაჩვენეთ ნახაზებზე (3.6, 3.7, 3.8). ჩვენი რეკომენდაციით უწვრილეს საწარმოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურაში მმართველობითი აპარატის ფუნქციები წარმოდგენილი უნდა იყოს თითო სამუშაო ადგილით, წვრილ და მცირე საწარმოებში კი - ფუნქციონალური სამსახურებით. სამივე შემთხვევაში მართვის აპარატის სტრუქტურაში უნდა მოჩანდეს საწარმოს ბაზარზე (მომხმარებელზე) ორიენტაცია.

5-10 კაციანი უწვრილესი საწარმოსათვის ჩვენს მიერ რეკომენდირებულია მართვის შემდეგი სტრუქტურა, რაც მართვის აპარატში 4 კაციან დასაქმებას გულისხმობს . (თუკი საწარმოში უფრო ნაკლები კაცი მუშაობს, მაშინ მართვის აპარატში იქნება მხოლოდ დირექტორი და ბუღალტერი 0,5 საშტატო განაკვეთზე).



Nნახაზი 3.6 ხის დამმუშავებელი მრეწველობის უწვრილესი საწარმოს მართვის აპარატის რეკომენდებული სტრუქტურა (პირველი ჯგუფი)

წვრილი საწარმოს მართვის სტრუქრურა (ნახ.3.7) 11-25 კაციანი საწარმოსათვის არის რეკომენდებული და მართვის აპარატში 6 კაცის დასაქმებას გულისხმობს.



Nნახაზი 3.7 ხის დამმუშავებელი მრეწველობის წვრილი საწარმოს მართვის აპარატის რეკომენდებული სტრუქტურა (მეორე ჯგუფი)



Nნახაზი 3.8. ხის დამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოს მართვის აპარატის რეკომენდებული სტრუქტურა (მესამე ჯგუფი).

მესამე ჯგუფში, 26-40 კაციან მცირე საწარმოს მართვის სფეროში დასაქმებული იქნება 14 კაცი, ანუ მომუშავეთა მაქსიმალური რიცხვის 35%. მათგან 8 კაცი მარკეტინგის, გასაღების და ფინანსების სფეროში. 40 კაციან მცირე საწარმოში (ასეთია მცირე საწარმოს დასაქმების ლიმიტი მრეწველობაში) მომუშავეთა 30%-ზე მეტის მართვის სფეროში დასაქმება მეტად სარისკოა, მაგრამ ეს აუცილებელია.

ლ.იაკოკა წერს -„თუ თქვენ არ გყავთ საიმედო გუნდი, ძალიან ცოტა რამის გაკეთებას შესძლებთ“ [8.გვ.]. გარდამავალ ეტაპზე ჯობია ვენდოთ იაკოკას. ხოლო შემდეგ, როცა დარგის მცირე საწარმოები ისწავლიან ბაზრის გამოკვლევას, ფინანსურ პროგნოზირებას და საერთოდ ბიზნესს, მათ შეუძლიათ შეამცირონ მართვის აპარატის შტატები.

საბაზრო პირობებში მომქმედმა საწარმომ განსაკუთრებული ყურადღება ბაზრის შესწავლას უნდა დაუთმოს. ამ საქმეს მარკეტინგის სამსახური ახორციელებს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მარკეტინგის სამსახურში მუშაკთა რეკომენდებული რაოდენობები, მაგრამ ვთვლით, რომ ამ ეტაპზე ესეც არასაკმარისია ამ დიდ საქმის გასაკეთებლად, რასაც მარკეტინგული კვლევა ჰქვია. კარგი იქნება თუკი დარგის მცირე საწარმოები შექმნიან კავშირებს (ასოციაციებს), რომლებიც კომერციული შეკვეთით ადვილად განახორციელებენ მათ ინფორმაციის მოპოვებას. ბიზნესის სპეციალისტის ნიკოლას სიროპოლისის აზრით „მეწარმემ ფაქტების მოპოვებაში არ უნდა დაზოგოს ფული. რაც მეტი ეცოდინება მას თავისი ბაზრის შესახებ, მით მეტი შანსი აქვს მიიღოს მეტი მოგება“ [83.გვ.182]. ეს უნდა იქნას გათვალისწინებული მცირე საწარმოების მხრიდან.მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მცირე საწარმოს მარკეტოლოგმა უნდა შეარჩიოს ბაზარი, განსაზღვროს მის მიერ ბაზრის მომცველობის სტრატეგია და ტაქტიკა, დაადგონოს თავისი და მთავარი კონკურენტების საფასო პოლიტიკა, გამოყოს და შეისწავლოს ბაზარზე მის

წილზე ზემომქმედი მაკრო და მიკრო ფაქტორები, დაახასიათოს პროდუქციის მომხმარებლები და კონკურენტები, დაადგინოს საქონლის მოსალოდნელი გაყიდვის მოცულობა და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა მცირე საწარმოს მარკეტინგის მართვის ერთნაირი სტრუქტურა არ ექნებათ. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ეს მცირე საწარმო, რამდენი სახის პროდუქციას უშვებს,რამდენ ბაზარზე და რამდენ რეგიონში მუშაობს, და ამის გათვალისწინებით აიგება მარკეტინგის მართვის სტრუქტურა.

მცირე საწარმოთა ამ ტიპების მიხედვით ქვემოთ ვიძლევით მარკეტინგის მართვის ორგანიზაციის შესაძლებელ სახეებს და შევთავაზებთ ჩარჩო-მოდელს, რომელიც დამუშავებულია ამერიკელი მეცნიერის ი.იანსოფის მიერ. ჩვენ მოვახდინეთ მისი ტრანსფორმაცია და მივუსადაგეთ ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოებს.

მოცემული გვაქვს მარკეტინგის მართვის 4 ვარიანტი (1,2,3,4). პირველი ვარიანტი მიესადაგება მარკეტინგის მართვას ფუნქციების მიხედვით. აქ ორი მარკეტოლოგი და ერთი გასაღების მენეჯერი მოიაზრება. ერთი მარკეტოლოგი ბაზარს შეისწავლის, მეორე კი შეადგენს მარკეტინგის გეგმა-პროგნოზს.

M მარკეტინგის სამსახური



Nნახაზი 3.9 მარკეტინგის მართვის რეკომენდებული სქემა იმ მცირე

საწარმოებისათვის, რომლებიც ერთ საქონელს აწარმოებენ, ერთ რეგიონს და ერთ ბაზარს ემსახურებიან

ეს პიროვნება მარკეტოლოგ პროგნოზისტი უნდა იყოს. ამ ვარიანტით გასაღების მენეჯერიც იმუშავებს ყველა საქონელზე და ყველა ბაზარზე ერთად. მარკეტინგის მართვის სწორედ ეს ვარიანტი გვაქვს ჩვენ წარმოდგენილი ნახ-ზე 3.9.

საქონლების მიხედვით მარკეტინგის მართვის დროს (ნახ.3.10) მცირე საწარმოს დასჭირდება იმდენი აუდიტორ-მარკეტოლოგი, მარკეტოლოგ პროგნოზისტი და გასაღების მენეჯერი, რამდენი სახის საქონელსაც ყიდის.

ხის საწარმო, რომელიც მრავალ ბაზარზე ყიდის მასალებს, დასჭირდება მარკეტინგის მართვა ბაზრების მიხედვით (ნახ3.11). მას იმდენი სპეციალისტი დასჭირდება, რამდენ ბაზარზეც მუშაობს. ასეთივე სიტუაცია იქნება რეგიონების მიხედვით მარკეტინგის მართვის დროსაც. (ნახ.3.12).

Mმარკეტინგის სამსახური



ნახაზი 3.10 მარკეტინგის მართვის რეკომენდებული სქემა მცირე საწარმოებისათვის, რომლებიც რამდენიმე საქონელს (ა,ბ,გ) აწარმოებენ.

ხისდამმუშავებელი საწარმოების გარკვეული ნაწილი ნედლეულის სიახლოვეს ფუნქციონირებს და იმავე რაიონის ბაზარზე იყიდება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ შეთავაზებული 4 შესაძლო სქემიდან დარგის მცირე საწარმოებს გამოადგებათ პირველი და მეორე სქემები.ხოლო საწარმოებმა, რომლებიც თავიანთ პროდუქციის გარკვეულ ნაწილს საზღვარგარეთ ბაზრებზე აგზავნიან მაგ. ქუთაისის „კავკასუს როუდ პროჯექსი“ და ბათუმის ავეჯის საწარმო „რანდი“, უნდა გამოიყენონ მესამე (ერთი საქონელი, რამდენიმე ბაზარი) და მეოთხე (ერთი საქონელი-რამდენიმე რეგიონი) სქემები.



ნახაზი 3.11. მარკეტინგის მართვის ორგანიზაციის რეკომენდებული სქემა
რამდენიმე ბაზარზე მომუშავე მცირე საწარმოებისათვის

ახლებურ გააზრებას მოითხოვს მცირე საწარმოს საფინანსო სამსახური, რომელიც გარდა ფინანსისტ მენეჯერისა, უნდა დაკომპლექტდეს აუდიტორ ფინანსისტისაგან, მგეგმავ პროგნოზისტისგან და ბუღალტრისაგან. საქმე ისაა, რომ მართალია მცირე საწარმოს უფლება აქვს აწარმოოს გამარტივებული ბუღალტერია, მაგრამ მის ინტერესებშია ახდენდეს საჭირო ფულადი სახსრების პროგნოზს, ადგენდეს ფულის ნაკადების მოძრაობის ანგარიშს და ანგარიშობდეს ლიკვიდურ ფულის ნაკადებს, ადგენდეს მომგებიანობის გრაფიკს და ანგარიშობდეს უზარალო პროდუქციის მოცულობას. თუ ასე არ იმუშავებს საწარმო, მაშინ ის არაპერსპექტიულია.

წარმოების მენეჯერი მარკეტოლოგებისაგან მიიღებს დაკვეთას პროდუქციის წარმოებაზე, ან მის მოდერნიზაციაზე, საერთოდ პროდუქციის წარმოებიდან მოხსნასა და ახალ პროდუქციის ათვისებაზე და ა.შ ისე, რომ ახალ პირობებში მომუშავე მცირე საწარმოების მარკეტინგის, გასაღებისა და წარმოება-მომარაგების სამსახურის ისეთ კონგლომერატად უნდა წარმოგვიდგეს, რომელშიც გადამწყვეტ მარკეტინგული სამსახური ასრულებს. საბაზრო ურთიერთობათა დროს საწარმოს ხელმძღვანელის შემდეგ მეორე ადგილზე ინიშნება ეკონომიკის, ან მარკეტინგის სპეციალისტი.

უნდა აღინიშნოს, რომ მიგვაჩნია მართვის სტრუქტურა ხშირად იცვლებოდეს და ესადაგებოდეს მცირე საწარმოს გარემო პირობებსა და საჭიროებას, უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი და ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ახლებურად გადაეწყოს.

ჩვენი რეკომენდაცია საშუალებას მისცემს საწარმოებს გაზარდონ რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, რაც გარანტირებული მოგების მომტანია.

Aამრიგად, ნაშრომის ამ ნაწილში შემუშავებული გვაქვს:

- მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურის სქემები უწვრილესი, წვრილი და მცირე საწარმოებისათვის;
- მარკეტინგის მართვის ანსოფისეული ჩარჩო-მოდელის (ფუნქციების მიხედვით, საქონლების მიხედვით, ბაზრების მიხედვით, რეგიონების მიხედვით) მოდიფიცირებული ვარიანტი (კერძოდ, მართვის სტრუქრურაში შევიყვანეთ აუდიტორ-მარკეტოლოგის და პროგნოზისტ-მარკეტოლოგების საშტატო ერთეულები, რომლებსაც საბაზისო სპეციალობა მარკეტინგში აქვთ);

Mმარკეტინგის სამსახური



N ნახაზი 3.12 მარკეტინგის მართვის ორგანიზაციის რეკომენდებული სქემა იმ მცირე საწარმოებისათვის, რომლებიც რამდენიმე რეგიონს (ა,ბ,გ და ა.შ) ემსახურებიან.

- მარკეტინგის ანსოფისეული მართვის სქემების მონიტორინგის საფუძველზე ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოებში წარმოვადგინეთ მარკეტინგის მართვის კონკრეტული სქემები.

3.4. საქართველოს ტყის რესურსები და მისი ადგილი ეროვნულ ეკონომიკაში

კაცობრიობის განვითარებაში ფასდაუდებელია ტყის როლი, მნიშვნელობა და სიკეთე. ტყე იყო ადამიანის არსებობის ერთ ერთი ფაქტორი. ამიტომ ძალზე ძნელია მოიძებნოს საზოგადოების ისეთი სფერო, სადაც ტყეს თავისი უნიკალური და უნივერსალური ზემოქმედებით გარკვეული წვლილი არ შეჰქონდეს მის განვითარებაში [7.გვ.5]

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განუზომლად გაიზარდა ტყის როლი საზოგადოების ეკონომიკურ-ეკოლოგიურ და სოციალურ-კულტურულ სფეროში. თუ წარსულში ტყის სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა უმთავრესად მერქნული რესურსების წარმოებათა გამოყენებით განისაზღვრებოდა და მერქნისაგან 4-5 ათასი დასახელების ნაკეთობა მზადდებოდა, ამჟამად მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებით 20-25 ათასი დასახელების პროდუქცია იქმნება. ე.ი. სახალხო მეურნეობაში უამრავი სახის ახალი მასალისა და ნედლეულის შემოჭრამ მერქანი ხმარებიდან კი ვერ განდევნა, პირიქით, გაიხსნა და გაფართოვდა მისი გამოყენების არეალი სხვადასხვა

სფეროებშიც, რამაც იგი უფრო მეტად ძვირფას და უნივერსალურ რესურსად გადააქცია. [8.გვ.6-7][17.გვ.43-44].

თანამედროვე პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით განვითარებამ, სამრეწველო ცენტრების, ინფრასტრუქტურებისა და მოსახლეობის ზრდამ განაპირობა ადამიანსა და ტყეს შორის საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული კანონზომიერებებისა და თანაფარდობათა დარღვევა, რის გამოც პლანეტაზე თავი იჩინა მრავალმა ნეგატიურმა სტიქიურმა მოვლენამ. ტყის რესურსების არარაციონალურად და ბარბაროსულად გამოყენებამ უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით 28% ნაყოფიერი მიწა ამოიღო სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან და გადაიყვანა გამოუყენებელთა კატეგორიაში, ხოლო ბოლო სამ საუკუნეში მსოფლიო ტყის რესურსების საერთო ფართობი, ჭრისა და ხანძრების შედეგად განახევრდა. [18გვ.142-166][79.გვ.13-14].

ამჟამად დედამიწაზე ტყეებს უკავიათ ხმელეთის ტერიტორიის 32%, რაც დაახლოებით 41 მლნ. $მ^2$, პლანეტის 1 სულ მოსახლეზე მოდის 0,8 ჰა ტყე, ხოლო საქართველოში ეს მაჩვენებელი 0,55 ჰა-ს შეადგენს. [11.გვ.53].

მსოფლიოში ყოველწლიურად 3 მლრდ.$მ^3$ მერქანს ამზადებენ, ხოლო მთლიანი მარაგი კი 350 მლრდ.$მ^3$ შეადგენს. მერქანის უმეტესი ხვედრითი წილი 30-40-% მოდის ქაღალდის წარმოებაზე, თუმცა რიგი ქვეყნები მას ავეჯის წარმოებისა და სამშენებლო ფილების წარმოებაშიც ფართოდ იყენებენ. [65.გვ.71-78].

ტყე მრავალი სახის სასარგებლო თვისებებით პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობს ქვეყნის ეკონიომიკურ ცხოვრებაში, მატერიალური დოვლათის წარმოების მთელ რიგ სფეროში. როგორც მსოფლიო პრაქტიკიდან ჩანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1992წ. რიო-დეჟანეიროს გარემოს დაცვისა და განვითარების

საერთაშორისო კონფერენციის მიერ ტყეების დაცვისა და მდგრადი განვითარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოყალიბებულ პროგნოზებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ტყე არამარტო დღეს, არამედ ახლო და შორეულ მომავალშიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს საზოგადოების ეკონომიკურ-ეკოლოგიურ საქმიანობაში. სატყეო მეურნეობის დარგობრივი თავისებურება, ტყის ბიოეკოლოგიური თვისებები, ტყის რესურსების ხანგრძლივი კვლავწარმოების ციკლი, გაწეული დანახარჯების უკუგების გრძელი პერიოდი, ტყის რესურსების სივრცობრივი გადაადგილების სპეციფიურობა და სხვა აპირობებს ამ დარგის განვითარების გრძელვადიან პროგნოზირებას.[13.გვ.70-75]. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში მსოფლიო მასშტაბით ნებისმიერი ქვეყნის უმთავრეს ამოცანათა რიგს შეადგენს ტყეების და მისი ყველა სახის სასარგებლო რესურსების არამარტო რაციონალური გამოყენება, არამედ უწყვეტი სარგებლობის თვალსაზრისით გაფართოებული კვლავწარმოება, ცალკეული ქვეყნის რეგიონის პირობებთან ჰარმონიულ შეთანწყობა და მეცნიერულ გამოკვლევათა საფუძველზე, ეფექტური რეგიონალური სატყეო პოლიტიკის გატარება.

ტყის სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა, მისი სასარგებლო რესურსების გამოყენების სფერო და მოცულობა ძალზე ცვალებადია არამარტო კონტინენტის, ქვეყნის, რეგიონის და ადმინისტრაციული რაიონის მიხედვით, არამედ ცალკეული დასახლებული პუნქტის (სოფელი, დაბა, ქალაქი და ა.შ) შიგნით. ტყით მდიდარ რეგიონებში პრიორიტეტი ენიჭება მერქნულ რესურსების ათვისება გამოყენებას, საკურორტო ადგილებში ტყის საკურორტო გამოყენებას, მთაგორიან რელიეფურ პირობებში - დაცვითი როლის გაძლიერებას და ა.შ. მაშასადამე თუ ერთი დარგის განვითარებისათვის აუცილებელია ტყის მერქნული

რესურსების გამოყენება, მეორე დარგისათვის, პირიქით, წინა პლანზეა წამოწეული ტყის სოციალური ესთეტიკურ, რეკრეაციული და სხვა სასარგებლო რესურსების გამოყენება.[66.გვ.17]. ტყის ასეთი მრავალფეროვანი გამოყენების ხასიათი და მნიშვნელობა არ გამორიცხავს იმას, რომ ტყის ერთი და იგივე პროდუქცია ერთ დარგში ასრულებდეს ძირითადი ნედლეულის როლს, ხოლო მეორე დარგში სხვადასხვა ფუნქციას. მიუხედავად ამისა, ტყის ყველა სახის სასარგებლო რესურსების გამოყენება და მნიშვნელობა საზოგადოებაში ორგანულ კავშირშია და მათ ათვისება-გამოყენებას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ტყის როლი ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში ძალზე მოკრძალებულ ადგილს იკავებს. ასე მაგ. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით 1991-2000 წლებში სატყეო მეურნეობის ხვედრი წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში ასეთი მაჩვენებლით ხასიათდება[40.გვ.86].

ცხრილი 3.11

საქართველოს ეკონომიკის დარგების ხვედრითი წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში (20002 წლის ფასებში, %)[51][37][52].

დარგები	1991წ	1992წ	1993წ	1994წ	1995წ	1996წ	1997წ	1998წ	1999წ	2000წ
სოფლის მეურნეობა	28,4	54,9	69,6	65,1	38,4	32,5	29,5	30,2	30,5	38,3
სატყეო მეურნეობა	0,2	0,2	0,1	0,0	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1
მრეწველობა	29,1	13,2	8,5	9,4	15,1	15,8	11,9	12,0	12,1	11,1
მშენებლობა	8,4	6,8	0,9	1,7	4,1	5,1 5	5,0	5,1	5,1	5,2
მომსახურება	33,9	24,9	20,9	24,8	42,3	46,5	53,5	52,6	52,2	53,3
	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

ირკვევა, რომ საქართველოს სატყეო მეურნეობის ხვედრითი წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან დამატებულ ღირებულებაში 0,1-0,2%-ის ფარგლებშია, რაც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ძალზე დაბალი მაჩვენებელია. სატყეო მეურნეობის ამ მაჩვენებელში შედის მხოლოდ მერქნული სარგებლიდან მიღებულ შემოსავლების წილი, რაც შეეხება ტყის მერქნითი რესურსებიდან მიღებულ სარგებელს, მას ჯერჯერობით ადგილი არ აქვს და ცხადია, სახელმწიფოს დონეზე სტატისტიკურ აღრიცხვაშიც არაა მინიშნებული.

საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე წარმოებულ სასარგებლო პროდუქციაზე და მის სტრუქტურაზე 1980-2001 წლებში ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 3.12-ის მონაცემები.

ცხრილი 3.12

საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე 1990-2001 წლებში წარმოებული რესურსების სტრუქტურა %-ში

რესურსების დასახელება	1980	1985	1990	1995	2001
მერქნული	90	85	80	85	95
არამერქნული	10	15	20	15	5
სულ	100	100	100	100	100

ირკვევა, რომ საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებში ძირითადად იწარმოებოდა მერქნული რესურსები და ამართლებდა იმდროისათვის ქვეყნის მოთხოვნებს მერქანულ რესურსზე, ამასთან ერთად საქართველოს სატყეო პოლიტიკა ადგილობრივი რესურსების ათვისებასთან ერთად ითვალისწინებდა მოკავშირე რესპუბლიკებიდან დამატებით შემოტანას. სწორედ იყო გათვლილი, რომ საქართველოს ტყეები ძირითადად ასრულებდნენ სოციალურ - ეკონომიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, საკურორტო- ტურისტულ და სხვა სასარგებლო ფუნქციებს.

1982 წ. მაისში სსრკ-ს მასშტაბით შემუშავებული იქნა ,,სასურსათო პროგრამა‘‘.[108.გვ.30]. ამ ფონზე შემუშავებულმა ტყის სასურსათო პროგრამამ განაპირობა, რომ გაიზარდა არამერქნითი რესურსული წარმოების წილი, ხოლო 1990 წ. სატყეო დარგში სამთავრობო დონეზე გატარებულმა პოლიტიკამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და მისი ხვედრი წილი 1985 წ-თან შედარებით გაიზარდა 20%-მდე. [10.გვ.20].

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შეწყდა რა სამეურნეო ეკონომიკური კავშირები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, კიდევ უფრო გაიზარდა ადგილობრივი მოსახლეობის ზეწოლა ტყის ფონდის მიწებზე, თუ როგორი ცვლილებაა მოცემულია ცხრილი 3.13-ში [82.გვ.16].

ცხრილი 3.13

ტყის ფონდების მაჩვენებლები წლების მიხედვით

მაჩვენებლები (ათ.ჰა)	1990წ	1995წ	1996წ	1997წ	1998წ
ტყის ფონდის საერთო ფართობი	2988,4	2988,4	2988,4	2988,4	3006,4
ტყით დაფარული ფართობი	2758,4	2752,3	2752,3	2752,3	2773,4
მერქნის საერთო მარაგი, მლნ.მ^3	421,0	434,0	434,0	434,0	434,0
ტერიტორიის ტყიანობა, %	39,6	39,6	39,6	39,6	39,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ტყის ფონდის საერთო ფართობი 1990-1991 წლებში არ იცვლება და 2988,4 ათ.ჰა-ს შეადგენს, ხოლო 1998 წ. გაიზარდა 18 ათ.ჰა-თი და 3006,4 ათ.ჰა-ს მიაღწია. ასეთივე ტენდენცია შეინიშნება ტყით დაფარული ფართობის მაჩვენებლებშიც, რაც 2758,3 ათ.ჰა-დან გაიზარდა და 1998წ. 2773,4 ათ.ჰა-ს მიაღწია. რაც შეეხება მერქნის საერთო მარაგს, რომლის მოცულობა 1990წ. 421,0 მლნ.მ^3 შეადგენდა, მომდევნო 1995წ. მისი ოდენობა იზრდება 13,0 მლნ.მ^3-ით, ხოლო ეს მაჩვენებელი 1995-1998 წ. უცვლელი რჩება. [60.გვ.52-53].

საქართველოს მთის ტყეების ძირითადი დანიშნულებაა წყალშემნახავი, ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური, ესტეტიკური და სხვა მრავალი ფუნქციების შესრულება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის, ჰიდროენერგეტიკული და ირიგაციული მშენებლობის, საკურორტო, ტურისტული, წყალთმეურნეობისა და სხვა სფეროების შემდგომი განვითარებისათვის. მთის ტყეების ამ ფუნქციების შენარჩუნებისათვის უწყვეტი ტყეთსარგებლობის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ დაიცავენ ტყეთმოსარგებლენი ტყის ფონდის სარგებლობის წესებს. დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტყის ფონდის მიწების გადანაწილებას ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

ცხრილი 3.14 საქართველოს ტყეების განაწილება ფუნქციონალურ დანიშნულების მიხედვით

კატეგორიების დასახელება	ფართობი (ათ.ჰა)	% ჯამთან
ნაკრძალი ტყეები	168,9	5,6
ძვირფასი ტყის მასივები	4,7	0,1
მწვანე ზონის ტყეები	265,7	8,9
ახალი ზონის საკურორტო ტყეები	115,7	3,9
შორეული ზონის საკურორტო ტყეები	775,5	26,0
ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი ტყეები	1623,1	54,3

ბარის დაცვითი, საექსპლოატაციო ტყეები	35,0	1,2
სულ	2988	100

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ზემდგომიო ორგანოების 1943 წ. 23 აპრილის დადგენილებით საქართველოს ტყეები დაყოფილი იყო 3 ჯგუფად. საბაზრო ურთიერთობების პირობებში კი დაიყო 2 ჯგუფად. შეიცვალა ჯგუფში შემავალი კატეგორიები.

ირკვევა, რომ საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი მნიშვნელობის ტყეებზე, რაც საერთო ტყის ფონდის 54,3%-ს შეადგენს. ამიტომაცაა, რომ სამრეწველო დანიშნულების ჭრების ჩატარება მეტად შეზღუდულ ხასიათს ატარებს, და საქართველოში მერქნული რესურსების სარგებლობაზე გაძლიერებული კონტროლია შემოღებული. საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი (29,9%) უკავია ახლო და შორეული ზონის საკურორტო დაცვითი ფუნქციის ტყის ფონდის მიწებს, ე.წ. საკურორტო ტყეებს. მათ მიეკუთვნება კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების ირგვლივ არსებული სამკურნალო დანიშნულების ტყეები, მათ შორისაა ცნობილი კურორტების: გაგრის,ბორჯომის, ბაკურიანის, აბასთუმნის, მანგლისის, წაღვერის, კოჯრის, საირმისა და სხვა კურორტების ირგვლის არსებული ტყეები. მათი ძირითადი დანიშნულება და ამოცანაა კურორტების და მათ შემოგარენის სანირატულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, დამსვენებლებისათვის ესთეტიკური პირობების შექმნა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სატყეო მეურნეობა მაქსიმალურად ჯერ კიდევ ვერ იყენებს ტყის ფონდის იმ მიწებს, რომლებიც მაღალი დაქანების, მიუდგომელ ადგილებზეა გაადგილებული. ტყის ფონდის 78% მდებარეობს მაღალი დაქანების (21%-ზე ზემოთ) ფერდობზე. თუმცა დღევანდელ პირობებში ტყის ფონდის იმ მიწებს,

რომლებიც მდებარეობს 21-25 გრადუს დაქანების პირობებში, დიდი რისკისა და დაძაბული მუშაობის გამო, ნაწილობრივ ითვისებენ (რთულია ტექნიკის შეყვანა,გზის გაკეთება, ხის მოჭრა და ა.შ) ათვისება გამოყენებას ართულებს ასევე ამ მიწების მდებარეობა ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით. კარგი იქნება ასეთი შემთხვევებისათვის გამოყენებული თუ იქნება ვერტმფრენები, რომლებიც მოხსნიან უგზოობის და მოჭრილი ხეების გამოზიდვის პრობლემებს.

საქართველოს ტყეების საშუალო ძირითადი სატაქსაციო მაჩვენებლები ასეთ სურათს იძლევა: კორომების საშ.სიმაღლე 22 მ, დიამეტრი -36 სმ. სიხშირე- 0,54, მერქნის მარაგი 1ჰა-ზე -176 $მ^3$, მწიფე და დაბერებული კორომების კი 244 $მ^3$, წიწვიანების 288 $მ^3$. მთელი ტყეების საშუალო ხნოვანება 98 წელი. მათ შორის წიწვიანების- 124, მაგარმერქნიანი ტყის 98 წელი. რბილმერქნიანის -38 წელი.

საქართველოს ტყეების მწარმოებლობა და ტყეთსარგებლობა დიდადაა დამოკიდებული ტყით დაფარული ფართობის სახეობრივ შემადგენლობაზე, მათ გავრცელებასა და ფართობის ერთეულზე საშუალო წლიურ შემატებაზე, ასევე კორომთა სიხშირეებზე, ბონიტეტზე, ხნოვანებასა და სხვა. ტყით დაფარულ ფართობზე რაც მეტია სწრაფმზარდი, ძვირფასი და მაღალპროდუქტიული ტყის სახეობები, ცხადია, იმდენად მაღალია, მათი სასარგებლო სახალხო-სამეურნეო სარგებლობა. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტყეებში გავრცელებულია 400-მდე სახეობის ხე-ბუჩქი, მათ შორის ტყის მთავარი შემქმნელი სახეობების მიხედვით 1996 წ. მონაცემებით ტყით დაფარვა (სულ ფართობი 2050,0 ათ.ჰა) შემდეგნაირად ნაწილდება:

წიფელი - 1014,8 ათ. ჰა - 49,5%
მუხა 204,4 10

სოჭი	165,2	8,1
რცხილა	145,5	7,1
ნაძვი	105,9	5,2
ფიჭვი	80,7	3,9
მურყანი	84,0	4,1
წაბლი	55,0	2,7
არყი	59,6	3,0
სხვა სახეობები	134,9	6,4

ამრიგად, ტყის რესურსები ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ეროვნული სიმდიდრეა, რომელთა როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში მეტად დიდიდა. 1990 წლის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. დიდი ზიანი მიადგა ტყის მეურნეობასაც. საქართველომ დაკარგა აფხაზეთის სახით 862,4 ათ.ჰა საერთო ტერიტორია, მათ შორის საერთო ტყის ფონდი 530,6 ათ.ჰა, ტყით დაფარული 379,2 ათ.ჰა, რომლის ტყიანობა საშუალოდ 55,6%, ხოლო საერთო მაგარი 102,4 მლნ.მ^3. 1 ჰა-ზე მარაგი 214 მ^3 შეადგენს, ხოლო ხამხრეთ ოსეთში - ტერიტორია 386,6 ათ. ჰა, მათ შორის 181,0 ათ. ჰა ტყე, სადაც საერთო მარაგია 18,8 მლნ.მ^3, 1 ჰა-ზე საშუალო მარაგი 115 მ^3. შეადგენს, მაშინ, როცა ეს მაჩვენებლები დანარჩენ საქართველოში საკმაოდ დაბალია.

საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მსგავსად სატყეო მეურნეობასაც შეეზღუდა ტყის რესურსების ათვისება-გამოყენება, კვლავწარმოების, ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების, სატყეო დარგის დაფინანსების თანდათანობითი გაზრდის შესაძლებლობა. სატყეო მეურნეობასაც მოაკლდა მიწოდების ტრადიციული წყაროები და გასაღების ბაზარი. Aამიტომ, დარგს ძალზე გაუჭირდა დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნა. გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე 1996 წლიდან დაიწყო ტყის მეურნეობაში.

სატყეო მეურნეობის ორგანოები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ ახალი სატყეო კანონმდებლობისა და ტყითსარგებლობის წესების მოქმედებისათვის. ვერ მოხერხდა ტყის რესურსების განაწილების და მარკეტინგული სისტემის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პრინციპებიდან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადაყვანა. ვერ მოხერხდა მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგება, ასევე ახალი კომერციული სტრუქტურებისათვის მერქნის მიწოდების ოპტიმალური პროგრამების შემუშავება, რამაც გამოიწვია მერქნის ბაზარზე მოთხოვნა მიწოდების დისბალანსის ზრდა და ,,შავი ბაზრის'' ფორმირება.

ხე-ტყის პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის დარღვევას ხელი შეუწყო აგრეთვე საქართველოს მოსაზღვრე (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და სხვა) ქვეყნებში ხე-ტყის პროდუქციაზე შესყიდვის მაღალმა ფასებმა. ამ მოტივით იმატა ქვეყნიდან ხე-ტყის როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური არხებით გადინებამ, ყოველივე ამან კი მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საქართველოს სატყეო მეურნეობას.

თუ როგორია მერქნის ბაზარზე ყველა სახის პროდუქციაზე მრგვალ მორებზე გაანგარიშებით მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობა დამოუკიდებლობამდე და მის შემდგომ პერიოდში, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 3.15.

ცხრილი 3.15

საქართველოში 1972-2000 წლებში მერქნულ რესურსებზე მოთხოვნა მიწოდების დინამიკა

წელი	მოთხოვნა	მიწოდება	მოთხოვნის დაკმაყოფილება, %
1971	2553,6	2012,8	79,0
1975	2172,0	1979,0	91,1
1980	2621,5	1965,0	75
1985	2520,0	2116,0	80

1990	2630,0	1497,1	54,3
1995	2719,4	1687,1	62,0
2000	2800,0	1760,4	62,8

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოში ხე-ტყის პროდუქციაზე ძალზე დიდი მოთხოვნა იყო 71-90 წლებში. ყოველწლიურად ქვეყნის შიდა ბაზრის დაკმაყოფილება ძირითადად რუსეთიდან შემოზიდული მერქანით იფარებოდა. წარსულში ცენტრალიზებული წესით ხე-ტყე ყოველწლიურად 57 რეგიონიდან შემოდიოდა. შემოზიდული მასალების ხვედრითი წილი საერთო მოცულობაში 95%-ს აღემატებოდა.

მოხმარების მხრივ შემოზიდული ხე-ტყის ნედლეულის ძირითადი წილი მოდიოდა მშენებლობისა და კომუნალური მრეურნეობის სამინისტროზე სამშენებლო დეტალების - კარფანჯრების ბლოკების დასამზადებლად, კაპიტალურ და მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად (50%-ს დონეზე). ავეჯის (20%) და ტარისა და შესაფუთი მასალის წარმოებაზე (14%). შემოიზიდებოდა 2012,8 ათ. $მ^3$ ხე-ტყე.

როგორი იყო ხე-ტყის დამზადების დინამიკა საქართველოში და რა მოცულობის მერქნული პროდუქცია მიეწოდებოდა ქვეყნის შიდა ბაზარს, ჩანს ცხრილი 3.16-ში წარმოდგენილ საქართველოს მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებიდან.

ცხრილი 3.16

საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე დამზადებული ხე-ტყის დინამიკა 1960-2000 წწ

წელი	მთავარი საეგებლობის ჭრები	მოვლითი ჭრები	სულ
1960	1260	60	1320
1965	1260	110	1370
1970	800	220	1020
1975	770	280	1050
1080	390	490	880
1985	430	510	940

1990	160	340	500
1995	80	240	320
2000	350	305	655

როგორც ვხედავთ, საქართველოში ხე-ტყის დამზადების ყოველწლიური მოცულობა 1960-1975 წლებში 1 მლნ.მ^3 აღწევს, ბაზრის მოთხოვნა კი 2,5 მლნ.მ^3-ია. ამ დანაკლისის შევსება შემოზიდული მერქნით იფარებოდა. 1980 წლიდან ხე-ტყის დამზადების მოცულობა მცირდება და 1990 წ. მან 0,5 მლნ.მ^3 შეადგინა. დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოში ხე-ტყის შემოზიდვა მთლიანად ადგილობრივ ნედლეულის ხარჯზე იფარებოდა. 2000 წ. მთავარი სარგებლობის ჭრა ჩატარდა 7,0 ჰა-ზე. მოიჭრა 350 ათ.მ^3, ანუ 1 ჰა-ზე მოსაჭრელი მარაგის მოცულობამ შეადგინა 50მ^3, მოვლითი ჭრები 15700 ჰა-ზე და მოიჭრა 3005 ათ.მ^3 ანუ 1 ჰა-ზე მოჭრილი მარაგის საშუალო მოცულობამ 19 მ^3 შეადგინა.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის განკარგულებით და საქართველოს ,,ტყის კოდექსის'' [38.გვ.28] თანახმად ხე-ტყის მოჭრისა და დამზადების უფლება ეძლევათ მხილოდ კომერციულ საწარმოებს, რომელთა შერჩევა ტენდერის საშუალებით მოხდება. პირველი ტენდერი ჩატარდა 2000 წ 8 აგვისტოს და წლის ბოლომდე ჩატარდა 10 ტენდერი. მონაწილეობას იღებდა 80-მდე იურიდიული პირი (შ.პ.ს.)

უკანასკნელ წლებში ხშირი მსჯელობის საგანი ხდება ხე-ტყის პროდუქტის (მორების, ფიცრების და ა.შ) ქვეყნის გარეთ ბაზარზე გატანა. ბოლო ხანებში რამდენჯერმე შეიცვალა ხე-ტყის მორების და სათბობი შეშის ექსპორტის რეჟიმი, მაგრამ აღნიშმული პრობლემა კვლავ დღის წესრიგშია და გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის საქმეში, ცხადია, გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს ტყის რესურსების გამოყენებამაც. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1997 წ. მორისა

და დახერხილი მასალის სახით საგარეო ბაზარს მიეწოდა 77,3 ათ.მ^3 ხე-ტყე, მრგვალი მორის სახით 52,1 ათ.მ^3 და დახერხილი მასალის სახით 25,1 ათ.მ^3. 1998 წ. ექსპორტირებულია 51,6 ათ.მ^3, ხოლო 99 წ. 52,2 ათ.მ^3. ხე-ტყის ექსპორტი მიმდინარეობს თურქეთში, ირანში, აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვა ქვეყნებში. დაუშვებლად მიმაჩნია ასეთი ძვირფასი ნედლეულის ქვეყნის ფარგლებს გატანა, ვინაიდან შესაძლებელია ნედლეული გამოყენებული იქნეს საქართველოშივე, თუკი აღორძინდება ხისდამმუშავებელი მრეწველობა,სახელმწიფოს ხელშეწყობითა და თანადგომით უნდა შეიქმნას მრავალი მცირე საწარმო (ხისდამმუშავებელი, ავეჯის, ხის კოტეჯების, კასრების, სხვადასხვა საოჯახო ნაკეთობათა და სხვა). ამით შეიქმნება სამუშაო ადგილები, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა რეგიონში, ადგილობრივ ბაზარს მიეწოდება სამამულო ნაწარმი.

საქართველოში უკანონოდ ტყით სარგებლობის მზარდი ტემპი შეინიშნება. მოვახდინეთAამ ტენდენციების ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რეკომენდაციით შპს "საქტყემრეწვი" 2005 წლიდან (დარგობრივი პრიორიტეტული პროგრამების ფარგლებში) ინტენსიურად მუშაობს ტყითსარგებლობის კომპლექსის სამეწარმეო გარემოს საქმიანობის ანალიზზე და ხე-ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების მაკროეკონომიკური ტენდენციების შესწავლაზე. ამ პროგრამის ფარგლებში 2005-2007 წლებში დეტალურად იქნა შესწავლილი ტყის სექტორში და ტყითსარგებლობის სამრეწველო სფეროში ტყის რესურსების უკანონო სარგებლობის მექანიზმები, მისი ხელშემწყობი პირობები და არალეგალური ტყითსარგებლობის საერთო მასშტაბები. აღსანიშნავია, რომ ტყის დაცვის და ტყით სარგებლობის ერთიან კომპლექსში სატყეო დეპარტამენტის და გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების

სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობისა და ინსპექტირების შესაბამისი ინსტიტუციები არასაკმარის ყურადღებას უთმობენ ტყის კოდექსის კანონქვემდებარედ მიღებული და მოქმედი დარგობრივი სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი მთელი რიგი ტექნიკური პირობრბის, ინსტრუქციების, დებულებების, წესების, ხე-ტყის ნედლეულის აღრიცხვიანობა-მარკირების, ნედლეულის ხარჯვისა ნორმატივებისა და სხვა შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი პირობების დაცვისა და ამ სფეროში არსებული უხეში გადაცდომების აღკვეთის უზრუნველყოფას.

საქმე იმაშია, რომ ტყითსარგებლობის სამრეწველო სფეროში ხე-ტყის პროდუქციის წარმოებაზე (სხვადასხვა სორტიმენტის დახერხილი მასალა, საავეჯო შავადნამზადი დეტალები, სამშენებლო ნახევარფაბრიკატები, საპარკეტე ფრიზა, პარკეტი, ანათალი შპონი, შეწებილი ფანერა და სხვა ხის დამუშავების ნაკეთობანი) საქართველოში 1992 წლიდან გაუქმებულია და აღარ მოქმედებს ყოფილი ხე-ტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხე-ტყის ნედლეულის და მასალების ხარჯვის ნორმატივები, რომელიც დამუშავებული იყო მეორე თაობის პრიმიტიული ხის დამუშავების დანადგარებზე წარმოებული ტექნილოგიებისა და ხე-ტყის ნედლეულის და მერქნული მასალების მოძველებული პოსტსაბჭოთა პერიოდის სახელმწიფო სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების ბაზაზე.

ამავე დროს განვლილი 16 წლის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღების დასახული პროგრამების შესაბამისად, სატყეო კომპლექსში ძირეულად შეიცვალა ხე-ტყის ნედლეულის, მასალების, მერქნის ნახევარფაბრიკატების და სხვა ხის პროდუქციის მთელი რიგი სახელმწიფო სტანდარტები, ტექნიკური რეგლამენტები და ნორმატიული

აქტები.Aამავე პერიოდში საქართველოში ასევე ფართოდ დაინერგა და არნახული მზარდი ემპით განვითარდა იმპორტული მიერ ორგანიზებული ხე-ტყის პირველადი და მეორადი გადამუშავების თანამედროვე ტიპის მაღალმწარმოებლური კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიები. A აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ამ ორი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებით აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს ხე-ტყის პროდუქციის წარმოებაზე ახალი, ტექნიკურად დასაბუთებული ხე-ტყის ნედლეულისა და მერქნული მასალების ხარჯვის ნორმატივების შემუშავება და მისი დროულად მოქმედებაში შეყვანა. ტექნიკურად დასაბუთებული ხე-ტყის ნედლეულის ხარჯვის ნორმატივები წარმოადგენს განზომილების ისეთ მნიშვნელოვან პარამეტერს, რომლის გამოყენებით მაღალი სიზუსტის ხარისხით განისაზღვრება ლეგიტიმურად შეძენილი ხე-ტყის ნედლეულიდან წარმოებული, ნებისმიერი ხე-ტყის პროდუქციის რაოდენობის კანონიერი თუ არაკანონიერი წარმომავლობა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2005 წლის 22 სექტემბრის [1]380 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხე-ტყის კანონიერებისა და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' დებულების მუხლი 2, პუნქტი 2-ის შესაბამისად, ,,ხე-ტყის კანონიერების სა წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი'' გაიცემა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე, რომლებიც ლიცენზიანტისაგან, უფლებამოსილი პირისაგან ან და კანონიერების დოკუმენტის მფლობელისაგან საკუთრების ნებისმიერი ფორმით იღებენ ხე-ტყეს''. Aამავე დებულების, მუხლი 4, პუნქტი 1 ბ-ს შესაბამისად, სატყეო დეპარტამენტის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ტყის მცველს (რეინჯერს) დაევალა ,,დაადგინოს შესაბამისობა ფაქტობრივად დამზადებული ხე-ტყისა ანდ ახე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქციისა და დოკუმენტით განსაზღვრულ რაოდენობას შორის'', ე.ი.

მარტივად რომ ვთქვათ, ხე-ტყის კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტში ტყის მცველი-რეინჯერი ხელმოწერით და ბეჭდის დასმით ადასტურებს ლიცენზიით შეძენილი ხე-ტყის ნედლეულიდან გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ფაქტიურ რაოდენობას კუბმეტრებში. Aმრიგად, ამ ოფიციალური დოკუმენტით (რომელიც წარმოადგენს მე-3 კატეგორიის ,,მარტივი ტიპის'' მკაცრი აღრიცხვის ფორმას) დასტურდება ლეგიტიმურად შეძენილი ხე-ტყის ნედლეულიდან წარმოებული ნებისმიერი ხე-ტყის საექსპერტო პროდუქციის რაოდენობის კანონიერი წარმომავლობა.

აქ ბუნებრივია თავისთავად იბადება ლოგიკური კითხვა, თუ რომელ სამართლებრივ ნორმატიულ-ტექნიკურ რეგლამენტებს, კრიტერიუმებს თუ მეთოდებს გამოიყენებს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ტყის მცველი (რეინჯერი), წარმოებული ხე-ტყის საექსპორტო პროდუქციის რაოდენობის მართლზომიერების დასადგენად, როდესაც საქართველოში 1991 წლიდან გაუქმებულია და აღარ მოქმედებს ყოფილი საქართველოს რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხე-ტყის ნედლეულისა და სახელმწიფოში დღემდე არ არის დადგენილი ხე-ტყის პროდუქციის ცალკეულ სახეობებზე ტექნიკურად დასაბუთებული და საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული ხე-ტყის ნედლეულის განახლებული ხარჯვის ნორმატივები, ხის ჯიშების, მორის ხარისხებისა და დიამეტრთა ჯგუფების გათვალისწინებით.

Aამრიგად, ხე-ტყის ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმატივების ამ განუკითხაობის პირობებში, რეგიონალური სატყეო სამმართველოს კეთილსინდისიერი ტყის მცველი-რეინჯერი, რომელსაც არ გააჩნია ხე-ტყის დამუშავების ექსპერტის სერთიფიკატი (სპეციალური ცოდნა და გამოცდილება). რაოდენობის მართლზომიერი

გამოსავლიანობის პროცენტი განსაზღვროს თავისი სუბიექტური მიდგომით. Aამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არაკეთილსინდისიერი ლიცენზიანტი მეწარმე-ექსპორტიორები თავისი ბოროტი ზრახვების ინტერესთა ფარგლებში უთუოდ დიდ ზეწოლას მოახდენენ რეინჯერზე იმის მოთხოვნით, რომ მან რაც შეიძლება მაღალი (არარეალური) გამოსავლიანობის პროცენტით დააფიქსიროს კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტში ხე-ტყის ნედლეულის გადამუშავების შედეგად წარმოებული საექსპორტო პროდუქციის რაოდენობა. მათი ეს მოთხოვნა სავსებით ,,ლოგიკურია‘‘, ვინაიდან რაც უფრო მეტია საექსპორტო ,,საქონელი‘‘, მით მეტია ტყის ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი (მითუმეტეს სახელმწიფოს ხარჯზე). Mმოკლედ, თუ ამ კატეგორიის მეწარმე-ექსპორტიორებმა, იძულებით თუ ნებაყოფლობით დაიყოლიეს ეს კეთილსინდისიერი ტყის მცველი – რეინჯერი ამ მზაკვრულ და მაცდურ გარიგებაზე, ამ შემთხვევაში რეინჯერი ხე-ტყის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის მე-3 გრაფაში ჩაუწერს მეწარმე-ექსპორტიორს ხე-ტყის გადამუშავების შედეგად მიღებულ (არარეალურად გაზრდილ) საექსპორტო პროდუქციის რაოდენობას.

Aმრიგად, რეინჯერის მიერ ამ ,,ნაჩუქარი‘‘, მაგრამ არ არსებული ნამეტი რაოდენობის საექსპორტო ხე-ტყის პროდუქციას, არაკეთილსინდისიერი მეწარმე ექსპორტიორი უპრობლემოდ შეავსებს უღრან ტყიდან არალეგალურად მოპოვებული ხე-ტყის ნედლეულის გადამუშავების ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ ამ თაღლითობის ,,გამოჭერა (თუ ვინმემ არ დააბეზღა), თითქმის შეუძლებელი ხდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს საბაჟო კოდექსი (კანონმდებლობით) საექსპორტო საქონლის კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დეკლარაციის (შესწავლა-

დასაბუთებას) არ მოითხოვს. კოდექსით საბაჟო კონტროლს ექვემდებარება მხოლოდ ანგარიშფაქტურით (ინვოისით) წარმოდგენილი საექსპერტო საქონლის საერთო რაოდენობის გაკონტროლება.

როგორც ხედავთ, აღნიშნული გარემოების გამო, ამ თაღლითობის ეს მარტივი ,,კლასიკური'' სქემა ფაქტიურად წარმოადგენს ,,ფარულ კონტრაბანდას'' ე.ი. როდესაც, არალეგალურად მოპოვებული ხე-ტყის ნედლეულიდან წარმოებული პროდუქცია ლეგალურად გადის ექსპორტზე ყველა საბაჟო პროცედურის დაცვით.

ცხადია, რომ ხე-ტყის ნორმატივების სფეროში ასეთი განუკითხაობის სიტუაცია მეტად ხელსაყრელ პირობებს უქმნის ტყის ბიზნესში აქტიურად ჩართულ არაკეთილსინდისიერ მეწარმე-ექსპორტიორებს და სატყეო სექტორის მესვეურებს ხე-ტყის რესურსების არალეგალურ მოპოვებასა და მის უკანონო რეალიზაციაში.

Aამ განუკითხაობას არ მოეღება ბოლო, სანამ ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროები არ შეიმუშავებენ (ხისდამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და დღეისათვის მოქმედი დარგობრივი სახელმწიფო სტანდარტების ბაზაზე) ხე-ტყის ნედლეულის ტექნიკურად დასაბუთებულ, განახლებულ ხარჯვის ნორმატივებს და შესაბამის დამცავ მექანიზმებს.

ტყითსარგებლობის ერთიან კომპლექსში თითქმის ყველა ნეგატიური მოვლენა და კორუფციული ქმედებანი, სადაც ტყის ბიზნესის ინტერესთა მეტად ფარტო სპექტრია ჩართული, უშუალოდ დაკავშირებულია ხე-ტყის სამეწარმეო საქმიანობასთან და ხისდამუშავების ტექნოლოგიის სპეციფიკასთან. Aამავე დროს აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს, და ასევე საქართველოს მთავრობას, სამწუხაროდ დრემდე არ გააჩნიათ

არავითარი რეალური ხელმოსაკიდი მონაცემები, რომელიც მიახლოებით მაინც განსაზღვრავს საქართველოში არალეგალური ტყითსარგებლობის საერთო მასშტაბებს და ამის შედეგად მიყენებული მორალური და ეკონომიკური ზარალის დონეს. Gარემოს დაცვისა ინსპექცია, საუწყებო რეგიონალური სატყეო სამმართველოები,აბაჟო დეპარტამენტის სამსახური, დანაშაულთან ბრძოლის სამართალდამცავი ორგანოები და სხვა ადგილობრივი სსტრუქტურები აღრიცხავენ უკანონო ჭრების მხოლოდ მათ მიერ გამოვლენილ ცალკეულ ეპიზოდურ შემთხვევებს. ბუნებრივია, რომ ამ ეპიზოდურ აღრიცხვებზე დაყრდნობით შეუძლებელია უკანონო ჭრების საერთო მასშტაბების განსაზღვრა.

ამჯერად იმ მიზნით, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საორიენტაციოდ განსაზღვროს ხე-ტყის ნედლეულის ხარჯვის ნორმატივების სფეროში არსებულმა განუკითხაობამ, ხე-ტყის პროდუქციაზე დაუცავი (არაკონტროლირებადი) საბაზრო ფასების ფართო ლიბერალიზაციამ, ხე-ტყის მასალებზე და პროდუქციაზე ხარისხის სავალდებულო სერტიფიკაციის გაუქმებამ და ტყის ერთიანი კომპლექსის პოლიტიკის და სტრატეგიის რეგულირებაზე სახელმწიფოს მართვის სადავეების შესუსტებამ, თუ რა დონემდე მიიყვანა ხე-ტყის რესურსების უკანონო მოპოვების მასშტაბები, წარმოგიდგენთ განსახილველად 2005-2007 წლების ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და ჩვენი მეთოდიკით გავლილ მეტად საყურადღებო მასალას. [62].

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ 2005, 2006 და 2007 წლების შემაჯამებელ ანალიზს:

მრგვალი ხე-ტყის სამასალე მერქნის საერთო რესურსი შეადგენდა 358.61 ათ.$მ^3$-ს. ამ ლეგიტიმური სამასალე ხე-ტყის რესურსებიდან წარმოებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სასაქონლო

ნომენკლატურის (4401-4421 კოდის ფარგლებში) 651.1 ათ.მ^3. ხე-ტყის პროდუქცია 401.6 ათ.მ^3-ს ანუ მთლიანი გამოშვებული პროდუქციის 61.7 %-ს, შიდა მოხმარების პროდუქცია შეადგენდა 249.5 ათ.მ^3, ანუ 38.3 %-ს.

ყოვლად წარმოუდგენელია, რომ 358.61 ათ.მ^3 ხე-ტყის სამასალე ნედლეულის რესურსიდან წარმოებულიყო მარტო 401.6 ათ.მ^3 საექსპორტო პროდუქცია, ხოლო შიდა მოხმარების პროდუქცია საერთოდ ხე-ტყის რესურსების გარეშე ყოფილა დამზადებული.

ამრიგად, სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე "ირკვევა", რომ საქართველოში უკანასკნელი 3 წლის პერიოდში 0.55 მ^3 მრგვალი სამასალე ხე-ტყის ნედლეულიდან წარმოებული იქნა 1მ^3 სხვადასხვა ნომენკლატურის ხე-ტყის პროდუქცია. (35861 მ^3: 65110მ3 = 0,55 მ^3);

ამავე დროს ჩვენი შეღავათიანი მეთოდიკის თანახმად 651.1 ათ.მ^3 ხე-ტყის საერთო პროდუქციის დასამზადებლად (მარტივ ჩამოუგანავ ფიცარზე აღებული მინიმალური ხარჯვის ნორმის - 1,35 მ^3 გათვალისწინებით) ფაქტიურად უნდა გახარჯულიყო სულ მცირე 879.0 ათ.მ^3 (651.1 ათ.მ^3 X 1.35მ^3 = 878,99 ათ.მ^3) მრგვალი სამასალე ხე-ტყის ნედლეული.

ამრიგად, 651.1 ათ.მ^3 ხე-ტყის პროდუქციის დასამზადებლად ხე-ტყის სამასალე მერქნის ლეგიტიმურ 358.61 ათ.მ^3 რესურს დეფიციტის სახით დააკლდა სულ მცირე 520.4 ათ.მ^3 სამასალე მორი (879 ათ.მ^3 – 358.61 ათ.მ^3= 520,4 ათ.მ^3), რომელიც მოპოვებული იქნა არალეგალური გზით;

უკანონოდ მოპოვებული 520.4 ათ.მ^3 შერეული ჯიშის მრგვალი ხე-ტყის ღირებულება (დადგენილი მინიმალური ზღვრული საბაზრო ფასების გათვალისწინებით) შეადგენს 32.9 მლნ. დოლარს (520.4 ათ.მ^3 X63.2 დოლ.=32,889 მლნ. დოლ), რაც სახელმწიფოს "სუფთა" ზარალს მიეკუთვნება;

401.6 ათ.მ^3 საექსპორტო ხე-ტყის პროდუქციის საკონტრაქტო

ღირებულება შეადგენდა 55.3 მლნ. აშშ. დოლარს. ამავე დროს, პირობითად მარტო ჩამოგანილი ნედლი მასალის საშუალო საბაზრო კონიუნქტურულ ფასზე ე.ი. 200 დოლარზე გადაანგარიშებით, საექსპორტო პროდუქციის საერთო თანხას ფაქტიურად უნდა შეედგინა სულ მცირე 80.3 მლნ.აშშ.დოლარი (401.6ათ.მ^3 X 200დოლ.=80,32 მლნ.დოლ.), ანუ 25 მლნ. დოლარით მეტი, რომელიც უდავოდ ჩაირიცხა მეწარმე-ექსპორტიორების ჯიბის ყულაბაში;

ჩვენი საორიენტაციო გაანგარიშებით (რომელიც მოითხოვს პროფესიულ დონეზე დაზუსტებას) ირკვევა, რომ ხე-ტყის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების, აუქციონიდან ბიუჯეტში შემოსული თანხებისა და ასევე სახელმწიფო ხაზინაში ფისკალური გადასახადებიდან მოზიდული ფულადი სახსრები, საერთო ჯამში მაქსიმუმ 30%-ის ფარგლებში თუ გადახურავს 2005-2007 წლებში ლეგიტიმურად წარმოებული 651.1 ათ.მ^3 ხე-ტყის პროდუქციიდან მიღებულ ეკონომიკურ ზარალს.

ასეთია სამწუხაროდ დღეს საქართველოს ეროვნული უნიკალური ტყეების კასტრირებული ხე-ტყის რესურსების "რენტაბელური" გამოყენებისა და ტყით სარგებლობის სამრეწველო-საექსპორტო ინდუსტრიის მზარდი ტემპით განვითარების რეალური სურათი. გულდასაწყვეტია რომ ტყითსარგებლობის კომპლექსში ამ მყარად დამკვიდრებულ ფართომასშტაბიან კორუფციულ ქმედებებს და აქედან გამომდინარე, ეროვნული უნიკალური ტყეების განადგურების აშკარად გამოკვეთილ პროცესებს, (რომელიც ძირითადად საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან დაიწყო), ვერავინ ვერ "ხედავს" და ვერავინ ვერ "ამჩნევს". ასევე ვერ "ამჩნევენ" ტყის გამეჩხერებულ კორომებს, ტყის დეგრადირებულ მასივებს, ნიადაგის ეროზიის, მეწყერების, სელური ღვარების, ღვარცოფების და დატბორვების

გახშირებულ პროცესებს, რომელიც ეკონომიკური ზარალის და მორალური ზიანის გარდა რეალურ საფრთხეს უქმნის ელიტარული ტყეების ბიომრავალფეროვნების და სახელმწიფოს ბიოსფეროს მდგრადობის შენარჩუნებას, რაც საქართველოსათვის კატასტროფის ტოლფასია (რღვევის პროცესები კი უკვე კარგა ხანია რაც დაწყებულია).

წარმოდგენილი მასალიდან აშკარად გამოიკვეთა ის სამწუხარო ფაქტი, რომ საქართველოში ხე-ტყის რესურსებით უკანონო სარგებლობისა დ ახე-ტყის პროდუქციის არალეგალური ექსპორტის მზარდი ტემპის განვითარების ტენდენციების პირობებში, ტყით სარგებლობისა და ხე-ტყის საექსპორტო სფეროს კომპლექსში არ გამოიყენება სატყეო მრეწველობის დარგის პრაქტიკაში მიღებული მთელი რიგი ეფექტური დამცავი მექანიზმები.

ამრიგად, საქართველოში უნიკალური ტყის ფონდის დაცვის გაძლიერებისა და სახელმწიფო ხე-ტყის რესურსების უკანონო მოპოვების აღკვეთის მიზნით, დღევანდელ ეტაპზე აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რათა საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა ოფიციალურად დაავალოს რეგიონალურ სავაჭრო-სამრეწველო პალატებს, რომ ხე-ტყის საექსპორტო პროდუქციაზე წარმოშობის სერთიფიკატის გაცემისას (საექსპორტო მოკვლევით) შეამოწმონ და დაადასტურონ დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი ხე-ტყის საექსპორტო პროდუქციის რაოდენობის კანონიერი წარმომავლობა და მისი საკონტრაქტო პირობებთან შესაბამისობის მართლზომიერება. ამ დამცავი სისტემის პრევენციის გამოყენებით, რომელიც არ წარმოადგენს ექსპერტისთვის დიდ სირთულეს, ბოლო მოეღება უკანონოდ წარმოებული ხე-ტყის პროდუქციის ექსპორტირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფრით ვერ შევაჩერებთ ხე-ტყის პროდუქციის ე.წ. ‘‘ფარულ კონტრაბანდას’’.

3.5. ავეჯის წარმოების ეკონომიკური პერსპექტივები დასავლეთ საქართველოში

ქვეყანაში მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე შექმნილი მწვავე სიტუაციის გარდა, უკანასკნელ წლებში მთელმა რიგმა ცნობილმა მოვლენებმა და ფაქტორებმა განაპირობეს სატყეო მრეწველობის კომპლექსის (ისევე როგორც სხვა დრგების) ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი დაქვეითება. აჩქარებული, ფართე მასშტაბიანი ხასიათის პრივატიზაციასთან დაკავშირებული სახელმწიფოს მმართველობითი და რეგულირებადი ფუნქციების მნიშვნელოვანმა შესუსტებამ, ფასების თითქმის ტოტალურმა ლიბერალიზაციამ, საგადასაჯადო სისტემის სიმძიმემ, ინფლაციის მაღალმა ტემპებმა, საგარეო ურთიერთობაში სამეურნეო-სავაჭრო კავშირების დარღვევამ, თბოენერგეტიკული რესურსების მწვავე დეფიციტმა, შიდა სამომხმარებლო ბაზრის მკვეთრმა დაქვეითებამ, რომელმაც გამოიწვია პროდუქციის რეალიზაციის უკიდურესი შეზღუდულობა და სხვა მოვლენებმა, მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენეს დარგის საწარმოები. ასე მაგალითად, პროდუქციის საერთო მოცულობა 1995 წელს, 1990 წელთან შედარებით 15-20-ჯერ არის შემცირებული, ზოგიერთი ნატურპროდუქციის სახეობებზე კი - 30-50-ჯერ. წარმოებების მეტად დაბალი რენტაბელობის გამო ერ წყდება მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების საკითხი.

საწარმოთა თითქმის 30% ზარალიანი შეიქმნა, 90% განიცდის საბრუნავი სახსრების მწვავე დეფიციტს. ხელფასის 2-4 თვით დაგვიანებამ და მომუშავე პერსონალის გრძელვადიანი უხელფასო შვებულებაში დათხოვამ უკვე ქრონიკული ხასიათი მიიღო. ამ მიზეზების გამო დარგმა დაკარგა კვალიფიცირებული სპეციალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი. დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი ორჯერ და სამჯერ შემცირდა.

დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დარგის მსხვილი საწარმოები: თბილისის ს.ს. "განთიადი", (ყოფილი თბილისის საავეჯო-საწარმოო გაერთიანება "განთიადი"), სამტრედიის სს "იმერეთი" (ყოფილი სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატი), ს.ს."საქქაღალდმრეწვი" (ყოფ. "ენგურქაღალდკომბინატი"). თბილისის სს "კალასი" (ყოფილი თბილისის ავეჯის დეტალების კომბინატი), ქუთაისის სს "ივერია" (ყოფილი ქუთაისის საავეჯო-საწარმოო გაერთიანება "ივერია"). სს "ტაო" (ყოფილი ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატი), სს "ახალდაბის საავეჯო ფაბრიკა", თბილისის სს "მშენებელი-21" (ყოფილი სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი "საქავეჯმშენი" თავისი დამხმარე წარმოებით, რომელიც გარდაიქმნა ს/საზოგადოებად "ინდუსტრია-21"); ასევე მეტად რთული მდგომარეობა აქვს შექმნილი სატყეო მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევით საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტს.

შექმნილი მდგომარეობის დეტალური ანალიზის და განვლილი წლების პრაქტიკული გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბდა აზრი, რომ ამ საერთო კრიზისულ სიტუაციიდან გამომდინარე ასეთ მსხვილ საწარმოებში მათი სრული ტექნოლოგიური ციკლით ამოქმედების და შემდგომი სტაბილური ფუნქციონირების მიღწევის პერსპექტივა უახლოეს 5-7 წლის პროგნოზულ პერიოდში არ ისახება.

დღეს საქართველოში რთული მაკროეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე და განსაკუთრებით კი შიდა სამომხმარებლო ბაზრის ავეჯის, ხის ნაწარმის და მუყაოს პროდუქციაზე მოთხოვნილების მკვეთრ დაქვეითებასთან დაკავშირებით, (რაც უკიდურესად აბრკოლებს სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გაზრდის საშუალებას), მსხვილ საწარმოთა კოლექტივებს ფაქტიურად არ შეუძლიათ რაიმე პოზიტიური გავლენის მოხდენა წარმოების ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე.

ამიტომ დღეს უკვე, წარმოების გააქტიურების მიზნით, ამ მსხვილ, პრივატიზებულ საწარმოთა წინაშე მთელი სირთულით დგება რადიკალური რეორგანიზაციის, რესტრუქტურიზაციის და საერთოდ ეკონომიკური მეურნეობრიობის ახალი მეთოდების შემუშავების საკითხები.

როგორც ცნობილია საერთაშორისო პრაქტიკიდან, ამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალ ერთ-ერთ მიღებულ მარტივ გზად მიიჩნევა მსხვილ საწარმოთა დანაწევრება მცირე სტრუქტურულ ერთეულებად. წარმოების ასეთი სახით რეორგანიზაცია უდაოდ გამოიწვევს პროფილის ნაწილობრივ შეცვლას და აქედან გამომდინარე ავეჯის, ქაღალდის და ხის დამუშავების წარმოების სიმ.ლავრეების დაკარგვას. ამიტომ, ასეთი, დარგისათვის მეტად მტკივნეული და საპასუხისმგებლო პრობლემა, როელიც უახლოეს პერიოდში უნდა გადაწყდეს, მოითხოვს წარმოების და რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე სწორი ორიენტაციის განსაზღვრას. ამ მხრივ, მაგალითად, მისასალმებელია ქ. ზუგდიდში საზოგადოება "საქქაღალდმრეწვის" თანამედროვე, ინდუსტრიული ფართემაშტაბიანი სამრეწველო ობიექტის რესტრუქტურიზაციის განხორციელების მეტად გაბედული გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ს/საზოგადოებას, არსებული სიმძლავრეების და პროფილის სრული შენარჩუნებით.

დღევანელ ეტაპზე რ/გ "საქტყეავეჯმრეწვის" ხელმძღვანელობა (ს/საზოგადოებების კოლექტივებთან შეთანხმებით), უპერსპექტივო, მსხვილ საწარმოებად მიიჩნევს: სამტრედიის ს/საზოგადოება "იმერეთის" საავეჯო ფაბრიკას და მერქანბურბუშელოვანი ფილის იმპორტულ ტექნოლოგიურ ხაზს, თბილისის ს/საზოგადოება "განთიადს" და ს/საზოგადოება "ახალდაბის საავეჯო ფაბრიკას".

ქვემოთ განიხილება დასავლეთ საქართველოში აღნიშნული უპერსპექტივო ს/საზოგადოებების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის და მათი ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, შესაბამისი დასკვნებით და რეკომენდაციებით.

ჩვენ მოვახდინეთ <u>სამტრედიის სს "იმერეთი"-ს სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი.</u>

1988-1991 წლებში ს/საზოგადოება "იმერეთში", (ყოფილი სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატი) დამონტაჟდა 80 ათ.მ^3 სიმძლავრის მერქანბურბუშელოვანი ფილის მწარმოებელი იმპორტული, (ფინეთი, ს/ს "სუნდსდეფიბრატორი"), ტექნოლოგიური ხაზი.

მშენებლობის, (რეკონსტრუქციის), მთლიანი კომპლექსის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (1985), საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავებულია ყოფილი სატყეო მრეწველობის საკავშირო სამინისტროს ხის დამუშავების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის "გიპროდრევპრომი"-ს მიერ. მშენებლობასა და მონტაჟს აწარმოებდა გენმოიჯარე თბილისის სამშენებლო ტრესტი "საქავეჯმშენი" და რესპუბლიკის გარედან მოწვეული ათზე მეტი სპეციალიზირებული სუბმოიჯარე ორგანიზაცია. შეფმონტაჟს, კონტრაქტის თანახმად ახორციელებდა ფინეთის მხარე. მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1991 წლის ფასებით შეადგენდა 20,5 მლნ. მანეთს, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება 7,8 მლნ. მანეთი.

საკავშირო სტრუქტურების დაშლასთან დაკავშირებით და რესპუბლიკაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური საზოგადოებრივი სიტუაციის გამო 1991 წლის სექტემბერში ფინელმა სპეციალისტებმა და სუბმოიჯარე ორგანიზაციებმა მიატოვეს ობიექტი. მას შემდეგ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები არ განახლებულა.

1991 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მერქანბურბუშელოვანი ფილების წარმოების მშენებლობაზე გაიხარჯა 18,0 მლნ. მანეთი, რაც სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 80%-ს შეადგენს. მათ შორის იმპორტული დანადგარების ღირებულება შეადგენს 5,7 მლნ. პირველი კატეგორიის (ეკიუ) ინვალიუტას. სულ მთლიანობაში, საშეფ-სამონტაჟო სამუშაოების ანაზღაურების ჩათვლით გაიხარჯა 6,8 მლნ. ინვალიუტა, რომელიც გადახდილი იყო ყოფილი ხე-ტყის მრეწველობის საკავშირო სამინისტროს ცენტრალიზებული სავალიუტო ფონდის სახსრებიდან. ამავე დროს, სამტრედიის ხის დამმუშავებელ კომბინატს სრულად აქვს ანაზღაურებული საკავშირო სამინისტროს მიერ გახარჯული ინვლიუტა რუსულ მანეთებში 1989-1991 წლებში მოქმედი სავალიუტო კურსის შესაბამისად. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობაზე გახარჯული თანხა - 18 მლნ. მანეთი კომბინატის მიერ მთლიანად არის ანაზღაურებული.

1991 წლის სექტემბერში, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შეწყვეტის შემდეგ კომბინატმა საკუთარი საკუთარი ძალებით განახორციელა დამონტაჟებული ხაზის კონსერვაცია, რომელმაც განაპირობა ტექნოლოგიური დანადგარების ფიზიკური შენარჩუნება.

1995 წლის აპრილში რ/გ "საქტყვავეჯმრეწვი"-ს ხელმძღვანელობამ მოიწვია ერთ-ერთი წამყვანი სუბმოიჯარე-კიევის "ლესტექმონტაჟსერვის"-ს წამყვანი სპეციალისტები, დამონტაჟებული ხაზის ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზის ჩასატარებლად. გამოკვლევით დადგინდა, რომ იმპორტული ტექნოლოგიური დანადგარები და ცალკეული კვანძები ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მაგრამ კოროზიის შემდეგ არის ნაწილობრივად ელექტრომოწყობილობის, კაპ.-ავტომატიკის და ჰიდრავლიკის სისტემების მნიშვნელოვანი დაზიანება.

კიევის "ლესტექმონტაჟსერვისი"-ს მიერ ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების საფუძველზე მერქანბურბუშელოვანი ფილის ტექნოლოგიური ხაზის აღდგენას, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დამთავრებას და ხაზის ექსპლუატაციაში გაშვებას დასჭირდება სულ მცირე ორი წელი. სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებით მშენებლობის დამთავრების მთლიანი კომპლექსის ღირებულება (უკმარისი მაკომპლექტებელი დანადგარების და სწრაფცვეთადი ნაწილების შეძენის გათვალისწინებით, შეადგენს 2,8 მლნ. აშშ დოლარს).

საქართველოს მრეწველობის დეპარტამენტმა 21.06.95 წლის 10-1/652 წერილით მიმართა თხოვნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, რათა მერქანბურბუშელოვანი ფილის იმპორტული ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციაში გასაშვებად გამოეყო მთავრობას სარეაბილიტაციო ფონდიდან 2,8 მლნ. აშშ დოლარი. სავალუტო ფონდების მწვავე დეფიციტის გამო მინისტრთა კაბინეტმა ვერ შეძლო ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

ინვესტორების მოძიების მიზნით, ერთობლივი წარმოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, 1993-1995 წლებში სამტრედიაში მოწვეული იყვნენ თორმეტი სხვადასხვა უცხოური ფირმის წარმომადგენელი, რომლებმაც მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად სამტრედიაში მერქანბურბუშელოვანი ფილის ერთობლივი წარმოების გახსნა და ამის გამო უარი განაცხადეს ინვესტირებაზე.

დღევანდელ ეტაპზე 80 ათ.მ^3 საპროექტო სიმძლავრის მერქანბურბუშელოვანი ფილების წარმოების ამოქმედების (და მისი სტაბილური ფუნქციონირების), ურთულეს პრობლემად განიხილება მატერიალური და თბოენერგორესურსებით მომარაგების საკითხი.

წარმოებას, დადგენილი ნორმატივების თანახმად ესაჭიროება ყოველწლიურად 160 ათ.მ^3 ტექნოლოგიური შეშა, (მერქნის ნარჩენები, დაბალი ხარისხის ხე-ტყე). დღევანდელ სიტუაციაში, (და უახლოესი 5-10 წლის პროგნოზული მონაცემების გათვალისწინებით), ყოვლად შეუძლებელია წარმოების ადგილობრივი ხე-ტყის რესურსებით უზრუნველყოფა, ხოლო რაც შეეხება მერქნის ნედლეულის რესპუბლიკის გარედან შემოტანას, (ძირითადად რუსეთის აღმოსავლეთ რაიონებიდან), ნედლეულის და სარკინიგზო ტრანსპორტის მაღალი ტარიფების გამო - ეკონომიურად სრულიად გაუმართლებელია. რაც შეეხება სინთეზურ - (კარბამიდულ) ფისს-წებოს, რომლის მოთხოვნილება საპროექტო სიმძლავრის ათვისების პირობებში, წელიწადში შეადგენს 6 ათას ტონას, ფისის შემოტანა განსაზღვრული იყო შიგადარგობრივი კოოპერაციის სქემით-რუსეთის, უკრაინის და ლატვიის დარგობრივ საწარმოებიდან.

დღეს ასეთი რაოდენობის სინთეზური ფისის შეძენა რესპუბლიკის გარედან შეუძლებელია და ამავე დროს ეკონომიურად გაუმართლებელია. საქართველოში სინთეზური ფისის წარმოების სიმძლავრეების შექმნა წელიწადში 6 ათასი ტონის მოცულობით სრულიად არარეალურია, ვინაიდან რესპუბლიკას არ გააჩნია ფისის დასამზადებლად ისეთი დეფიციტური ქიმიური კომპონენტები, როგორიცაა ფორმალინი და კარბამიდი.

80 ათ.მ^3 სიმძლავრის მერქანბურბუშელოვანი ფილის წარმოების ამოქმედების და მისი შემდგომი სტაბილური მუშაობის ერთ-ერთ მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად განისაზღვრება თბოენერგორესურსების მწვავე დეფიციტი. წარმოების, (რომელიც გათვალისწინებულია უწყვეტი, დღეღამური რეჟიმის ციკლზე), ელექტროენერგიის წლიური მოთხოვნილება შეადგენს 7 მლნ. კილოვატსაათს, (საშუალო სიმძლავრე 1,85 მგ.ვატი).

პირობითი საწვავის წლიური მოთხოვნილება შეადგეგნს 10 ათ. ტონას, (მაზუთი 7,3 ათ.ტონა ან ბუნებრივი გაზი 8,5 ათ.$მ^3$).

ამრიგად, ამ მონაცემებიდანაც კი, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ რესპუბლიკაში დღევანდელი თბოენერგორესურსების მწვავე კრიზისის პირობებში შეუძლებელი იქნება ასეთი თბოენერგოტევადი მოთხოვნილების წარმოების სტაბილური ფუნქციონირება.

მერქანბურბუშელოვანი ფილის წარმოების ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხად უნდა განიხილოს ეკოლოგიის დაცვის საკითხი. როგორც ცნობილია სინთეზური ფისი (წებო), რომელიც მიიღება ფორმალინის ან კარბამიდის სინთეზით, შეიცავს კონცენტროგენულ ნივთიერებებს, რის გამოც მერქანბურბუშელოვანი ფილის წარმოება ეკოლოგიურად მავნე წარმოების მეორე ჯგუფის კატეგორიას მიეკუთვნება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საწარმოსა და საცხოვრებელ სახლებსშორის არ არის დაცული ნორმატივებით გათვალისწინებულისანიტარული ზონა.

პროექტის შესაბამისად წარმოებაში აშენებულია მავნე აირების გამწმენდი მოწყობილობა, რაც შეეხება გამდინარე წყლების (სითხეების) გაფილტვრა-გაწმენდას, პროექტით არ იყო გათვალიწსინებული გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა, (მათი სიძვირის გამო), ამ შემთხვევაში გამდინარე სითხის გაწმენდა განსაზღვრულია ქალაქის ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის მოქმედ გამწმენდ სისტემაში. მავნე ნივთიერებისაგან გაწმენდის ასეთი სქემა მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულყოფილად მოქმედებს ქალაქის ქსელის ცენტრალური გამწმენდი სისტემა. ამავე დროს 1989 წელს ჩატარებული გამოკვლევით დადასტურდა, რომ სამტრედიის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში საერთოდ არ მოქმედებს გამწმენდი მოწყობილობა. გამომდინარე აქედან აუცილებელ საჭიროდ მიიჩნევა

სპეციალური გამწმენდი მოწყობილობის მშენებლობა, რაც მოითხოვს კაპმშენებლობის დამატებით ხარჯებს.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტების და მთელი რიგი ობიექტური ფაქტორების ანალიზის საფუ.ველზე საქართველოს მრეწველობის დეპარტამენტის რესპუბლიკური გაერთიანება "საქტყეავეჯმრეწვი" და ს/საზოგადოება "იმერეთი"-ს შრომითი კოლექტივი მივიდა იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ დღევანდელ სიტუაციაში, (და უახლოეს 5-7 წლამდე პერიოდისათვის), ადგილობრივი მატერიალური რესურსების ხე-ტყის, სინთეზური ფისის მწვავე დეფიციტის და ამასთანავე თბოენერგეტიკული კრიზისის პირობებში დაუშვებელია 80 ათ.მ^3 საპროექტო სიმძლავრის მერქანბურბუშელოვანი ფილის წარმოების ამოქმედება და მისი შემდგომი სტაბილური ფუნქციონირება, ამიტომ უპერსპექტივოდ მიიჩნევა 80 ათ.მ^3 სიმძლავრის მერქანბურბუშელოვანი ფილის წარმოება.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ დარგის მოთხოვნილება მერქანბურბუშელოვან ფილებზე, (სიმძლავრესთან შედარებით), უმნიშვნელოა. ასე მაგალითად, 1996-2000 წლამდე პერიოდისათვის დარგის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის თანახმად მერქანბურბუშელოვანი ფილის მოთხოვნილება წლების მიხედვით შეადგენს:

1995 წლის ფაქტიური ხარჯი 1,2 ათ.მ^3, 1996 წელს - 8,0 ათ.მ^3, 1977 წელს - 4,8 ათ.მ^3, 1998 წელს - 6,2 ათ.მ^3, 1999 წელს- 8 ათ.მ^3, 2000 წელს - 10,4 ათ.მ^3, 2005 წელს - 25,0. ათ.მ^3.

ასეთი მოცულობის მერქანბურბუშელოვანი ფილების შემოტანა რესპუბლიკაში უმტკივნეულოდ წარმოებდა რუსეთიდან, ბელორუსიიდან, თურქეთიდან, ირანიდან.

რესპუბლიკური გაერთიანება "საქტყეავეჯმრეწვი"-ს ხელმძღვანელობა და ს/საზოგადოება "იმერეთის"-ს კოლექტივი ითვალისწინებს რა

რეალურ გარემოებას, რომ არც სახელმწიფოს და არც ს/საზოგადოება "იმერეთ"-ს არ გააჩნია ფულადი სავალუტო სახსრები (2,8 მლნ ამერიკული დოლარი), მერქანბურბუშელოვანი ფილის იმპორტული ხაზის დასამთავრებლად და მისი ექსპლუატაციაში გასაშვებად, (რომ მოწვეული ინვესტორებიც უარს აცხადებენ ერთობლივი წარმოების ორგანიზაციაზე), აყენებს საკითხს მერქანბურბუშელოვანი ფილის ტექნოლოგიური ხაზის გაყიდვაზე საზღვარგარეთ (თუ აღმოჩნდება მსურველი). მიღებული ვალიუტა პირველ რიგში მიმართული უნდა იქნეს წარმოების რეაბილიტაციაზე და არსებული პოლონური ფირმა "ზემაკი"-ს მარქანბურბუშელოვანი ფილის ტექნოლოგიური ხაზის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე, რომლის საპროექტო სიმძლავრე წელიწალში შეადგენს 18 ათ. $მ^3$ ფილას.

რაც შეეხება, აღნიშნული საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკურ მდგომარეობის ანალიზს, სიტუაცია ასეთია:

საავეჯო წარმოება ძირითადად განთავსებულია ერთსართულიან კაპიტალურ შენობაში, რომლის ფართი შეადგენს 20 ათ.$მ^2$. ავეჯის წარმოების სიმძლავრე, (1988 წლის ფასებით), წელიწადში შეადგენს 15 მლნ. მანეთს. 1992 წლიდან მთელმა რიგმა მოვლენებმა და ფაქტორებმა, (ისევე როგორც საერთოდ დარგში), განაპირობეს ავეჯის წარმოების სამეურნეო-ეკონომიკური პოტენციალის მკვეთრი დაქვეითება. ასე მაგალითად: ავეჯის წარმოების საერთო მოცულობა 1995 წელს, რომელიც 55 ათ. ლარს შეადგენდა, 1990 წელთან შედარებით 95%-ით არის შემცირებული, (1992 წელს 98%-ით, 1993 წელს 97%-ით, 1994 წელს - 96 %-ით). გამომდინარე აქედან, წარმოების ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა გაკოტრების სტადიაშია მიყვანილი: საბალანსო მონაცემებით ზარალი 26 ათ. ლარს შეადგენს, ელექტროენერგიის ვალი - 30 ათ. ლარი, ბიუჯეტის დავალიანება - 8,0 ათ. ლარი.

ანალიზი აჩვენებს, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დეფიციტის, თბოენერგეტიკული მწვავე კრიზისის და რაც მთავარია, პროდუქციის (ავეჯის) რეალიზაციის უკიდურესად გართულების პირობებში ასეთი დიდი მოცულობის საავეჯო წარმოების ამოქმედების და მისი შემდგომი სტაბილური ფუნქციონირების პერსპექტივა უახლოეს 5-7 წლის პროგნოზულ პერიოდში არ აისახება.

აქედან გამომდინარე, მრეწველობის დეპარტამენტის რესპუბლიკური გაერთიანება "საქტყეავეჯმრეწვი"-ს ხელმძღვანელობა და წარმოების კოლექტივი თვლის, რომ სამტრედიის სააქციო საზოგადოება "იმერეთში" უნდა განხორციელდეს საავეჯო წარმოების რეორგანიზაცია, ავეჯის მაქსიმუმ 1,5 მლნ. ლარის შენარჩუნებით.

ჩვენთან ერთად, რესპუბლიკურ გარეთიანება "საქტყეავეჯმრეწვს" და სააქციო საზოგადოება "იმერეთი"-ს კოლექტივს, წარმოების მთლიანი კომპლექსის სამეურნეო საქმიანობის მაქსიმალურად ამოქმედების თვალსაზრისით, დამუშავებული გვაქვს წარმოების რეორგანიზაციის და რესტრუქტურიზაციის ეტაპობრივი განხორციელების პროგრამა, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს მძლავრი ხე-ტყის კომპლექსური გადამუშავების წარმოების ჩამოყალიბებას ადგილობრივი მერქნის ნედლეულის ბაზაზე. ასეთი რეორგანიზაციით სს "იმერეთს" სათანადო პირობები შეექმნა ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად, რომელთა მეშვეობით იგი მნიშვნელოვნად გაზრდის დახერხილი მასალის, შავად ნამზადი საავეჯო დეტალების, პარკეტის, ანათალი შპონის და სამშენებლო მერქნული ნახევარფაბრიკატების წარმოების მოცულობებს. მაგრამ ეს ტექნიკური ჩანაფიქრი სრული მასშტაბით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემაში შემავალი ახლო რაიონში განლაგებული სატყეო მეურნეობების აქტიური მონაწილეობის

შემთხვევაში. ამ მიმართულებით სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს აქვს თავისი გარკვეული კონსტრუქციული წინადადება, რომელიც ითვალისწინებს სამტრედიის კომბინატის და დასავლეთის რაიონის სატყეო მეურნეობათა ბაზაზე ერთობლივი სატყეო-სამრეწველო კომპლექსის შექმნას, რომელიც ერთიანი ტექნოლოგიურ-სამეურნეო ციკლით აწარმოებს ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვას და მერქნის სამრეწველო გადამუშავებას დასრულებული პროდუქციის მიღებით. ასეთი ერთობლივი საწარმოო-სამეურნეო რგოლის ჩამოყალიბება საშუალებას შეუქმნის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს დასავლეთ საქართველოში მძლავრი ინდუსტრიული ტიპის სამრეწველო-სავაჭრო ბაზის ორგანიზაციაში.

A გასაღების ბაზარის ძირითადი მიმართულებები:

პროდუქციის რეალიზაციაზე გასაღების ბაზარზე შექმნილი უაღრესად დიდი და დღეისათვის დაუძლეველი სირთულეები და წინააღმდეგობები ქვაკუთხედად ეღობება დარგის რეაბილიტაციას, მისი აღდგენის და შემდგომი განვითარების პრობლემებს.

საბაზრო ეკონომიკური გადასვლის შემდეგ დაირღვა ავეჯის სა-რეალიზაციო ცენტრალიზებული განაწილების სისტემა, რომლის შედეგად დარგი ფაქტიურად აღმოჩნდა გეგმიური მომხმარებლის გარეშე.

განვლილი 1991-1995 წლების გამოცდილებამ გამოაშკარავა ის სამწუხარო ფაქტი, რომ საქართველოში არსებული მწვავე ეკონომიკური კრიზისის გამო ავეჯის ტრადიციულმა მომხმარებლებმა, (როგორიცაა: ქალაქის და სოფლის მოსახლეობა, განათლების, კულტურის, მედიცინის, საკურორტო, სამხედრო, ბინათმშენებლობის და სხვა სფეროს დაწესებულებებმა), მნიშვნელოვნად დაკარგეს ავეჯის შეძენის შესაძლებლობა. სპეციალისტების აზრით, ავეჯზე დღევანდელი მოთხოვნილება 1990 წელთან შედარებით 80-90 %-ით შემცირდა. Aამ

გარემოებამ კი, თავის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საავეჯო საწარმოები.

Aამრიგად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში ავეჯის, ხის ნაწარმის და ასევე, ქაღალდ-მუყაოს წარმოების მოცულობის გაზრდის საშუალება ძირითადად მისი რეალიზაციის დაბალი დონით არის შეზღუდული და დღეს მთელი რიგი წინმხვედრი სირთულეებისა, დარგისათვის პრობლემათა მთავარ პრობლემას მხოლოდ გასაღების ბაზარი წარმოადგენს.

სამამულო წარმოების ავეჯზე მოთხოვნილების დაქვეითება გამოწვეულია ასევე, საქართველოს გარედან შემოტანილი ფართო ასორტიმენტის ავეჯის სიჭარბით, რომელიც თავისი კონსტრუქციულ-დიზაინური, ხარისხობრივი და ფასღირებულებითი მაჩვენებლებით დიდ კონკურენციას უწევს სამამულო ავეჯს. Eეს სამწუხარო ფაქტი არ უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან საქართველოს საავეჯო წარმოება უკანასკნელი წლების მანძილზე არ განახლებულა და ამიტომ მნიშვნელოვნად ჩამორჩა ავეჯის დამზადების თანამედროვე პროგრესულ ტექნოლოგიებს.

დღევანდელ სიტუაციაში, ინდუსტრიული წარმოების პირობებში დამზადებული ავეჯის ერთ-ერთ მეტად სერიოზულ კონკურენტად გამოვლინდა კერძო სექტორის “წვრილი” და ინდივიდუალური მეწარმე. წარმოების პირობებში, სადაც სრული კანონმდებლური დატვირთვით არის ამოქმედებული სახელმწიფო საგადასახადო სისტემა, გადასახადის ყველა ელემენტი თავს იყრის პროდუქციის ფასწარმოქმნაში, მის თვითღირებულებაში და გასაყიდი ფასის ფორმირებაში, დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით. Aამავე დროს კი, ინდივიდუალურ მეწარმეთა უმეტესი ნაწილი (რომელიც ძალიან მომრავლდა საქართველოში), სხვადასხვა ხერხებით და მეთოდებით თავს არიდებენ ამ სახელმწიფო გადასახადებს. ასევე არაკანონიერი გზით

მოიპოვებენ მერქნის ნედლეულს შეღავათიან ფასებში. ამრიგად, ინდივიდუალური კერძო მეწარმე თავის ავეჯს სულ მცირე 25-30%-ით უფრო დაბალ ფასად ყიდის, ვიდრე საწარმო და ასეთი "პრივილეგირებული" მდგომარეობით სერიოზულ კონკურენციას უწევს წარმოებას.

Aავეჯის რეალიზაციის ერთ-ერთი დამაბრკოლებელ ფაქტორად მიიჩნევა ის გარემოებაც, რომ დარგი სრულიად მოკლებულია სამარკეტინგო კვლევა-ძიებას; ასევე არ შეისწავლება შიდა და გარე ბაზრის ავეჯზე კონიუნქტურული მოთხოვნილება; საკმაოდ გართულებულია ავეჯის პროდუქციის სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტირების საკითხები, გადიდებული სარკინიგზო ტრანსპორტის ტარიფების გამო, არარენტაბელური ხდება ავეჯის გატანა დიდ მანძილებზე, რაც ძირითადად აბრკოლებს ავეჯის საგარეო ბაზარზე გატანას; უყურადღებოდ არის მიტოვებული რეკლამის, ვაჭრობის სხვადასხვა ფორმების, ბარტერული გაცვლითი ოპერაციების, საგამოფენო სალონების გამოყენების საშუალებები;

Aადგილობრივი წარმოების ავეჯის რეალიზაციის გასაუმჯობესებ-ლად მთავარ, რადიკალურ ღონისძიებად განისაზღვრება მაღალი თანამედროვე დონის და სტილის კონკურენტუნარიანი ავეჯის წარმოება. Aამ რთული პრობლემის დაძლევის რეალურ წყაროდ მიგვაჩნია, ადგილობრივი წიფლის ნედლეულით, თავისუფალი საწარმოო ფართობებით და იაფი მუშახელით, დაინტერესების საფუძველზე უცხო ინვესტორების მოზიდვა ერთობლივი პროდუქციის გამოსაშვებად, მაგრამ დღეს, პროდუქციის გასაღების უკიდურესი შეზღუდულობის გამო იმდენად გართულებულია საქართველოში მეწარმეობის მდგომარეობა, რომ აუცილებელ პირობად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრივ ხელის შეწყობა შიდა ბაზრის დაცვის სფეროში.

დღეს საქართველოში (მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის რეკომენდაციით), აღებულია საექსპერტო-საიმპორტო საქმიანობის ლიბერალიზაციის კურსი.

Eეს იმას მოწმობს, რომ მსოფლიო ცივილიზებულ ეკონომიკურ სამყაროში დასამკვიდრებლად განუხრელად უნდა იყოს დაცული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დადგენილი მოთხოვნილებები და რეჟიმები, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს აღიარებულ სტანდარტებს. (თავისუფალი ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში არ არის მიღებული ლიცენზიებით რეგულირება, სავაჭრო ბარიერების და ე.წ. საბაჟო პროტექციონიზმის მეთოდების გამოყენება და ა.შ.). მაგრამ მეორეს მხრივ, ვფიქრობთ, რომ ასეთი ფართო მასშტაბიანი ექსპორტ-იმპორტის ლიბერალიზაციაზე და კვოტების გაუქმებაზე მიღებული გადაწყვეტილება ჯერ ნაადრევია საქართველოს ეკონომიკური კრიზისის სიტუაციაში, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად შეაფერხებს საქართველოში მეწარმეობის გადარჩენის პრობლემას, რომელიც დღეს სტრატეგიულ ამოცანად არის დასახული.

Aამიტომ, ჩვენი აზრით, ეკონომიკური რეფორმების გარდამავალ ეტაპზე, რესპუბლიკაში კრიზისის დაძლევის პერიოდამდე, საწარმოთა სამეურნეო-ეკონომიკური ფუნქციონირების სტაბილიზაციის მიღწევამდე და სამრეწველო კომპლექსის (მათ შორის ხე-ტყის მრეწველობის) ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია შიდა ბაზრის დაცვის მექანიზმების დიფერენცირებული გამოყენება. ამ მხრივ, ავეჯის წარმოების შიდა ბაზრის დაცვის მიზნით, ჩვენ ვიყენებთ მთავრობის წინაშე შემდეგ კონკრეტულ საკითხებს:

a) აიკრძალოს ქვეყნის გარეთ მერქნის ნედლეულის (მორის) ექსპორტი;

ბ) ქვეყანაში საყოფაცხოვრებო და საოფისე დანიშნულების ავეჯის ანაკრების (გარნიტურების) შემოტანაზე, დაწესდეს საბაჟო გადასახადი მისი ღირებულების 70%;

სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები, კონცეპტუალური საკითხები, განვითარების სტრატეგიული მიმართულებები შემდეგია:

D დარგის განვითარების ძირითად მიმართულებად 2005-2012 წლამდე პერიოდისათვის მიჩნეულია:

- ხე-ტყის დამზადების სტრუქტურის გაფართოება და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან პარტნიორულ ურთიერთობათა საფუძველზე მძლავრი, ხე-ტყის დამზადების და მისი გამომუშავების ერთობლივი სტრუქტურული რგოლების შექმნა;

- დღევანდელ ეტაპზე და უახლოესი 10 წლის პროგნოზულ პერიოდში ხე-ტყის მრეწველობის რეალურად გადარჩენის და მისი შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მთავარ, დასაყრდენ გზად მიჩნეულია დარგის არსებული პოტენციალის აქტიური ჩართვა რესპუბლიკის ტყის მერქნითი რესურსების მაქსიმალურ (საქარხნო) გადამუშავებაზე;

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის გაანგარიშებით ტყით სარგებლობის ყოველწლიური ოპტიმალური ოდენობა განისაზღვრება: მთავარი სარგებლობის ჭრებით 620 ათ.მ^3 და მოვლითი და სარეკონსტრუქციო ჭრებით 330 ათ.მ^3, სულ 950 ათ.მ^3; მათ შორის, საქმიანი მერქანი 400 ათ.მ^3. Aამ მერქნის ნედლეულიდან (რომელიც სახელმწიფო სტრატეგიულ რესურსს წარმოადგენს), მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად რაციონალურ გზად მიიჩნევა მისი (საჭიროების და მიხედვით), სხვადასხვა ასორტიმენტად გადამუშავება, როგორიცაა: დახერხილი ფიცარი, შავად ნამზადი საავეჯო დეტალები, ანათალი შპონი და სხვა სამშენებლო ნახევარფაბრიკატები. 400 ათ.მ^3 საქმიანი მერქნის

მხოლოდ პირველადი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ღირებულება შეადგენს, სულ მცირე, 45-50 მლნ. ლარს;

- წიფლის მერქნის მაქსიმალური და რაციონალური გამოყენება ავეჯის და ანათალი ფანერის წარმოებაში;

- რესპუბლიკაში სარეზონანსო მერქნის დამზადების განვითარება მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოების გასაფართოებლად;

- სამრეწველო დანიშნულებით ბამბუკის ნედლეულის და დაბალხარისხოვანი თხმელის მერქნის გამოყენების სფეროს მნიშვნელოვანი გაფართოება;

- მერქნის ნარჩენების და მეორეული რესურსების მაქსიმალური მოცულობით გამოყენება მერქანბურბუშელოვანი ფილის წარმოებაში;

- მასიური მერქნის კონსტრუქციის კონკურენტუნარიანი ნაწარმის მოცულობების მკვეთრი გაზრდა, ავეჯის მრეწველობაში ძირითადად ადგილობრივი წიფლის მერქნის გამოყენებით დამზადებული ნაკეთობების უპირატესი განვითარება (სკამი, საბავშვო ავეჯი, მაღალმხატვრული ეთნიკური სტილის ნაკეთობანი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების მარტივი ტიპის ცალკეული ნაკეთობანი და სხვ.);

- სხვა მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური, საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების აღდგენა, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება ახალი, პროგრესული ტექნოლოგიების დასანერგად, სამეცნიერო-საინჟინრო კადრების შენარჩუნება დარგის პრიორიტეტული პროგრამების შემუშავება და მისი თანმიმდევრული წარმართვა;

- შიდადარგობრივი და დარგთაშორისი კოოპერირების გაღრმავება;

დარგთაშორისი კოოპერირების განვითარების მიმართულებით საქართველოს მრეწველობის დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანახმად ქიმიური, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის,

თავდაცვითი, ელექტრო-ტექნიკური და მსუბუქი მრეწველობის საწარ-მოებში საავეჯო მრეწველობისათვის საჭირო ძირითადი მასალებისა და ნახევარფაბრიკატების (ლაქ-საღებავები, სინთეზური წებო, პლასტიკატი, პარალონი, დეკორატიული ქსოვილი, საკარკასე ლითონის მილები, სამაგრი და საპირე ფურნიტურა) წარმოების ათვისებისათვის განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

- რუსეთის ფედერაციის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრების ქვეყნების სატყეო-სამრეწველო კომპლექსის უწყებებთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების აღდგენა-გაფართოვება;

- სატყეო კომპლექსის მართვის სისტემის სრულყოფის ღონისძიებების გატარება, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება;

- საექსპერტო-საიმპორტო პოტენციალის გაფართოება, საინვესტიციო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება;

- საერთაშორისო სამარკეტინგო გარემოში ჩართვა, კომერციული საქმიანობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავება;

- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, პროდუქციის რეალი-ზაციის და კომერციული სტრუქტურის სრულყოფა;

Dდარგის სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულების და 2005-2012 წლამდე პერიოდისათვის ჩვენს მიერ შემუშავებულია სპეციალური სამოქმედო პროგრამა, ვადების და კონკრეტული შესრულებების გათვალისწინებით.

3.6. საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობის მცირე საწარმოებში მარკეტინგული გამოკვლევების დაუფლება-გამოყენების მიმართულებები.

როგორც ნაშრომის წინა თავში აღვნიშნეთ, მცირე საწარმოთა მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხების დამუშავებისას, ჩვენს მიერ

შემოთავაზებული იყო, რომ როგორც უწვრილეს და წვრილ საწარმოს, ისე მცირე საწარმოს მმართველობით აპარატში აუცილებლად უნდა იყოს შექმნილი მარკეტინგის სამსახური. Uუწვრილეს და წვრილ საწარმოში იგი მარკეტინგის მენეჯერით იქნება წარმოდგენილი, მცირე საწარმოში კი, სადაც დასაქმებულთა რიცხვი 26-40 კაცამდეა – მარკეტინგის განყოფილებით. Pპირველ შემთხვევაში მარკეტინგის მენეჯერი იღებს ინფორმაციას და ახდენს მის აუდიტს და პროგნოზირებას. Mეორე შემთხვევაში კი მარკეტოლოგ-აუდიტორი იღებს ინფორმაციას და ახდენს მის აუდიტს, ხოლო პროგნოზისტ –მარკეტოლოგი მენეჯერთან ერთად აკეთებს ბაზრის პროგნოზს.

თუ საწარმო მრავალპროფილურია, მაშინ მარკეტინგის გეგმის შედგენის დროს იგი პროფილური საქონლების მიხედვით უნდა დაიყოს სტრატეგიულ ბიზნეს –ერთეულებად (Strategic Business Unit-SBU) და თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე გაკეთდეს მარკეტინგის გეგმა. რათქმაუნდა, ეს იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ ეს ერთეულები საქონლის ცალკე ჯგუფზე (ან ბაზარზე) არიან ორიენტირებულნი (მრავალპროფილურ საწარმოში SBU-ს ცნება სასაქონლო დივიზიონს შეესაბამება). SBU ერთეულებად დაყოფა სჭირდებათ ჩვენს მიერ ნაშრომის წინა პარაგრაფში შემოთავაზებულ მარკეტინგის მართვის ორგანიზაციის მეორე სქემის (ნახ. 13) მომხმარებლებს. Aამ სქემით მომუშავე საწარმოებს ცალკეულ SBU ერთეულებზე ე.ი. ცალკეული დასახელების საქონელზე გამოყოფილი რესურსებიც აქვთ, საქონლის მიზნობრივი მომხმარებლებიც და კონკურენტებიც. ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ მარკეტინგის მართვის ორგანიზაციის მეორე სქემაზე (ნახაზი 13)Pმოცემული სამი ჯგუფის („ა‘‘,,ბ‘‘,,გ‘‘) შესაბამისად უნდა გაკეთდეს სამი სტრატეგიული ბიზნეს- ერთეული (თუ საწარმო უფრო მეტი დასახელების ხის მასალებს უშვებს, ცხადია, მაშინ უფრო მეტი) და მათზე დამოუკიდებლად შედგეს

მარკეტინგის სტრატეგიაც და მარკეტინგის გეგმაც. თითოეული SBU დამოუკიდებელი მართვის და კონტროლის ობიექტი უნდა იყოს და როგორც კი ის არ გაამართლებს იმედებს, ან ამოწურავს თავის შესაძლებლობებს, უნდა დაიხუროს ან გაიყიდოს. სწორედ იმიტომ, რომ იგი დამოუკიდებელ SBU ერთეულად იყო გამოყოფილი, საჭირო შემთხვევაში უმტკივნეულოდ მოხდება მისი მოკვეთა საწარმოს ,,სხეულიდან''.

სტრატეგიულ ბიზნეს-ერთეულებზე (SBU) მარკეტინგული გეგმის შესადგენად საწარმოს უწყვეტად უნდა მოსდიოდეს ინფორმაცია მათზე. Aამ ინფორმაციას აუდიტორ-მარკეტოლოგი მოიპოვებს მცირე მეწარმეთა კავშირებიდან, სტატისტიკის დეპარტამენტიდან, სავაჭრო პალატიდან და სხვა წყაროებიდან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინფორმაციის მოპოვება ძალზე რთული და შრომატევადი საქმეა და ამისთვის დასაშვებია, რომ მცირე საწარმომ კომერციული ხელშეკრულებები დადოს ინფორმაციის მომწოდებლებთან. რაც შეეხება შემდეგ სამუშაოებს - მონაცემების აუდიტს, SWOT-ანალიზს, მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღებას (MDSS), PLC -ანალიზს, Cap- ანალიზს და ა.შ. ისინი ფირმამ აუცილებლად თვითონ უნდა შეასრულოს.

SWOT- ანალიზის წინ უნდა ჩატარდეს საწარმოს მარკეტინგის სრული აუდიტის სამუშაო (მარკეტინგული გარემოს აუდიტი, მარკეტინგის სტრატეგიის აუდიტი, მარკეტინგის ეფექტიანობის აუდიტი და ა.შ.) ეს სამუშაოები სირთულესთანაა დაკავშირებული და თუ მცირე საწარმოს მხოლოდ ერთი აუდიტორ-მარკეტოლოგი ჰყავს (მაგ.უწვრილეს და წვრილ საწარმოში), მას აუცილებლად დასჭირდება გარეშე აუდიტორების დახმარება.

Aაუდიტის შედეგებზე დაყრდნობით საწარმოს მარკეტოლოგები ატარებენ SWOT- ანალიზს, რაც მდგომარეობს როგორც ფირმის, ისე მისი

კონკურენტების სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებაში. ამისათვის შეირჩევა წარმატებისათვის საჭირო ძირითადი ფაქტორები და ეძლევათ მათ წონითი კოეფიციენტები (ცალკე საწარმოს და ცალკე კონკურენტების). Fფირმის საშუალო შეწონილი კოეფიციენტი შეედარება კონკურენტებისას და დგინდება მისი კონკურენტული სიძლიერე (ან სისუსტე) ბაზარზე.

ჩვენ გამოვიყენეთ SWOT- ანალიზის მეთოდი და ვიანგარიშეთ ქუთაისის ხისდამმუშავებელი საწარმო ,,კავკასუს როუდ პროჯექსი‘‘-ს კონკურენტული სიძლიერე. (იხ.ცხრილი 3.17). წარმატების ფაქტორებად მივიჩნიეთ პროდუქციის ხარისხი, ასორტიმენტი, პროდუქციის ფასი, რეკლამა, პროდუქციის ბინაზე მიტანა, ფასდაკლება დიდი პარტიის ყიდვისას და პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავე. თითოეული ფაქტორის მაქსიმალურ წონით კოეფიციენტად მივიღეთ 10,0. შევაფასეთ ამ ფაქტორების ახლანდელი მდგომარეობა როგორც ,,კავკასუს როუდ პროჯექსი‘‘ საწარმოში, ისე მის კონკურენტებთან, კერძოდ, საწარმოებში: ქუთაისის სს ,,ივერია‘‘ და სამტრედიის სს ,,იმერეთი‘‘.

წარმატების ფაქტორების საშუალო შეწონილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით ქუთაისის ,,კავკასუს როუდ პროჯექსი‘‘-ს კონკურენტული სიძლიერე აღმოჩნდა 8,0; ქუთაისის სს ,,ივერია‘‘ შეფასდა – 6,0; სამტრედიიის სს ,,იმერეთი‘‘- 5,86; მაშასადამე ჩვენი საკვლევი ქუთაისის საწარმო ,,კავკასუს როუდ პროჯექსი‘‘ კონკურენტული სიძლიერით უსწრებს მის კონკურენტებს რეგიონში. სამტრედიის საწარმო სს ,,იმერეთი‘‘, ისევე როგორც ქუთაისის სს ,,ივერია‘‘ არ იყენებს წარმატების ისეთ დიდ ფაქტორს, როგორიცაა ფასდაკლება საქონლის დიდი პარტიებით ყიდვის დროს და აგრეთვე არ განიხილავს ეკოლოგიურ სისუფთავეს მყიდველის თანდასწრებით, რასაც აკეთებს ქუთაისის საწარმო ,,კავკასუს როუდ პროჯექსი‘‘. უნდა აღვნიშნოთ, რომ საკვლევ

საწარმოს კონკურენტული სიძლიერეც არ არის მაქსიმალური, თუმცა ამ ეტაპზე სჯობნის მის კონკურენტებს.

Kკონკურენტული სიძლიერის ასეთი შეფასება ხიდამმუშევებელი მრეწველობის მცირე საწარმოებში ჯერ-ჯერობით არ კეთდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დროა საწარმოებმა ისწავლონ საკუთარი და კონკურენტების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა და მხედველობაში მიიღონ ისინი თავიანთ მუშაობაში.

ცხრილი 3.17

ქუთაისის საწარმო ,,კავკასუს როუდ პროჯექსი‘‘-ს
კონკურენტული სიძლიერის დადგენა

წარმატების ძირითადი ფაქტორები	წარმატების ფაქტორების მაქსიმალური კოეფიციენტები	წარმატების ფაქტორების ფაქტიური კოეფიციენტები ,,კავკასუს როუდ პროჯექსი‘‘	წარმატების ფაქტორების კოეფიციენტები კონკურენტებთან	
			ქუთაისის სს ,,ივერია‘‘	სამტრედიის სს ,,იმერეთი‘‘.
1.პროდუქციის ხარისხი	10,0	9,0	8,0	8,0
2.პროდუქციის ასორტიმენტი	10,0	7,0	8,0	9,0
3.პროდიქციის ბინაზე მიტანა	10,0	10,0	10,0	9,0
4.რეკლამა	10,0	9,0	8,0	7,0
5.ფასის სიმცირე	10,0	9,0	8,0	8,0
6.ფასდაკლება(10%)დიდი პარტიის ყიდვისას	10,0	7,0	-	-
7. პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავე	10,0	5,0	-	-
საშუალო კოეფიციენტი	10,0	8,0	6,0	5,86

შედგენილია ექპერტულ შეფასებებზე დაყრდნობით

SWOT- ანალიზში შედის აგრეთვე სეგმენტის მომგებიანობის ანალიზი. მხედველობაშია ბაზრის ის სეგმენტი, რომელიც მოცემული საწარმოს საქონელს უკავია. ის იანგარიშება სეგმენტის შედეგების შეფარდებით სეგმენტის დანახარჯებთან. Mმომგებიანობის სეგმენტური

ანალიზი საშუალებას აძლევს საწარმოს მარკეტოლოგს შეინარჩუნოს ბაზარზე ის საქონელი, რომელიც მეტი მომგებიანობით ხასიათდება.

საწარმომ შემდეგ ეტაპზე უნდა განსაზღვროს მარკეტინგის მიზანი. იგი სრულ შეესაბამისობაში უნდა იყოს საწარმოს საერთო სტრატეგიულ მიზნებთან. Yყველა მცირე ფირმამ ის რაოდენობრივად უნდა გათვალოს და მისცეს მას შესაბამისი საშედეგო ფინანსური ეკვივალენტი. მაგალითად, თუ პარკეტის მცირე საწარმოს სურს ბრუნვა გაზარდოს 200 ათასი ცალი პარკეტით, მან უნდა დააკონკრეტოს ისიც, თუ რამდენ ათას ლარს მოუტანს მოგებას მას ამ მიზნის მიღწევა. საწარმომ მარკეტინგის მიზანი შეიძლება პროცენტებითაც გამოსახოს. (მაგ. რეგიონულ ბაზარზე 15% წილის დაკავება და სხვ.), მაგრამ მისი რაოდენობრივი გამოხატვა უფრო ხელსაყრელია, რადგან საწარმოს უადვილებს სამუშაოს მიზნის მისაღწევად არჩეულ სტრატეგიულ ქმედებათა ეფექტიანობის გამოთვლას.

Mმიზნის დადგენის შემდეგ საწარმომ უნდა მოახდინოს ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული სტრატეგიის ანალიზი. ეს ანალიზი უნდა დაიწყოს ე.წ. CAP-ანალიზის პროცედურებით.* CAP- ანალიზი იწყება ფირმის მდგომარეობის პროგნოზით მომავალ საგეგმო პერიოდში ექსპერტული შეფასებების მეთოდით. CAP- ანალიზში ექსპერტული შეფასებების მეთოდის გამოყენების უპირატესობას ვადასტრებთ იმით, რომ როგორც სპეციალისტები წერენ ,,ექსპერტულ შეფასებათა მეთოდებს თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ ისეთ მოვლენათა და ტენდენციათა პროგნოზირებაში, რომელთა შესწავლა საგრძნობლად რთულდება მათ შესახებ საკმარისად სარწმუნო ინფორმაციის უქონლობის გამო‘‘. [23.გვ.69]. ხის მასალებსა და ნაკეთობებზე მოთხოვნის პროგნოზირება რამდენიმე წლით ადრე, სწორედ ასეთი მოვლენაა.

ექსპერტულ შეფასებათა მეთოდი ეყრდნობა ექსპერტების პროფესიონალიზმსა და ინტუიციას ამ დარგში. იმისათვის, რომ გადაწყვეტილება სუბიექტური არ იყოს, ფირმამ უნდა გამოიყენოს კოლექტიური ექსპერტული შეფასების მეთოდი. ე.ი. მარკეტინგული პროგნოზის გაკეთებაში უნდა ჩართოს მთელი კოლექტივი. ჩვენი აზრით, აქ განსაკუთრებული ეფექტის მომცემი იქნება ,,გონებრივი შტურმი‘‘, რომელიც დაფუძნებულია იდეათა კოლექტიური გენერაციის პრინციპზე. უკეთესი იქნება, თუ ამ საქმეში, მთელი კოლექტივის ნაცვლად, ჩაერთვება ისეთი პირები, რომელთაც ასოციატური აზროვნება ძშეუძლიათ. მათ დროებით ექსპერტები ვუწოდოთ. თუ CAP-ანალიზს გრაფიკულად წარმოვადგენთ, (ნახ. 3.10) ფირმის ექსპერტების მიერ მესამე წლისათვის შედგენილი ხის მასალებზე და ნაკეთობებზე მოსალოდნელი რეალიზაცია ,,ა‘‘წერტილში მოხვდება, მაშინ როცა საწარმოს მიზანი ,,ე‘‘ წერტილში მოხვედრაა. როგორც ვხედავთ, მიზანი მეტად დაშორებულია მოსალოდნელ რეალიზაციას.



Nნახაზი 3.11 მარკეტინგის მიზანი და სტრატეგია (CAP- ანალიზი) [85.გვ.46].

,,ა‘‘წერტილიდან ,,ე‘‘ წერტილამდე ინტერვალის დაფარვისათვის ჩვენ ფირმას ვთავაზობთ გამოიყენოს მართვის ცნობილი სპეციალისტის ი.იანსოფის მატრიცა [85.გვ.45-46], რომელიც წარმოვადგინეთ ნახაზებზე 3.11 და 3.12. გაყიდვის მოცულობის ასამაღლებლად ,,ა‘‘წერტილიდან ,,ბ‘‘

წერტილამდე საწარმოს დასჭირდება მხოლოდ ოპერაციული საქმიანობის პროდუქტიულობის ამაღლება. ამით დაიფარება (შეივსება) ,,ა-ბ'' ინტერვალი. ,,ბ'' წერტილიდან ,,ე'' წერტილამდე ინტერვალის შევსებისათვის ფირმამ უკვე უნდა შეცვალოს თავის მოქმედების სტრატეგია ბაზარზე. მათ შორის ,,ბ'' წერტილიდან ,,გ'' წერტილამდე ინტერვალის დაფარვა

*------ ნიშნავს ინტერვალს



ნახაზი 3.12 ი. იანსოფის მატრიცა (საქონელი/ბაზრები) [91.გვ.46].

დასჭირდება ფირმის მიერ იანსოფის პირველი სტრატეგიის გამოყენება. კერძოდ, დამატებითი მუშაობა არსებულ ბაზრებზე (ფასების შემცირება, რეკლამის გაფართოება და ა.შ). ,,გ'' წერტილიდან ,,დ'' წერტილამდე ინტერვალის დაფარვას – მეორე და მესამე სტრატეგიის გამოყენება, კერძოდ, ბაზრების გაფართოება (საქონლის არსებული ასორტიმენტით ახალ ბაზრებზე გასვლა) და ახალი საქონლის გამოშვება (ახალი საქონლის გაყიდვა ძველ ბაზრებზე). ,,დ'' წერტილიდან ,,ე'' წერტილამდე ინტერვალის დაფარვას, ანუ ფირმის საბოლოო მიზნის მიღწევას კი მეოთხე სტრატეგიის გამოყენება, ანუ საქმიანობის დივერსიფიკაცია.

ჩვენი აზრით, ხის მასალებისა და ნაკეთობების ძნელადტრანს-პორტაბელურობის გამო მცირე საწარმოებს ნაკლებად გამოადგებათ მესამე სტრატეგია, კერძოდ, ახალი ბაზრების ათვისება, ცხადია აქ იგულისხმება

სხვა რეგიონებში ან საგარეო ბაზრებზე გასვლა. Aმიტომ მათ ეს სტრატეგია ან არ უნდა გამოიყენონ, ან მისი გატარების მიზანშეწონილობა სპეციალური ეკონომიკური გათვლებით უნდა დაასაბუთონ.

ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ ვთავაზობთ მცირე საწარმოებს ისწავლონ საზღვარგარეთ გავრცელებული SWOT- ანალიზის და CAP-ანალიზის ჩატარება. SWOT- ანალიზით მცირე საწარმოები კონკურენციულ სიძლიერეს დაადგენენ, CAP-ანალიზით კი აირჩევენ
განვითარების სტრატეგიას. ჩვენ შევურჩიეთ მათ წარმატების ძირითადი ფაქტორები, მივუთითეთ გამოსაყენებლად ვარგის სტრატეგიაზეც. ეს მათ საორიენტაციოდ გამოადგებათ. უფრო კონკრეტულად კი მათ საკუთარი ექსპერტები გადაუწყვეტენ.

3.7. ინვესტიციური და ფინანსური საქმიანობის მსოფლიო თანამედროვე მეთოდების დაუფლების და გამოყენების მიმართულებები

ფინანსური პროგნოზირების დაუფლების და სრულყოფის საკითხები დღეისათვის მცირე საწარმოებში ძალზედ დაბალ დონეზე დგას. Fფინანსური გეგმა ბიზნეს-გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი საშუალებით უნდა გამოჩნდეს როგორ დაფარავს საწარმო თავის ვალდებულებებს და გადასახადებს, როდის გახდება მომგებიანი და ა.შ. ჩვენს მიერ შერჩეული საწარმოების ბიზნეს-გეგმების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მოგების გარდატეხის (მომგებიანობის) წერტილი, თითქმის არსად არის ნაჩვენები. ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისები შევსებულია მხოლოდ ძირითად საქმიანობაზე და არ არის ნაჩვენები საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა, ანგარიშის პერიოდებად აღებულია არა თვეები, არამედ კვარტლები (რაც დაუშვებელია პირველი საგეგმო წლისათვის), ზოგიერთ საწარმოთა ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში მოგება-

ზარალის ანგარიშის იდენტურია და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ საწარმოებში ეს ანგარიშები სწორად არ ივსება და საჭიროა შესაბამისი ცოდნა მივაწოდოთ მათ. ცოდნის აუცილებლობა ვლინდება მასში, რომ ნაღდი ფულის ნაკადების ანგარიშით დგინდება ფულის ნაკლებობა ან სიჭარბე საწარმოში.

Mმცირე მეწარმეებთან პირად საუბრებში გაირკვა, რომ ზოგიერთი მეწარმე ფულის ნაკადების ანგარიშს მოგება-ზარალის ანგარიშთან აიგივებს. Eეს არასწორია. Mმოგება-ზარალის ანგარიშში დაფიქსირებული მოგება ეს არის განსხვავება საწარმოთა შემოსავლებსა და აღრიცხულ ხარჯებს შორის, ნაღდი ფულის ნაკადი კი წარმოადგენს იმ ფულის რაოდენობას, რომელიც საწარმომ გამოიმუშავა თავისი საქმიანი გარიგებებით. Gგარდა ამისა, მოგება-ზარალის ანგარიშში თანხები დარიცხვისთანავე ხვდება, იმის მიუხედავად, ფაქტიურად გადმოირიცხა იგი საწარმოს ანგარიშზე თუ არა. Fფულის ნაკადების ანგარიშში კი რეალური ფული, ანუ საწარმოს ანგარიშზე ჩამორიცხული (ან საწარმოს ანგარიშიდან გადარიცხული) ფულადი საშუალებები აღირიცხება. აგრეთვე, მოგება-ზარალის ანგარიში მოიცავს საწარმოს მხოლოდ ძირითადი (ოპერატიული) საქმიანობის შემოსავლებს, საწარმოს კი პერიოდულად აქვს საინვესტიციო საქმიანობაც.(მაგ. ძირითადი ფონდების ყიდვა-გაყიდვა, არამატერიალური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, და ა.შ.). ორივე საქმიანობას აქვს ფულში გამოხატული შემოსავლებიც და ხარჯებიც. ეს ფულის ნაკადებში აისახება. ამრიგად, საწარმოს ლიკვიდურობის გასაგებად აუცილებლად საჭიროა ფულის ნაკადების პროგნოზირება პირველ საპროგნოზო წელზე თვეების მიხედვით, მეორეზე- კვარტლების, ხოლო მესამეზე - მთლიანი წლის მიხედვით.

საწარმოსათვის აუცილებელია ასევე მომგებიანობის გრაფიკიც. მისი ანგარიში და აგების დაუფლება საშუალებას აძლევს საწარმოს გაიგოს,

როდის გახდება იგი უზარალო და დაიწყებს მომგებიან მუშაობას. Aმიტომ, ახლადგახსნილი საწარმო, კერძოდ მისი ფინანსური მენეჯერი თვითონ უნდა ანგარიშობდეს ამას საფინანსო გეგმის შედგენისას.

Mმომგებიანობის გრაფიკის ანგარიშისათვის საწარმოს საფინანსო სამსახურმა ერთობლივი ხარჯები (tc) უნდა დაყოს საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით. ასეთი მიდგომით იგი იყოფა ცვალებად ხარჯებად (variable costs) და მუდმივ ხარჯებად (fixed costs).

Mმომგებიანობის გრაფიკის აგების არსი იმაშია, რომ მასზე ვიპოვოთ ის წერტილი, რომელსაც ,,მომგებიანობის გარდატეხის წერტილი'' ეწოდება. Aამ დონეზე საწარმოს ზარალი აღარ აქვს და ამ წერტილიდან იწყებს მოგების მიღებას.

მომგებიანობის გარდატეხის წერტილის ანგარიშის ეკონომიკური არსი მდგომარეობს კონკრეტული საქონლის (მომსახურების) მიწოდება-მოთხოვნის ურთიერთკავშირში. ამასთან, ფინანსურმა სამსახურმა უნდა იცოდეს, რომ საქონლის მიწოდების მართვა მას შეუძლია წარმოების დანახარჯებით, ხოლო მოთხოვნის მართვა მას არ შეუძლია.

მომგებიანობის გარდატეხის წერტილი შეესაბამება პროდუქციის გარკვეულ მოცულობას, რომლის გაყიდვა ზარალს აღარ აძლევს საწარმოს. ასეთ დროს საწარმოს შემოსავალი წარმოების ხარჯების ტოლია.

მომგებიანობის გარდატეხის წერტილი (X) ისაზღვრება, როგორც შეფარდება წარმოების მუდმივ ხარჯებსა (FC) და ერთეული პროდუქციის ფასსა (P) და ერთეულ პროდუქციაზე მოსულ ცვალებად დანახარჯებს (VC) სხვაობას შორის. [104.გვ.399].

$$X = \frac{FC}{P - VC}$$

ფორმულაში X – მომგებიანობის გარდატეხის წერტილია

(რეალიზაციის მოცულობა ერთეულებში);

P - ერთეული პროდუქციის ფასი;
FC- მუდმივი ხარჯები;
VC- ცვალებადი დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე;

მომგებიანობის გარდატეხის წერტილის საანგარიშოდ მოგვყავს პირობითი მაჩვენებლები ახლადგახსნილი ხის მასალების ნახევარფაბრიკატების (ხის ძელაკების) საწარმოსთვის, რომლის სიმძლავრე წელიწადში არის 25000 ცალი ძელაკი. Aაქვე ვუშვებთ, რომ ერთეული ნაკეთობის საშუალო ფასია 1ლ, მუდმივი ხარჯები 10 ათ.ლარი. მაქსიმალური რეალიზაცია - 25 ათ.ლარი. ცვალებადი ხარჯები 15 ათ.ლარი (ერთეულ პროდუქციაზე 0,6ლ ანგარიშით). თუ ამ მაჩვენებლებს გრაფიკზე გადავიტანთ, მივიღებთ გამოსახულებას, რომელზეც რეალიზაციის მოცულობის და ერთობლივი ხარჯების ხაზების გადაკვეთის წერტილი არის მომგებიანობის გარდატეხის წერტილი. იგი ტოლია 14 ათასი ლარის. Eეს კი იმას ნიშნავს, რომ საწარმო მოგებას მას შემდეგ დაიწყებს, როგორც კი წელიწადში 14 ათ.ლარის პროდუქციას გაყიდის. (ე.ი. 14000 ცალ ნაკეთობას).

საწარმოს შეუძლია მართოს მომგებიანობის გარდატეხის წერტილი. თუ იგი შეძლებს ნაკეთობაზე ფასის გაზრდას ბაზარზე, მაშინ პროდუქციის უზარალო მოცულობა, რომელიც ჩვენს მაგალითზე 14000 ათ.ნაკეთობას შეადგენს, კიდევ უფრო შემცირდება. ასევე შემცირდება ის, თუ საწარმო შეძლებს ცვალებადი დანახარჯების შემცირებას.





ნახაზი 3.13 Mმომგებიანობის გარდატეხის გრაფიკი

K

კიდევ უფრო მოსაგვარებელია მცირე საწარმოებში საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური მხარე. მცირე საწარმოებში საინვესტიციო საქმიანობა ძირითადად წარმოდგენილია პირდაპირი ინვესტიციებით გრძელვადიან აქტივებში (შენობა-ნაგებობების აშენება შესყიდვა, მოწყობილობის, ტექნოლოგიების შექმნა-შესყიდვა, მოდერნიზაცია და ა.შ), ხოლო საფინანსო საქმიანობა კრედიტების აღებ-დაფარვით. ერთსაც და მეორესაც სჭირდება ეკონომიკური დასაბუთება. საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები ფაქტიურად არ ახდენენ არც ინვესტიციური პროექტების ეკონომიკურ შეფასებას და არც კაპიტალის სტრუქტურის მართვას. მცირე საწარმოებში მთავარ როლს თამაშობს საწარმოს დამფუძნებლების გადაწყვეტილება, ინვესტიციური პროექტი ძირითადად ხორციელდება მისი პირველადი, შეიძლება ითქვას, იდეის დონეზე შეფასებით, (ისიც არაპროფესიული შეფასებით). ამაში დავრწმუნდით საწარმოს ხელმძღვანელებთან საუბრით.

როცა მცირე საწარმოები ფუძნდებიან და გარკვეულ კაპიტალს დებენ შენობა-ნაგებობების აშენებით, მოწყობილობების შეძენაში თუ ტექნოლოგიების ყიდვაში, ისინი ვარიანტების შერჩევას თანამედროვე ეკონომიკური აპარატით არ ახდენენ. მათთან მთავარ როლს მხოლოდ ფასი თამაშობს. თუ ფასი დაბალია და მისაღებია, მაშინ პროექტი მათთვის

მისაღებია. ერთმხრივ მათი პოზიცია გასაგებია, რადგან მცირე საწარმოებს დიდი თანხები არა აქვთ, კაპიტალი მცირე აქვთ, მაგრამ დაბალფასიანი აქტივი სარისკოა, იგი ან ამორტიზებული იქნება, ან ნაკლები წარმადობის. Aამიტომ ჩვენ ვუწევთ რეკომენდაციას მცირე საწარმოებს, რადგან მათთვის ინვესტიციური გადაწყვეტილებების კრიტერიუმი არ იყოს მხოლოდ ფასი, მხედველობაში მიიღონ პროექტის ტიპიც და შეაფასონ რისკიც, რაც თან შეიძლება ახლდეს პროექტის არჩევას.

საქართველოს მცირე საწარმოებმა ნაკლებად იციან ინვესტიციური პროექტის შეფასება. Pპრობლემა ის არის, თუ როგორ მივცეთ მათ ეს ცოდნა და დავარწმუნოთ ამ ცოდნის საჭიროებაში. ჩვენი აზრით მათ ამ საქმეში უნდა დაეხმაროს მცირე საწარმოთა განვითარების და მხარდაჭერის სამთავრობო ცენტრი. სხვათაშორის ეს პრობლება გადაუჭრელი იყო 20-30 წლის წინ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრალია და ახალი ზელანდია. 1984 წელს ბეილზმა და მაკნელმა მცირე საწარმოების გამოკვლევისას დაადგინეს, რომ მენეჯერები სრულ უცოდინარობას ამჟღავნებდნენ ამ საქმეში, და აღნიშნეს, რომ ,,ისინი ინვესტიციური პროექტების შეფასების რთულ მეთოდებს არ იყენებენ, იქ უფრო გამოყენებულია ინვესტიციების შეფასების მარტივი მეთოდები (მაგ. Gამოსყიდვის ვადა გამოთვლილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გარეშე). [115]. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში ჩაატარეს გამოკვლევები კლამერმა, მაკმახონმა და სხვებმა. თუ კლამერთან, 1972 წლის გამოკვლევით, მცირე საწარმოების 67% იყენებდნენ ინვესტიციური გამოკვლევის რთულ მეთოდებს, 1981 წლის მაკმახონის გამოკვლევით ეს მაჩვენებელი 71%-ს გაუტოლდა. [117გვ.15-25].

საზღვარგარეთის პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ და პირდაპირ გადმოვიღებთ მას ჩვენს წარმოებაში, მაშინ, მცირე საწარმოებმა ინვესტიციების შეფასება მარტივი მეთოდებით უნდა დაიწყონ და

თანდათან გადავიდნენ რთულ მეთოდებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარტივი მეთოდები არასრულყოფილი მეთოდებია.Eეს კი, რათქმა უნდა, დიდ დროს და ხარჯებს წაართმევს მცირე საწარმოს, გაიწელება ბიზნესის სრულყოფილად დაუფლების პროცესი და დაგვიანდება საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება. Aამიტომ მიგვაჩნია, რომ ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოებმა თავიდანვე ისწავლონ ინვესტიციური პროექტების შეფასება იმ მაჩვენებლებით, რომლებსაც იყენებენ თანამედროვე, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები.

განვითარებული ქვეყნები კი იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს [101გვ.33-39], [112გვ.23-38], [98გვ.318-321]:

1.ინვესტიციური პროექტის გამოსყიდვის პერიოდი Pauback Period-PP

2. შემოსავლის წმინდა დისკონტირებული (დაყვანილი) სიდიდე NNet Prezent Value - NPV

3. მომგებიანობის, შემოსავლიანობის ინდექსი Profitability Index -PI

4. რენტაბელობის შიგა ნორმა Internal Rate of return - IRR

ნაშრომში ვიძლევით ამ მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდიკას, მისი სირთულის მიუხედავად. Gგვინდა, ამ მეთოდს დაეუფლოს საწარმოს ფინანსური მენეჯერი, ან საფინანსო სამსახურის რომელიმე სპეციალისტი, რათა ყველა ინვესტიციური პროექტი შეაფასოს მის მიხედვით.

<u>1.ინვესტიციური პროექტის გამოსყიდვის პერიოდი -PP</u> გამოითვლება მარტივი ფორმულით:

$$PPP = \frac{II(\text{Initial investment-ინვესტიციების თანხა})}{ACI(\text{Annual cash inflow –ყოველწლიური შემოსავალი})};$$

როგორც ვხედავთ, ამ ფორმულაში არ არის გათვალისწინებული დროში ფულის ცვლილების ასპექტი. Mმიმდინარე პერიოდში ინვესტირებული ერთი დოლარი გატოლებულია მომავალში მისით მიღებულ ერთ დოლარ შემოსავალთან. Eეს არასწორია. Mმიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ

მცირე საწარმოები ამ მარტივ მეთოდს იყენებენ, ჩვენ დასავლეთსაქართველოს მცირე საწარმოებს ვთავაზობთ ისწავლონ ფულის შეაფასება დროში და ინვესტიციების გამისყიდვის ვადა იანგარიშონ მისი მოდიფიცირებული ფორმულით, რომელსაც ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირებული ვადა (DPP) ეწოდება. ის იანგარიშება ფორმულით:

$$DPP = \frac{II}{\sum_{t=1}^{n} ACI \cdot \frac{1}{(1+r)^t}};$$

როგორც ვხედავთ, ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირებული ვადის (DPP) ფორმულა არის ინვესტიციური პროექტის გამოსყიდვის მარტივი ფორმულის (PP) მოდიფიცირებული ვარიანტი. მასში ჩართულია დისკონტ-ფაქტორი $1/(1+r)^t$. მას დისკონტირების კოეფიციენტი ეწოდება. r – არის დისკონტის განაკვეთი (ნორმა), ხოლო t-პერიოდი, წლების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ინვესტიციური პროექტი შემოსავალს იძლევა. r-ის მნიშვნელობა იმაშია, რომ გაიზომოს ფულადი კაპიტალის ღირებულების (ფასის) შემცირება ოპერაციების დროში გადავადების მიზეზით. Dდისკონტის ნორმაში შეიტანება ინფლაციის ტემპი, მოგების მინიმალური რეალური ნორმა (ბანკის პროცენტის განაკვეთი) და ინვესტიციური რისკის პროცენტი. r-ის სიდიდედ აშშ-ში 15-20% (r=0,15-0,20) აიღება, საქართველოში კი მცირე საწარმოებს ვურჩევთ აიღონ ის 25-30%-ის (r=0,25-0,30) ფარგლებში, რადგანაც თუ მოგების ნორმა და ინფლაცია ჩვენთან და აშშ-ში თითქმის გათანაბრდა (3-4%-ის ფარგლებში), სამაგიეროდ ინვესტიციური რისკი საქართველოში 20%-ს აღემატება. (აშშ-ში ის 2-3% ტოლია) [112გვ.16].

<u>2. შემოსავლის წმინდა დისკონტირებული (დაყვანილი) სიდიდე - NPV</u>. ანუ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება, ეს არის პროექტიდან

მიღებული მომავალი შემოსავლების ნაკადის თანამედროვე (მიმდინარე) ღირებულება პირველადი ინვესტიციური ხარჯების გამოკლებით. Aმიტომაც ეწოდება მას წმინდა მიმდინარე ღირებულება. იანგარიშება ფორმულით:

$$NPV=- II+ \Sigma ACI \ 1/(1+r)^t$$

მცირე მეწარმემ იმ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს ინვესტიციური პროექტის ბედი დადებითად, თუკი NPV მნიშვნელობა დადებითია, ე.ი როცა დისკონტირებული შემოსავლები აღემატება ინვესტიციებს.

<u>3. მომგებიანობის, შემოსავლიანობის ინდექსი –PI</u> იანგარიშება დისკონტი-რებული შემოსავლების შეფარდებით ინვესტიციურ ხარჯებთან.

$$PI= \Sigma ACI \ 1/(1+r)^t \ / \ II$$

თუ PI=1ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს მომავალი შემოსავლები ინვესტიციური ხარჯების ტოლია და ამ პროექტის რეალიზაციით საწარმო არაფერს არ იგებს. თუ PI>1, მაშინ პროექტი უნდა განხორციელდეს და როცა PI<1, პროექტი არ უნდა განხორციელდეს.

PI და NPV მაჩვენებლებით ინვესტიციური პროექტების პრატიკული შეფასებისას საწარმოები დადგებიან არჩევანის წინაშე. ჩვენ მივიჩნევთ, რომ რადგან მცირე საწარმოები შეზღუდული რესურსებით მუშაობენ, მათ უპირატესობა უნდა მისცენ PI მაჩვენებლის სიდიდეს და აირჩიონ ყველაზე მაღალი ამ მაჩვენებლიანი პროექტი. Eეს საწარმოს მისცემს გარანტიას, რომ მაქსიმალური მოგება მიიღოს.

<u>4. რენტაბელობის შიგა ნორმა – IRR</u>, მას ინვესტიციების რენტაბელობის კოეფიციენტსაც უწოდებენ. Fფაქტიურად ეს არის დისკონტის ისეთი განაკვეთი (r), რომლის დროსაც NPV-ანუ მომავალი შემოსავლების წმინდა დაყვანილი ღირებულება 0-ის ტოლია.

Mმცირე საწარმოებისათვის ამ მაჩვენებლის ანგარიში პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან იგი რთულ გაანგარიშებებს მოითხოვს

კომპიუტერებისა და ბუღალტერიის რთული პროგრამების დახმარებით, რაც მცირე საწარმოებს არ შეუძლიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ინვესტიციური პროექტების შეფასების ადაპტაცია საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა პირობებთან. Gგანხილული რთული მაჩვენებლებიდან ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ მცირე საწარმოებში გამოიყენონ ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირებულ ვადას (DPP) და მომგებიანობის ინდექსს (PI). იმის გამო, რომ მცირე საწარმოთა სასიცოცხლო ციკლი 5-7 წლის ფარგლებში მერყეობს, ამიტომ ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, მათ ინვესტიციური პროექტების ეფექტიანობის ანგარიში ჩაატარონ მხოლოდ პირველ 4-5 წელზე, ე.ი. მანამ, სანამ საწარმო საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო ნაკლებად სტაბილური ქვეყანაა, ამიტომ მცირე საწარმოებმა ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის (PP) ნორმატივად 2-3 წელზე მეტი არ მიიჩნიონ, მით უფრო, რომ მათ არც რისკის გამოთვლა იციან და არც რისკის დაზღვევას ახდენენ.

დასკვნები და წინადადებები

ჩამოყალიბებული გვაქვს კვლევის ძირითადი შედეგები, რომელთა გამოყენება, როგორც საწარმოებს, ასევე მთლიანად იმერეთის რეგიონს დაეხმარება ეკონომიკურ წინსვლაში. ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული იქნა შემდეგი ძირითადი შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები:

1. ნაშრომში წარმოდგენილი მცირე ბიზნესის უპირატესობების

რეალიზაცია ხისდამმუშავებელ მრეწველობაში მოსახლეობის დიდ ნაწილს დასაქმების საშუალებას მისცემს და ხელს შეუწყობს ე.წ. ,,მესამე ფენის'' (საშუალო ფენის) გაშლას, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით აუცილებელი გარანტია ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

2. ნაშრომში წარმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის ეკონომიკური პოტენციალი, თვალსაჩინოს ხდის ქვეყნის ამ ნაწილის პერსპექტიულ შესაძლებლობებს. ამ პოტენციალური შესაძლებლობების ზრდისა და ეკონომიკური ეფექტიანობის რეალიზაციის მიზნით შეთავაზებულია იმერეთის რეგიონის ხისდამმუშავებელი წარმოების განვითარების სტრატეგიული კურსი, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი რეგიონული პროგრამების კონცეპტუალური ხედვა და ავტორისეული თვალსაზრისი.

3. გამოკვლეულია ხისდამმუშავებელი მრეწველობის განვითარების ეკონომიკური ტრადიციები და მათი პერსპექტივები საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასავლეთ სააქართველოში. საქართველოს ამ ნაწილის ხისდამმუშავებელი მრეწველობის კონკურენტუნარიანობის პერსპექტივები აშკარაა და ცხადია, რომ იგი შეიცავს სამუშაო ადგილების პოტენციურ შესაძლებლობებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობისათვის, რაშიც იგულისხმება ტრადიციული ხელსაყრელობა საცხოვრებელ სახლებთან ახლოს დასაქმება, ოჯახთან დაშორების გარეშე.

4. Gგამოვავლინეთ გარდამავალი პერიოდის ისეთი უარყოფითი ტენდენციები, როგორიცაა ძვირფასი ხის ჯიშების ნედლეულის გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც არა მარტო ხის ნაკეთობათა წარმოების ქართულ ტრადიციებს უვლის გვერდს, არამედ დაუსაქმებელს ტოვებს მოსახლეობის შრომისუნარიან ნაწილს, მათ შორის პროფესიონალებსაც.

5. კვლევის პროცესში გამოვლინდა საქართველოსათვის ტრადიციული ხის ნაკეთობების და ნამზადების აღორძინების პერსპექტივები. ქართული ხითხუროთმოძღვრების კონკურენციაგამძლე ტრადიციები, კერძოდ, ხის ნაკეთობათა შინამეურნეობის უნიკალური ნიმუშები, რომლის წარმოება ხელოვნების დონემდე იყო აყვანილი. ქართული ჩუქურთმების სიმრავლე, დიდი ფანტაზია, დახვეწილი გემოვნება და შესრულების მაღალი კულტურა, საშუალებას გვაძლევს აღნიშნული დარგის განვითარების პერსპექტივაში დავრწმუნდეთ. ხელით შესრულებული მოჩუქურთმებული ქართული ავეჯი და სხვა ნაკეთობანი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მსოფლიო ბაზარზე.

6. ხის კასრებისა და საკასრე ტკეჩების კვლევა გვიჩვენებს, რომ ისინი განსაკუთრებული წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას ღვინის და კონიაკის წარმოებაში. ვინაიდან მსოფლიო ბაზარზე მათზე დიდი მოთხოვნა არსებობს.

7. დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზის შესწავლამ გვიკარნახა, რომ არ არსებობს მაღალმთიანი ზონის ძნელად მისადგომი ადგილებიდან ხე-ტყეს ახალი მეთოდებითა და ტექნოლოგიებით ათვისების საშუალებები. ამ სანედლეულო ბაზების რენტაბელობის მისაღწევად შეთავაზებულია მათი დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები, რომლებიც რანჟირებულია მოპოვების (იოლი, რთული) და გადამუშავების სტადიების მიხედვით.

8. ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა მართვის მოქმედი სისტემის ანალიზის ბაზაზე შეთავაზებულია მართვის ახალი ვარიანტი, კერძოდ, დავადგინეთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში (რა პროცესშიც ახლა საქართველო იმყოფება) დაუშვებელია საწარმოთა მართვაში ადმინისტრაციული მეთოდების მთლიანი შეცვლა ეკონომიკური მეთოდებით. ამდენად, ხისდამმუშავებელი მრეწველობის

მცირე ბიზნესის მართვაში დისციპლინა, პასუხისმგებლობა და კონტროლი კვლავაც ერთ-ერთ დომინანტად უნდა დარჩეს და უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ საზოგადოების პასუხისმგებლობა იმდენად არ ამაღლდება, რომ ადმინისტრაციული კონტროლი ეკონომიკურად ეფექტიანი არ იქნება.

9. ჩატარებული კვლევების საფუძველზე დავადგინეთ მცირე საწარმოთა სამ ჯგუფად (უწვრილესი საწარმოები 5-10 დასაქ-მებულით, წვრილი საწარმოები 11-25 დასაქმებულით, და მცირე საწარმოები 25-40 დასაქმებულით) დაყოფის მიზანშეწონილობა და თითოეული მათგანისათვის დავამუშავეთ მართვის სტრუქტურის ალტერნატიული სქემები. წარმოვაჩინეთ აგრეთვე მარკეტინგის სამსახურში მართვის ორგანიზაციის გაშლილი სქემები.

10. დავადგინეთ ხე-ტყის აღნიშნული დარგის განვითარების ძირითადი მიმართულებები, რომელთა რეალიზაცია სრულიად შესაძლოა 3-4 წლის განმავლობაში.

11. მოვიკვლიეთ მსოფლიოში მერქნის დამზადების დინამიკა და ამ ფონზე ვაჩვენეთ საქართველოს პერსპექტივები, საქართველოში ხე-ტყის სანედლეულო ბაზისა და სატყეო ინდუსტრიის განვითარების ინვესტიციური რესურსები.

12. წარმოდგენილია მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში გავრცელებული საწარმოთა კონკურენტუნარიანობის გამოკვლევის SWOT-ანალიზის და CAP-ანალიზის ჩატარების მეთოდიკა, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია მცირე საწარმოებს მსოფლიო მოწინავე ტექნოლოგიის ათვისებისა და ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლების ფრონტალურ შესაძლებლობებს მისცემს.

13. მოცემულია ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტიციური და ფინანსური საქმიანობის გაფართოების

მიმართულებები. შედგენილია მომგებიანობის გრაფიკი, რომელიც აუცილებელია მცირე საწარმოთა ეფექტიანობისა და ზარალის საანგარიშოდ.

14. რეკომენდაციის სახით შემოთავაზებულია მცირე საწარმოთა ინვესტიციური პროექტების ეკონომიკურ – მათემატიკური შეფასებები, რომლებიც თავიდან გვაცილებს უარყოფით სარისკო მოვლენებს.
15. გვაქვს წინადადება საქართველოს სავაჭრო პალატასთან მოეწყოს ხის ნაკეთობათა როგორც ტრადიციული, ასევე საყოფაცხოვრებო და სუვენირების ნიმუშების გამოფენა-ვაჭრობა, რათა უკეთ წარმოჩინდეს ამ პროდუქციის გაყიდვისუნარიანობა და ადგილობრივი თუ უცხოელი მომხმარებლის მაღალი დაინტერესება.

მიზნები, პრიორიტეტები და ამოცანები



გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ა. მცირე საწარმოთა როლი ეკონომიკის განვითარებაში. ჟურნ. ,,ეკონომიკა'' [1]7-8 1991.

2. ბეკერი ჰარი. Mმოსაზრება ,,საქართველოში ყველა გადასახადი უნდა გაუქმდეს ერთის გარდა‘‘. გაზეთი ,,გადასახადი და გადამხდელი‘‘. ¹3. 1998 წ. სექტემბერი

3. ბიჭიაშვილი ნ. ბიჭიაშვილი ლ. ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა. Uუნივერსიტეტის გამომცემლობა. 1997.

4 . გაზეთი ,,კვალი. 1898. ‘‘. ¹13

5. გაზეთი ,,ივერია‘‘, 1894. ¹15

6. გაზეთი ,,ივერია‘‘, 1902. ¹76

7. გარემო და განვითარება. ჟურნ. თბ.: 1998. ¹20.

8. გუგუშვილი ვ. ზოგადი მეტყევეობა ,,განათლება‘‘. თბ.: 1974.

9. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19 მე-20 სს. ტ.1. თბილისი: გვ.150.

10. გიგაური გ. საქართველოს ტყეებში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები. ,,საბჭოთა საქართველო‘‘. თბ.: 1980.

11. გიგაური გ. საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება. თბ.: 2000.

12. გიორგაძე პ. აგრარული რეფორმა და სასურსათო პროდუქტების განვითარების პროგრამა. თბ.: 1993.

13. დოღონაძე გ. აგრარულ სექტორში ბუნებითსარგებლობის ზოგიერთი საკითხი. ასკემსკი. შრომათა კრებული ტ.3. თბ.:2003.

14. ერქომაიშვილი გ. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თსუ., თბ.: 2004.

15. ვეშაპიძე შ, ბარათაშვილი ე. რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი: 2002. გვ.281

16. ზარნაძე მადონა. ხე-ტყის მრეწველობის პერსპექტივები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. საქართველოს ეკონომიკა. ¹1 (134) 2009. გვ.90-92.

17. ზედგინიძე ა. სატყეო მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის კავშირურთიერთობების ეკონომიკური საფუძვლები. თბ.: სსი. 1988.

18. თარგამაძე კ. ტყის მეურნეობის წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა. თბ.: ,,განათლება“. 1965.

19. კაკულია რ. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები. თბილისი: 1945.

20. კახიძე ოტია. Gგლეხის კარმიდამო იმერეთში. თბ.:1984.

21. კახიძე ოტია. Gგლეხის კარმიდამო იმერეთში. თბ.: 1986.G

22. კემპბელ რ. მაკკონელი. სტენლი ბრიუ. ეკონომიკსი (პრინციპები, პრობლემები და პოლიტიკა). ტ. 1. თარგმნ. ინგლ. გამომცემლობა ,,რესპუბლიკა‘‘. თბილისი: 1993.

23. კილასონია ვ. მახვილაძე თ. პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზი. თბ., ,,მეცნიერება‘‘. 1995.

24. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ.: 2009.

25. ნამიჭეიშვილ რი. საბაზრო ეკონომიკა საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესებში. ქუთაისი: 2007.

26. ნიკოლაძე ნ. არქივი. რესპ. ბიბლიოთეკა. დოკ. ¹47/48

27. ნიკოლაძე ნ. არქივი. რესპ. ბიბლიოთეკა. დოკ. ¹47/1

28. ჟიზნინი ს, კრუპნოვი ვ. როგორ გავხდეთ ბიზნესმენი (ამერიკული გამოცდილება).Mმინსკი: 1990.

29. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს ¹613 დადგენილება ,,საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარების და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ‘‘.

30. საქართველოს კანონი ,, მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ‘‘

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. თბილისი: №35(42) 1999.

31. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია. თბილისი: 2002.

32, საისტორიო მოამბე. თბილისი: [1]9. 1856.

33. საისტორიო მოამბე თბილისი: [1]1. 1945.

34. საისტორიო მოამბე. თბილისი: [1]2. 1945.

35. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმა. თბილისი: 2001.

36. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პროექტი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. 2009.

37. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ.: 2009.

38. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999. 8 ივლისი

39. საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია 2008წ. aarhus. dsl. ge

40. საქართველოს სატყეო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა. თბ.: 1997.

41. საქართველოს სატყეო მეურნეობის აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამა 1997-2005წწ. თბ.: 1997.

42. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999. თბ.: 1999.

43. სსცია. ფ.5 ან1, საქ. 264. ფურც. 34,45.

44. სსცია. ფ.17, საქ. 8994. ფურც. 104.

45. სსცია. ფ.243. ან4. საქ.125, ფურც.103. ფ.12, ან 1.საქ.851.ფურც.191

46. სსცია.ფ.254.ან 3.საქ.1508

47. სსცია. ფ.243, ან.4. საქ.177, ფურც. 5.

48. სსცია. ფ.243 ან.4. საქ. 656. ფურც. 21

49. სსცია. ფ.8 საქ.525. ფურც. 10-16

50. სტატისტიკური მოამბე. 1928. [1]14-16

51. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. სტატისტიკური წელიწდეული 2009.

52. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. სტატისტიკური წელიწდეული 2008.

53. სუმბაძე ლონგინოზ. ქართული ხით ხუროთმოძღვრება. ,,ხელოვნება''. თბილისი: 1985.

54. ურუტაძე ე. თოდუა ნ. სამამულო საწარმოებში ინოვაციური პოლიტიკის სრულყოფისათვის. ჟურნ. ეკონომიკა. თბ.: 2003.

55. ქალდანი ანზორი. ქართული ტრადიციები, საცხოვრებელი სახლები. თბ.: ,,მეცნიერება''.1989.

56. ქარქაშაძე ნარგიზა. ავეჯის ბაზრის განვითარების ტენდენციები იმერეთის რეგიონში. Aკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი.: 2009.

57. ქუთაისის სცია. ფ.18. საქ. 1445. ფურც. 64.

58. ქუთაისის სცია. ფ.18. საქ.1894 ფურც. 68

59. ქუთაისის სცია. ფ.18. საქ.1053. ფურც. 7.

60. ღურწკაია კ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის კანონზომიერებანი. ეკონომისტთა მეოთხე რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა კრებული. ,,საქართველო'', თბ.: 2001.

61. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო ბიზნესი. თსუ. თბ.: 1998.

62. შენიშვნა : ხე-ტყის რესურსების უკანონო მოპოვების მასშტაბები გათვლილია მხოლოდ ლეგიტიმურად წარმოებულ ხე-ტყის პროდუქციაზე.

63. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. ,,სიახლე''. თბ. 2006.

64. ძნელაძე დავით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები. G

თბილისი: საქართველო, 1991.

65. ჯაფარიძე გ. ხე-ტყის დამამზადებელი წარმოების ეფექტიანობის გადიდების ზოგიერთი საკითხი. სსი სამეცნიერო შრომები. ტ.117. თბ.: 1981.

66. ჭრის წესები საქართველოს ტყეებში. თბ.: 2000.

67. ხუსკივაძე მადონა. Nნიკო ნიკოლაძე საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის შესახებ. Dდარგის ეკონომიკური განვითარების ანალიზი. პროფესორ-მასწავლებელთა 1 სამეცნიერო

კონფერენცია. თანამედროვე მეცნიერების აქტუალური საკითხები. ქუთაისი. 2008.

68. ჰელსინკში შემდგარი ტყეების კონსერვაციასთან დაკავშირებით მინისტრთა მეორე კონფერენციის რეზოლუცია 1. 1993 წ. ივნისი.

69. აღნიშნული განმარტება მიღებულია ტყეების კონსერვაციასთან დაკავშირებით ჰელსინკში შემდგარ მინისტრთა მეორე კონფერენციაზე (1993 წ. ივნისი, რეზოლუცია 1.).

70. Алексеев Л.А. Отрасль на пути к рынку. Журн. деревообрабатывающая промышленность. Москва: 1992. №6.

71. Бакрадзе Г.К. Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в 19 в. Тб.: 1958.

72. Батум и его окресности. Батуми. 1906.

73. Батум и его окрестности. 1902. №76

74. Бизнес-план инвестиционного проекта (учебно-практические пособие, под ред. В.М. Попова) М.: 1997.

75. Гагемейстер Ю. Закавказские очерки. 1845.

76. Газ. «Кавказ». №194. 1897.

77. Газ. «Кавказ» №15. 1866.

78. Гугушвили Развитие промышленности в Грузии и Закавказья в 19-

20 вв. Тб.: 1,1957.

79. Девяткин Л.М. Исползование древесного сырья как источника энергии. М.: Лесная промышленность. 1988.
80. Дэй Дж. Стратегический маркетинг. М.: 2002.
81. Долгушин А.А. Леса Закавказья и их эксплуатация» с.145.
82. Емельянова А.М. Экономика сельского хозяйства на современном этапе. Изд-во Университет. 1980.
83. Зарнадзе М. Стратегия развития Деревообрабатывающий промышленности в грузи. Актуальные проблемы экономики. Ч.1. Пятигорск: 2009.
84. Зарнадзе М. Традиции Строительства деревянных домов грузи и их перспектива. Актуальные проблемы экономики и права в современных условиях. Ч.1. Пятигорск: 2009
85. Идрисов А.Б. и др. Стратегическое планирование и анализ эффективности инвестиции. М.: «Филинь»,1997.
86. «Кавказский календарь». на 1893.
87. «Кавказский календарь», 1882.
88. « Кавказский Календарь» на 1897.
89. « Кавказский Календарь» на 1905г.
90. « Кавказский Календарь» на 1903г.
91. «Кавказский Календарь»на 1912г.
92. «Кавказский Календарь» на 1914г.
93. « Кавказский Календарь» на 1917 г.
94. «Кавказское сельское хозяйство» 1896г. №97
95. .Луис Л.Аллен. Как добиться успеха в малом бизнесе. пер. с англ. Акционерное общество «торговый дом. Русская тройка»- М.:1992.
96. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск: «Книжный дом» 2004.
97. Марков С. Производство деревянных бочек М.: 1938.
98. Муравьев А.И. и др. Малый бизнес. Санкт-Петербург: «Экономическая школа», 1999.
99. Морозовский. Краткий очерк лесной промышленности и торговли

лесом в России и в вожнейших иностранных государствах 1900.

100. Немеровский Л.С. Бондарное производство. М.: ЦБТЭИ Центросоюза. 1991.

101. Норткотт Д. Принятие инвестиционных решений. М.: «ЮНИТИ».1997.

102. Общие сведения о бочковой таре. Практическое руководство по организации по производства таваров народного потребления в цехах малой мощности. ЦБТЭИ Центросоюза. 1991.

103. Портер М. Конкуренция- «Вильямс» М.: 2005.

104. Предпринимательство. Под ред. В.Гурфинкеля и др. М.: «ЮНИТИ».1999.

105. Росийский экономический журнал. №5. 1993.

106. Российские проблемы и зарубежный опыт. Журн. «Мэимо» №9. 1993.

107. Родионова И. Мыровая экономика. Индустриальный сектор. Издат.Питер. 2004.

108. Реферат. «Деревообрабатывающая промышленность Японии» Журнал. «Деревообрабатывающая промышленность». 1985. №1.

109. Сирополись М.К. Управление малым бизнесом. Руководство для предпринимателей. Пер. с англ. М.: Дело 1997.

110. Сорокина В. Государственное регулирование малого бизнеса. Опыт Великобритании. Журн. Проблемы теории и практики управления. №2. 1998.

111. Фатхутдинов Р.А. Иновационный менеджмент. Санкт-петербург. «ПИТЕР» 2003.

112. Фальцман В.К. Оценка инвестиционных проектов и предпрятий. М.: «Тейс». 1999.

113. Хруцкий В.Е. Корнеева И.В. Современный маркетинг. М.: Финансы и статистика. 2002.

114. ЦГИА. ССР. ф 20. он.12. д.100. лл 28,44.

115. Bailes J.C. McNally G.M. «Cost and management accouting practices in New Zeland ». International Jurnal of Accouting Education and Research. Vol. 19. May.1984.

116. M Itteilungen aus dem Museum fur Volkerkunde in Hamburg. 12 Hamburg. 1928.

117. McMahon R.G.P. «The determination and use of investment hurde rates in capital budgeting: A survey of Australian practice». Accouting and Finance, Vol. 21. May. 1981.

118. Tschotschia. Agrarverfassung und land wirtshaft in Georgia. Berlin. 1927.

119. Ansoff H.I. Inplanting Strategic Management, prentice - Hall international. 1984.

120. http://WWW.woodmark.com

დანართი 1

დამმუშავებელი მრეწველობის ადგილი საქართველოს მრეწველობაში

საწარმოთა რაოდენობა(ერთეული)	1999	2003	2004	2005	2006	2007	2008
მთელი მრეწველობა					28530	23137	21779
დამმუშავებელი მრეწველობა		2775	3137	4306	3835	2920	2532
დამმუშავებელი მრეწველობის წილი მთელ მრეწველობაში %-ით					13,4	12,6	11,6
ბრუნვის მოცულობა							
სამეწარმეო სფერო სულ					13090.3	17544.4	19650.7
დამმუშავებელი მრეწველობა					1935.0	2734.3	2855.3
დამმუშავებელი მრეწველობის წილი მთელ მრეწველობაში %-ით ჯამთან					14.8	15,6	14,5
გამოშვებული პროდუქციის მოცულობა(სუბსიდიების ჩათვლით)							
სამეწარმეო სფერო სულ					7412,6	9645.4	10248.4
დამმუშავებელი მრეწველობა					1919.1	2532.9	2804.5
დამმუშავებელი მრეწველობის წილი მთელ მრეწველობაში %-ით ჯამთან					25,9	26,3	27,4
დამატებული ღირებულების მოცულობა(მლნ ლარი)							
სამეწარმეო სფერო სულ					3479,4	4541.8	5162.6
დამმუშავებელი მრეწველობა					499,4	688,3	972,1
დამმუშავებელი მრეწველობის წილი მთელ მრეწველობაში %-ით ჯამთან					14,3	15,2	18.8
შუალედური მოხმარების მოცულობა(მლნ.ლარი)							
სამეწარმეო სფერო სულ					3933.2	5103.7	5085.8
დამმუშავებელი მრეწველობა					1419.7	1844.6	1832.4
დამმუშავებელი მრეწველობის წილი მთელ მრეწველობაში %-ით ჯამთან					36.2	36.1	36.0

ცხრილი საქართველოს მრეწველობა დასავლეთ საქართველოს რეგიონების მიხედვით

საწარმოთა რაოდენობა(ერთეული)	1999	2000	2004	2005	2006	2007	2008
საქართველო სულ					28530	23137	21779
აჭარის არ					3166	2576	2296
%ით ჯამთან					11,1	11,1	10,5
გურია					759	746	612
%ით ჯამთან					2,7	3,2	2,8
იმერეთი					4552	3455	2998
%ით ჯამთან					16,0	14,9	13,8
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი					411	307	256
%ით ჯამთან					1,4	1,3	1,2
სამეგრელო ზემო სვანეთი					1761	1878	1741
%ით ჯამთან					6,2	8,1	8,0

ბრუნვის მოცულობა	1999	2000	2004	2005	2006	2007	2008
საქართველო სულ					13090.3	17544.4	18650,7
აჭარის არ					728,5	911,2	1007,9
%ით ჯამთან					5,6	5,2	5,1
გურია					79,4	91,8	115,5
%ით ჯამთან					0,6	0,5	0,6
იმერეთი					661,1	850,1	1003,4
%ით ჯამთან					5,1	4,9	5.1
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი					22,2	25,9	22,8
%ით ჯამთან					0,2	0,2	0,1
სამეგრელო ზემო სვანეთი					470,5	637,2	630,7
%ით ჯამთან					3,6	3,6	3,2
გამოშვებულიპროდუქც. მოცულობა(სუბსიდიების.ჩათვ.)							
საქართველო სულ					7412,6	9645,4	7412,6
აჭარის არ					405,3	518,4	405,3
%ით ჯამთან					5,5	5,4	5,7
გურია					62,1	79,2	62,1
%ით ჯამთან					0,8	0,8	0,9
იმერეთი					418,1	512,7	418,1
%ით ჯამთან					5,6	5,3	6,8
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი					20,5	18,8	20,5
%ით ჯამთან							